

ნიკოლოზ კახელაძე

ქართული
საელჩო
გვერდები
ტყვე-
ლეგი

„ლიბერატიზმის და ხალხმართის“
თბილისი

ბათუმში გაეიყვანა და მისი პირველი საჯარო ლექციაჲ ბათუმში მოვიხსნიე.

მერე ერთი წელი ერთად ვუმუშაობდით „საბჭოთა აპარის“ რედაქციაში ახალგაზრდობაში ავადმყოფობდა. ხმელხმელი და სუსტი იყო, მაგრამ უაღრესად ენერჯიული. მომზიბლელი ხმა ჰქონდა ლექციების და საჯარო მოხსენებების კითხვისას არაერთი წიგნი და კონსპექტი — საკუთარ აზრს თუ სხვათა გამოზიბუქვას და ციტატას ზეპირად წარმოთქვამდა საოცარის სიზუსტით, ნამდვილი ორატორი იყო. სწყინდათ, ლექციის კითხვას რომ დაამთავრებდა.

თავიდანვე ქართული მჭევრმეტყველებით იყო გატაცებული, აოცებდა მისი ორი უმთავრესი ნიშანი — ბრძნული აზრი და ხატოვანი ფრაზა, მერე პირველწყარობებს მიაკვლია და მთელი სიკოცხლე ამ შეუსწავლელი დარგის შესწავლას და გამოუმუყურებას შეაღია.

ჯერ ქართული მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუში — სილომონ ლიონიძის მიერ ერცელ მეფის გარდაცვალებაზე წარმოთქმული სატყვის სრული ტექსტი გამოსცა სათანადო განმარტებებით, ამას მოჰყვა კაპიტალიზმის შრომები „ქართული მჭევრმეტყველება“ და „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“.

მკითხველმა შეიყვარა ეს წიგნები, ხოლო ქართულმა პრესამ მას მალე-მალე შეფასება მისცა.

ნიკოლოზ კანდელაკი მარტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობით არ იყო მკეთილშობილი, იგი დიდი სიყვარულით ზრდიდა ახალ თაობას, წლების ნაწილზე კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებელში მან ფესდაფეს შემოიარა მთელი საქართველო, მას შეხვდებოდით მთათუშეთისა და სკანდინავიის სოფლებში, ფშავ-ხევსურეთისა და მესხეთ-ჯავახეთში და იგი მოუქანებდა და მიმზიდველად ესაუბრებოდა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან აუდიტორიას ქართველი ხალხის წარსულსა და დღევანდელ დღეზე, თამარის საოცარ მეფობაზე, შოთა რუსთაველის უკვდავებაზე, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას გენიაზე.

მას ორი შრომა დარჩა გამოუცემელი — „ქართველი ორატორები“ და „ქართული საელოზო მჭევრმეტყველება“, უკანასკნელს გამოცემლობა, „ლიტერატურა და ხელოვნება“ სთავაზობს მკითხველს და ამ წიგნის წამკათხველი თითონ შეიცნობს როგორი დინჯი და ღრმა მკვლევარი იყო ნიკოლოზ კანდელაკი.

ზაფხულს, თითქმის ყოველთვის, ბანმაროზე და თავის საყვარელ სოფელ ბახუმში ატარებდა მოხუც დედასთან და აქვე მოუსვენარი იყო — მარანს ამზადებდა სართლოდ და ვენახში ტრიალებდა, სოფელში თან ჩაქონდა ძველი ხელნაწერები და ტექსტები და გვიან დამემდეგ უკირკიტებდა მას... ჭეშმარიტად — დედასთან ბაღლი იყო, ვენახში გლეხკაცი, მაგდასთან მეცნიერი, მეგობრებში შეუცვლელი მოსაუბრე და მეტყველი.

ნიკოლოზ კანდელაკმა შემოქმედებითი სიმწიფისას გააგდო კალამი ხელიდან, მას ბევრი დარჩა შეუსწავლელი და გამოუკვლეველი, მაგრამ მისი შრომები უთუოდ კიდევ და კიდევ გამოიცემა და ყოველთვის დაამშვენებს ქართველი მკითხველის წიგნის თაროს.

1 ალიო ალაშია



თ ა ვ ი ა ი რ ვ ე ლ ი

ქართული საელჩო მშვერმეტყველების ისტორიისათვის

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული საელჩო მშვერმეტყველება ჩვენი პოლიტიკური ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი სფეროა, მისი ერთგვარი განშტოებაა. ის წარმოიშვა სადარბაზო ზეპირი სიტყვის წიაღში და ერთ ხანს მასთან ერთად ვითარდებოდა. გზადაგზა მან შეიძინა საკუთარი ნიშნები და მოგვიანებით, დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბდა. ამ სახით ის წარმოადგენს მშვერმეტყველების თავისებურ დარგს, რომლის კვლევა-ძიება შეიძლება ვაწარმოოთ მისი უახლოესი მოსაზღვრის — პოლიტიკური მშვერმეტყველების გვერდით, მისგან განცალკევებით, მაგრამ მასთან კავშირსა და ურთიერთობაში. ასეთი კვლევის ცდას წარმოადგენს წინამდებარე შრომა.

საელჩო მშვერმეტყველება სახელმწიფოთა დიპლომატიური ურთიერთობის მთავარი საშუალებაა, პოლიტიკურ მხარეთა შორის კავშირის დამყარებისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარების ძირითადი იარაღია. ის არის საშუალება, იარაღი, რომლითაც ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, უმთავრესად ელჩი, აწარმოებს დიპლომატიურ საქმიანობას განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის შესაბამისად. საელჩო მშვერმეტყველება დიპლომატიური საქმის საშუალებაა, მისი შინაარსის გამომხატველი ფორმაა, მისი შესრულების იარაღია.

ამრიგად, საელჩო მშვერმეტყველება და დიპლომატია ერთმანეთს ისე უთავსდებიან, როგორც ფორმა და შინაარსი. დიპლომატიის სახით საქმე გვაქვს შინაარსთან, საელჩო მშვერ-

მეტყველების სახით საქმე გვაქვს ფორმასთან. ამით შეპირობებულია მათი ერთობლივი შესწავლა. ასეთი შესწავლის ცდას წარმოადგენს წინამდებარე შრომა.

შრომაში განხილულია ქართული საელჩო მკვევრმეტყველების ისტორიის საკითხები — ერთი მხრით, საქართველოს სახელმწიფო დიპლომატიასთან კავშირში, მეორე მხრით, ქართულ პოლიტიკურ მკვევრმეტყველებასთან ურთიერთობაში — მათი ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე.

საელჩო მკვერმეტყველების წყაროები და ლიტერატურა

მსგავსად ყოველი ისტორიული პროცესის ასახვისა საელჩო მკვერმეტყველების განვითარების გარკვევაც საჭიროებს სათანადო წყაროების მიგნებასა და გამოყენებას. მათი მიგნება გულისხმობს წინასწარ კვლევა-ძიებას, ხოლო გამოყენება — შემდგომ განზოგადებას. ამ გზით ისინი სპეციალურ საისტორიო წყაროებად გვევლინება. ამ წყაროების მეშვეობით აისახება საელჩო მკვერმეტყველების ისტორიული განვითარება.

ქართული საელჩო მკვერმეტყველების საისტორიო წყაროები ჩვენამდე მოღწეულია მრავალი სახით, სარწმუნო შინაარსითა და საკმარისი სიუხვით. ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა დროს და შემონახული არიან როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. მათი დიდი უმრავლესობა დაცულია საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მასალებში. უცხო ენებზე შემორჩენილი წყაროები უფრო პირველი და უკანასკნელი პერიოდების მკვერმეტყველებას შეეხებიან, ხოლო ქართული მასალები უმთავრესად შუა პერიოდების ორატორულ ხელოვნებას გვისურათებენ. ქვემოთ ისინი განხილულია ქრონოლოგიური, თანმიმდევრობით.

ქართული საელჩო მკვერმეტყველების ერთ ადრინდელ, საისტორიო წყაროს წარმოადგენს ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფია“. აქ იბერიის პოლიტიკური ვითარების საკითხებთან დაკავშირებით ავტორი გვაცნობს ისეთ მოვლენებს, რომელთა მეშვეობით ნათელი ეფინება ჩვენი საელჩო მეტყველების შორეულ წარსულს. მათ შორის უფრო საყურადღებოა იბერთა მოსახლეობის ქურუმთა გვარის არსებობა, რომელსაც ევალებოდა პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება ქართლის მოსაზღვრე ქვეყნებთან. შესაძლოა ამ ქვეყნების წრე უფრო ფართოც იყო

და უმუქლო მეზობლობით არ ისაზღვრებოდა. ყოველ შემთხვევაში აქ დიპლომატიური კავშირი იგულისხმება, რაც საელჩო მკვერამეტყველების ფაქტზე მიუთითებს და მისი გამოყენების მაჩვენებელია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

კიდევ უფრო ადრინდელი ვითარების სურათს გვიხატავს II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი, რომელიც თავის „რომის ისტორიაში“ მოგვითხრობს იბერიის მეფის არტაგის მიერ პომპეუსის წინაშე წარგზავნილი ელჩების თაობაზე. კასიოსის ცნობა ჩვენი საელჩო მკვერამეტყველების სათავის ამსახველი წყაროა, რომელიც, შედარებით გვიანდელი წარმოშობის მიუხედავად, სანდო მოწმობას შეიცავს და საყურადღებო ფაქტად გვევლინება.

ძველი წელთაღრიცხვის მიწურულისა და ახალი ერის დასაწყისის ქართლის დიპლომატიის ზოგიერთ მხარეს გვისურათებს მცხეთის ეპიგრაფიკული განძი. ის შედგება ათი წარწერისაგან, რომლებიც ბერძნულ, არამეულ და ებრაულ ენებზეა შესრულებული.¹ ისინი მცხეთის დედაქალაქობის ხანას განეკუთვნებიან და უმთავრესად უკანასკნელი დროის არქეოლოგიურ მონაპოვარს წარმოადგენენ. მცხეთის ეპიგრაფიკული ძეგლები დღეს მეცნიერულად შესწავლილია — გაშიფრული გადმოთარგმნილი და გამოცემულია. მათი შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდია გ. წერეთლის, ა. შანიძისა და ს. ყაუხჩიშვილის დამსახურება.² მათ შექმნეს მცხეთის ეპიგრაფიკის სამეცნიერო დარგი და უზრუნველყვეს მისი სწრაფი და სრულმხრივი განვითარება. ამ გზით დადგინლ ზოგიერთ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევის საგნის ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად, კერძოდ, უცხოეთთან ურთიერთობის ენობრივი ფორმის დასადგენად ქართლის სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებში.

ჩვენი საელჩო მკვერამეტყველების მშობლიური წყაროები-

1 ა. ა. ფ ა ქ ი ძ ე — ქალაქები..., 125—158.

2 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი — არმაზის ბილინგვა; მ ი ს ი ვ ე — მცხეთის ბერძნული წარწერა...; მ ი ს ი ვ ე — Эпиграфические находки...; А. Ш а н и д з е — Данные греко-пехлевиийской билингвы...; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი — არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები.

დან თავისი ფართო ქრონოლოგიური ფარგლებითა და მასალის სიუხვით გამოირჩევა „ქართლის ცხოვრება“. ის მოიცავს თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობის უამრავ ფაქტს, რომელთა ანალიზით ნათელი ხდება ბევრი საყურადღებო მოვლენა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დიდ სარბიელზე. აქ აღბეჭდილია ბევრი დიპლომატიური ცდა, სწრაფვა თუ წამოწყება, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ საელჩო მეტყველებასთან და მისი ისტორიული სურათის ჩვენება შეუძლიათ. ამ სურათის ცალკეულ შემადგენლებს მრავალფეროვანი სახით შეიცავს „ქართლის ცხოვრება“, რომლის ფურცლებზე ხშირად ვპოულობთ სახელმწიფო დიპლომატიის ოფიციალურ აქტებს — ელჩობა-მოციქულობას, ბჭობა-თათბირებს, რჩევა-დარიგებებსა და მათ ამსახველ დოკუმენტებს — სიტყვებს, წერილებსა და საუბრებს. სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ჩვენთვის უმთავრეს საისტორიო მასალას, რომელსაც, როგორც აღინიშნა, ჭარბად ვპოულობთ „ქართლის ცხოვრებაში“.

საინტერესო მასალას გვაწვდის აგრეთვე ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომელშიც მოთხრობილია XIV—XVII საუკუნეების საქართველოს თავგადასავალი. აქ თხრობის სისრულით გამოირჩევა XVIII ს-ის ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი თხზულება — „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი.

საგულისხმო ცნობებს შეიცავენ ამასთანავე XVIII ს-ის ცალკეული ისტორიული ნაშრომები, რომლებიც „ქართლის ცხოვრების“ არც ერთ ციკლს არ განეკუთვნებიან, მაგრამ მათ მოსაზღვრე თხზულებებს წარმოადგენენ. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება“ (XIV—XVIII სს.), სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“ (1653—1739 წწ.), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (1739—1758 წწ.) და ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1722—1780 წწ.).

პოლიტიკური ურთიერთობის პროცედურისა და საელჩო მეტყველების საკითხებს გვირკვევს კლასიკური პერიოდის მიწურულის იურიდიული ძეგლი „განრიგება ქელმწიფის კა-

რისა“.¹ აქ ნათლად განსაზღვრულია მაღალი თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი და ნაჩვენებია მათი რწმუნების ოდენობა, გავლენის ძალა და მოღვაწეობის სარბიელი. აქვე აღწერილია სამეფო კარის ოფიციალური ცერემონიები, კერძოდ, სტუმრობა-შეხვედრანი და მიღება-დარბაზობანი. ამ მასალაში შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცნობები. მათი შემწეობით შუქი ეფინება მონარქიული საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და სახელმწიფო დიპლომატიის საინტერესო საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია მოციქულების მიღების, შერჩევისა და გაგზავნის წესები, დიპლომატიური ხასიათის ვაზირობანი და ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ცდები.

საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის მდიდარ მასალას შეიცავს მიქელ თამარაშვილის საყურადღებო წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც შეიქმნა ავტორის ხანგრძლივი და გულმოდგინე შრომის შედეგად და ავთენტური ტექსტების დართვით გამოქვეყნდა 1902 წელს. ეს ტექსტები მიკვლეულია ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ამოკრებილია დარგობრივი პრინციპის საფუძველზე და დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. წიგნში ასახულია რომის კათოლიკური კონგრეგაციის სამქადაგებლო საქმიანობა ჩვენში XIII—XIX საუკუნეთა მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მოვლენებთან კავშირში. უშეტესად ვიწროდ, თანაც ტენდენციურად განზოგადებულ დოკუმენტებთან ერთად აქ მოთავსებულია ბევრი საინტერესო ცნობა, ჩვენება თუ არგუმენტი, რომლებიც ჩვენი ელჩებისა და დიპლომატების შემოქმედებას გვიჩვენებენ და მათ მოღვაწეობას გვისურათებენ. აქვეა მათი წერილები, სიტყვები, მიმართვები და მოხსენებანი. ყველაფერი ეს ძვირფასი წყაროა საელჩო მეტყველების ისტორიისათვის. ამ წყაროთი ირკვევა ელჩებისა და დიპლომატების ვინაობა, სადაურობა, ღვაწლი და ხერხდება მათი ორატორული პორტრეტების დადგენა.

საელჩო მკვერმეტყველების მდიდარ საისტორიო მასალას შეიცავს ს. ბელოკუროვის ნაშრომი, «Сношения России с

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ქართველი ერის ისტორია, ტ. V, 167—224 გვ.

Кавказом», რომელიც უწყვეტი თანმიმდევრობით აერთიანებს რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის დოკუმენტებს 1578—1613 წლების მანძილზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება მოსკოვ-კახეთის დიპლომატიურ კავშირს, რაც განსაკუთრებით განმტკიცდა XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ამ ნაწილის შემადგენლობაშია: იოაკიმეს, კირილესი და ხურშიტის ელჩობა მოსკოვის კარზე 1586—1587 წლებში;¹ ყაფლანის, კირილესი და ხურშიტის ელჩობა იქვე 1588—1589 წლებში;² სოლომონისა და ხურშიტის ელჩობა იქვე 1590—1591 წლებში;³ იორამისა და კირილეს ელჩობა იქვე 1592—1593 წლებში;⁴ ხურშიტისა და იორამის ელჩობა იქვე 1594—1595 წლებში;⁵ სოლომონისა და ლევანის ელჩობა იქვე 1598—1599 წლებში;⁶ კირილესი და საბას ელჩობა იქვე 1603—1604 წლებში.⁷

წიგნს წინ უძღვის ვრცელი ნარკვევი, რომელშიც განხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XII ს-ის მიწურულიდან XVII ს-ის დამდეგამდე.

ავტორის მიერ მოხმობილ მრავალფეროვან მასალაში როგორც ნარკვევის, ისე ტექსტების ფურცლებზე მოიპოვება ბევრი საყურადღებო ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი საელჩო მეტყველების ხელოვნებას, მისი ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

ს. ბელოკუროვის მიერ შეკრებილ და გამოცემულ მასალებში ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე XVII ს-ის 30-იანი წლების ოდიშის პოლიტიკური მისწრაფებისა და დიპლომატიური მტდელობის ამსახველი დოკუმენტების წყება «Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадрианскую землю», რომელიც ორჯერ გამოქვეყნ-

¹ С. Белокуров — Сношения..., 10—13.

² იქვე, 52—62.

³ იქვე, 223—238.

⁴ იქვე, 252—259.

⁵ იქვე, 262—265.

⁶ იქვე, 314—330.

⁷ იქვე, 372—419.

და რუსეთის ისტორიის პირველწყაროს სახით¹. ამ წყაროში აღბეჭდილია სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ელჩის გაბრიელისა და რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის ელჩების ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის გაცელა-გამოცელა მოსკოვსა და ზუგდიდს შორის 1639—1640 წლებში. აქვე დაცულია რამდენიმე საინტერესო ფაქტი — ნიკიფორე მიტროპოლიტის ჩვენება, ლევან დადიანის წერილები, გაბრიელის დაკითხვის მასალები, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პაექრობა, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საელჩო მეტყველების ისტორიის ნათელსაყოფად.

ქართული დიპლომატიური აზროვნებისა და საელჩო მკვერმეტყველების მასალები დაცულია დოკუმენტების კრებულში «Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г.», რომელიც 1861 წელს პეტერბურგში გამოსცა მ. ბროსემ. კრებულს წამძღვარებული აქვს გამომცემლის მოკლე წინათქმა და ფ. პლოენის ვრცელი ნარკვევი რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან 1586—1740 წლების მანძილზე².

შრომის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს დოკუმენტების კრებული, რომელშიც თავმოყრილია ქართველ მეფეთა და მათი ოჯახის წევრების ეპისტოლარული მემკვიდრეობა, შექმნილი 1639—1770 წლებში. საელჩო მკვერმეტყველების თვალსაზრისით აქ განსაკუთრებით საყურადღებოა არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის წერილები რუსეთის სენისუფლების უზენაესი წარმომადგენლების მიმართ.³ მართალია, ისინი ტექსტოლოგიურად გაუმართავ პუბლიკაციებს წარმოადგენენ, მაგრამ თავიანთი ავთენტური ხასიათით სანდო საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

საელჩო მკვერმეტყველების საისტორიო ცნობებს ებოულობთ პროფ. მ. პოლიევქტოვის პუბლიკაციებში. მას გამოქვეყნებული აქვს დოკუმენტების კრებული: «Посольство стольника Толочанова и дьяка Иевиева в Имеретию» (1926); «Посольство князя Мышецкого и дьяка Ключа-

¹ С. Белокуров — Материалы..., 257—376.

² М. Броссе — Переписка..., I—XCI.

³ იქვე, 110—143.

рева в Кахетию» (1928); «Материалы по истории грузино-русских взаимоотношений» (1937). ისინი მოიცავენ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მასალებს 1610—1652 წლების მანძილზე. ეს მასალები ამოკრებილია ისტორიული არქივებიდან, დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, გამართულია თანამედროვე ორთოგრაფიით და შემოსილია სათანადო შენიშვნებით. თითოეულ კრებულს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც ლაპარაკია წარმოდგენილი მასალის ტექსტუალურ შინაარსსა და ისტორიულ მნიშვნელობაზე. აქვე მოცემული მასალის საფუძველზე გარკვეულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია და გაშუქებულია მასთან დაკავშირებული საკითხები.

საელჩო მკვერმეტყველების თვალსაზრისით ხსენებული პუბლიკაციებიდან უფრო საყურადღებოა უკანასკნელი კრებული. აქ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 3 დოკუმენტი: ილუმენ ხარიტონის ელჩობა საქართველოდან მოსკოვში (1618); არქიეპისკოპოს თეოდოსის, არქიმანდრიტ არსენისა და არქიდიაკონ კირილეს ელჩობა კახეთიდან მოსკოვში (1624); მიტროპოლიტ ნიკიფორეს პირველი ელჩობა საქართველოდან მოსკოვში (1635). ეს დოკუმენტები მოიცავენ თეიმურაზ პირველის, გიორგი მეფის, მამია გურიელისა და ნიკიფორე მიტროპოლიტის წერილებს მიხეილ თედორეს ძე რომანოვისადმი.¹

ეს მდიდარი ეპისტოლარული მასალა შემონახულია რუსული თარგმანებით. ამიტომ ის ქართული მკვერმეტყველების ისტორიის დამხმარე წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა მისი მეშვეობით ხერხდება ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების ზოგიერთი საინტერესო საკითხის ნათელყოფა.

XVIII ს-ის უკანასკნელი მესამედის საელჩო მკვერმეტყველება უხვადაა წარმოდგენილი იმ მასალებში, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოში შეკრიბა და ორ ტომად გამოსცა პროფ. ა. ცაგარელმა (მეორე ტომი ორ წიგნადაა გაყოფილი). ამ ტომებში, «Грамоты и другие исторические докумен-

¹ М. Полиевктов — Материалы., 43—141.

ты XVIII столетия, относящиеся к Грузии», თავმოყრილია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიული დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა რუსულ ენაზეა შემონახული. მათი ერთი ნაწილის ქართული დედნები და ზოგიერთი დოკუმენტების თარგმანები გაერთიანებულია მეორე ტომის პირველ წიგნში. ა. ცაგარლის ორტომეულის სამივე წიგნი შეიცავს საარქივო მასალებს, რომლებიც მოპოვებულია რუსეთის საცაევებში და ამოკრებილია ხანგრძლივი შრომის შედეგად. ყოველ ტომს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა და დართული აქვს საგანთა და პირთა საძიებლები. მათ შორის საყურადღებოა წინასიტყვაობანი. რომლებიც რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ნარკვევებს წარმოადგენენ ამოკრებილი დოკუმენტების შესაბამისი პერიოდისათვის. პირველი ტომის ასეთი პერიოდი 1768—1774 წლებია, ხოლო მეორე ტომისა 1769—1801 წლები. ამრიგად, ორივე ტომში თავმოყრილია XVIII ს-ის თითქმის მთელი უკანასკნელი მესამედის საისტორიო მასალა. ამ მასალის ქართული დედნები და თარგმანები, როგორც ითქვა. გაერთიანებულია მეორე ტომის პირველ წიგნში «Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии» (1898), რომელიც მოიცავს 1768—1801 წლებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ცხადია, ეს უკანასკნელი წიგნია, რადგან მასში შემავალი მასალა საკუთრივ ქართული მკვებრმეტყველების ამსახველია.

ა. ცაგარლის «Грамоты» ჩვენი საელჩო მეტყველების უკანასკნელი პერიოდის ყველაზე სრული წყაროა მიუხედავად იმისა, რომ იგი არ შეიცავს იმდროინდელი დიპლომატიური ხელოვნების ზოგიერთ საგულისხმო დოკუმენტს. ეს დოკუმენტები ხელმოწვედომელი იყო XIX ს-ის მიწურულის მკვლევარისათვის და უმეტესად საბჭოთა პერიოდის მეცნიერულ მონაპოვარს წარმოადგენს. ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს ბესარიონ გაბაშვილისა და სოლომონ ლიონიძის დიპლომატიური ღვაწლის ამსახველი მასალა.

თითქმის მთელი XVIII ს-ის კავკასიის, კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სურათს შეიცავს პ. ბუტკო-

ვის შრომა «Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год», რომელიც სამ წიგნად გამოაქვეყნა ბროსემ, ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1869 წელს. პირველ ორ წიგნს დართული აქვს ისტორიული დოკუმენტები, ხოლო მესამე წიგნი მთლიანად გამომცემლის მიერ შედგენილ ქრონოლოგიურ და აღფაბეტურ საძიებლებს წარმოადგენს. ამ მასალიდან ჩვენთვის უფრო საყურადღებო ავტორის ტექსტი და ისტორიული დოკუმენტებია. ისინი შეიცავენ პოლიტიკური შინაარსისა და დიპლომატიური ხასიათის ცნობებს, რომელთაც შეუძლიათ საელჩო ურთიერთობის ფორმის გარკვევა — ზეპირი თუ წერილობითი მეტყველების ფაქტის დადგენა და ნათელყოფა.

ამასთან უნდა აღინიშნოს: ავტორი ხშირად მიმართავს თეორიულ განზოგადებას, რაც ზოგჯერ მოკლებულია ობიექტურ საყრდენს, ტენდენციური ძიების შედეგს წარმოადგენს და უმართებულო დასკვნებით ხასიათდება.

ამრიგად, ბუტკოვის «Материалы» უფრო საისტორიო ცნობებით გვეხმარება, ვიდრე მათი თეორიული განზოგადობით, და ამიტომ მხოლოდ კრიტიკული მიმართებით შეიძლება მისი გამოყენება მეცნიერულ კვლევა-ძიებისას.

ჩვენი საელჩო მწევრმეტყველების უკანასკნელი პერიოდის დამლევს საისტორიო ცნობებს შეიცავს ნ. დუბროვინის წიგნი «Закавказье от 1803—1806 года», რომელშიც საკმაოდ აწვრილებით, მაგრამ ერთგვარი მიკერძოებით ასახულია გასული საუკუნის დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. ავტორი მიმართავს მცირე ექსკურსს ქვეყნის წინანდელ ისტორიულ მოვლენებში, გაკვრით ეხება გარდამავალი ხანის პირობებს, ჩერდება ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებაზე და ვრცლად აკვიწერს მომდევნო წლების ვითარებას. წიგნში გზადაგზა ნაჩვენებია ეპოქალური ძვრები, გარდატეხის სიძნელეები და ცვლილებები, აქა-იქ ჩართულია ოფიციალური დოკუმენტები და წარმოებულია მათი ინტერპრეტაციები. ნაშრომს ახლავს ისტორიული დოკუმენტების სპეციალური დანართი,¹ რომელშიც თავმოყრილია ქართული

¹ Н. Дубровин — Закавказье..., 485—542.

დიპლომატიის საინტერესო ძეგლები. ასე, მაგალითად, აქ დაცულია იულონ ბატონიშვილის წერილი პავლე ციციანოვის მიმართ და ს. ლიონიძისა და პ. ციციანოვის კითხვა-პასუხი იმერეთის რუსეთთან შეერთების საკითხზე¹. წიგნის ძირითად ტექსტში გაშუქებულია ლიონიძის ელჩობის მთელი სურათი 1803—1804 წლებში, როცა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დავალებით სახელოვანი ორატორი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის კარზე იმყოფებოდა².

როგორც ვხედავთ, ღუბროვინის წიგნი საგულისხმო წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის დამდეგის ქართული დიპლომატიისა და საელჩო მჭევრმეტყველების ისტორიისათვის.

საელჩო მეტყველების რიგი საკითხის გასარკვევად წარმატებით გამოიყენება ჩვენი მხატვრული, სამეცნიერო და ფილოსოფიური მწერლობის ზოგიერთი ძეგლი, რომელთა მითითებით ბევრი საყურადღებო დეტალი მიიგნება. ამ გზით მოპოვებული მასალა ხშირად პირდაპირ ეხება, ხან კი უშუალოდ ესაზღვრება ჩვენს ძირითად პრობლემას და მის ნათელმყოფ წყაროს წარმოადგენს.

ასეთ დახმარებას გვიწევენ, მაგალითად, ჰაგიოგრაფიული ძეგლები, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირისა და იოახუ პეტრიწის შრომები, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, ალორძინების პერიოდის მწერლობა, ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და სხვა.

საელჩო მჭევრმეტყველების ბევრი საინტერესო მხარე და ზოგიერთი სპეციალური საკითხი გარკვეულია უკანასკნელი დროის ისტორიულ გამოკვლევებში. მათ შორის თავიანთი თემატური სისრულითა და მეცნიერული სიღრმით გამოირჩევიან პროფ. ნ. ბერძენიშვილის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, პროფ. ი. ცინცაძის „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ და პროფ. გ. მელიქიშვილის «К истории древней Грузии».

¹ იქვე. 534—535.

² იქვე. 193—203.

ხსენებულ გამოკვლევებში აღძრული და გადაწყვეტილია ისეთი საკითხები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხებიან ქართულ საელჩო მკვერმეტყველებას და მისი ისტორიული განვითარების გზებს გვიჩვენებენ.

ასეთია ქართული დიპლომატიისა და მისი თანმხლები საელჩო მკვერმეტყველების მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიო წყაროები და ლიტერატურა. მათი აქ წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვაც ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართული საელჩო ორატორული ხელოვნების მკვლევარს სამდურავი არ ეთქმის მისთვის საჭირო საისტორიო მასალის უკმარობისა ან უღირსობის გამო.

საელჩო მკვებრმეტყველების ტერმინოლოგია

საელჩო მკვებრმეტყველების კვლევა-ძიების ერთ პირობას წარმოადგენს სათანადო ტერმინოლოგიის ცოდნა. ის ხელს უწყობს დიპლომატიურ ცდებში გარკვევას და აადილებს მათი გამომხატველი ფორმის შესწავლას. დროთა მსვლელობაში მოპოვებული და დამკვიდრებული ტერმინების აზრი ნათელს ჰფენს საელჩო მეტყველების აღმავალ გზას და ასურათებს მისი ისტორიული განვითარების საფეხურებს. ამასთან, ხშირად ტერმინები მათი შემცველი თხრობის ქვეტექსტის ანუ შეფარებით გამომხატული შინაარსის მაჩვენებელია. ერთი სიტყვით, საელჩო მკვებრმეტყველების კვლევის წარმატება საჭიროებს იმ ტერმინოლოგიის დადგენასა და დაუფლებას, რომელსაც იყენებს დიპლომატიური ხელოვნების ძირითადი საშუალება — სიტყვიერი ფორმა. 1

ამ მოსაზრებით ქვემოთ განხილულია ჩვენი საელჩო მკვებრმეტყველების სპეციალური ტერმინოლოგია, რომლის გამოყენებით თავის დროზე წარმატებით წარმოებდა საგანგებო ორატორული შემოქმედება, ხოლო დღეს სარწმუნოდ ხერხდება ამ პროცესის ისტორიული არსის გარკვევა.

ქართულ დიპლომატიასა და საელჩო მკვებრმეტყველებას თავიანთი თეორიული და პრაქტიკული განვითარების ხანგრძლივ პროცესში ბევრი თვითმყოფადი ტერმინი შეუქმნია და ბევრიც უცხო ენებიდან შეუძენია. ამ მხრივ ჩვენი საელჩო მეტყველება იზიარებს ქართული კლასიკური მკვებრმეტყველების ყველა დარგის ხვედრს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უხვად იყენებენ როგორც ეროვნულ, ისე უცხო ტერმინებს. თვითმყოფადი ტერმინები ხშირად მტკიცე კავშირშია უცხო წარმოშობის ლექსიკურ მასალასთან, მაგრამ სათანადო

გადამუშავების გზით ისინი თავისებურ სახეს ღებულობენ და მშობლიურ ენობრივ განძს განეკუთვნებიან.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს: საელჩო მკვევრმეტყველების უძველესი ტერმინების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად ქრისტიანული ტერმინოლოგია თითქმის მთლიანად ნასესხები იყო რომის იმპერიის დიპლომატიური ენიდან.¹ ეს არა მარტო რომის იმპერიის არსებობისა და ქრისტიანობის წარმოქმნის დამთხვევით აიხსნება, არამედ დიპლომატიური ენის სიმყარითაც, რასაც, ჩანს, შესაფერისი გავლენა მოუხდენია რელიგიური მოძღვრების ენობრივ გაფორმებაზე. საგულისხმოა, რომ ასეთი გავლენის კვალს ვხედავთ ქართულ სინამდვილეშიც. ამას გვიჩვენებს ტერმინი მოციქული, რომელიც ადრინდელი ქრისტიანული სარწმუნოების სპეციალურ მეტყველებაშიც იხმარება და ძველი ქართული საელჩო მკვევრმეტყველების ენობრივ პრაქტიკაშიც. ცხადია, ქართულ ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში ის გადასულა ქართული საელჩო ტერმინოლოგიიდან. შესაძლოა ეს მოხდა რომაული მაგალითის შესაბამისად, მაგრამ სესხების ფაქტი ეროვნული ხასიათისაა და, რაც მთავარია, ერთი უძველესი ქართული ტერმინის დამადასტურებელია. ეს ტერმინი არის მოციქული.

ტერმინი მოციქული გვხვდება უძველეს ქართულ ორიგინალურ მწერლობასა და ბიბლიურ თარგმანებში. ის დამოწმებულია, მაგალითად, „შუშანიკის მარტვილობაში“ (V ს.) და ქართული ოთხთავის ძველ რედაქციებში (IX—X სს.): „რამეთუ მასმიეს მე პავლჳს მოციქულისაგან“; „და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან². „მოავლინეს მოციქული შემდგომად მისა“; „წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა“³. აქ მოციქული იხმარება ორი მნიშვნელობით: როგორც მიგზავნილი, მივლინებული კაცი და როგორც ქრისტეს მოწაფე, მისი მოძღვრების მქადაგებელი, გამავრცელებელი. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა სიტყვის პირველი მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობით ის შემდგომი დი-

¹ История дипломатии, т. I, 83.

² ი. ცურტაველი — მარტულობა შუშანიკისი, III, 28; XIII 1.

³ ქართული ოთხთავი, ლ. 19, 14; 9, 52.

ასპანის-სა (დესპანი) და გვიანდელი ელჩის შესატყვისია. ეს სიტყვები: მოციქული. დიასპანი (დესპანი), ელჩი ქართული საელჩო მკვერმეტყველების სპეციალური ტერმინებია. მათ შორის პირველი თვითმყოფადი წარმოშობისაა, ხოლო მეორე და მესამე უცხო წარმომავლობისაა: დიასპანი სომხურიდან მომდინარეობს, ხოლო ელჩი თურქულიდან. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ფართოდ გავრცელდა და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლის აზრით დღემდე იხმარება ქართულ ენაში. მის შესატყვისად საბა თავის ლექსიკონში მოციქულ-თან ერთად ასახელებს ომირა-ს, რომელსაც დიდი დესპანის მნიშვნელობით განმარტავს, მაგრამ ეს ტერმინი ჩვენში გავრცელებული არ არის. რაც შეეხება დესპან-ს, ის მიღებულია დიასპანი-დან და ხანმოკლედ წარგზავნილი ელჩის მნიშვნელობით დღემდე გვხვდება ქართულში.

ტერმინი დიასპანი ორგან დამოწმებულია XI ს-ის ისტორიკოსის ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“. ჯერ ნათქვამია: „ხოლო ხვალისა დღე მოვიდა რეცა დიასპანი და უქადაგა მეფესა, ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კონსტანტინეპოლედ“.¹ შემდეგ აღნიშნულია: „და წაქსცა იგი დიასპანთა, და მის თანა კბილი მისი, და შეუთულა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ“.²

იქვე ერთმანეთის გვერდით ხსენებულია საელჩო მეტყველების ორი ტერმინი — სიტყუა საიდუმლო და სიტყუა საერო: „ხოლო ვითარცა შეართუეს ძღუენი შოციქულმან კეისრისამან და პეტრე, ჰქონდა სიტყუა საიდუმლო და კუალად ჰქონდა სიტყუა საერო“.³ ამ ტერმინებიდან პირველი ნიშნავს პირისპირ, საიდუმლოდ თქმას ან სათქმელს, ხოლო მეორე — საჯაროდ, ცხადად თქმას ან სათქმელს. საგულისხმოა, რომ კონტექსტში მეტყველების ეს სახეები მოციქულის მოვალეობას უკავშირდება.

იმავე წყაროში დაცულია ჩვენი დიპლომატიის საყურად-

1 ქართლის ცხოვრება, I, 170.

2 იქვე, 197.

3 იქვე, 171.

ლებო ტერმინი წიგნი ზავისა ანუ საზავო ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსით საელჩო მეტყველებასაც ეკუთვნის. ისტორიკოსი წერს: „ხოლო კეისარმან უბრძანა მწიგნობარსა და დაწერა წიგნი ზავისა“¹. იქვე დართულია ხელშეკრულების ტექსტის ნაწილი.

ტერმინი ელჩი პირველად გვხვდება XIV ს-ის ისტორიკოსის ქამთაალმწერლის „მონღოლთა დროინდელ ისტორიაში“, სადაც ნათქვამია: „ხოლო მეფე დავით მთიულეთს დგა, და წარავლინა ძმა თვისი ურწამესი ვახტანგ ელჩად წინაშე დიდისა ბათოს შვილის შვილისა ყაენისა, და უქადა გზა გამოსლუად ყაენის ზედა, და მან კეთილად შეიწყნარა, და უქადა ქუეყანა და საქურკლე მრავალი“².

ზემოდამოწმებული წყაროების მასალით დასტურდება აგრეთვე საელჩო მეტყველების რამდენიმე საგულისხმო ტერმინი. ისინი ამ ხელოვნების სპეციალურ კუთვნილებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მასთან ახლო კავშირში იმყოფებიან და დამსმარე ლექსიკის მოვალეობას ასრულებენ. ამას გვიჩვენებს მათი განუყრელი ურთიერთობა საელჩო მკვერმეტყველების ძირითადი ფონდის სიტყვებთან. ასეთი ტერმინებია: მივლენა, წარვლენა, სიტყვს გამოძიება, სიტყვს გება, სიტყვს მიართუმა.

მივლენა და წარვლენა სინონიმებია. ისინი მივლინების // მიგზავნის, წარვლინების // წარგზავნის აზრითაა გამოყენებული და ხშირად მოციქულ-ს უკავშირდებიან. „მოციქულნი მიუვლინნეს და მოიკითხოს იგი მშუდობით“³; — ვკითხულობთ სახარებაში. იქვე ნათქვამია: „მივალინნე თქუენდა წინასწარმეტყუელნი და ბრძენნი და მწიგნობარნი“⁴.

სიტყვის გამოძიება ბკობის, კამათის აზრით დამოწმებულია შემდეგი სახით: „იწყეს სიტყვს გამოძიებად მისგან. „ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა სიტყუასა მას“⁵.

1 ქართლის ცხოვრება, I, 183.

2 ქართლის ცხოვრება. ტ. II, 302.

3 ქართული ოთხთავი, ლ. 14, 32.

4 იქვე, მ. 23, 34.

5 იქვე, მრ. 8, 11; 12, 28.

ს ი ტ ყ ვ ს გ ე ბ ა , ს ი ტ ყ ვ ს მ ი გ ე ბ ა პასუხის გაცემის მნიშვნელობით გვხვდება შემდეგ კონტექსტებში: „ყოველი, რომელი მეუფედ იტყვნ თვსსა, ს ი ტ ყ უ ა ს უ გ ე ბ ნ კეისარსა“; „და უკვრდა ს ი ტ ყ ვ ს გ ე ბ ა იგი მისი და ღუმენს“; „ვერვინ უძლო მას ს ი ტ ყ ვ ს მ ი გ ე ბ ა დ“.

უფრო საყურადღებოა ს ი ტ ყ ვ ს მ ი რ თ უ მ ა რ ა ც 'ზოგიერთი ნიშნით საელჩო მკვერმეტყველების სპეციალურ ტერმინად ჩანს. ის აღნიშნავს ანგარიშის წარდგენას, რასაც, რა თქმა უნდა, ელჩის მიმგზავნელის წინაშე აწარმოებდნენ. სიმპტომატურია, რომ თვით მიმგზავნელიც მ ო მ ა ვ ლ ი ნ ე ბ ე ლ ის ფორმით ს ი ტ ყ ვ ს მ ი რ თ უ მ ა -სთან ერთად გვხვდება წყაროში: „რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მ ო მ ა ვ ლ ი ხ ე ბ ე ლ თ ა ჩუენთა“.

აკად. ივ. ჭავჭავიძის მიერ, ძველ წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენი სამართლის ერთ-ერთ ტერმინად მიჩნეულია მ ო ც ი ქ უ ლ თ ა შ ე მ თ ხ უ ე ვ ა ნ ი , რაც იმავე წყაროების ჩვენებით ელჩების მიღება-შეხვედრასა და მოლაპარაკების წარმოებას ნიშნავდა³. ამ მნიშვნელობით ის, ცხადია, საელჩო მეტყველებასაც ეკუთვნის, უკეთ, უწინარესად სწორედ მისი ტერმინია, რომლის შინაარსით საყურადღებო ფაქტი ირკვევა. ჩანს, ელჩებთან შეხვედრა დიდმნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა და საგანგებო წესით ხდებოდა. ასეთივე მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო ელჩის შერჩევისა და მიგზავნის აქტიც. ორივე შემთხვევის დასტურს ვპოულობთ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. ელჩთან შეხვედრა აქ ასეა წარმოდგენილი: „აწვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან. მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს. კელნი სრულად დასხდნენ ნატაკსა ზედა და მომგრგვალეებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით. მეფე ნოსთა პირსა მოეგებვის და მოესალმოს: „მოახსენე, ბრძანოსო“. წავიედეს და მარჯვნით გარდადგეს ახლო“.⁴ ელჩის შერჩევა და

1 იქვე, ივ. 19, 12; ლ. 20, 26; მ. 22, 46.

2 იქვე, ივ. 1, 22.

3 ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ქართული სამართლის ისტორია, II, 2, 232—233.

4 განრიგება ქელმწიფის კარისა, გვ. 216—217.

გაგზავნა იქვე ასეა აღწერილი: „საწოლის მწიგნობარი კყონ-დიდლისაყენ დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს თავისი, ამირეჯიბი შუაზედ, ამილახორი ცალკე დგას და ქელთა არგანი აქვს. მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ, მეფის ზურგით მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა. და მერმე ვინც უნდათ მეაბჯრეთ-უხუცესსა, განმგეთ უხუცესსა, საკურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა, და ვინცა ქელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან“¹.

XI ს-ის ანონიმურ თხზულებაში „მატიანე ქართლისაჲ“, რომელიც VIII—XI საუკუნეთა ისტორიას მოგვითხრობს და „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის წრეს განეკუთვნება, ორჯერ ნახსენებია ჩვენთვის მეტად საინტერესო ტერმინი მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი. ჯერ ასე: „და აზნაურთაგან იყო მათ შუა მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი“², შემდეგ უფრო სრულად: „და იყო მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა“³. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება მოპირდაპირე მხარეთა ურთიერთობას⁴. მაშასადამე, იგულისხმება ორთაშუა, ორივე მხრიდან საუბარი. სიტყვა მ ი-დ ა-მ ო ნიშნავს: იქით-აქეთ. ამრიგად, აქ მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი ორ მოპირდაპირე მხარეს შორის გამართულ მოლაპარაკებას აღნიშნავს. ჩვენი აზრით, ეს ტერმინი საელჩო მკვერმეტყველების ცნების გამომხატველია, ის მხარეთა შორის ელჩების მეშვეობით დამყარებულ ურთიერთობას ნიშნავს. ამ ურთიერთობის სახე აქ სიტყვიერია. უკეთ, ზეპირსიტყვიერი, რომლის ფორმა მკვერი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს აქვე აზრის სრულად გამომხატველი სიტყვა: ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა (სხვა ნუსხაში: ქ ე ლ ო ვ ნ ა დ), რაც მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი ს ეპითეტს წარმოადგენს. ამნაირად, მ ი-დ ა-მ ო ს ა უ ბ ა რ ი უძველესი ქართული ტერმინია, რომელიც საელჩო მკვერმეტყველების შინაარსს უნდა გამოხატავდეს.

¹ იქვე, 223 გვ.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, 295 გვ.

³ იქვე, 301; ზოგიერთ ნუსხაში: საუბარი //საურავი, ქელოვნებისა// ქელოვნად.

⁴ ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 35—36.

ამასვე უნდა აღნიშნავდეს XII ს-ის ფილოსოფოსის ილახე პეტრიწის თხზულებაში „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადო-ქოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ დამოწმებული ტერმინები მიღმო-სიტყუაჲ და მიღმო-თქუჲაჲ, ისინი გვხვდებიან შემდეგ კონტექსტებში: „ჩუენ-შორისიმე მიღმო-სიტყუაჲ, რომელსა გულის-შორისად მბჭობლანდ ვიტყვთ...“¹; „რამეთუ ესევე აღმოაჩინეს მიღმო და თქუჲა-თა შორის განგებისათვის ყოველთაჲსა...“². აქ მიღმო სიტყუაჲ-ს შესახებ ნათქვამია, რომ ის „გულის-შორისად მბჭობლანდ“ ითქმის, რაც ამაგრებს ჩვენს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ეს ტერმინი მოპირდაპირე მხარეთა („გულის-შორისად“) მოლაპარაკების („მბჭობლანდ“) აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მოგვიანებით საელჩო მეტყველების მახლობელი მნიშვნელობით გავრცელდა მოციქულ-დან ნაწარმოები ტერმინი მოციქულობა, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება „ვეფხისტაოსანში“:

„მან შითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია“ (421, 3);

„კაცი მოვიდა, მომართვა მეფისა მოციქულობა“ (442, 2);

„შერმადინ მოციქულობა თვით მოახსენა ყოველი“ (681, 2).

აქ ყველგან მოციქულობა მიგზავნილი პირის მოქმედების — სიტყვით შუამავლობის აზრის შემცველია. ამ აზრით სიტყვა მოციქულობა ხშირად გვხვდება გვიანდელ წერილობით ძეგლებსა და ზეპირ სიტყვიერებაში. ოდნავ შეცვლილი აზრობრივი ელფერით, მაგრამ არსებითად ამავე მნიშვნელობით, ის იხმარება დღევანდელ ცოცხალ მეტყველებაში, სადაც მას შედარებით ფართო — საერთოდ შუამავლობის — მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

ქართული კულტურის კლასიკურ პერიოდში ჩვენი ენის კუთვნილებად ქცეულა სპარსულიდან მომდინარე სიტყვა ფარმანი, რომელიც საბას განმარტებით „დასტურის წიგნს“ ნიშნავს. ამ აზრით ის ოთხჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“:

¹ ი. პეტრიწი — შრომები, ტ. II, გვ. 207.

² იქვე, გვ. 210.

„ყმაჲან კჳდრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო.
 რაცა გჳდრო, არ გეწყინოს, არ განრისხდე, არ გასწყერო...“ (65, 2, 3);
 „მაჲა მე მისსა ამბაესა რათგან აღარას მოეელი,
 ელარ ვიქმნები, გამიშევი, ეარ ფარმანისა შთხოველი“ (644,1,2);
 „ეიჲჲ რასამე, აჲ მმართებს მოთხოეა მე ფარმანისა“ (1518,4);
 „მასცა უბოძა ფარმანი „წა, სახლი მოიარეო...“ (1657, 1).

თამარის პირველი ისტორიკოსისა და უამთაალმწერლის თხზულებებში ფარმანი ბრძანების აზრით იხმარება: „ალარ ვეგებით ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი“;¹ „... ფარმანსა ჩემსა ქუეშე იყო ყოველი სპარსეთი...“².

მომდევნო ხანის მწერლობასა და დოკუმენტებში ფარმანი // ფირმანი ისევე „დასტურის წიგნს“ ანუ ერთგვარ რწმუნების სიგელს ნიშნავს და ჩვენი დიპლომატიური ენის ძირითად ფონდს განეკუთვნება. ამ გზით შეკედლებია ის ქართულ საელჩო მკვერამეტყელებას.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ძველი ბერძნული ენიდან მომდინარე ტერმინი დიპლომატი და მისგან ნაწარმოები დიპლომატიკა. სიტყვა დიპლომატი წარმოიქმნა ბერძნული სიტყვიდან *διπλωμα*, რაც ნიშნავს ორად მოკეცილ ფურცელს, რომელიც შეიცავდა განსაზღვრულ ინსტრუქციას და წარმოადგენდა ერთგვარ რწმუნების სიგელს, რომელსაც აძლევდნენ ელჩად მივლინებულ პირს³. ტერმინი დიპლომატი გვიან გაჩნდა პოლიტიკურ ურთიერთობათა ლექსიკაში, მაგრამ ჩქარა გავრცელდა კულტურულ მსოფლიოში და საერთაშორისო სიტყვად იქცა. ჩვენში ის გასული საუკუნის დაძდგიდან იქნა ცნობილი. ბევრად ადრე მას არც დასავლეთში იცნობდნენ: ტერმინი დიპლომატი — პოლიტიკურ მხარეთა შუამავლის აზრით „პირველად 1645 წელს იქნა ხსენებული“ იხგლისში, ტერმინი დიპლომატიკა — პოლიტიკურ მხარეთა მშვიდობიანი ურთიერთობის მეცნიერების მნიშვნელობით — ოდნავ მოგვიანებით ახსენეს იქვე⁴. XVIII ს-ში განშირდა

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30

² იქვე, 173.

³ История дипломатии, т. I, 38; Э. Сатоу — Руководство по дипломатической практике, 12. стр.

⁴ Э. Сатоу, დასახელებული წიგნი, გვ. 12—14.

დიპლომატი-სა და მისგან ნაწარმოები სიტყვების გამოყენება ინგლისსა და საფრანგეთში, ხოლო გასულ საუკუნეში ისინი იქცნენ საყოველთაო კუთვნილებად.

ბერძნულიდან მომდინარეობს აგრეთვე ტერმინი ეპისტოლე, რომელიც თავდაპირველი ეპისტოლე-ს მაგივრად ადრე გავრცელდა ჩვენში და ძველი ქართულის არსებობის მთელ მანძილზე არქაული წიგნი-სა და თანამედროვე წერილი-ს მინიშვნელობით იხმარებოდა. მისგან ვაწარმოებთ ჩვენ დღევანდელ ტერმინს ეპისტოლარულ მეტყველებას, რომელიც კარგად გამოხატავს საელჩო ორატორულ ხელოვნების ერთ-ერთ უანრობლივ სახეს, რასაც ზეპირი მეტყველების გვერდით ვხედავთ ამავე ხელოვნებაში.

სიტყვა ეპისტოლე ჩვენში შემოვიდა ქრისტიანობასთან ერთად — მას უხვად შეიცავდა პირვანდელი საღმრთო წერილები. შემდეგ ის გაჩნდა ბიბლიურ თარგმანებსა და ორიგინალურ მწერლობაში, ხოლო დასასრულ შეიქრა საელჩო მეტყველებაშიც. აქ მან დიდხანს დაიმკვიდრა განსაზღვრული ადგილი.

ბერძნულიდან მომდინარე ტერმინების კვალდაკვალ განვიხილავთ ლათინური წარმოშობის სიტყვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და კათოლიკური სამყაროს დაახლოებას მოჰყვენენ ქართულ დიპლომატიაში.

ეს ტერმინებია: მისიონი — რომის პაპის სამქადაგებლო საქმიანობის კერა უცხოეთში, პროპაგანდა — კათოლიკური მქადაგებლობის ორგანიზაცია, კონგრეგაცია — კათოლიკური ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანო, მისიონერი — უცხოეთში წარგზავნილი მქადაგებელი, ნუნცი — რომის პაპის წარმომადგენელი, ორატორი — რომის პაპის მოციქული.

ამ ტერმინებს ხშირად ვხვდებით XV-XVIII საუკუნეთა პოლიტიკურ დოკუმენტებსა და საბუთებში, განსაკუთრებით კათოლიკე მქადაგებელთა პირად და ოფიციალურ მიწერ-მოწერაში.¹

ამავე პერიოდში ჩვენში გავრცელდა ჯერ თურქულ-ირანუ-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.

ლისა და შემდეგ რუსულის მეშვეობით შემოქრილი აღმოსავლური და დასავლური ტერმინები, რომლებიც უშუალოდ ლათინურიდან შემოსულ ტერმინებთან ერთად იხმარებოდნენ ქართულ საელჩო მეტყველებაში.

ამრიგად, ძველი კულტურის დასასრულისათვის ჩვენი დიპლომატია ფლობდა უაღრესად მდიდარ სპეციალურ ტერმინოლოგიას, რომელიც აზიურ და ევროპულ წყაროებს ეყრდნობოდა, მაგრამ ქართულ გავლენას განიცდიდა და ჩვენებური ელფერიტ გამოიყურებოდა.

აღმოსავლური ტერმინებიდან უნდა დავასახელოთ: ი ე რ ლ ა ყ ი — „შეწყალების უსტარი“ (საბა), წყალობის საბუთი, რ ა ყ ა მ ი — წერილობითი ბრძანება. ორივე სიტყვა ხსენებულია „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, პირველი — ჟამთააღმწერლის „მონღოლთადროინდელ ისტორიაში“ და მეორე — ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ ისტორიაში. ამ წყაროებში ნათქვამია: „და ვითარ პატივ-სცა, და უწერეს ი ე რ ლ ა ყ ი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა“;¹ „და ვითარ განგრძელდა ცილობა, ავავ ამირსპასალარი წარმოავლინეს, და მისცეს ი ე რ ლ ა ყ ი შეწყალებისა“;² „ამას შინა მოუვიდა ყაენისაგან რ ა ყ ა მ ი და ბატონობა შანაყაზს“;³ „და მოსწერეს რ ა ყ მ ე ბ ი და წყალობა და წარმოგზავნეს მალემსრბოლი“.⁴

დასავლური ტერმინებიდან აღსანიშნავია: ტ რ ა ქ ტ ა ტ ი // ტ რ ა ხ ტ ა ტ ი — ხელშეკრულება, ა რ ტ ი კ უ ლ ი — ოფიციალური აქტის მუხლი, ნ ო ტ ა — დიპლომატიური მიმართვა, რ ე ლ ა ც ი ა — წერილობითი უწყება, რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — დიპლომატიური წარმომადგენელი.

ეს ტერმინები ხშირად იხმარება XVIII ს-ის ქართულ დიპლომატიასა და საელჩო მეტყველებაში.⁵

ხსენებული ტერმინების გვერდით XVI—XVIII საუკუნეებში ჩვენში იხმარებოდა თვითმყოფადი ქართული ტერმინები,

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 224.

² იქვე, გვ. 225.

³ იქვე, გვ. 435.

⁴ იქვე, 442.

⁵ А. Цагарели — Грамоты..., II, I.

მაგალითად: წიგნი — წერილი, მუხლი — იურიდიული დოკუმენტის დანაყოფი, აჯა — თხოვნა; თეიმყოფადი რუსული ტერმინები, მაგალითად: უკაზი — განკარგულება, ნაკაზი — დანასაქმი; რუსულიდან ქართულად გადმოღებული ტერმინები, მაგალითად: ფიცის წიგნი — Крестоцеловальная записка, წყალობის სიტყვა — Жалованное слово, სრულძალმქონებელი მინისტრი — Полномочный министр, სრულშემძლებელი დესპანი — полномочный посланник¹.

ასეთია ჩვენი დიპლომატიისა და საელჩო მკვერმეტყველების სპეციალური ტერმინოლოგიის ძირითადი ფონდი, უხვად გამოყენებული ძველი ქართული კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. ამ ფონდის ლექსიკური შემადგენლობა დამოწმებულია უცხო და ქართული წერილობითი წყაროებით. მისი ერთი ნაწილის შორეულ ფესვებს ვამჩნევთ ბალხურ სიტყვიერებაშიც. ეს მდიდარი განძი თავისთავად მტყველებს ჩვენი საელჩო ორატორული ხელოვნების შინაგანი სიღრმისა და გარეგნული სრულყოფილების შესახებ.

¹ А. Цагарели — Грамоты... II, I; ნ. ბერძენიშვილი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან; ი. ცინცაძე — ძიებანი...

საელჩო მკვერმეტყველების ჟანრები

ქართული საელჩო მკვერმეტყველების კვლევა-ძიება საქიროებს იმ შემოქმედებითი ჟანრების გარკვევას, რომლებსაც იყენებს ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობის ხელოვნება თავისი არსებობის მთელ მანძილზე. ასეთი ჟანრები საკმაო სიუზენით და მრავალფეროვანი სახით გვხვდება ქართულ საელჩო მეტყველებაში. ისინი დიდხანს წარმოადგენდნენ ჩვენი მკვერი სიტყვის გამოვლენის ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეს. მათი დადგენა და განსაზღვრა გაგვიადვილებს საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის შესწავლას.

ვიდრე ჩვენში არსებულ ჟანრებს შეეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ დიპლომატიას, მსგავსად ყველა მოწინავე ქვეყნის დიპლომატიისა, გამოხატვის ორი სიტყვიერი სახე გააჩნია: ზეპირი და წერილობითი. ამის შესაბამისად ჩვენში შექმნილა და გავრცელებულა საელჩო მკვერმეტყველების ასეთივე ფორმები, რომელთაგან ერთი ცოცხალ სიტყვაში გამოიხატება და მსმენელს მიემართება, ხოლო მეორე ეპისტოლარულ მეტყველებაში გამოიხატება და მკითხველს მიემართება.

ამრიგად, გამოვლენის ფორმის მიხედვით ჩვენ გაგვაჩნია ორგვარი საელჩო მკვერმეტყველება: ზეპირი და ეპისტოლარული. თითოეულ მათგანს საკუთარი ჟანრობრივი სახეები აქვს.

ზეპირი საელჩო მკვერმეტყველების ჟანრობრივი სახეებია: სიტყვა, საუბარი, კითხვა-პასუხი (ზეპირი), მოხსენება (ზეპირი), აჭა (ზეპირი).

ეპისტოლარული საელჩო მკვერმეტყველების ჟანრობრივი

სახეებია: წერილი //წიგნი// ეპისტოლე, მიწერ-მოწერა, მოხსენებითი ბარათი, მიმართვა //წარდგინება, კითხვა-პასუხი (წერილობითი), აჯა (წერილობითი)// სავედრებელი წერილი.

ს ი ტ ყ ვ ა ზეპირად შედგენილი მომცრო ორატორული ქმნილებაა, რომელიც მსმენელს მიემართება და მიზნად ისახავს უშუალოდ გამოთქმული აზრის გაზიარებას. მაგალითად: ლაზი ელჩის სიტყვა, თქმული სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე.

ს ა უ ბ ა რ ი ორთა შუა გამართული ზეპირი მეტყველებაა, რომელიც მის მონაწილეებს მიემართება და მათთვის საინტერესო საკითხებს შეეხება. მაგალითად: საუბარი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა და პავლე ზახარიევისა.¹

მ ი მ ა რ თ ვ ა წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა წერილობით შედგენილი ორატორული ქმნილებაა, რომელიც ერთ მკითხველს მიემართება და მიზნად ისახავს მასზე ემოციური ზეგავლენის მოხდენას. მაგალითად: სოლომონ ლიონიძის მიმართვა პავლე პირველისადმი, ან გარსევან ჭავჭავაძის წარდგინება ეკატერინე მეორისადმი.

კ ი თ ხ ვ ა - პ ა ს უ ხ ი ორთა შუა გამართული ზეპირი ან წერილობითი მეტყველებაა, რომელიც მის მონაწილეებს მიემართება და მათთვის საინტერესო საკითხს შეეხება. მაგალითად: ზეპირი კითხვა-პასუხი გაბრიელ ელჩისა და ნიკიტა მოძღვრისა,² ან წერილობითი კითხვა-პასუხი სოლომონ ლიონიძისა და პავლე ციციანოვისა.³

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ზეპირად ან წერილობით შედგენილი ვრცელი ორატორული ქმნილებაა, რომელიც საჯაროდ წარმოითქმება ან წაიკითხება და მიზნად ისახავს ნებისმიერი ფორმით გამოთქმული შინაარსის გაზიარებას. მაგალითად: გარსევან ჭავჭავაძის ზეპირი მოხსენება პავლე პირველის მიმართ, ან მისივე წერილობითი მოხსენება ეკატერინე მეორის მიმართ.

ა ჯ ა //ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ი წ ე რ ი ლ ი ზეპირად ან წერილობით შედგენილი ორატორული ქმნილებაა, რომელიც საჯაროდ

¹ С. Белокуров — Материалы..., 373.

² М. Полиевктов — Материалы..., 153.

³ Н. Дубровик — Закавказье..., 534—535.

როდ წარმოითქმება ან წაიკითხება და მიზნად ისახავს ნების-
მიერი ფორმით გამოთქმული თხოვნის გაზიარებას. მაგალი-
თად: ალექსანდრე მეორის ზეპირი აჯა თედორე ივანეს ძისად-
მი¹, ან სოლომონ პირველის წერილობითი აჯა ეკატერინე შეო-
რისადმი.

წერილი //წიგნი// ეპისტოლე წერილობით შედგე-
ნილი ორატორული ქმნილებაა, რომელიც მკითხველს მიემარ-
თება და მიზნად ისახავს ფიქსირებული აზრის გაზიარებას. მა-
გალითად: რუსუდან მეფის წერილი რომის პაპის პონორიუს
მესამის მიმართ.

მიწერ-მოწერა ორთა შუა გამართული წერილობითი
მეტყველებაა, რომელიც მის მონაწილეებს მიემართება და
მათთვის საინტერესო საკითხებს შეეხება. მაგალითად: მიწერ-
მოწერა ვახტანგ მეექვსესა და პეტრე პირველს შორის².

მოხსენებითი ბარათი წერილობით შედგენილი
ვრცელი ორატორული ქმნილებაა, რომელიც მკითხველს მიე-
მართება და მიზნად ისახავს მისთვის საყურადღებო შინაარსის
გაზიარებას. მაგალითად: ბესარიონ გაბაშვილის მოხსენებითი
ბარათი გრ. პოტიომკინის მიმართ.

¹ С. Белокуров — Сношения..., 10.

² М. Броссе — Переписка..., 139—143.

საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის პერიოდები

ქართული საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის პერიოდები თავიანთი ქრონოლოგიური ფარგლებითა და განვითარების ხასიათით თითქმის ემთხვევიან ჩვენი კლასიკური მკვერმეტყველების ისტორიულ პერიოდებს, სწორედ ისევე, როგორც ეს უკანასკნელნი ამავე მაჩვენებლებით მცირედ განიხივეიან ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებისაგან. ეს ვითარება რამდენადმე გვათავისუფლებს საელჩო მკვერმეტყველების პერიოდული მონაკვეთების ცალკე გამოყოფისა და სპეციალური შესწავლისაგან, მაგრამ მათი ნაწილობრივი დაშოკილებლობა საჭიროდ ხდის ნიშანდობლივი მხარეების გარკვევას. ამ მოსაზრებით განიხილება ქვემოთ ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების უმთავრესი პერიოდული განაყოფები.

ქვეყნის სოციალური ფორმაციები და პოლიტიკური წყობილებანი განსაზღვრავენ მმართველი კლასის სახელმწიფო დიპლომატიასა და მის გამომხატველ ოფიციალურ ფორმებს, მათ შორის საელჩო მკვერმეტყველებასაც. ჩამის გამო აქ ქართული საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის პერიოდები დადგენილია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საფეხურებთან კავშირში. ამ თვალსაზრისით ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების ისტორიაში 5 ნათლად გამოყოფილი პერიოდი შეინიშნება: 1. პირვანდელი სახელმწიფო წყობის პერიოდი, რომელიც მოიცავს ძვ. წ. III — ახ. წ. III საუკუნეებს; 2. ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდი, რომელიც მოიცავს IV-X საუკუნეებს; 3. ფეოდალური მონარქიის პერიოდი, რომელიც მოიცავს XI—XIV საუკუნეებს; 4. ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდი, რომელიც მოიცავს XV—XVI საუკუნეებს; 5. გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდი, რომელიც მოიცავს XVII—XVIII საუკუნეებს.

პირვანდელი სახელმწიფო წყობის პერიოდში მკვეთრად ჩამოყალიბდა ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება. ქვეყანა გახდა შედარებით განუყოფელი, ეთნიკურად ერთიანი და მჭიდროდ დასახლებული. მოშენდა მისი ტერიტორია, მომძლავრდა ეკონომიკა, მოწესრიგდა ყოფა-ცხოვრება და შეიქმნა შემოქმედებითი წინსვლის პირობები. ყოველივე ამის სოციალურ მსაზღვრელს მონათმფლობელური ფორმაცია წარმოადგენდა, რომლის უმნიშვნელოვანესი შედეგი პოლიტიკური ცვლილების სახით გამოვლინდა. ეს ცვლილება ქართლის სახელმწიფო წყობის შექმნაში გამოიხატა. ასეთ წყობას, რა თქმა უნდა, მანამდისაც ვხედავთ, მაგრამ არასრული სახით, რაც თემურ-გვაროვნული ფორმაციისათვის მზარდ სიახლეს წარმოადგენდა, სოლო მონათმფლობელობის დროს დასრულებული სახით მოგვევლინა. ეს ითქმის ბევრ მოვლენაზე, მაგრამ განსაკუთრებით, ეპოქისათვის ნიშანდობლივი შემოზრუნების — სახელმწიფო წყობის სრულქმნაზე.

ამის შემდეგ ხსენებული ფაქტი თვითონ გახდა უამრავი ისტორიული მოვლენის, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაფართოების, გამომწვევი, რაც კიდევ შეინიშნება აღნიშნულ პერიოდში. აქვე ვხედავთ ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების თავდაპირველად თვალსაჩინო წინსვლას. ეს წინსვლა გამოიხატა ქართული დიპლომატიის პორიზონტის სიფართოვეში, ენობრივ სიმრავლესა და შინაარსობლივ სიღრმეში. იმდროინდელი ქართლის პოლიტიკური ურთიერთობის არე მოიცავდა რომის, პონტოს, პართიის, სარმატიის, ალბანეთის, სელევკიდების სამეფოსა და სხვ. ქვეყნებს, რომლის წარმომადგენლებს ჩვენი დიპლომატები ქართულ, ბერძნულ, არამეულ, სომხურ, ებრაულ და სხვ. ენებზე ესაუბრებოდნენ და საქვეყნო საქმეებს მშვიდობიანი გზით აგვარებდნენ.

ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდში წარმოიქმნა და გახმტიცდა ახალი სოციალური ფორმაცია — ფეოდალიზმი, რომელმაც შეცვალა მონათმფლობელური წყობილება და აღმავლობის გზით წარმართა ხალხის ეროვნული თვითშეგნება და ქვეყნის პოლიტიკური სიმტკიცე. მსგავსი ცვლილება განიცადა ქართლის კულტურამ, რომლის წინაშე განვითარების ფართო გზები გადაიშალა და შორსმავალი ინტერესები გაჩნდა.

შესაბამისად გაძლიერდა უცხო ეთნიკურ და პოლიტიკურ საშ-
ყაროსაკენ ლტოლვა, გარემომცველ სამეფოებთან ურთიერ-
თობა და მახლობელი თუ შორეული მისვლა-მოსვლა. იმდრო-
ინდელი საქართველოს ყურადღების წრეში აღმოჩნდნენ ბიზან-
ტია, სპარსეთი, არაბეთი და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები.
მათთან მტრული, მშვიდობიანი თუ ამათ შორის გარდამავალი
ვითარების პირობებში ქართველი ხალხი დიპლომატიურ კავ-
შირებს ქმნიდა და თავის სათქმელს მკვერი ზეპირი ან წერი-
ლობითი ფორმით გამოხატავდა. ამ ნათქვამის დიდი ნაწილი,
რა თქმა უნდა, დაკარგულია, განსაკუთრებით ზეპირი სიტყვის
ძეგლები, რაც შეეხება წერილობით ნაწარმოებებს, ისინი უფ-
რო შემორჩენილან და შედარებით უცვლელი სახით მოუტა-
ნიათ ჩვენამდე შორეული მეტყველების ფორმები.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებ-
მაც მძლავრი გასაქანი მისცეს საელჩო მკვერმეტყველებას,
ფეოდალიზმის წარმოქმნა, ქრისტიანობის გავრცელება და პო-
ლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებაა.

ფეოდალური მონარქიის პერიოდში განვითარების უმაღ-
ლეს მწვერვალს აღწევს ჩვენი ცენტრალიზებული სახელმწი-
ფო სისტემა, რომლის კლასიკურ ნიმუშს დავით აღმაშენებ-
ლის, გიორგი მესამისა და თამარ მეფის საქართველო წარმო-
ადგენს. ამ დროს სავსებით მომწიფდა ფეოდალური წესწყო-
ბილების ეკონომიკა, რაც პატრონყმური ურთიერთობის პრო-
ფილზე გადაიზარდა და საბოლოოდ განმტკიცდა ერთმმართვე-
ლური სახელმწიფო პოლიტიკა, რაც არსებითად შეუზღუდვე-
ლი მონარქიზმით დაგვირგვინდა; უაღრესად გაფართოვდა სა-
ერთაშორისო ინტერესების არე და გახშირდა უზენაეს საერო
და სასულიერო ხელისუფალთა დიპლომატიური კავშირები;
საქართველო გახდა ქრისტიანული აღმოსავლეთის მამოძრავე-
ბელი ცენტრი, რომელიც თავისი სუვერენული პოლიტიკის და-
ლითა და საკუთარი ინტერესების მიხედვით წყვეტდა მახლო-
ბელ თუ შორეულ სამეფოებთან საზიარო საკითხებს და დიდ-
ხანს ფართოდ გავლენიანი ჰეგემონის როლს ასრულებდა აზი-
ისა და ევროპის გზაჯვარედინზე.

ამ პერიოდში საქართველოს დიპლომატიის ქსელი ფარავ-
და წინა აზიის, სამხრეთ ევროპის, ჩრდილოეთ კავკასიისა და

აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანას, რომლებთანაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით წარმოებდა ქართველი ხალხის პოლიტიკური ურთიერთობა. ამ ვითარების კვალი მკვეთრად აღბეჭდილია ქართულ ისტორიულ სინამდვილეში. მას უმთავრესად ვპოულობთ წერილობით ფიქსირებული დოკუმენტების სახით. მათ შორის ბევრი საელჩო მეტყველებს მაღალი დონის მაჩვენებელია.

საქართველოს პოლიტიკური ძალმოსილება, ქვეყნის ერთიანობა, მძლავრი ეროვნული ცივილიზაცია და მისგან მომდინარე მოწინავე იდეალები წარმოადგენდნენ ფეოდალური მონარქიის პერიოდის მსაზღვრელებს, რომელთა წარმატების კლასიკურ შედეგს ვხედავთ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდი ემთხვევა არსებული სოციალური ფორმაციის ახალი სახეობის — ბატონყმობის სათავეებს. ამ დროის უმთავრესი მოვლენა, რომელმაც შეაპირობა მთელი ეპოქის კულტურული პროფილი, სახელმწიფოს დანაწილება. ქვეყნის დაშლა, რაც შედეგად მოჰყვა მონღოლთა შემოჭრას და შემდეგ ისლამურ ექსპანსიას, იწვევს ხალხის ფიზიკურ და სულიერ ძალთა დაქვეითებას, თვითმყოფადი შემოქმედების შენელებასა და ეროვნული კულტურის დაცემას. ყოველივე ამის გამომწვევს წარმოადგენდა აგრეთვე ბიზანტიის დამორჩილება ოსმალების მიერ, რომლებმაც 1453 წლის 29 მაისს აიღეს კონსტანტინოპოლი და განათლებულ დასავლეთს ჩამოაშორეს ჩვენი ქვეყანა.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ვითარებაში არ შეწყვეტილა საქართველოს ცხოველი ურთიერთობა უცხოეთის სამეფოებთან, შეიძლება ითქვას, პირიქით, რამდენადმე კიდევ გასშირდა დიპლომატიების მეშვეობით წარმოებული პოლიტიკური ძიებანი, რაც ახალი ორიენტაციის საჭიროებით აიხსნება. ასეთ პირობებში საქართველო კონტაქტს ამყარებს დასავლეთით კათოლიკურ სამეფოებთან და ჩრდილოეთით მართლმადიდებლურ რუსეთთან. როგორც ერთთან, ისე მეორესთან ურთიერთობამ შეგვძინა ქართული დიპლომატიისა და საელჩო მკვეთრმეტყველების მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა.

გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდში განმტკიცდა და ერთგვარი დაკანონებული სახე მიიღო ბატონყმობამ. მისი მძაფრი

სოციალური არსის გავლენა მიწვდა ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეს და განუსჯელი ტრადიციის ძალით გავრცელდა ხალხის ყველა ფენაზე. მუსლიმანური მოძალების შეუწელებელ ზრდას მოჰყვა დაშლილი საქართველოს გამთლიანების მძლავრი ტენდენცია, რაც ჭერ სუსტი კავშირებით აღინიშნა და შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებით დაგვირგვინდა. ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებას სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე ადამიანები, რომლებმაც იკისრეს ქვეყნის მძიმე სამსახური და გონივრული გზით წარმართეს თავიანთი მოქნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამ პოლიტიკისა და მისი შესაბამისი დიპლომატიის წარმოება საქართველოს სამეფო-სამთავროებს უხდებოდა ყველა მიმართულებით. მათ შორის უმთავრესად მუსლიმანური თურქეთ-ირანის, კათოლიკური იტალია-საფრანგეთისა და მართლმადიდებლური რუსეთის მიმართ. ამ სამი ძირითადი საერთაშორისო კვანძიდან უმნიშვნელოვანესი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იყო. ის აღმოჩნდა გამძლე, სიცოცხლისუნარიანი და შედეგის მომტანი.

ეს შედეგი — საქართველოს რუსეთთან შეერთება — ქართული სახელმწიფო დიპლომატიის უდიდესი გამარჯვებაა. ამ გამარჯვების ისტორია, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განუწყვეტელ დიპლომატიურ ურთიერთობასა და გაცხოველებულ პოლიტიკურ საქმიანობას ასახავს, შეიცავს ჩვენი ზეპირი და ეპისტოლარული მეტყველების უამრავ ფაქტს. მათი მეცნიერული განზოგადებით უნდა დასრულდეს ძველი ქართული საელჩო მკვერმეტყველების ისტორიული მიმოხილვა.

თ ა ვ ი მ ა ო რ ა

ადრინდელი მსოფლიო საელჩო მკვერმეტყველების ზოგადი მიმოხილვა

ძველი აღმოსავლეთის საელჩო მკვერმეტყველება

მსოფლიო საელჩო მკვერმეტყველების პირვანდელი ძეგლები ჩვენამდე მოღწეულია ძველი აღმოსავლეთის სამყაროდან. ისინი განეკუთვნებიან მეორე ათასწლეულის შუა ხანებს ჩვენს ერამდე მათი უმრავლესობა შექმნილია ეგვიპტური და ხეთური კულტურის ნიადაგზე. საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთში მოქიშპე წინა აზიის ქვეყნებს ადრინდელი მონათმფლობელობის დროს პირველად წარმოუქმნიათ კაცობრიობის ისტორიაში დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტები — წერილები, მიმართვები, ხელშეკრულებანი და სხვ., რომელთა შემორჩენილ ნაწილს შემოუნახავს მკვერი მეტყველების შორეული კვალი.

ერთი ასეთი ადრეული დოკუმენტი, რომელიც ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებს მიეკუთვნება, ე. წ. ტელ-ამარნის მიმოწერაა. ის წარმოადგენს ეგვიპტის ფარაონების ამენოფის III-ისა და მისი შვილის ამენოფის IV-ის დიპლომატიურ მიწერ-მოწერას ბაბილონის, მითანის, სირიისა და პალესტინის მეფეებთან. ტელ-ამარნის მიმოწერა შესრულებულია ლურსმული დამწერლობით და აღბეჭდილია თიხის ფილებზე. ის სარწმუნოდ ინახავს უძველეს კაზმულ სიტყვიერ ფორმებს — მოკითხვა-მიმართვებს, მილოცვა-მისალმებებს და მრავალნაირ ეპისტოლარულ გამოთქმებს. ეს დოკუმენტი შედგენილია ბაბილონურ ენაზე, რომელიც მაშინ გაბატონებულ დიპლომატიურ ენას წარმოადგენდა. /

აქ შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ხეთურ-ეგვიპტური ურთიერთობის ამსახველი მოგვიანო დიპლომატიური ძეგლი — რამზეს II-ისა და ხატუსილ III-ის 1278 წლის ხელშეკრულება, რომელიც უფრო იურიდიული ხასიათის დოკუმენტია და მკვერმეტყველების თვალსაზრისით ნაკლები მნიშვნელობისაა.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ეგვიპტისა და ხეთის სამეფოების დაცემის შემდეგ, ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში, უმძლავრეს სახელმწიფოს წარმოადგენს ასურეთი, რომელმაც სწორედ ამ დროს დაიმორჩილა ბაბილონი — წინა აზიის მოწინავე კულტურული ცენტრი — და შეითვისა მისი ცივილიზაცია.

სპარსეთის გამოსვლამდე მსოფლიო არენაზე ასურეთის მეფეებმა სარგონმა, სინაქერიბმა და აშურბანიპალმა შექმნეს პოლიტიკური ურთიერთობის ბევრი დოკუმენტი, რომლებიც მათი დიპლომატიური დახელოვნებისა და ორატორული ოსტატობის მაჩვენებელია. განსაკუთრებით საყურადღებოა აშურბანიპალის დროს (668—626 ძვ. წ.) მიღწეული წარმატებანი, რაც მეცნიერებაში ცნობილი გახდა ნინეფიაში სარგონიდების ლურსმული ბიბლიოთეკის აღმოჩენის შემდეგ. აქ მოპოვებული უამრავი მასალა, ორი ათასამდე დოკუმენტი, შეიცავს აშურბანიპალის მიმართებს ბაბილონის, ნიპურის, ელამისა და სხვ. ხალხებისადმი, მეფის რწმუნებულთა საიდუმლო ბარათებს, სხვადასხვა სახის ეპისტოლეებს, ელჩებისადმი გაცემულ ინსტრუქციებს და ა. შ. ერთი ასეთი ელჩისა თუ რწმუნებულის სახელი ბელიბნი დაცულია ნინეფის არქივში, რომელსაც შემოუნახავს აგრეთვე მისი წერილობითი უწყებანი აშურბანიპალის მიმართ.¹

ასურეთის ერთ უმძლავრეს მეტოქეს VIII საუკუნეში წარმოადგენს ურარტუ, რომელიც დიდ წარმატებას აღწევს სარდურ I-ისა (750—733 ძვ. წ.) და მისი მემკვიდრეების მეფობაში. ურარტუს სახელმწიფო მდებარეობდა დღევანდელი საბჭოთა სომხეთისა და ვანის ტბის მიდამოებში. ის წარმოიქმნა IX საუკუნეში, როცა შემოიშტკიცა კავკასიის სამხრეთისა და ძველი ნაირის ტერიტორიები და შემოიკრიბა უამრავი ეთნი-

¹ ლ. უოტერმანი — ასურეთის იმპერიის სამეფო კორესპონდენციები, შიჩიგანი, 1930 (ინგლისურ ენაზე).

კური გაერთიანება. მომდევნო პერიოდში მან შექმნა მძლავრი პოლიტიკური რეჟიმი და მაღალი მონათმფლობელური ცივილიზაცია.

ამ უკანასკნელის უმთავრეს გამომხატველს წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ურარტული ენა თავისი მდიდარი ლურსმული დამწერლობით. ეს დამწერლობა შეიცავს საელჩო ხასიათის მქვევრმეტყველების ძეგლებსაც.

საქმე ის არის, რომ IX ს-ის დასასრულიდან ურარტუს სახელმწიფო ჩაება დიდ ომებში ჩრდილოეთით, სადაც მას ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა მოუხდა ამიერკავკასიის სამხრეთით დასახლებულ ტომებთან, მათ შორის ქართველთა შორეულ წინაპრებთან. არგიშთი I-ისა და სარდურ II-ის მეფობაში, VIII საუკუნეში, ურარტუ აღწევს საგრძნობ სამხედრო წარმატებას. რასაც მოჰყვა მისი სამეურნეო და კულტურული აყვავება. ამასობაში საქართველოს სამხრეთ დასავლეთით წარმოიშვა ქართველთა უძველესი ტომების მსხვილი გაერთიანება კულხა//კოლხა, რომელმაც ღირსეული მეტოქეობა გაუწია ურარტუს სახელმწიფოს. მათ შორის არსებული წინააღმდეგობა მიმართულებას უცვლის ურარტუს წინსვლას — ამიერიდან მისი გაფართოება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლებს.

ურარტუს წარმატება გრძელდება შემდეგ ხანებშიც. როცა მოსაზღვრე ტომების დამორჩილებით ერთ ხანს მან შეინარჩუნა წინანდელი გავლენა, რასაც VIII ს-ის შუა წლებიდან წინ გადაეღობა ტიგლათპალასარ III-ის დროს გაძლიერებული ასურეთი. მათ შორის გაჩაღებული ომები დამთავრდა ურარტუს დამარცხებით. გადამწყვეტ ომს ადგილი ჰქონდა 714 წელს უაუშის მთაზე, ურმიის ტბის აღმოსავლეთით.

ამის შემდეგ ხანგრძლივი დაქვეითების გზას დაადგა ურარტუს სახელმწიფო, რომელსაც VII ს-ის მეორე ნახევარში ახალი მტერი გაუჩნდა მიდიის მეთაურობით შექმნილი კოალიციის სახით, რომელმაც VI ს-ის დასაწყისში ბოლო მოუღო მის არსებობას!

¹ Г. Меликишвили — Урартские клинообразные надписи, 20—21.

ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ ურარტუს სახელმწიფოს ასლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველთა უძველეს ტომებთან. ამ ურთიერთობის შედეგი კულტურული გავლენის სახით აღიბეჭდა შორეულ ქართულ სინამდვილეში. ეს გავლენა უმთავრესად შენიშნულია სულიერი შემოქმედების დარგში, მაგალითად. ენის სფეროში¹. აქედან კი გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ურარტუს დიპლომატიის ენათვის დროზე საგრძნობ გავლენას მოახდენდა უძველეს ქართულ საელჩო მკვევრმეტყველებაზე, რომლის ნიმუშებს, სამწუხაროდ. ჩვენამდე არ მოუღწევია

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან მსოფლიო ისტორიის არენაზე გამოდის ანტიკური აღმოსავლეთის უმძლავრესი პოლიტიკური გაერთიანება — სპარსეთი. აქემენიდების ეპოქაში (553—330 წწ.) ის თავისი გავლენის სფეროში აქცევს მთელ კლასიკურ სამყაროს და ყველა მიმართულებით ავრცელებს შეუზღუდველ სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას. ასეთი წარმატებისათვის აუცილებელი იყო რთული დიპლომატიური ურთიერთობანი, რასაც დიდი ხელოვნებით აწარმოებდნენ ძველი სპარსეთის უზენაესი მმართველები. მათ შორის უნდა დავასახელოთ კიროს მეფე (VI ს.), რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე მკვევრი სიტყვით მიმართა ბაბილონის ქურუმებსა და მოსახლეობას. ეს სიტყვა დღემდე ინარჩუნებს ორატორული გზნების ნიშნებს და ემოციური გავლენის ძალას².

ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ინდური მანუს კანონები. ის ჩვენამდე მოღწეულია გვიანდელი გალექსილი რედაქციით, რომელიც შესრულებულია კლასიკური სანსკრიტით და ახ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება. ამ კანონების შექმნას ლეგენდარულ მანუს ეპოქას მიაწერენ. სინამდვილეში ის შექმნილია საუკუნეთა მანძილზე ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ათასწლეულში.

საქმე ისაა, რომ თუმცა მანუს კანონები ძველი ინდოეთის საკოდიფიკაციო ძეგლია, მაგრამ მისი შინაარსი მოიცავს პო-

¹ გ. მელიქიშვილი — საქართველოში... სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 98—100.

² История дипломатии, т. I, 32—33.

ლიტვიკის, ფილოსოფიის, რელიგიისა და ზნეობის საკითხებ-საც. მათ შორის ჩვენთვის საყურადღებოა პოლიტიკისა და ფილოსოფიის სფეროები. აქ დახატულია ბრძენი მმართველის სახე და მასთან დაკავშირებით ლაპარაკია დიპლომატიის ღირსეულ მხარეებზე. ამ მხარეთა შორის მანუს კანონებში მოხსენებულია მკვევრად მეტყველების უნარი¹.

ანტიკური ბერძნული საელჩო მკვევრმეტყველება

ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ათასწლეულში მსოფ-ლიო ისტორიის ასპარეზზე გამოდის და კულტურული განვი-თარების უმაგალითო მწვერვალს აღწევს მონათმფლობელური საბერძნეთი. თავისი წინსვლის ხანგრძლივ მანძილზე და წარმა-ტების კლასიკურ პერიოდში, VIII—IV საუკუნეებში, ის ქმნის საკაცობრიო მნიშვნელობის ცივილიზაციას, რომლის ფარგ-ლები მოიცავს ადამიანის მატერიალური და სულიერი შემოქ-მედების უამრავ დარგს. მათ შორის ჯეროვან სიმაღლეზე დგას ბერძნული დიპლომატია და საელჩო მკვევრმეტყველება. ისინი წარმოადგენენ ძველი საბერძნეთის ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც წარმოიქმნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლი-ტიკის წიაღში და დიდხანს მარჯვედ ემსახურებოდნენ ბერძნუ-ლი წარმოშობის „ქალაქ-სახელმწიფოებს“ — ათენს, სპარტასა და კორინთს.

კლასიკური საბერძნეთის საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას ელჩობა წარმოადგენს. პირ-ველად მსოფლიო ისტორიაში ელჩობა საბერძნეთში აღწევს თავის სრულყოფილ განვითარებას. „ქალაქ-სახელმწი-ფოთა“ ურთიერთობის მოწესრიგება აქ უმთავრესად ელჩების მეშვეობით ხდებოდა. ჯერ კიდევ პომპროსის დროიდან დას-ტურდება ელჩების არსებობა ბერძნულ სამყაროში. უფრო მოგვიანებით ისინი ელინური პოლიტიკური ცხოვრების უახ-ლოეს მონაწილეებად გვევლინებიან. ასეთი ვითარება VIII საუკუნიდან შეინიშნება, — იგრძნობა შემდეგ ხანებშიც და — მკვევრად ჩანს V—IV საუკუნეებში. პერიკლეს ეპოქაში —

¹ Законы Ману, т. VII, 64.

ბერძნული დიპლომატიის უმაღლეს საფეხურზე — ელჩი დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო მოღვაწედ ითვლებოდა. ის დაჯილდოებული უნდა ყოფილიყო მრავალმხრივი ნიჭით, მათ შორის მკვეერი მეტყველებით. ამ მხრივ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ზოგჯერ ელჩად მსახიობი ან დეკლამატორი ინიშნებოდა. ასე მაგალითად, IV ს-ის შუა წლებში გამოჩენილი მსახიობი ესქინე ასრულებდა ათენის ელჩის მოვალეობას მაკედონიის სამეფო კარზე.

კლასიკურ საბერძნეთში ელჩებს ეძლეოდათ წერილობითი ინსტრუქცია $\delta \pi \lambda \alpha \mu \chi$ — ორად მოკეცილი ფურცელი — საიდანაც წარმოდგება ტერმინები დიპლომატი, დიპლომატი¹. დიპლომატიური დასაქმების ინსტრუქცია ჩვეულებრივად სახელმწიფოს მეთაურს უნდა გაეცა. ამრიგად, ბერძნულ დიპლომატიას უზენაესი სახელმწიფო პირები და მათი ელჩები აწარმოებდნენ. ისტორიაში ცნობილია ბევრი მათგანის საგანგებო დამსახურება განათლებული კაცობრიობის წინაშე. ასეთი დიპლომატებია: პიზისტრატე (დაახლ. 646—528), არისტიდე (დაახლ. 540—467), თემისტოკლე (დაახლ. 525—460), კიმონი (დაახლ. 507—449), პერიკლე (დაახლ. 490—429) და სვ. მათ შორის განსაკუთრებული ღვაწლი მსოფლიო დიპლომატიის ასპარეზზე პერიკლეს მიუძღვის. მისი მეთაურობით წარმოებდა ათენის ოსტატური დიპლომატია პელოპონესის ომის დროს (431—404). ამ ომს ჯერ წინ უსწრებდა და შემდეგ შედეგად მოჰყვა ათენისა და სპარტის წარმომადგენელთა გააფთრებული დიპლომატიური ბრძოლა, რომლის დაუჯაბნელ გმირს პერიკლე წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა თვით ომის დროსაც. ამას გვიჩვენებს, მაგალითად, ნიკეას დაზავება (421), რომლის ტექსტი, მოღწეული თუკიდიდეს რედაქციით, ანტიკური საბერძნეთის დიპლომატიური დოკუმენტაციის უმაღლესი მიღწევაა.

ბერძნული საელჩო მკვერმეტყველების შემდგომი ნაბიჯი გადაიდგა IV საუკუნეში, როცა ეგეოსის ბასეინში თავი იჩი-

¹ История дипломатии, т. I, 38; Э. С а т о у — Руководство по дипломатической практике, 12.

ნა გაერთიანების ტენდენციამ, რასაც მაკედონიის მეფე ფილიპე II (359—336) მეთაურობდა. ეს უკანასკნელი იარაღისა და სიტყვის მეშვეობით ცდილობდა ბერძნული სფეროების დამორჩილებას და, უწინარეს ყოვლისა, ათენის წინააღმდეგ მიმართავდა თავის პრისხანე ძალებს. მათ შორის, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ის წარმატებით იყენებდა დიპლომატიას. მაკედონიის მეფის დიპლომატიურ ცდებს წინ აღუდგა ათენის მოწინავე პოლიტიკური მსოფლმხედველობის ბრწყინვალე გამომხატველი ორატორი დემოსთენე (384—322), რომლის სანუკვარ სურვილსაც საბერძნეთის გაერთიანება შეადგენდა, მაგრამ არა მაკედონიის ჰეგემონიით, არამედ თავისუფალი შეკავშირებით. დემოსთენე თავისი დროის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და მკვერმეტყველია, რომლის ორატორულმა ხელოვნებამ გავლენა მოახდინა შემდეგი დროის ყველა კულტურული ქვეყნის ცოცხალი სიტყვის განვითარებაზე და დაუფასებელი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მოიპოვა. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ე. წ. „მესამე ფილიპიკა“, რომლის პატრიოტული შინაარსი და მგზნებარე ორატორული პათოსი მიმართულია ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ და თავისი ოსტატური სრულყოფილებით მსოფლიო საელჩო მკვერმეტყველების მშვენიერებას წარმოადგენს.

338 წელს ქერონეას ბრძოლით დასრულდა საბერძნეთისა და მაკედონიის ხანგრძლივი მეტოქეობა უკანასკნელის გამარჯვებით, რასაც მოჰყვა საკაცობრიო კულტურის უბადლო შემოქმედის — ანტიკური საბერძნეთის გადანაცვლება მსოფლიო ისტორიის ახალ სარბიელზე. ამით სათავე დაედო ელინისტურ მოძრაობას, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნემდე ფლობდა ევროპის, აზიისა და აფრიკის მოწინავე ქვეყნების ისტორიულ გზებს. ამ გზებით მოეფინა მთელ მსოფლიოს ძველი ბერძნული ცივილიზაცია, რომლის ახალ საფეხურს ეწოდა ელინიზმი. ელინისტური მოძრაობის უდიდესი წარმომადგებელი იყო ალექსანდრე მაკედონელი (356—323). მისი ხანმოკლე, მაგრამ მოვლენებით უმდიდრესი ცხოვრება, როგორც ცნობილია, აღსავსე იყო ბრწყინვალე სამხედრო და დიპლომატიური მიღწევებით, რომელთა უცილობელ პირობებს, რა

თქმა უნდა, გენიალური მხედართმთავრის ორატორული ნიჭიც განეკუთვნოდა.

დიდი დამპყრობლის სიკვდილის შემდეგ მისი უზარმაზარი საბრძანებლიდან, ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლების შედეგად, სამი მსხვილი ელინისტური სამეფო ჩამოყალიბდა: პტოლემეაოსების — ეგვიპტეში, სელევკიდების — აზიაში და ანტიგონიდების — ევროპაში.

ამ სამეფოების წარმოქმნისა და არსებობის პერიოდში, ვიდრე მათ ბოლოს მოუღებს მეორე დიდი ანტიკური გაერთიანება — რომის სახელმწიფო, შედარებით სიღარიბე შეინიშნება მსოფლიო საელჩო მკვევრმეტყველების საისტორიო წყაროების.

სწორედ ამ მოვლენების მახლობელ ხანას ეკუთვნის გვიანდელი წერილობითი ცნობით დამოწმებული პოლიტიკური ურთიერთობა ქართლისა და სელევკიდების სამეფოებს შორის, რაც ჩვენი დიპლომატიის ისტორიის ყველაზე ადრინდელი მნიშვნელოვანი ფაქტია დღემდე მოღწეულ სამეცნიერო მასალებში. ეს ფაქტი, რასაც სარწმუნო სახით გვიჩვენებს ქართული საისტორიო წყარო¹, ქვემოთ დაწვრილებით განიხილება.

ანტიკური რომაული საელჩო მკვევრმეტყველება

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან ანტიკური სამყაროს არენაზე გამოდის და ჩქარა საგრძნობ წარმატებას მოიპოვებს რომის სახელმწიფო. III საუკუნიდან ის ფლობს იმპერიის მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ ძალებს და უდიდეს რესპუბლიკურ ქვეყნად გვევლინება. განსაკუთრებით ძლევამოსილებას რომი აღწევს II ს-ის შუა წლებში, როცა მესამე პუნიკური ომის (149—146) შედეგად დანგრეული იქნა მისი უმძლავრესი მეტოქე — კართაგენი. უკვე მეორე პუნიკური ომის დროს (218—201), როცა ფართოდ გავრცელდა რომის საერთაშორისო ურთიერთობანი, აღინიშნა ძველი რომაული დიპლომატიის სწრაფი აღმავლობა და მისი ბასრი იარაღის — საელჩო მკვევრმეტყველების შესამჩნევი განვითარება.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 23.

საგულისხმოა, რომ ელჩის ერთ-ერთი ლათინური სახელწოდებაა oratores — ორატორი. ეს, ცხადია, იმას მოასწავებს, რომ ძველი რომაელის ცნობიერებაში განუყოფელი იყო ელჩის მოვალეობა და მკვევრმეტყველების უნარი. ამასთან, ელჩის თანამდებობა დიდად ღირსეულ და გამორჩეულ პატივს წარმოადგენდა ძველ რომაელთა შეხედულებით. ისინი ელჩებს ირჩევდნენ საგანგებოდ — სენატის დადგენილებით და ავალბდნენ. მათ უპირველესი მნიშვნელობის საგარეო საქმეებს¹.

ასეთი ვითარება რომში შეიქმნა კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლების პერიოდში, როცა რომაელებს საქმე ჰქონდათ ისეთ გამოჩენილ სარდალ-დიპლომატთან, როგორიც იყო ჰანიბალი (III—II სს.).

რესპუბლიკური რომის სახელოვანი ელჩები იყვნენ პოპილიუსი, ავრელიუსი ორესტი, გნეუსი პაპირიუსი და სხვ., რომელთა საელჩო მკვევრმეტყველების შემორჩენილი ფრაგმენტები მათი ორატორული დახელოვნების მაჩვენებელია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი რომაელი სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწის იულიუს კეისრის (100—44 ძვ. წ.) დიპლომატიური ღვაწლი რომის იმპერიის წარმოქმნის პერიოდში. ამ დროისათვის დასრულდა ხმელთაშუაზღვისპირეთის გაერთიანება ძღვევამოსილი რომის ხელქვეით და წამოწყებული იქნა ახალი შეტევები აღმოსავლეთით მცირე აზიისა და სირიის მიმართ, ხოლო ჩრდილოეთით გალიის, გერმანიისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა დამორჩილების საქმეში, რაც ბრწყინვალედ შეასრულა იულიუსმა, დიდი როლი ითამაშა სარდლის მარჯვე დიპლომატიამ, რომლის უმთავრეს საშუალებას სხარტი, მკვევრი და ტევადი მეტყველება წარმოადგენდა. ცნობილია, რომ კეისრის ოსტატური პოლიტიკის არსი მოპირდაპირე ძალთა გათიშვას და მომხრეთა შემკიდროებაში გამოიხატებოდა. ამ გზით მიალწია მან ჩინებულ შედეგს გალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს (52 წ.), როცა მტერს სძლია როგორც მრისხანე სამხედრო იარაღის, ისე მოქნილი დიპლომატიური სიტყვების მეშვეობით.

იულიუს კეისრის პოლიტიკური მემკვიდრე აღმოჩნდა ოქტავიანე ავგუსტე (63 ძვ. წ. — 14 ახ. წ.) — რომის პირველი

¹ Cicero, Pro Sextio, XIV, 33; M. T. Цицерон—Речи, т. II, 133.

იმპერატორი, რომლის შემდეგ, თითქმის 500 წლით, რომში დამკვიდრდა იმპერიის ეპოქა.

კართაგენისა და ელინისტური ქვეყნების დამარცხების შემდეგ, როცა ევროპისა და აზიის ვრცელ მიწა-წყალზე შეიქმნა რომის მძლავრი იმპერია, თუმცა გაფართოვდა დიპლომატიური ურთიერთობანი და გახშირდა ელჩების გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ შეიზღუდა დიპლომატიის თავისუფლება და დაქვეითების გზას დაადგა საელჩო მკვერმეტყველება. ასეთი მდგომარეობა შეიცვალა მოგვიანებით, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, როცა აღმოსავლეთ რომში ძველი ბერძნულ-რომაული კულტურისა და ახალი რელიგიური მოძღვრების — ქრისტიანობის შეთავსებით წარმოიშვა ბიზანტიური ცივილიზაცია, რომელიც ათასი წლის მანძილზე ფლობდა კაცობრიობის წამყვან პოზიციებს და თავისი გავლენით ანვითარებდა მსოფლიო დიპლომატიასა და საელჩო მკვერმეტყველებას.

ასეთია მსოფლიო საელჩო მკვერმეტყველების ანტიკური ნაკადი, რომელიც ძველი აღმოსავლეთისა და ბერძნულ-რომაული ქვეყნებიდან მომდინარეობს და თავისი განვითარების მაღალ დონეს აღწევს ქართული საელჩო ორატორული ნელოვნების წარმოქმნამდე. ამ მონაპოვარს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული დიპლომატიური აზროვნებისა და მისი გამომხატველი საშუალების — საელჩო მეტყველების წარმოშობისათვის, რასაც, ჩვენი დაკვირვებით, ერთგვარი ბიძგი მისცა და უშუალო წინამორბედად მოევლინა პონტოს სამეფოს კულტურა, კერძოდ მისი დიპლომატია.

პონტოს სამეფო შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ქართველური ტომების მიწა-წყალზე შავი ზღვის სამხრეთ ნაპირას. ის ძირითადად დასახლებული იყო ქართველი მოდგმის ხალხით¹. პონტოს სახელმწიფოს ძლიერების ხანა ემთხვევა მითრიდატე პონტოელის მეფობას (111—63 ძვ. წ.). ამ უკანასკნელმა 40 წლის მანძილზე სამკედრო-სასიცოცხლო ომები აწარმოა რომის წინააღმდეგ. ეს ომები — დამთავრდა რომის გამარჯვებით. მაგრამ, მასთან, შესამჩნევი გაბზარვით, რასაც მოჰყვა იმპერიის შეუჩერებელი დაქვეითება.

¹ გ. გოზალიშვილი — მითრიდატე პონტოელი, გვ. 308.

პონტოსა და რომის ურთიერთობა აღინიშნა ბევრი საყურადღებო დიპლომატიური ცდით, რომელთა შორის საელჩო მეტყველების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია პელოპიდასის ელჩობა, რომლის აღწერილობა დაგვიტოვა ახალი წელთაღრიცხვის II ს-ის ბერძენმა ისტორიკოსმა აპიანემ. მანვე შემოგვინახა ელჩის სიტყვის ტექსტი.

პელოპიდასის ელჩობის მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ძალთა გათიშვა, კერძოდ, კაპადოკია-ბითინიის ჩამოშორება რომისაგან, ამ უკანასკნელის გამოყვანა აგრესორის როლში და *cosus belli*-ს მოპოვება¹. ამ მიზნით მითრიდატემ თავისი ელჩი პელოპიდასი ორჯერ მიუგზავნა რომის სარდლებს და მახლობელი წარსულის, არსებული აწმყოსა და მოსალოდნელი მომავლის ვითარება დაუსურათა მათ.

ეს მნიშვნელოვანი საქმე მეორე ელჩობისას მკვეერი სიტყვით დაავიკრვინა პელოპიდასმა. მას უთქვამს:

„რომაელებო, თქვენ მოისმინეთ, თუ რა უსამართლობა გადაიტანა მეფე მითრიდატემ თქვენგან: ჯერ ერთი — ეხლახან ფრიგია და კაპადოკია რომ წაართვით, მეორეს მხრივ — ხედავდით და ყურადღება არ მიაქციეთ. როდესაც ნიკომედესი მას ასეთ ზიანს აყენებდა. როდესაც (თქვენ) ჩვენთან მეგობრობა და მოკავშირეობა შეგახსენეს, თქვენ (ისე) უპასუხეთ, თითქოს ისინი ბრალმდებელნი კი არა, არამედ ბრალდებულნი იყვნენ, და არ მიგაჩნდათ რომაელთა საქმეებისათვის სასარგებლოდ თუ დაზარალებულად ნიკომედესი. თითქოს ის თვითონ არ იქცეოდა უსამართლოდ. თქვენ უნდა აგოთ პასუხი რომაელთა მთავრობის წინაშე კაპადოკიაში მომხდარი ამბების გამო. რადგან ხომ თქვენ გამო მოიქცა მითრიდატე ამგვარად. რადგან თქვენ ასე არაფრად გვაგდებდით და ეშმაკობდით ჩვენთან პასუხებში. ის გაგზავნის დესპანებს თქვენს საწინააღმდეგოდ თქვენსავე სენატში, სადაც თქვენ უნდა გამოცხადდეთ და (იქ) მოგთხოვთ იმას, რომ თავი დაიკავოთ და არ უნდა იჩქაროთ და არც უნდა წამოიწყოთ რომაელთა მთავრობის გარეშე ასე დიდი ომი. ის უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ მითრიდატე მეფობს მამეულ სახელმწიფოში, რომელიც სიგრძით 20.000 სტადიონია. ამას გარდა, მან თვით კიდევ ბევრი მეზო-

¹ იქვე, გვ. 303.

ბელი ქვეყანა შეიმატა. (მათ შორის) კოლხები, რომლებიც კარგი მეომარი ხალხია, ელინთაგან ისინი, რომლებიც პონტოს ნაპირზე ცხოვრობენ, ხოლო ბარბაროსთაგან, ვინც ამათ ზემოთ არიან. ყველაფრის მიმართ, რასაც კი ის ბრძანებს, მზად არიან (მისი) მეგობრები: სკვითები, ტავრები, ბასტარნები, თრაკიელები, სარმატები და ყველანი, ვინც ტანაისის, ისტროსის და თუნდაც მეოტისის ტბის ირგვლივ (ცხოვრობენ). ტიგრანე არმენიელი მისი სიძეა, ხოლო არსაკე პართელი — მეგობარი. ხომალდები მას ბევრი აქვს, ზოგი უკვე მზადაა და ზოგი ჯერ კიდევ კეთდება; (ასევე) შექუჩვილობა, ყოველმხრივ მნიშვნელოვანი მოეპოვება.

არ მოვუტყუებივართ ჩვენ ახლახან ბითინიელებს. ეგვიპტისა და სირიის მეფეთა შესახებ. სრულიად ბუნებრივია, რომ არა მარტო ესენი შემოგვიერთდებიან ჩვენ, თუ ომი დაიწყო, არამედ ახლახან თქვენგან შეძენილი აზია, ელადა, ლიბია და თვით იტალიის დიდი ნაწილიც, რომელიც ვერ იტანს თქვენს სიხარბეს და გაგიჩაღათ თქვენ შეურიგებელი ომი. ჯერ ვერ მოგიხერხებიათ ამის მოწესრიგება და ისე იწყებთ (ომს) მითრიდატესთან, რომლის წინააღმდეგაც რიგ-რიგობით აგზავნით ნიკომედესსა და არიობარზანესს. თქვენ ამბობთ, რომ მეგობრები ხართ და მოკავშირეები, თავს ასე აჩვენებთ, ხოლო ისე ექცევით, როგორც მტერს. ახლა თუ რაიმემ გაიძულათ თქვენ მომხდარი ამბების მიმართ აზრი შეგეცვალათ, ან ნიკომედესს შეუშაღეთ ხელი, თქვენი მეგობრების მიმართ უსამართლოდ რომ იქცევა (თუ ამას გააკეთებთ, პირობას გაძლევთ, იტალიელთა წინააღმდეგ მეფე მითრიდატე მოკავშირეობას გაგიწევთ), ან ჩვენთან მოჩვენებით მეგობრობას შეეშვით, თუ არა და რომში წავიდეთ განსასჯელად¹.

ეს საელჩო ხასიათის სიტყვა, რომლითაც პელოპიდასი დიპლომატიურ ომს აჩაღებს რომის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე, ძველი ქართული ეთნიკური სამყაროდან მომდინარეობს, მისი შემოქმედების წრეს განეკუთვნება და ჩვენი საელჩო მეტყველების ერთი პირდაპირი წინამორბედი.

¹ აპიანე — მითრიდატეს უმბების ისტორია, გვ. 58—60.

თ ა ვ ი მ ა ს ა მ ა

ქართული საელჩო მკვევრმეტყველების ზოგადი მიმოხილვა

პირვანდელი სახელმწიფო წყობის პერიოდის საელჩო მკვევრმეტყველება

ქართული საელჩო მკვევრმეტყველების ისტორიული საწყისები შორეულ წარსულს განეკუთვნება. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი ათასწლეულის შუა ხანებში, როცა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შეიქმნა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება — კოლხეთის სამეფო¹, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის პირობებში უნდა ჩასახულიყო ჩვენი ანტიკური დიპლომატია და მისი გამომხატველი ენობრივი ფორმა — საელჩო მკვევრმეტყველება. მომდევნო პერიოდში, ორი-სამი საუკუნის მანძილზე, ვიდრე ქართლის (იბერიის) სამეფო შეიქმნებოდა, აქემენიდების სპარსეთთან (VI—IV სს.) შეხლა-შემოხლის ვითარებაში კოლხეთი, რა თქმა უნდა, ბევრ მნიშვნელოვან იურიდიულ ძეგლს შექმნიდა, რომელთა პოლიტიკური არსი მკვევრი სიტყვით იქნებოდა გამოხატული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ასეთი სიღარიბე გრძელდება ძვ. წ. I საუკუნემდე და მეტ-ნაკლებად თავს იჩენს შემდეგ ხანებშიც, მაგრამ ამავე წელთაღრიცხვის III საუკუნიდან თითქმის უწყვეტი თანმიმდევრობით დასტურდება ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობანი, რაც ქართული საელჩო მეტყველების არსებობის მაუწყებელია. მისი ისტორიული არსებობა, ცხადია,

¹ Г. Меликишвили — К истории древней Грузии, стр. 236.

ხშირად თვით უშუალო მონაცემებით — ორატორული ძეგლებითაა დამოწმებული.

ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა მეორე დიდი ქართული პოლიტიკური გაერთიანება — ქართლის (იბერიის) სამეფო. ის შედარებით თავისუფალი და სუვერენული სამეფოა, რომელიც ადრეული სახელმწიფო წყობის პირობებში ახ. წ. III საუკუნემდე ქმნის თვალსაჩინო მონათმფლობელურ ცივილიზაციას. ამ ცივილიზაციისა და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ქ. მცხეთა მეთაურობდა მთელ იმჟამინდელ ქართულ კულტურას, რომლის ერთ ნაკადს ეროვნული დიპლომატია წარმოადგენდა. ამ ნაკადის წინსვლის გზა, რაც ისტორიული პროცესის სახით ჩანს შემონახულ წყაროებში, ნაჩვენებია ქვემოთ.

ქართლის სამეფოს ძლიერების დროს, ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში, ფარნავაზ მეფეს მოლაპარაკება გაუმართავს სელევკიდების სამეფოსთან, სადაც იმ დროს სამეფოს დამაარსებლის სელევკის ძე ანტიოქოს I (280—260) მეფობდა და საერთო მტრის წინააღმდეგ შეწყენა უთხოვია. ანტიოქოსს უცნია ფარნავაზის სამეფო, დახმარება გაუწყევია მეფისათვის და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია.¹

ამ ცნობას ვაპოულობთ XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, სადაც ასახულია საქართველოს უძველესი წარსული დასაბამიდან V საუკუნემდე. ისტორიკოსი წერს: „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძლუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწყენა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძლუენი მისი, და უწოდა შვილად თვსად, და წარმოსცა გვრგვნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა. რათა შეეწეოდინ ფარნავაზს.“²

ამ აღწერილი ელჩობის წარმატება, რაც მკვეთრად ჩანს ავტორის ნათქვამიდან, მარჯვე დიპლომატიასთან ერთად მკვეთრი სიტყვის შედეგიც იქნებოდა, მაგრამ უკანასკნელს არ შეი-

¹ გ. მელიქიშვილი — საქართველოში... სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 141—142.

² ქართლის ცხოვრება, გვ. I, 23.

ცავს მოღწეული ცნობა. ისტორიკოსისათვის, ცხადია, მიღწეული მიზნის ფაქტს მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მისი შესრულების საშუალებას. ამით აიხსნება ხშირად, და ამ შემთხვევაშიც, დიპლომატიური საქმის გვერდით საელჩო სიტყვის უქონლობა პირველწყაროებში. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, ყოველგვარი სიტყვა, განსაკუთრებით ზეპირი, ადრე თუ გვიან დავიწყებას ეძლეოდა და საისტორიო ფაქტების ფონდს აკლდებოდა. მიუხედავად ამისა, საელჩო მეტყველების ისტორიული კვალი დიპლომატიასთან ერთად ყველგან და ყოველთვის შეინიშნება, რაც ნებას გვაძლევს ის ვივარაუდოთ იქაც, სადაც ფაქტით არ დასტურდება.

ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც ჩვენში მოციქულების მიმოგზავნისა და ზეპირი ურთიერთობის პრაქტიკას გვიდასტურებს ძველი წელთაღრიცხვის მიწურულისათვის, ეკუთვნის ბერძენ ისტორიკოსს დიონ კასიოსს. ის მოგვითხრობს, რომ იბერიის მეფემ არტოკემ (არტაგმა) რამდენჯერმე მიუგზავნა მოციქულები რომაელ სარდალს პომპეუსს, რომელიც ძვ. წ. 65 წელს შემოიჭრა ქართლში, და მშვიდობიანი ურთიერთობა შესთავაზა მას.¹ ქართლის მეფის მოციქულების სიტყვა, უნდა ვიფიქროთ, მოკლებული არ იქნებოდა დიპლომატიურ აზრსა და კაზმულ გარეგნობას, მაგრამ მათი შემონახვა ორიგინალის სახით ისტორიკოსს საჭიროდ არ უცნია. ამასთან, აქ უფრო განუზოგადებელ ფაქტებთან გვაქვს საქმე, ვიდრე მათი ანალიზით მიღებულ დასკვნებთან, მაგრამ ასეთი ვითარებაც არ გვიშლის ხელს წარმოდგენილი მასალის მიღმა საგულვეტელი მოვლენა ვიგულისხმოთ. ამ შემთხვევაში ასეთ მოვლენად საელჩო მკვევრმეტყველება უნდა ჩავთვალოთ.

ამავე რიგის ფაქტს წარმოადგენს რომის იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტეს (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 14) მეშუარულ წიგნში იბერების დასახელება იმ ხალხთა შორის, რომლებიც „რომაელებთან მეგობრობას თხოულობენ ელჩების მეშვეობით.“² ამ ელჩთა, მათ შორის იბერიის წარმომადგენლების, მთავარი შემწე, ვფიქრობთ, ლამაზი და გონივრული სიტყვა იქნებოდა.

¹ Д. Кассий — Римская история, т. XXXVII, стр. 1—2.

² Res Gestae divi Augusti, გვ. 31, 1.

როგორც გაცვირთ უკვე ითქვა, ძვ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება ყველაზე ადრინდელი ქართული საელჩო ორატორული სიტყვა, რომელიც გვიანდელი წერილობითი ძეგლითაა შემონახული, მაგრამ ჩვენამდე მოუღწეველი ძველი წყაროდანაა გადმოღებული და ამიტომ ნდობას იმსახურებს. ეს არის I ს-ის დასასრულის ქართლის მეფის მირიან მეორის სიტყვა, თქმული ერისთავების მიმართ, რომლის ტექსტი დაცულია XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში, რომელშიც, ავტორის თქმით, მოთხრობილია „ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა ცხოვრება“. ამ თხზულების ძველი წყაროები, რომლებიც ხელთ ჰქონია ისტორიკოსს, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მათი არქაული წარმოშობის ფაქტი სარწმუნოდ ხდის მათგან მომდინარე ცნობებს. ერთი ასეთი ცნობა, რომელიც საილუსტრაციო სახით შეიცავს წარმოთქმული სიტყვის ტექსტს, ეხება ქართლის ტახტისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლაში გამოყენებული სიტყვა, რომელსაც თავის ადგილას ვრცლად განვიხილავთ, საელჩო ხასიათის ორატორული წარმონათქვამია.

შემდეგი დროის საყურადღებო ცნობა, რომელიც მახლობელი წარსულის ვითარებასაც გვიჩვენებს, ეკუთვნის ბერძენ გეოგრაფს სტრაბონს, რომელიც თავის „გეოგრაფიაში“ ასახელებს იბერიის მოსახლეობის ოთხ „გვარს“, რომელთაგან, ავტორის სიტყვით, „მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე.“¹ ამ ცნობის მიხედვით ახ. წ. I საუკუნეში წარმართული ღვთისმსახურების მოძღვარი — ქურუმი ითავსებდა მეზობლებთან სამართალზე მზრუნველის ანუ დიპლომატის მოვალეობას. საქმე ის არის, რომ ქურუმი სასულიერო პირია, რომელიც, ჩანს, საერო ხასიათის საქმესაც ასრულებდა, ვინაიდან „მეზობლებთან სამართალზე“ მზრუნველში, ვფიქრობთ, დიპლომატი უნდა დავინახოთ.

ამრიგად, სტრაბონის ცნობა ორმხრივ არის საყურადღებო: ჯერ გვიჩვენებს ჩვენი დიპლომატიის არსებობის ფაქტს და შემდეგ მისი წარმომადგენლის სოციალურ ვინაობას. ერთიცა და მეორეც დიდად საგულისხმოა, კერძოდ ინტერესს იწვევს

¹ სტრაბონი — გეოგრაფია, XI, გვ. 3, 6.

ის გაჩემობა, რომ სასულიერო პირს უთავსდებოდა დიპლომატის მოვალეობა, რაც ქრისტიანულ ხანაშიც შეინიშნება და, მაშასადამე, ხანგრძლივი ისტორიითა და შორეული ტრადიციით ხასიათდება.

ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში, გვიანდელი შონათმფლობელობის დროს, საგრძნობლად მომძლავრდა ქართლის (იბერიის) სამეფო: გაუმჯობესდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, განმტკიცდა ხალხის ყოფიერება. ამ წარმატების ერთ მიზეზს ქართლის მარჯვე დიპლომატია წარმოადგენდა. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ მტკიცე და მუყაითი მეფეები, რომლებმაც სწორი გზით წარმართეს ქვეყნის სასიცოცხლო ძალები და შესამჩნევ შედეგს მიაღწიეს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. ამ შედეგის ერთ მხარეს მართებული საგარეო პოლიტიკის დადებითი ნაყოფი შეადგენდა. ეს ნაყოფი, უწინარეს ყოვლისა, ორი ქართველი მეფის — ფარსმან პირველისა და ფარსმან მეორის სახელებს უკავშირდება.

ფარსმან I მეფობდა I საუკუნის 30.—60 წლებში. მისი მრავალმხრივი ღვაწლი კარგადაა ცნობილი ქართული და ლათინური წყაროებით. მათ შორის ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის „ანალები“, რომელშიც ნაჩვენებია ფარსმან პირველის ორატორული ხელოვნება და დიპლომატიური დამსახურება. წყაროში აღბეჭდილია მეფის სიტყვა, თქმული ჯარის წინაშე პართელთა წინააღმდეგ ბრძოლის წინ 35 წელს, და ასახულია მისი წარმოთქმის პირობები¹. იქვე ხაზგასმული მეფის დიპლომატიური ჩარევით შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველოს სამხრეთით განლაგებული რომაელთა ლეგიონები იბერიის დამცველად გვევლინებოდნენ². დასასრულ, ფარსმან პირველის გონივრულ დიპლომატიას ისტორიკოსი გვიჩვენებს მისი ბრძოლით სომხეთის მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ. რასაც ქართლის ხელმწიფე

¹ C. Tacitus — Annales, VI, 34: ნ. კან დ ე ლ ა კ ი — ქართული კლასიკური მკვლევარბეჭდვება, გვ. 219—221.

² C. Tacitus — Annales, IV, 5.

რომის ინტერესებით ხსნიდა, რათა თავისი ნამდვილი ზრახვა დაემალა და რომის მხრივ მსარდაჰერაჰ ჰქონოდა¹.

ამრიგად. ფარსმან I ერთი აღრინდელი ქართველი დიპლომატი და მკვერმეტყველია, რომლის პოლიტიკური ალლო და ორატორული ხელოვნება უცხო წყაროთია დამოწმებული, მაგრამ ქართული სინამდელითაა შეპირობებული და მშობლიური ისტორიული ვითარების მაჩვენებელია.

ფარსმან II (ქველი) მეფობდა II საუკუნის 30-50 წლებში. ამ დროს კიდევ უფრო გაძლიერდა მონათმფლობელური ქართლი. ამის ერთ მიზეზს ჩვენი სალი საგარეო პოლიტიკა წარმოადგენდა, რომლის პატრიოტული არსი საზღვრავდა იმდროინდელ დიდ ქართველთა მოღვაწეობას. მათი მეთაურის ზედწოდება — ქველი — იმას მიუთითებს, რომ ფარსმანის სახით ხალხს სახელგანთქმული და საყვარელი წინამძღოლი ჰყავდა.

ამ კოლორიტული სახელმწიფო კაცის დამამშვენებელს მტკიცე და გამკრიახი დიპლომატია წარმოადგენდა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის სწორი დიპლომატიური აზრის მკვერად გამონატვის ხელოვნებასაც ფლობდა.

აქ უნდა აღინიშნოს: როცა I—II საუკუნეების ქართლზე ვლაპარაკობთ, მისი მიმდგომი კოლხეთის დიდი ნაწილიც უნდა ვიგულისხმობთ, ვინაიდან, როგორც წერილობითი და არქეოლოგიური საბუთებიდან ჩანს, იმდროინდელი ქართლის ფარგლებში დასაველეთ საქართველოს ვრცელი ნაწილი შედიოდა².

ახალი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეებში ქართლის სამეფოს გაცხოველებული დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის სამეფოსთან. ეს დასტურდება როგორც ქართული, ისე უცხო წყაროებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრება“ და მცხეთის ეპიგრაფიკული განძი. ამასთან, დიდად საყურადღებოა, რომ ეს პირველწყაროები ერთიმეორეს ავსებენ და ადასტურებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ლეონტი მროველის ცნობა ქარ-

¹ იქვე, XII, 45—47.

² Г. Меликишвили — К истории древней Грузии, стр. 354.

თლში ექესი ენის არსებობის შესახებ, ძველი წელთაღრიცხვის დასასრულისათვის, დამაჯერებლად მტკიცდება ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების მცხეთის მრავალხვანი ეპიგრაფიკით. ლეონტი მროველი წერს: იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იყოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა¹. როგორც ცნობილია, მცხეთაში უკვე აღმოჩენილია ბერძნულ: არამეულ და ებრაულ ენებზე შესრულებული წარწერები.

აღნიშნული ვითარება პირდაპირ მიუთითებს, რომ საერთოდ მცხეთის დედაქალაქობის ხანგრძლივ პერიოდში, ხოლო კერძოდ მის მეორე ნახევარში, ქართლის სამეფო ჩაბმული იყო რთულ და ფართო დიპლომატიურ ქსელში, რომელიც ფარავდა იმდროინდელ წინა აზიას, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიას.

ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება

IV ს-ის მეორე ნახევრიდან დაიძვრა ქართლის სამეფოს მთლიანობა. ჩვენში ახლად გავრცელებულ ქრისტიანობასა და მის მფარველს აღმოსავლეთ რომს ძლიერი მტერი გაუჩნდა სასანიანთა სპარსეთის სახით. სადაც იმ დროს გავრცელებული იყო ცეცხლთაყვანისცემა. რელიგიური საბაბით გამწვავებულ ომებში ქართლის მიწა-წყალზე სპარსეთის აგრესია უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე რომის მხარდაჭერა. შექმნილ ვითარებას მოჰყვა ქართლის გაყოფა: ქვემო ქართლი მოექცა სპარსეთის გავლენაში, იბერიის დანარჩენი ნაწილი დაუკავშირდა რომს.

შაჰის მიერ დანიშნული პიტიახშები ზღუდავდნენ ქართველ მეფეთა ძალაუფლებას და თავიანთი პატრონის ნება-სურვილით მართავდნენ ჩვენს ქვეყანას. ასეთ პირობებში მეფობდნენ მაგალითად ვარაზ-ბაკური (დაახლ. 368—408) და არჩილი (დაახლ. 408—437).

უფრო ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 16.

რომის ხელქვეით მოქცეული იბერია, სადაც შედარებით დამოუკიდებლად მეფობდნენ ფარსმანი (დაახლ. 395—413) და ბუზნირი (დაახლ. 413—437)¹.

V ს-ის მეორე ნახევარში ქვემო ქართლის პოლიტიკურ ხვედრს იზიარებდნენ სომხეთისა და ალბანეთის სამეფოებიც, რომელთა წარმომადგენლებს საიდუმლოდ დაუკავშირდნენ ქართველი დიპლომატები და სამთა კავშირი შექმნეს სპარსეთის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის მონაწილე იყო ქართლის ერისთავი არშუშა, რომელიც, ჩანს, ჯერ ორკოფულ პოლიტიკას აწარმოებდა, ხოლო შემდეგ სპარსეთის შაჰს იეზდიგერდს (438—457) მიემხრო და ქართველ-სომეხ-ალბანთა კავშირს გადაუდგა. არშუშას მოლაპატურე საქმე განაგრძო მისმა შვილმა ვარსკენმა, რომელიც 484 წელს სიკედილით დასაჯა მომძლავრებული ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა.

ვახტანგ გორგასალი მეფობდა V ს-ის უკანასკნელ მესამედსა და VI ს-ის დამდეგს. წერილობითი წყაროებისა და ზეპირი სიტყვიერების მასალის სინათლეზე ის ეპოქალურ პოლიტიკურ ფიგურად გვევლინება. მისი მრავალმხრივი ღვაწლის მთავარ მიზნებლებს მეომრული სტიქია და დიპლომატიური ალლოწარმოადგენს. სწორედ მათი მეშვეობით აღადგინა მეფემ V ს-ის მიწურულისათვის ქართლის ძველი სიმტკიცე და მთლიანობა; დაუბრუნდა მას დაკარგული ავტორიტეტი და ახალი ასპარეზი გადაუშალა ხალხის ერთიან მისწრაფებას.

მეფემ მარჯედ გამოიყენა ბერძენთა მეფის ლეონ დიდის (457—474) მოუცლევლობა სპარსეთთან ომის გამო და დაიბრუნა იბერიის ყოფილი მიწაწყალი კოლხეთსა და სამხრეთ საქართველოში². ამასთან, ვახტანგ გორგასალი დიდხანს ცვალებად ურთიერთობას აწარმოებდა ბიზანტიისა და სპარსეთის მიმართ, სარგებლობდა მათი წინააღმდეგობით და ვითარების შესაბამისად მიმართავდა. ხოლმე გადამწყვეტ მოქმედებას. ასეთ პირობებში ებრძოდა ის გამუდმებით საქართველოს მტრებს, რომელთა შორის ყველაზე საშიშს სპარსეთი წარმოადგენდა. მასთან ბრძოლას შეაღია ვახტანგმა თავისი გოლიათური ძალა და მშფოთვარე სიცოცხლე. სპარსეთთან

¹ ნ. ბერძენიშვილი და სხვ., — საქართველოს ისტორია, 91—92.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 157.

ბრძოლის შუალედებში მეფე იბრძოდა აგრეთვე რომაელებისა და ალანების წინააღმდეგ, იცავდა მათგან სამშობლოს საზღვრებს და ინარჩუნებდა დაკავებულ პოზიციებს.

ამ განუწყვეტელ ბრძოლებში ვახტანგს ჰყავდა მოკავშირეები — სომხები, ალბანები და ჰუნები, რომლებიც ქართლის თაოსნობით აწარმოებდნენ სპარსთა ბატონობისაგან გამათავისუფლებელ ომებს. ამ დიდი მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო ვახტანგ გორგასალი, რომელსაც სამხედრო მოქმედების პარალელურად გაცხოველებული დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა როგორც მტრის ბანაკთან, ისე მოკავშირეებთან. ეს ვითარება ხაზგასმულია საისტორიო წყაროებში.

ერთი ასეთი წყაროა XI ს-ის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“. რომლის ფურცლებზე ხალხურ თქმულებებთან ერთად მოთხრობილია ისტორიული ამბები და დახატულია მეფის კოლორიტული სახე. ამ სახის ერთი მსაზღვრელი ორატორული ღვაწლია. ეს ღვაწლი აქ უჩვეულო სისრულითაა დამოწმებული. შეიძლება ითქვას, რომ ორატორული ძეგლების სიმრავლით „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ჯუანშერის ქმნილება პირველ ადგილზეა. აქ წარმოდგენილი სადარბაზო და საელჩო სიტყვების დიდი ნაწილი ვახტანგ გორგასალს მიეწერება. ერთი ასეთი სიტყვაა, თქმული სახელმწიფო დარბაზში ქართლის წარჩინებულთა წინაშე.

ჯუანშერის თხზულებაში ფართოდ ასახულია ბერძენ-ქართველთა პოლიტიკური ურთიერთობა ვახტანგის ეპოქაში. საქართველოს მეფისა და საბერძნეთის კეისრის დიპლომატიური ცდები, რასაც ისინი ფარულად თუ ცხადად მიმართავდნენ როგორც ერთმანეთის, ისე საერთო მტრის წინააღმდეგ. აქ დასურათებულია მრავალფეროვანი მასალით. ამ მასალიდან ჩვენ გამოვყოფთ უფრო საყურადღებოს — საელჩო ურთიერთობის ცნობებს, რომლებშიც დაცულია ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები. ასეთია, მაგალითად, სამეფო კართან არსებული საგანგებო წრე, რომლის წარმომადგენლებს მეფის დავალებით „საიდუმლო და საერო სიტყვები“ მიაქვთ ამა თუ იმ სახელმწიფო პირთან. ამ მოვალეობას ასრულებენ მეფის დესპანები. ისინი აქ დიასპანის ან მოციქულის წოდებით იხსე-

ნიებთან და დიდი მნიშვნელობის საქმეებს ასრულებენ. მათ შორის თავისი დამსახურებით გამოირჩევა ვახტანგის დიპლომატი სამოელ მონაზონი.

სამოელი იყო ქართლის კათალიკოსი. ის ვახტანგის კარის უზენაესი სასულიერო ხელისუფალი და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეა. საგულისხმოა, რომ სამოელი დიპლომატიურ სარბიელზე უფრო ნაყოფიერად კათალიკოსად კურთხევამდე, ეპისკოპოსობის ეამს, მუშაობდა. V ს-ის მიწურულში მისთვის შეფეს რამდენჯერმე მიუწოდია საგანგებო მნიშვნელობის სახელმწიფო საქმე. მეფის ერთგულ და გაწაფულ კარისკაცს, ჩანს, წარმატებით შეუსრულებია ეს დავალებანი.

ერთხელ ვარაზ-მიპრთან ერთად სამოელ მონაზონი მოციქულად იყო მიგზავნილი ქ. პონტოში საბერძნეთის კეისართან შესახვედრად. „ხოლო კეისარი მოწვევულ იყო პონტოდ ქალაქად, და პონტოელნი გამოსრულ იყვნეს მიგებებად, და შეასხმიდეს ქებასა და ვახტანგ მეფისა მადლობასა, რამეთუ უკურიდა მათ და არა მისცნა იგინი სიკუდილად. ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი ქალაქად, მიართუეს ძღუენი ათასი მუთაკალი მუშკი, ხუთასი ამბარი და ათასი ლიტრა ალვა“¹. ამ შეხვედრისას სამოელს, უნდა ვიფიქროთ, ხოტბისა და მადლიერების გამომხატველი სიტყვის წარმოთქმა მოუხდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სამოელი გაგზავნილი იქნა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ ეპისკოპოსის უთანხმოების მოსაგვარებლად². უზენაეს საერთო და სასულიერო ხელისუფალთა შფოთი სამოელს მეფის სასარგებლოდ დაუშთაერებია. ეს ჩანს სამოელის მესამე მოგზაურობით უცხოეთში, ამჯერად ანტიოქიაში, სადაც ის ეპისკოპოსად აკურთხეს³. გამოხდა ხანი და, პეტრე კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, ის ქართლის კათალიკოსი გახდა⁴.

სამოელ მონაზონის გვერდით ვახტანგ გორგასლის კარის დიპლომატებია ვარაზ-მიპრი და პეტრე მღვდელი (კათალიკოსი).

¹ ქართლის ცხოვრება, I, 172.

² იქვე, 196—197.

³ იქვე, 197—198.

⁴ იქვე, 205.

VI ს-ის 20-იანი წლებიდან მომძლავრდა ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოში (ლაზიკაში). ქართლი ისევ სპარსეთის გავლენას განიცდიდა. ბიზანტია-სპარსეთის მეტოქეობა ახალ, უფრო გამწვავებულ, ფაზაში გადავიდა. ასეთი ვითარება განსაკუთრებით მძაფრი შეიქმნა ბიზანტიაში იუსტინიანე კეისრისა (527—565) და სპარსეთში ხოსრო ანუ შირვანის (531—579) მეფობის დროს. ისინი დიდხანს დაუნდობელ ბრძოლებს აწარმოებდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ თავიანთი პოლიტიკური გავლენის სფეროების გასაფართოებლად. რაც მათი ვარაუდით საქართველოს მიწა-წყლის ხარჯზედაც უნდა მომხდარიყო. იუსტინიანე იმკვიდრებდა ახალ-ახალ პოზიციებს ლაზიკაში, ხოსრო კი ხელყოფდა მათს უშიშროებას და თავს ესხმოდა ბიზანტიელებს.

ბიზანტია-სპარსეთის წინააღმდეგობას, ცხადია, ჩვენში გულგრილად არ ეყიღებოდნენ. ხალხის მოწინავე წარმომადგენლები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს წამდაუწუმ ცვალებად ვითარებას და ყოველ ხელსაყრელ მომენტს ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებდნენ. ამით აიხსნება იმ ხანებში ჩვენი დიპლომატიის სწრაფად ცვალებადი და მეტად მოქნილი ხასიათი, რაც ბევრი საგულისხმო ფაქტითაა დადასტურებული. ერთი ასეთი ფაქტია ლაზთა ელჩობა ხოსროს წინაშე, რომლის ვრცელი აღწერილობა, ელჩის სიტყვით ტექსტიტურთ, დაგვიტოვა პროკოპი კესარიელმა¹. ამ ელჩობის მომწყობი იყო ლაზიკის სახელოვანი მეფე გუბაზი.

გუბაზ მეფე თავისი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და ორატორია. ის ხანგრძლივად აწარმოებდა ისტორიული ვითარებით შეპირობებულ გონივრულ პოლიტიკას ბიზანტია-სპარსეთის კიდილის პირობებში და ამა თუ იმ შესაძლებლობიდან თითქმის ყოველთვის გამარჯვებულის მხარეზე იდგა. მერყევი პოლიტიკური სიტუაციის გამო მას ხშირად უხდებოდა სხვადასხვა სახის დიპლომატიური ფანდის გამოყენება და მიმოხრის წარმოება. ამის ნათლად მაჩვენებელს წარმოადგენს ხსენებული ელჩობა, რომლის მიზანს ბიზანტიისაგან განდგომა და სპარსეთთან დაკავშირება შეადგენდა. ეს გამოიწვია მძიმე რეჟიმმა, რაც კეისრის მოხელეებმა

¹ გეორგიკა, ტ. II, 45—60.

დანერგეს ჩვენში ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. მათ შექმნეს მკაცრი სავაჭრო მონოპოლია — ალკველეს ადგილობრივი ალებ-მიცემა და მძარცველების ხელში ჩააგდეს მოსახლეობა. ამ ვითარებამ შეაპირობა გუბაზის ქცევა, რაც ლაზთა ელჩობით გამოიხატა და მისი შედეგით დასრულდა.

ეს შედეგი მხოლოდ ერთ ხანს აღმოჩნდა ხელსაყრელი. ჩქარა გამომქლავნდა შაჰის ვერაგული ზრახვა, რაც ლაზიკის დაპყრობასა და მოსპობაში გამოიხატებოდა. ეს განზრახვა უშედეგოდ დარჩა გუბაზ მეფის ხელასალი პოლიტიკის წყალობით, რაც მან ამიერიდან ტრაგიკულ სიკვდილამდე (554) ბიზანტიის კეისართან კავშირში აწარმოვა.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ განასლდა სპარსეთის მოძალემა ქართლში, სადაც 523 წლიდან გაუქმდა მეფობა და ქვეყნის სათავეში შაჰის „მარზპანი“ (ოლქის მმართველი) ჩადგა. სპარსეთის ბატონობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. მას ბოლო მოუღო ჩვენში გაჩაღებულმა ბრძოლამ და ბიზანტია-სპარსეთის უთანხმოებამ, რაც 70-იანი წლებიდან ომში გადაიზარდა. ამ ამბებს მოჰყვა ბიზანტიელთა მომძლავრება აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შემოღებული იქნა „ერისმთავრობა“. რაც არსებითად ქვეყნის შეზღუდულ მმართველობას ნიშნავდა.

ამრიგად, VI ს-ის დასასრულისათვის მთელი საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს ისტორიული ხვედრი, რაც თანაბრად გაიზიარეს ქართლის მოსაზღვრე ქვეყნებმაც, გასდა ჩვენი ტომების დაახლოების სტიმული, რასაც მოჰყვა ქართული სულიერი კულტურის, კერძოდ მწიგნობრობის, ფართოდ გავრცელება და ქრისტიანული მოძღვრების ახალი აღმავლობა. ამის მაჩვენებელი ქართლის ქალკედონისტური ეკლესიის ჩამოყალიბება და ქართული ღვთისმსახურების დაწესებაა, რაც შინაარსის მიხედვით სომხური ეკლესიისაგან გათიშვას ნიშნავდა, ხოლო ფორმის მიხედვით ბერძნული ღვთისმსახურებისაგან გათავისუფლებას. ეს მოხდა VI ს-ის დასაწყისში.

მოუხედავად საგრძნობი თვითმყოფადობის მოპოვებისა კულტურის სარბიელზე, პოლიტიკურად საქართველო კვლავ ბიზანტიის საგამგებლოს წარმოადგენდა. ლაზიკის მეფისა და ქართლის ერისმთავრის ურჩი აზნაურები ისევ სხვების კარნახით განაგებდნენ ხალხს, რომლის ინტერესებს, შექმნილ ვითარებაში, მხოლოდ კულტურის მესვეურები იცავდნენ. ასეთ მესვეურთა რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სასულიერო მწერლობის წარმომადგენლები ეკუთვნიან. მათ შორის უპირველესად VIII ს-ის გამოჩენილი მწერალი იოანე საბანისძე უნდა დავასახელოთ. არაბთა ბატონობის მძიმე პირობებში მან შექმნა ჰაგიოგრაფიული მოთხრობა „აბო ტფილელის წამება“, რომლის იდეური შინაარსი გამსჭვალულია ღრმა ეროვნული სულისკვეთებით, რაც, შეიძლება ითქვას, დიდი დიპლომატიური შეფარვითაა გამოხატული. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ი. საბანისძე თავისი ღრობის სახელოვანი ორატორია¹, უხდა ვიფიქროთ, ის საელჩო მკვერბეტყველების ოსტატიც იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ ხსენებული დიპლომატიური შეფარვის ხერხი პირველად გამოიყენა VI ს-ის ჰაგიოგრაფიული ქმნილებების „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ უცნობმა ავტორმა. ამ მხრივ ეს უკანასკნელი საბანისძის წინამორბედი. მათი შემოქმედების ძირითადი მეთოდი იმაში გამოიხატება, რომ პატრიოტული შეგნების ასამაღლებლად ჩვენი ეროვნული ღირსების დამცველები მათ გამოჰყავთ არა ქართული, არამედ უცხო გარემოდან. ამით ისინი აღწევენ დიდ წარმატებას — დამაჯერებლად გვიჩვენებენ საკუთრის უპირატესობას უცხოურთან შედარებით. ამის ჩვენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა ბატონობის დროს, VII ს-ის შუა წლებიდან X ს-ის დასაწყისამდე, როცა ჩვენში შემოჭრილი მუსლიმანობა ლამობდა ფეხის მოკიდებას, და თუმცა ამას ვერ მიაღწია, მაგრამ მანვილით გაიკვლია გზა თითქმის ყველა კუთხეში და თავის პოლიტიკურ გავლენას დაუმორჩილა მთელი საქართველო.

IX საუკუნეში არაბებმა ქართლში გააუქმეს ორასი წლის

¹ ნ. კანდელიაკი — ქართული კლასიკური მკვერბეტყველება, 246—250.

მანძილზე არსებული ერისმთავრობა და შეეცადნენ პოლიტიკური მართვის სრულ დაუფლებას, მაგრამ ახალი სოციალური წყობის განმტკიცებას სხვა მიმართულებით მიჰყავდა ქვეყანა, რომლის შიგნით მტრისათვის საზიანო ისტორიული ძვრები მზადდებოდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა იყო. შედარებით მოკლე დროში ზედიზედ წარმოიქმნენ და საგრძნობლად განმტკიცდნენ კახეთის, ჰერეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროები. ყოველი მათგანი თავიდანვე ეროვნული თვითმყოფობის კერას წარმოადგენდა და მომავალი გაერთიანების ტენდენციას შეიცავდა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ტაო-კლარჯეთმა შეასრულა. ის თავისი ცენტრის არტანუჯის ირგვლივ შემოკრებილი თავისუფალი მიწა-წყლითა და მჭიდრო მოსახლეობით გადაიქცა ჩვენი კულტურის სავანედ, საიდანაც დაიძრა ეროვნული გამთლიანების იდეა, რაც დაემთხვა სხვა სამთავროების მამოძრავებელ ტენდენციებს და ჯერ მერყევი და შემდეგ მტკიცე გამარჯვებით დაგვირგვინდა მომდევნო ეპოქაში. ამ მოძრაობის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ პოლიტიკის სარბიელზე — აშოტ I კურაპალატი და დავით დიდი კურაპალატი, ხოლო კულტურის დარგში — გიორგი მერჩულე და იოანე-ზოსიმე. საერთო ვითარებით დაკავშირებულ პერიოდებში, IX—X საუკუნეთა მანძილზე, არაბთა მძლავრობისაგან თავისუფალ საქართველოში მათ სხვებთან ერთად შექმნეს ქართულ-ბიზანტიური თანაარსებობით შეპირობებული ცივილიზაცია, რომელიც მიმართული იყო არაბულ-მუსლიმანური ძალადობის წინააღმდეგ და შეიცავდა ეროვნული აღორძინების პოტენციალურ ძალებს.

აშოტ I კურაპალატი მეფობდა IX ს-ის პირველ მეოთხედში, როცა მისი ენერგიული ბრძოლის შედეგად სამხრეთ საქართველოში შეიქმნა „ქართველთა სამეფო“, რაც არსებითად აქ მეფობის აღდგენასა და დამოუკიდებლობის მიღწევას ნიშნავდა. აქვე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სრულ გაერთიანებას. ამ მოძრაობის მამამთავარი იყო აშოტი, რომელიც პრობიზანტიური პოლიტიკის პოზიციიდან შეურიგებელ ანტიარაბულ პოლიტიკას აწარმოებდა და დიდხანს თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. გამოჩე-

წილი სახელმწიფო მოღვაწე, სტრატეგი და დიპლომატი არაბთა გავლენისაგან დაცულ საქართველოში პოულობს ძალებს ქვეყნის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ და შედარებით მოკლე დროში ქმნის ვრცელსა და მძლავრ სახელმწიფოს, რომელიც მოიცავს სამცხეს, ქავახეთს, შავშეთს, კლარჯეთს, აქარას, ტაოსა და შიდა ქართლს.

815—820 წლებში აშოტ კურაპალატმა ძლიერამოსილი ბრძოლები აწარმოა არაბთა წინააღმდეგ და თბილისამდე განავრცო დამოუკიდებელი „ქართველთა სამეფო“, რომლის გავლენა მიწვდა ლიხთიმერეთს, ქვემო ქართლსა და იბერიის მთიან მხარეს¹.

ამ დიდი სახელმწიფო საქმიანობის დროს აშოტ კურაპალატს სხვადასხვა სახის დიპლომატიური კავშირი ჰქონდა ბევრ ქვეყანასთან, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით დასავლეთ საქართველო, ბიზანტია და არაბეთი გამოირჩეოდნენ. მათთან ფარული თუ აშკარა ურთიერთობა ასახულია ქართულ და უცხო წყაროებში, რომელთაგან საყურადღებოა ანონიმური „მატიანე ქართლისა“ და კონსტანტინე პორფიროგენეტის „De administrando imperio“. ეს უკანასკნელი შედარებით გვიანდელ ვითარებას აგვიწერს, მაგრამ აღრიხნდელთან კავშირში, რაც ნათელს ჰფენს აშოტ კურაპალატს დიპლომატურ ღვაწლს. ხსენებულ წყაროებში ნაჩვენებია „ქართველთა სამეფოს“ მიხვეულ-მოხვეული პოლიტიკა, რასაც აშოტ I და აშოტ II მეცხრე-მეათე საუკუნეთა მანძილზე აწარმოებდნენ მტერ-მოყვრულად განწყობილი სამეფოების მიმართ².

დავით დიდი კურაპალატი მეფობდა X ს-ის მეორე ნახევარში, როცა კიდევ უფრო გაძლიერდა „ქართველთა სამეფო“ და განსაკუთრებით განმტკიცდა მისი მეგობრული ურთიერთობა ბიზანტიასთან. ამ დროს ბიზანტიის კეისრისადმი დახმარების სამაგიეროდ შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოს შემოუერთდა რიზეს მხარე, ხოლო აღმოსავლეთით — არაქსის მიდამოები³, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი შემოკრებისა და გაერთიანებისათვის. დავით კურაპა-

¹ პ. ინგოროყვა — გიორგი მერჩულე, 49.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, 252, გეორგიკა IV, 2, 224—289.

³ პ. ინგოროყვა — გიორგი მერჩულე, გვ. 275.

ლატმა თავის გავლენას დაუმორჩილა ეგრის-აფხაზეთი, სადაც გაამეფა თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი და ამით წინ წასწია საქართველოს გაერთიანების საქმე¹.

უნდა აღინიშნოს, რომ დავით მეფის ძლიერ თანამდგომს ამ საქმეებში ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე წარმოადგენდა. ის თავისი დროის გამოჩენილი დიპლომატი და მკვერძმეტყველი უნდა ყოფილიყო, რასაც მისი ფართოდ გავლენიანი სიტყვა და საქმე გვაფიქრებინებს.

როგორც ითქვა, X ს-ის ქართულ კულტურას სხვებთან ერთად ამშვენებს ორი მესვეური — გიორგი მერჩულე და იოანე-ზოსიმე. მათი ლეწლი ამჯერად იმ მხრივ გვაინტერესებს, რომ მისი მეოხებით, საქართველოს დაშლილობის დროს, როცა მხოლოდ საძირკველი დაიგო მომავალი შეერთებისათვის, ქართულ ენას მიენიჭა ზოგადქართული ნიშნის პატივი და ეროვნული ღირსების მნიშვნელობა. ეს ბრწყინვალე იდეა საპროგრამო ფორმულების სახითაა ჩამოყალიბებული გიორგი მერჩულის ბიოგრაფიულ-ლიტერატურულ ქმნილებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და იოანე-ზოსიმეს ჰიმნოგრაფიულ ძეგლში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

გიორგი მერჩულე წერს:

„ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“².

აქ ქართული ენა მიჩნეულია უმთავრეს საერთო-სახალხო კუთვნილებად, რომლის მიხედვით საქართველო დიდ და მთლიან სახელმწიფოდ ჩაითვლება.

იოანე-ზოსიმე წერს:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რაჟთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“³.

1 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., — საქართველოს ისტორია, 133.

2 გ. მერჩულე — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 97.

3 სინური მრავალთავი, გვ. 283.

აქ ქართული ენა აღიარებულია უდიდეს ეროვნულ საუნჯედ, რომლის მიხედვით საქართველო ღირსეულ და მოწინავე ქვეყნად მიიჩნევა.

ფეოდალური მონარქიის პერიოდის საელჩო მკვერამეტყველება

X ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს-ის დამდეგს საქართველოში მეფობდა ბაგრატ III. ის ჯერ დავით კურაპალატის თანამეფეთა ქართლსა და აფხაზეთში (975—1001), ბოლო შემდეგ სრულიად საქართველოს მეფე (1001—1014). თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში ბაგრატმა შეძლო დიდგვარიანი აზნაურების — ქავთარ ტბელისა და რატი ბაღვაშის დამორჩილება, დაქსაქსული სამთავროების — შავშეთ-კლარჯეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთ-ჰერეთის შემოერთება, სამშობლოს მტრების — ბიზანტიის კეისრისა და განძის ამირას დაოკება და საქართველოს გაერთიანება. უკეთ. ბაგრატ მეფემ შეძლო ჩვენი სამშობლოს ძირითადი სამთავროების შემოკრება, მაგრამ მათი სრული გაერთიანების პროცესი კვლავ გრძელდებოდა — თბილისი და მისი შემოგარენი ისევ არაბთა ხელში იყო. საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს და მეფის რეზიდენციას უფლისციხე წარმოადგენდა.

ამ ქალაქიდან ამყარებდა ბაგრატ III დიპლომატიურ კავშირს ბევრ ქვეყანასთან, მაგალითად, სომხეთთან, განძსა და ბიზანტიასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბაგრატისა და სომეხთა მეფის გაგიკის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მიმართული იყო განძის ამირას ფადლონის წინააღმდეგ.

ბაგრატის დროს გამწვავდა საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან, რომელსაც აშინებდა ჩვენი გაძლიერება, რასაც კეისარი ჯერ დიპლომატიური სიტყვით გადაელობა და შემდეგ საომარი მოქმედებით. ასეთი ვითარება გაგრძელდა ბაგრატ მეფის მემკვიდრის გიორგი პირველის დროსაც, 1014 — 1027 წლებში, როცა ბიზანტიის უპირატესობით წარმოებულ ბრძოლებში საქართველომ დაჰკარგა ტაოს, კოლა-არტაანისა და ჯავახეთის პროვინციები.

მდგომარეობა შეიცვალა მოგვიანებით, ბაგრატ მეოთხის მე-

ფოპაში, იმ სამშვიდობო მოლაპარაკების წყალობით, რომელსაც მეფის დედა მარიამ დედოფალი და მცხეთის კათალიკოსი მელქისედეკი აწარმოებდნენ ბიზანტიაში¹. უზენაეს პირთა მცდელობა დამთავრდა ზავით, მაგრამ ვითარება არ იყო მყარი — ბიზანტია ძველი დიდების აღდგენაზე ოცნებობდა. ასეთ მერყევ პირობებში მოუხდა ქვეყნის მართვის დაწყება ტახტზე დაქაბუყებულ ბაგრატ IV-ს, რომლის პოლიტიკის ღერძს საქართველოს გაერთიანების იდეა შეადგენდა, რასაც შეალია მან თავისი ხანგრძლივი და მღელვარე სიცოცხლე. XI ს-ის თითქმის მთელი მეორე და მესამე მეოთხედების მანძილზე ის ებრძოდა ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებს და მათი ძლევით რამდენჯერმე მიუახლოვდა სანუკვარი სურვილის შესრულებას, მაგრამ ბოლომდე ვერ განამტკიცა თავისი დიპლომატიური და სამხედრო მონაპოვარი. მიუხედავად ამისა, მან ალაგმა უმძლავრესი შინაური მტერი ლიპარიტ ერისთავი და მოიგერია უძლიერესი გარეშე მტრის ბიზანტიის შემოტევა. ამით მეფემ ახალი ბიძგი მისცა საქართველოს გაერთიანებას, რაც ნასწავარი საუკუნის შემდეგ ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ ეროვნული წარმატების უდიდესი შემოქმედი დავით აღმაშენებელია.

ბაგრატ IV-ის დროს დიდად განვითარებული უნდა ყოფილიყო ჩვენი საელჩო მჭევრმეტყველება. ამას გვაფიქრებინებს მეფის თაოსნობით წარმოებული დიპლომატია, რაც მომეტებულად ჩვენი უპირატესობის ნიშნით მიმდინარეობდა. რთულ პოლიტიკურ ძვრებსა და მოვლენებში, ჩანს, კარგად ერკვეოდნენ ქართველი დიპლომატები — მარიამ დედოფალი, მელქისედეკ კათალიკოსი და სხვ., რომელთა გონივრული საქმითა და ოსტატური სიტყვით უნდა აიხსნას ჩვენი იმდროინდელი სავარაუდო პოლიტიკის სისწორე. ეს დასტურდება ხშირი სავაჭირო ბჭობით, ძლიერი მომხრეების მოპოვებითა და დროული საზავო ხელშეკრულებით. ყოველივე ეს ცხადად აღბეჭდილია სანდო საისტორიო წყაროებში².

1 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., — საქართველოს ისტორია, ტ. I, 143.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 291—317; საქართველოს სიძველენი, ტ. II, 2—5; საქართველოს სამოთხე, 615—621.

XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს შიგნით და გარეთ შექმნილ ვითარებაში ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორი ისტორიული მოვლენა: „დიდი თურქობა“ და „ჯვაროსნული ლაშქრობა“. პირველი შიგნით შემოჭრილი ადგილობრივი ხასიათის დამაბრკოლებელი მოვლენა იყო, ხოლო მეორე გარეთ არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის დამხმარე მოძრაობა. „დიდი თურქობის“ დამაბრკოლებელი არსი საქართველოს დამორჩილებაში გამოიხატებოდა, „ჯვაროსნული ლაშქრობის“ დამხმარე როლი კავკასიის მტრების შეჩერებაში მდგომარეობდა.

ასეთ საშინაო და საგარეო პირობებში ავიდა ტახტზე დავით აღმაშენებელი, ვისაც წილად ხვდა უდიდესი მისიის შესრულება — სამშობლოს გათავისუფლება და გაერთიანება. ეს მძიმე, მაგრამ საპატიო ხვედრი სიკვამლეში იტვირთა მეფემ და შედარებით ხანმოკლე სიცოცხლეში შეძლო მისი წარმატებით დაგვირგვინება. უწინარეს ყოვლისა, მან მსოფლიო პოლიტიკის შუქზე განჭვრიტა საქართველოს აწმყო და მომავალი, შემდეგ, ბრძოლა გაუმართა თურქ-სელჯუკებს. დასასრულ, განდევნა მტერი, გაამთლიანა სამშობლო და მის გავლენას დაუმორჩილა მთელი ამიერკავკასია.

ფართო პორიზონტის პოლიტიკურ სარბიელზე დავით აღმაშენებელმა გამოავლინა დიდი სამხედრო ნიჭი, ღრმა ცოდნა-გონიერება და მახვილი დიპლომატიური აღღო. ჩვენთვის ამჟამად ეს უკანასკნელია უფრო საყურადღებო.

გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ თავისი შორსმავალი დიპლომატიური ხედვა თავდაპირველად იმას მიაპყრო, რომ ჯვაროსნულმა მოძრაობამ საომარი მოქმედების წრეში მოაქცია თითქმის მთელი მუსლიმანური სამყარო, რომელიც ნაწილობრივ დაეხსნა ჩვენს ქვეყანას და დროებით სხვისკენ მიბრუნდა. ამით ისარგებლა დ. აღმაშენებელმა, რომელმაც XI ს-ის მიწურულიდან ძლევამოსილი ბრძოლები წამოიწყო. სამშობლოს შიგნით შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ, ზედიზედ წაართვა მათ სამხედრო საყრდენები, გარემოცვაში მოაქცია მტრისეული თბილისი და გზა გაიკაფა საბოლოო გამარჯვებისაკენ. წინსვლის გზაზე მეფემ დაიმორჩილა დიდგვაროვანი ფეოდალები, გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება,

დაიკავშირა ეკლესია და შექმნა მუდმივი ჯარი. ამ ამბებს მოჰყვა მუსლიმანური ქვეყნების გამოფხიზლება, მათი კოალიციური ლაშქრობა ჩვენში და დიდგორის ომი, რომელიც ბრწყინვალედ მოიგო აღმაშენებელმა 1121 წლის აგვისტოში. ერთი წლის შემდეგ მეფემ გაათავისუფლა ოთხას წელს ტყვედმყოფი თბილისი, შემოიბტკიცა მისი შემოგარენი და არსებითად დაასრულა საქართველოს გაერთიანების ისტორიული პროცესი.

ამ საშვილიშვილო საქმეებს წინ უძღოდა და გზას უკვლევდა დავით აღმაშენებლის დიპლომატიური აზრი და მკვერი სიტყვა, რაც სხვადასხვა დროს მიმართული იყო თურქთა ურდოების, ყივჩაყთა ტომების, განძის საათაბაგოს, შარვანის სამფლობელოს, სომხეთის საამიროსა და სხვების წარმომადგენელთა მიმართ. მათთან მეფე ცხოველ დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდა ან პირადად, ან დიდმოხელეთა მეშვეობით. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე გამოჩენილი იყო მეფის აღმზრდელი და მრჩეველი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

ჭყონდიდელი მაღალი საეკლესიო მოხელის წოდებაა, მწიგნობართუხუცესი — გავლენიანი სამოქალაქო თანამდებობის სახელია. მათი შეერთება საერო და სასულიერო საქმეთა შეთავსებას აღნიშნავს და უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის შექმნის მაჩვენებელია. ეს თანამდებობა, რომელიც, ვფიქრობთ, დიპლომატიის მართვასაც ითავსებდა, შექმნა დავით აღმაშენებელმა და მიანიჭა გიორგი მონაზონს, ვინც ამიერიდან „ვაზირთა უპირველესად“ და „მეფის მამად“ იწოდებოდა. ისტორიკოსი წერს: „... ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს და სიტყუასავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თჳსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ქორცთასა, სავეს სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჳანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ლუაწლთა მისთა“¹. აქ გიორგი ჭყონდიდლის სრული სურათი გვაქვს, რაც გვაფიქრებინებს; რომ ეს „განმზრახი, სჳანი და ფრთხილი“ კარისკაცი, რომელ-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 336.

საც პირველი ადგილი ეჭირა მეფის საეაზიროში, ქვეყნის სა-
შინაო და საგარეო საქმეთა მმართველი უნდა ყოფილიყო.

ქართული დიპლომატიისა და მისი გამომხატველი ფორ-
მის — საელჩო მეტყველების შემდეგ აღმავლობას ვხედავთ
XII ს-ის მეორე ნახევარსა და XIII ს-ის დამდეგს გიორგი
III-ის გამეფებიდან (1156) თამარ მეფის გარდაცვალებამდე
(1213). დემეტრე I-ის მეფობისას (1125—1156), ამ მხრივ რაი-
მე ღირსშესანიშნავს ადგილი არ ჰქონია. დავით აღმაშენებლის
ღირსეულ პოლიტიკურ მემკვიდრეებად გიორგი III და თამარ
მეფე გვევლინებიან. მათი ეპოქა ჩვენი საელჩო ორატორული
ხელოვნების კლასიკური ხანაა, რომლის იდეურ-ფორმობრივი
მემკვიდრეობა ცოცხლობს შემდეგი დროის დიპლომატიურ
აზროვნებაში. ეს უწინარეს ყოვლისა ღრმადმოხვეული ქართუ-
ლი დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და მისი წარმოების საშუა-
ლებათა გამძლეობის მაჩვენებელია. ამ ნიშნებით განაგრძობს
თავის შემდგომ ინტენსიურ მსვლელობას ჩვენი ფართო
საერთიერთო პოლიტიკის ნაკადი, რომელიც ორგანულად
ერთვის საერთაშორისო დიპლომატიური აზრის დინებას და
მასთან ერთად მსოფლიო მნიშვნელობის იურიდიულ გასძს
წარმოადგენს. ასეთ მონაპოვარს ვხედავთ კლასიკური ხახის
ქართულ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სადაც საზიარო
პოვლენებთან ერთად ბევრი საკუთარი მხარე შეინიშნება, რაც
ეროვნულ წვლილს შეადგენს საერთო საგანძურში და თვით-
მყოფი წარმატების სახით გვევლინება. ერთი ასეთი მხარეა,
მაგალითად, დიპლომატიური დოკუმენტაციის ენა, რომლის
სრულყოფილ ნიმუშებს ვხვდებით თამარის ეპოქაში. ამ
სრულყოფის მახლობელ სათავეებს ვამჩნევთ გიორგი III-ის
მეფობაში.

ამ დროს განახლდა თურქებთან მტრული ურთიერთობა,
რაც მათთან სალაპარაკო ენის გვერდით მოკეთებთან სამე-
ტყველო ფორმის შემუშავებას საჭიროებდა. ერთიკა და მეო-
რეც ტრადიციული წარსულისა და პერსპექტიული მომავლის
მისედვით უნდა განახლებულიყო და ყოველდღიური პოლიტი-
კის მსახურად ქცეულიყო, რაც ჩინებულად შეძლეს ჩვენმა
დიპლომატებმა მეფის თაოსნობით.

ამას გვიჩვენებს ზედიზედ მოპოვებული წარმატებანი ქვეყნის შინა და გარე სარბიელზე, მაგალითად, ანისისა და დვინის ექსპედიციები (1161—1162), შარვანის შემოშტკიცება (1167), ხლათის, ღიარბეჭირისა და არზრუმის კოალიციის დამარცხება (1173) და სხვ. ყოველივე ეს აღინიშნა მეფის კარზე შემუშავებული პოლიტიკური რწმენით, რომლის მიხედვით საქართველო აზიის ქრისტიანი მოსახლეობის შემკრებ სამეფოდ მიიჩნეოდა¹. გიორგი მესამესთან ერთად ამ რწმენას იზიარებდნენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები ივანე ორბელი და სარგის მხარგრძელი, რომლებიც იმ დროის გამოჩენილი დიპლომატებიც უნდა ყოფილიყვნენ. 1177 წლიდან, როგორც ცნობილია, ივანე ორბელი მიემხრო დემნა ბატონიშვილს, რომელიც აუჯანყდა ბიძას — გიორგი მესამეს, და ტახტისათვის გამართულ დაუნდობელ ბრძოლაში მოპირდაპირე მხარეთა მოციქულების ხმები გაისმა. ეს ხმები იმდროინდელი საშინაო ურთიერთობის ანარეკლია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს საელჩო მეტყველების მაღალ სოციალურ დანიშნულებაზე იმჟამინდელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ასეთივე დანიშნულებით იყენებდა ცოცხალ სიტყვას გიორგი III უკმაყოფილო „გლახაკთა“ და მარბიელ „მეკობართა“ წინააღმდეგ, რომლებიც მომრავლდნენ სამეფოში და შინაური წესწყობის მოშლით იმუქრებოდნენ. ამ გზით მეფე წარმატებით აწესრიგებდა ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილი ვითარების მნიშვნელოვან მხარეებს. ასე გავლენიანი საელჩო სიტყვა და მისი ძალით მოგვარებული საქმე უსწრებდა წინ თამარის გამეფებას.

თამარის მთელ ეპოქას, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მკვეთრად გასდევს ორი მოპირდაპირე პოლიტიკური ტენდენცია: |ცენტრალისტური — შეუზღუდველი თვითმპყრობელობის მომხრეობა და პარლამენტარისტული — შეზღუდული მონარქიის მიმდევრობა. ორივე ტენდენცია ხელს უწყობდა საელჩო მკვევრმეტყველების განვითარებას. | საქმე ის არის, რომ მათ შორის არსებული ბრძოლა, ერთი მხრით, მოითხოვდა შინაურ ურთიერთკავშირს, ხოლო, მეორე მხრით, გარეშე მოკავშირეებს. | ამ საჭიროებას უზრუნველყოფდა მკვევრი ზეპირი და წერიტი მეტყველება. ეს აპირისპირებდა საელჩო ორატორუ-

¹ ნ. ბერძენიშვილი და სხვ. — საქ. ისტორია, ტ. I, გვ. 190.

ლი ხელოვნების ფართო გასაქანსა და ახლებურ წარმატებას. ამასთან, ძალაში დარჩა და კიდევ უფრო განმტკიცდა ძველი ფაქტორი — უცხოეთთან ურთიერთობა, რაც ხსენებულ პირობებთან ერთად ქმნიდა საელჩო მკვერმეტყველების ახალი აღმავლობის სტიმულს. ყოველივე ეს დასტურდება თამარის თანადამხედური ფაქტობრივი მასალით. ქვემოთ ასეთი მასალის მიმართ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

გამეფების უმაღლვე მოუხდა თამარს მოციქულების მიგზავნა განდგომილ დიდგვარიანთა წინაშე და მათი დაშოშმინება მოლაპარაკების გზით. სამეფო კარის წარჩინებული მანდილოსნები ხოშაქ ცოქალი და კრავაი ჭაყელი გამოცხადდნენ აჭახყებულთა დასში, რომელსაც ვაზირი ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი მეთაურობდა, და მშვიდობიანი თათბირით ჩააცხრეს გამწვავებული უკმაყოფილება¹. უეჭველია, ბრძოლის პირამდე მისული საქმის მოგვარებაში მოციქულების სიტყვას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ ასეთი სიტყვის მოქმელებად თამარის მეფობისას ქალები გვევლინებიან, რაც მათი მაღალი სოციალური პრესტიჟის ნაჩვენებელია. ხოშაქ ცოქალი და კრავაი ჭაყელი, თავიანთ მბრძანებელთან ერთად, კლასიკური ხანის ქართული დიპლომატიისა და საელჩო მკვერმეტყველების წარმომადგენლები არიან. ისინი თამარის დროის გამოჩენილი მამაკაცების მხარდაშხარ იდგნენ და ცნობილი დიპლომატების „თანადგომით“ აწარმოებდნენ სახელმწიფო საქმეებს. ასეთი დიპლომატები იყვნენ: ანტონ გნოლისთავისძე, რატი ერისთავი, შალვა თორელი, სარგის თმოგველი, ზაქარია მხარგრძელი და სხვ.

მათ შორის განსაკუთრებით წარჩინებული ანტონი უნდა ყოფილიყო. მას ასე ახასიათებს თამარის ისტორიკოსი: „ნამღვლვე კაცი ღირსი ქებისა, კეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ, ეკლესიათა და მონასტერთათვის რადლა საჯხმარ არს თქუმად: თვთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მღვმესა და კლარჯეთს თვთ მის შიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუენს ვაზირად, მისცეს ჰყონდიდი, სამთავისი, კისის-წვევი და მწიგ-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 32.

ნობართ-უხუცესობა, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს“¹.

| შემდეგი შინამოციქულობა თამარს გაუმართავს გიორგი ბოგოლუბსკისა და მისი მომხრეების—გუზან ტაოელის, ბოცო სპასალარისა და ვარდან დადიანის წინაშე 1191 წელს, როცა ქვეყნის ორგულნი გამაგრდნენ იმერეთში და მახვილი აღმართეს მეფის წინააღმდეგ. ჩამჯერად თამარს მტრის ბანაკში მიუგზავნია თევდორე პატრიარქი და ანტონ ქუთათელი, რომელთა მოციქულობა უშედეგოდ დამთავრებულა. ისტორიკოსი წერს: „და თვით თამარ კელთა საუფლოთა და სიტყვთა ოქრო-ნექტარითა მრავალგზის მართლად იკითხავდა მიზეზსა მკვდრთა მისთაგან. ოდესმე თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთ-იმერით, სისხლთა დათხევამდის, და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათგან ვერას პირის მპოვნელი“².

ფეოდალური მონარქიის უმაღლეს საფეხურზე განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს ჩვენი ეპისტოლარული საელჩო მკვევრმეტყველება, რომლის კლასიკური ძეგლები დატულია თამარის ისტორიკოსთა ნაწერებში. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ბასილი ეზოსმოდერის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. ორივე თხზულებაში ჩართულია ქართული წერილობითი საელჩო სიტყვის შესანიშნავი ქმნილება — თამარისა და ნუქარდინის მიწერ-მოწერა. მეფისა და სულთნის წერილები აქ შემონახულია ოდნავ განსხვავებული ვარიანტებით, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ერთი წყაროდან მომდინარეობენ. ამას გვაფიქრებინებს მათი დიდი მსგავსება. ამით აიხსნება მიმოწერის დედნის ცდა, რაც ვარიანტების შეზავებით აწარმოეს XVIII ს-ში ვახტანგ მეექვსის სწავლულებმა³. ეს ცდა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მის შედეგად ჩვენ ხელთ გვაქვს ორატორული მიმოწერის საუცხოო ნიმუში. რომელიც ყურადღებას იქცევს მგზნებარე შინაგანი

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 122—123.

² იქვე, 50.

³ იქვე, 135.

პაიოსით და ლამაზი გარეგნული ფორმით. ამ ღირსეული მხარეების გაერთიანება და საერთო გამართვა, რაც არსებითად ისტორიკოსებს უნდა მივაწეროთ, კლასიკური მკვებრმეტყველების დონეზეა წარმოებული და მისი ოფიციალური სახის მაჩვენებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის თამარის მიმართვაზე, რომელიც ნუქარდინის წერილის პასუხს წარმოადგენს და თავისი უზადოებით მსოფლიო მნიშვნელობის ორატორული ეპისტოლეა. ინტერესმოკლებული არ არის ნუქარდინის წერილიც, რომლის რედაქცია, ცხადია, ქართველ ავტორს ეკუთვნის და მისი ორატორული ოსტატობის მაუწყებელია.

ნუქარდინის წერილი კადნიერებით სავსე სიამაყის მკაცრი ღაღადია, რომლის უხეშად მკლერი დინება უნებურად ეუფლება მკითხველისა თუ მსმენელის ცნობიერებას.

ის ასეა წარმოდგენილი ბასილის თხზულებაში:

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა-ქუეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოკმედისაგან, მოგიმცნობ შეფესა ქართუელთასა თამარს. შენ გიბრძანებია ქართუელთად აღებად ჳრმალთა, და ღმერთისაგან საყუარელისა ისლემთა ერისა დაჯოცად და კუალად ნათესავისა ზედა თავისუფალსა დაღებად ხარკი ყმებური. და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი, არაოდეს კადრებად აღებად ჳრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო. რომელმან უწინარეს მოსლვისა ჩემისა თაყუანი მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა, და უარჰყოს სჯული შენი და კელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჳვარისა, რომლისა მიმართ დაგიტ ცუდი სასოებაჲ და აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა“.¹

თამარის ეპისტოლე, როგორც აღინიშნა, დიდი მნიშვნელობის ორატორული ქმნილებაა, რომლის გავლენა მკვეთრად იგრძნობა მომდევნო დროის ქართულ კაზმულ მიმოწერაში.

ის იწყება „ღმრთის ძალის“, ღვთისმშობლისა და „პატი-

¹ ბ. ეზოსმოძღუარი — ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 26.

ოსანი ჯუარის“ ხსენებით, რომელთა „სასოებით მოსავი“ მეფე იქვე ცვლის მოკრძალებულ ტონს და მრისხანე გაფრთხილებით მიმართავს სულთანს: „ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიამის მედრებელმან, და პატიოსნისა ჯუარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჰი ნუქარდინ, და ვსცან სიკრუენი შენნი, რომელთა ბჳე ღმერთი იყოს; არა გასმიესა, რამეთუ „ყოველი ცრუდ მფუცავი სახელსა ღმრთისასა მის მიერ აღიჯოცოს“?

შემდეგ თამარი ოქროთი შეკოწიწებულ მებრძოლთა სიმრავლეს ასახელებს იმ ძალად, რომელსაც მტერი მინდობია და საპირისპიროდ დასძენს: „ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუათა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ“.

წერილის მეორე ნახევარი შეუფარავ მუქარას წარმოადგენს: „ესე-რა-ვითარი შემოგეთულა, წარმომივლენია მკედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანის-ცემად, არამედ დამჯობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა“.

იქვე საზეიმო მოწოდებაა გამოთქმული და გამაფრთხილებელი მხილებით მთავრდება წერილი: „ხოლო მე უწყი დაქსნილობა მსახურთა შენთა. ამისთვის წარმომივლინეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი აღრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერქნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან“.

დასასრულ. შეიძლება ვთქვათ: თამარის დიპლომატიის გავლენიანი ხმა გაისმის XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე თითქმის მთელ მსოფლიოში — რუსეთსა და იმიერკავკასიაში, შარვანსა და რანში, რუმსა და ბიზანტიაში, ირანსა და შაპარმენში. მათთან საომარ თუ მშვიდობიან ვითარებაში მუდამ პატრიოტული მოწოდების სიმალლეზე დგას ქართული საელჩო სიტყვა, რომელიც საქმესთან ერთად გამოხატავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. |

გიორგი-ლაშას ხანმოკლე მეფობაში (1213—1222) დასაბამი მიეცა რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა და საქართველოს უზენაეს პირთა პოლიტიკურ ურთიერთობას, რამაც სხვა ფაქტორების გვერდით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული დიპლომატიური აზროვნებისა და საელჩო მკვევრ-მეტყველების განვითარების საქმეში XVIII ს-ის ბოლომდე. პირველ ხანებში ეს ნაკლებად შეინიშნება, მაგრამ XV საუკუნეში იდნან, როცა გაძლიერდა კათოლიკე მისიონერების სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ, ახალი ძვრები აღინიშნა მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსსა და ფორმებში. ეს ცვლილება საელჩო მეტყველებასაც შეეხო. უფრო ადრე, XIII—XIV საუკუნეებში, პირველადობს სხვა ძალა, რითაც განისაზღვრა დიპლომატიური კავშირის სახეები ფეოდალური მონარქიის დაქვეითების დროს. ასეთ ძალად მონღოლთა ექსპანსია გვევლინება.

აქ უნდა აღინიშნოს: მონღოლთა ბატონობის მძიმე პერიოდში საქართველომ არსებითად შეინარჩუნა მონარქიული წყობა და მისი დიპლომატიური აპარატი, მასთან, თვითმყოფი მკვევრმეტყველებაც. ეს აიხსნება არსებული სისტემის გამძლეობით. რაც აღინიშნა მისი მახლობელი ნიშნების ხანგრძლიობითა და კლასიკური პერიოდის ფარგლების გაფართოებით.

▲ XIII ს-ის პირველ ნახევარში რომთან ურთიერთობის ისტორიიდან ჩვენთვის საყურადღებოა რომის პაპებისა და ქართველ. მეფეთა მიწერ-მოწერა. 1220 წელს პონორიუსმა წერილით სთხოვა გიორგი-ლაშას ჯვაროსნულ ომში შემწეობა. გიორგიმ შეიწყნარა პაპის თხოვნა და სამზადისს შეუდგა, მაგრამ მონღოლთა მოულოდნელად გამოჩენამ და მეფის ნაადრევად სიკვდილმა ჩაშალა ეს წამოწყება. /

1223 წელს პაპს წერილი გაუგზავნა რუსუდან დედოფალმა — მოკლედ აცნობა ძმის სიკვდილი, თავისი გამეფება და ვრცლად აუწერა მონღოლთა შემოსევა.

რუსუდანი წერს: „როგორც უდიდესი და უმაღლესი ბრძანდებით, ისე ღვთისაგან იმედი მაქვს, უფალმა შეგისრულოსთ ყოველი თქვენი გულითადი ნატვრა. უკეთუ თქვენდამი წარმოგზავნილი წერილის გამო ჩვენთვის გულმოწყალე ხართ და იკითხავთ ჩვენს ამბავს, ვაუწყებთ თქვენს სიწმიდეს, რომ ძმა

ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე შერგო. აწ ვითხოვ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიერთში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყუეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანიით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ. ბევრიც დავატყუვეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენი ქვეყნიდგან გავდევნეთ. აი ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით“.

იქვე რუსუდანი აღუთქვამს პაპს ჭვაროსნულ ომში ჩაბმას და მოითხოვს ერთობლივი ბრძოლის დროისა და ადგილის დასახელებას. დასასრულ, მეფე ახსენებს თავის ელჩს დავით ეპისკოპოსს და მისადმი სრულ რწმენას სთავაზობს ადრესატს.

რუსუდანთან ერთად რომის პაპს ანალოგიურ წერილს უგზავნის საქართველოს მხედართმთავარი ივანე მხარგრძელი.

1224 წლის 12 მაისს პონორიუსმა წერილებით უპასუხა მეფესა და მის მხედართმთავარს.¹ მეფისადმი მოწერილ ვრცელ წერილში მოწონებულია ქართველთა პოლიტიკა და გამარჯვების რწმენით სავსე სიხარულია გამოხატული.

1233—1240 წლებში რუსუდანისა და მის ძეს დავითს რამდენიმე წერილს უგზავნის რომის ახალი პაპი გრიგოლ IX. ეს წერილები პასუხია დედა-შვილის წერილებისა, რომლებიც, სამწუხაროდ, არ შენახულა, მაგრამ მათი პასუხიდან ჩანს, რომ ქართველებს მონღოლთა შემოსევით შექმნილი მდგომარეობა აუწერიათ თავიანთ წერილებში და დახმარება უთხოვიათ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ თხოვნას რომის მთავრობა მხოლოდ სიტყვით გამოეხმაურა.

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 9—12.

ასეთი შედეგი დამახასიათებელია საქართველოსა და რომის პოლიტიკური ურთიერთობისათვის. ამის უმთავრეს მიზეზს მხარტა ინტერესების სხვადასხვაობა წარმოადგენს — რომი იბრძოდა კათოლიკობის გასავრცელებლად, საქართველო ეძებდა სამხედრო დახმარებას. ცალმხრივი ინტერესებით შეპირობებულ კავშირს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ასეთი ურთიერთობის პირველი ფაზა გაგრძელდა XIV ს-ის შუა წლებამდე.

რუსუდანის შემდეგ რომის პაპებთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ დავით ნარინს (1245—1293), დემეტრე თავდადებულს (1271—1289) და გიორგი ბრწყინვალეს (1314—1346). მათთან ერთად რომში წერილებს გზავნიდნენ მაღალი სასულიერო პირები.

სამწუხაროდ, ეს წერილები არ შენახულა, მაგრამ მოღწეულია მათი პასუხები.¹ საიდანაც ჩანს ქართველ ხელისუფალთა დაუცხრომელი სწრაფვა — რომის დახმარებით ეხსნათ სამშობლო მონღოლთა ხელყოფისაგან. ეს მისწრაფება აღმოჩნდა უნიადაგო.

XIII ს-ის შუა წლებში მონღოლები გაბატონდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. ამიერიდან ქართული დიპლომატიის ერთი ნაკადი მიიმართა აღმოსავლეთისაკენ: ასი წლის განმავლობაში ქართველ-მონღოლთა ურთიერთობა იქცა ჩვენი პოლიტიკის უმთავრეს საქმედ. ამ საქმის შინაარსისა და ფორმის საკითხებს გვაცნობს უ ა მ თ ა ა დ მ წ ე რ ლ ი ს „მონღოლთა დროინდელი ისტორია“, რომელიც XIV საუკუნეშია დაწერილი და მახლობელი წარსულის ვითარებას გვისახავს. აქ ჩვენთვის საყურადღებოა ქართული დიპლომატიის წარმოების ფორმა, კერძოდ, სიტყვის მეშვეობით გამოხატული ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობის კვალს გვიჩვენებს უ ა მ თ ა ა დ მ წ ე რ ლ ი ს ისტორიაში აღწერილი ბევრი ელჩობა-მოციქულობა.

მათ შორის ყურადღებას იქცევს ავაგ ათაბაგისა და შანშე მანდატურთუხუცესის ელჩობა ნოინების ურდოში, სადაც ისინი სხვადასხვა დროს გამოცხადნენ, მაგრამ ერთი მიზნით — ზავის სათხოვნელად. ეს მიზანი მიღწეული იქნა. საგულისხმობა, რომ ავაგის ელჩობას წინ უსწრებდა პოლიტიკური ნიადაგის

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 14—26.

მოსინჯვა, რაც მტრის ბანაკში მივლინებულ მოციქულებს მოუხდენიათ. ავაგისა და შანშეს ელჩობას თავის მხრივ მოჰყვა რამდენიმე წარმატებული დიპლომატიური შეტევა. ვიდრე მათ განვიხილავდეთ, მოვუსმინოთ ისტორიკოსს: „მოვიდეს რა მოციქულნი ავაგისანი... მაშინ წარვიდა ამირსპასალარი ავაგ, დამდები სულსა მისსა ქუეყანისა მისისათჳს, და მივიდა ჩორმაღანს, ჩაღატას, ბიჩუსა და იოსურს წინა, რომელთა იხილეს, და პატივ-სცეს, და შეიყუარეს, და მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს... ვითარ დამშჳდნა ქუეყანა ავაგისი და ცნა შანშე მანდატურთუხუცესმან ზავი ავაგისი და თათართა, უვნებელად დაცვა ინება ქუეყანისა, დაცვა ზავითა მყოფელი, და ავაგსცა მიუმცნო, უკეთუ მიუმცნოს და მივიდეს ხილვად თათართა. ამისნი მცნობელნი თათარნი სიხარულით შეიწყნარებდეს, რომლისათჳს მიუმცნეს მითვე ოქროსა საფიცართა მტკიცე ფიცი უვნებლობისა. და წარვიდა შანშეცა და იხილნა იგინი, რომელთა შანშესცა ფრიადი პატივი უყვეს, და ანინი და მათ ძიერ წაღებული მისი ქუეყანა ყოველი მისცნეს, და მცველნი დაუდგინნეს ქუეყანასა შინა. და ვინცა მოვიდის ქართველთა მთავართაგანი, პატივითა შეიწყნარიან. ხოლო ურჩთა ქუეყანა მოისრეოდან“.¹

შემდეგი დიპლომატიური ცდებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა რუსუდანის საელჩოს მივლინება მონღოლთა დიდურდოში საერთო ზავის გამოსათხოვად. მას შემდეგ, რაც გაირკვა ავაგ ათაბაგისა და შანშე მანდატურთუხუცესის სეპარატული ზავის ამბები, ერთი მხრით, საჭირო გახდა საერთო ზავი და, მეორე მხრით, ნათელი შეიქნა მისი მიღწევის შესაძლებლობა.

ამით აიხსნება რუსუდანის ნაბიჯი: მან თავისი ნაცადი დიპლომატები — ავაგ ათაბაგი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი და შოთა კუპარი წარგზავნა შიდა მონღოლეთში და უვნებლობის აღთქმით დამტკიცებული ზავი მოითხოვა.² ასეთი ზავის მისაღწევად მეფემ საკუთრივ „განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თჳსი დავით და მოანდოს თათართა“³. ამას-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 190.

² იქვე, გვ. 192.

³ იქვე.

თან, ამავე მიზნით რუსუდანმა თავისი ვაზირთა უპირველესი არსენ მწიგნობართუხუცესი უშუალოდ ბათო ყაენთან მიავლინა ჩრდილოეთში¹.

ამ ცდებს მოჰყვა: ზოგადი ხასიათის პოლიტიკური ზავი, რუსუდანის გადმოსვლა ქუთაისიდან თბილისს და დავითის ხანგრძლივი გადაკარგვა ბათოს საბრძანებელში. ეს ამბები მოხდა 1240-იანი წლების დასაწყისში. 1245 წელს გარდაიცვალა რუსუდანი და ერთ ხანს უმეფობა დამყარდა საქართველოში.

რუსუდანის ზემოხსენებულ მოციქულებში ყურადღებას იქცევს შოთა კუპარი, რომელიც რუსთველოლოგიურ ძიებაში თეიმურაზ ბაგრატიონისა და პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრებით იგივე შოთა რუსთველია. პირველმა ეს მოსაზრება გამოთქვა 1840-იან წლებში, ხოლო მეორემ ის გააღრმავა და ახალი არგუმენტებით შეავსო ჭერ 1920-იან წლებში და შემდეგ 1960-იანი წლების დასაწყისში².

გენიოსი მგოსნის ელჩად წარგზავნაში მონღოლეთის საყაენოს კარზე მოულოდნელი არაფერია. უკანასკნელი დროის სამეცნიერო მონაპოვრისა და საგანგებო კვლევა-ძიების წყალობით დღეს უცილობლად დადგენილია, რომ რუსთველი თამარისა და მისი მემკვიდრეების უახლოესი სახელმწიფო მოღვაწე და წარჩინებული კარისკაცია. კერძოდ, ის არის საქართველოს ვაზირი მექუტურქლეთუხუცესის, რომელსაც შეეძლო თავისი მაღალი თანამდებობისათვის შეეთავსებინა სხვა მოვალეობა, ვთქვათ, დიპლომატიური „ხელისმქონებლობა“.

ამ უკანასკნელის ნიშნებს მკვეთრად ატარებს შოთა რუსთველის სახელმწიფო მოღვაწეობა, რაც საკმარისად ირკვევა იერუსალიმის ჭვარის სავანისა და მისი სამონასტრო მატიანის მასალით, კერძოდ, შოთას პორტრეტით, მისი წარწერით, ტაძრის ეპიგრაფიკული ძეგლითა და მგოსნის მოსახსენებელი აღაპით. აქ უნდა გავიხსენოთ შოთას დროინდელ მსოფლიოში წარმოებულ დიპლომატიური მისიები, რომლებიც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების დანტეს, პეტრარკასა და ბოკა-

1 ი. ჭავჭავაძის შვილი — ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 23.

2 თ. ბაგრატიონი — განმარტება..., გვ. 291—292, პ. ინგოროყვა — თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 120—126, 670—671.

ჩოს სახელებს უკავშირდებიან¹. თავის დროზე არც მათი ქართველი წინამორბედის ელჩობა იქნებოდა შეუძლებელი. პირიქით, სწორედ ლამაზი და ბრძნული მეტყველების ისეთ ხელოვანს, როგორც რუსთველია, უნდა ეკისრა ისეთი რთული ამოცანის გადაჭრა, როგორც მონღოლეთთან ურთიერთობა იყო. უნდა ვიფიქროთ, ასეც მომხდარა. თუ ქამთააღმწერლის შოთა კუპარი იგივე შოთა რუსთველია, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი თავისი დროის გამოჩენილი დიპლომატი და საელჩო მკვერმეტყველია. ის მოსილია ქვეყნისათვის თავდადებული გმირის ნათელით და ერის თვალწინ დგას უზომოდამსახურებით ვალმოხდილი მამულიშვილის სახით.

გარდა ხსენებული საელჩოს თაოსნობისა, შოთა ასრულებს ბევრ საშინაო და საგარეო ხასიათის პატრიოტულ მოვალეობას XIII ს-ის პირველ ნახევარში და მუდამ მარჯვე, მტკიცე და განუხრელი პოლიტიკით იბრძვის ქვეყნის რღვევისა და დაქვეითების წინააღმდეგ: ის მონაწილეობს კონტის-თავის შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა მონღოლთა ბატონობის მოსპობას სამხედრო აჯანყების გზით²; თან ახლავს დავით რუსუდანის ძეს დიდი ყაენის ურდოში, რათა მიაღწიოს მის მეფედ დამტკიცებას საქართველოს ტახტზე³; ზემოთ ეგებება რუმის სასულთნოდან დაბრუნებულ დავით გიორგის ძეს, რომლის გამეფება განიზრახეს ჩვენში მას შემდეგ, რაც შეწყდა ცნობები ურდოში დიდხანს უპასუხოდ დაყოვნებული დავით რუსუდანის ძის შესახებ, ხოლო საქართველოში უზენაეს ხელისუფლებას წაეპოტინა განდიდებული ფეოდალი ეგარსლან ბაკურციხელი⁴.

ეს უკანასკნელი უმეფობის დროს იმდენად აღზევებულა, რომ წარჩინებულ მომხრეთა დასი შეუქმნია და ტახტის კანონიერი მემკვიდრეების პირისპირ დამდგარა. ამ წარმატების ერთ პირობად ისტორიკოსი იმას თვლის, რომ ეგარსლანი იყო „კაცი ღრმად მოუბარი“⁵. როგორც ჩანს, მისი თაოსნობით

¹ История дипломатии, т. I, стр. 158.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 215.

³ იქვე, გვ. 192, 195.

⁴ იქვე, გვ. 217—219.

⁵ იქვე, გვ. 207.

მოქმედი დასისათვის ეფექტური წინააღმდეგობა გაუწევია ტახტის მემკვიდრეების მომხრეთა დასს, რომელსაც შოთა კუპარი მეთაურობდა.

ერთი სიტყვით, ვიმეორებთ, თუ ჟამთააღმწერლის შოთა კუპარი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაშინ შოთა რუსთველის პოეტური გენია, ჩანს, დიდი დიპლომატისა და მჭევრმეტყველის ტალანტსაც ითავსებდა. უკეთეს ისინი სხვადასხვა პირებია, მაშინ ჰერეთის ერისთავის შოთა კუპარის სახით XIII ს-ის პირველ ნახევარში ავაგ ათაბაგის, შანშე მანდატურთუხუცესის, ვარამ გაგელის, ყვარყვარე ციხისჯვარელის, სარგის თმოგველის, ცოტნე დადიანისა და გრიგოლ სურამელის გვერდით ჩვენ გვყავს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც გამოიჩინებოდა თავისი დიპლომატიური ხელოვნებითა და ორატორული ნიჭით.

ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული მასალები, მიუხედავად იმისა, რომ ერთგან აქ შოთა კუპარი იხსენიება როგორც „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“¹. მეცნიერებაში გამოთქმული აზრით, ეს აიხსნება იმ მტრობით, რაც რელიგიური მსოფლმხედველობის სხვაობის საფუძველზე არსებობდა ჟამთააღმწერელსა და რუსთველს შორის².

1240-იანი წლების დასაწყისში, როცა გაუქმდა ჩვენში მონღოლური დუმნისთავობა, დამთავრდა უმეფობის ხანა და ორად გაყოფილ სამეფოში ორი მეფე მოგვევლინა: დასავლეთ საქართველოში — დავით ნარინი რუსუდანის ძე და აღმოსავლეთ საქართველოში — დავით ულუ გიორგის ძე. ისინი ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ დაბრუნდნენ ყარაყორუმიდან და თანხმობით შეუდგნენ მოშლილი სახელმწიფოებრივი წყობის აღდგენას.

ერთ ხანს ქართველი მეფეები მშვიდად მართავდნენ თავიანთ მიწა-წყალს, მაგრამ 50-იანი წლების ბოლოდან ისინი აუჯანყდნენ მონღოლებს და ბრძოლით შეხვდნენ ყაენის აგრესიას, რაც 1264 წელს ქართველთა დამარცხებით და დავით ულუს გასამართლებით დამთავრდა. სასამართლოში, რომელიც

¹ იქვე, გვ. 195.

² პ. ი. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა — თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 123—126.

შედგა ჰულაუ ყაენის მთავარ ბანაკში, მეფეს თან ახლდა წარჩინებული კარისკაცი სარგის ჯაყელი, რომელმაც დაიბრალა აჯანყების მოწყობა და ცხადყო მისი გამომწვევი მიზეზი — მონღოლური ხარკის სიმძიმე.

ესაუბრისხმია, რომ ხსენებულ სასამართლოში თარჯიმნად გამოვიდა ყაენის კარის გავლენიანი მოხელე „ენა-კეთილი და სიტყვა-მარჯვე“ ქართველი აზნაური სადუნ მანკაბერდელი. მხარეთა შორის გამართულ ცხარე კამათს ასე აგვიწერს ისტორიკოსი: „და განმრავლდა სიტყუა მათ შორის და მრავალგუარად უბნობა, რომელთა არა არს ეამი თქმად და წერად. და შეფეცა მრავალსა რასმე იტყოდა, და ენუქ არქუნ და დიდი იგი ნოინი სხდეს შუა და სადუნი იგი კეთილად თარგმნიდა, და კაზმევდა თქმულთა მეფისათა, რამეთუ მეფე ენა-მძიმე იყო მცირედ, მანკაბერდელი სადუნი კეთილ-მეტყუელებდა, და ყოველნი მოელოდეს ბოროტის ყოფასა მეფისათჳს, და სიკუდილსა სარგისისსა“¹.

უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ბრალდებულები ამჯერად იხსნა ქართულმა დიპლომატიამ და იმ ხანებში ურდოებს შორის წამოწყებულმა ბრძოლებმა, რაც მონღოლეთის დაშლის დასაწყისს მოასწავებდა, მაგრამ საერთო დაქვეითების პროცესში საქართველოს ჩათრევასაც ნიშნავდა.

XIII ს-ის მეორე ნახევარში გაღრმავდა ჩვენი გათიშულობა. მეფეთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. დავით ულუ ყაენს დაემორჩილა. დავით ნარინი თავს აღწევს მონღოლთა ბატონობას. დიდგვარიანი ფეოდალები კიდევანურ პოლიტიკას აწარმოებენ. მათ შორის უფრო გავლენიანი, ერთ დროს მეფის ერთგული, სარგის ჯაყელი 1266 წელს სამცხის სამთავროს გამოყოფს თავის ხელქვეით.

ესე დახლართულ ისტორიულ ვითარებაში დავით ნარინი შეტად აქტიურ ბრძოლას აწარმოებს ჰულაუ ყაენის ჩამომავლობის (ილხანების) წინააღმდეგ: 1260-იან წლებში დესპანებით უკავშირდება ეგვიპტის კარსა და ოქროს ურდოს, იქმნის დიპლომატიურ საყრდენს და იმორჩილებს ტრაპიზონის საკეისროს ნაწილს, სადაც აღადგენს ქართულ გავლენას, და სიკედილამდე (1293) მდგრად ეურჩება ილხანთა მოძალეობას. |

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 248.

უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველო, რომლის მიწა-წყალს განუკითხავად ინაწილებდნენ შინაური და გარეშე მტრები. ქვეყნის უმთავრეს უბედურებას ისევ მონღოლთა ბატონობა წარმოადგენდა. ამით ძალმოსილ ორგულ ფეოდალებს წამდაუწუმ უხდებოდათ პოზიციების შეცვლა. პოლიტიკური ამინდის მიხედვით მოძრაობდნენ ცენტრის მესვეურებიც, რომლებსაც დავით ულუ ხელმძღვანელობდა. მეფის საკმაოდ ენერგიული, მაგრამ სავსებით უშედეგო ცდები შეწყდა მისი სიკვდილით 1270 წელს.

ამიერიდან 1289 წლამდე საქართველოში მეფობს დემეტრე თავდადებული. ამ ხნის მანძილზე წარმოებულ საგარეო პოლიტიკაში ყურადღებას იქცევს საქართველოს კავშირი ეგვიპტის სასულთანოსთან. საქმე ის არის, რომ ეგვიპტე X-III ს-ის უკანასკნელ მეოთხედში მხნედ შეებრძოლა მონღოლებს სირია-პალესტინაში. ამით შემზადდა ნიადაგი ახალი დიპლომატიური მიმართებისათვის, რაც 1280-იან წლებში წარმოიქმნა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის და უმაღლვე სამხედრო ჩარევით აღინიშნა. დემეტრე მეფის ჯარი ეგვიპტის სულთნის მხარდამხარ იბრძოდა ძღვევამოსილ ომებში საქართველოს სამხრეთით.

XIII—XIV საუკუნეთა მიჯნა უმნიშვნელო საფეხურია ქართული დიპლომატიის გზაზე. დაშლილ საქართველოში ვიწრო პოლიტიკური ინტერესები გაჩნდა. მოიშალა საგარეო კერები, შეიზღუდა მოქმედების არე. ქვეყანა შეიპყრო ინერტულმა უძრაობამ.

მდგომარეობა შეიცვალა 1314 წლიდან, როცა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გამეფდა გიორგი ბრწყინვალე. აქედან მოკიდებული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე განუხრელი აღმავლობის გზაზე დგას ჩვენი სამშობლო. უწინარეს ყოვლისა მეფემ ქვეყნისთვის ხელსაყრელი ურთიერთობა დაამყარა ყაენის კართან. ამით შეიმატა ძალა, შეიძინა მომხრეები და უზრუნველყო სიმტკიცე. 1316 წელს გიორგიმ იმოგზაურა ილხანების ურდოში, სადაც დაიმეგობრა უწლოვანი აბუსიად ყაენის დიდი ვაზირი ჩოფან ნოინი, რომლისგანაც მიიღო „ყოველი საქართველო“ და ნდობა-უფლებით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში. ამ წინამძღვრების წყალობით

მეფემ შეძლო ძირეული ამოცანების გადაჭრა: დაიმორჩილა განზე გამდგარი ერისთავები, შემოიმტკიცა მათი საქმთავროები, შეაჩერა მთიელთა მოძალება, მოაწესრიგა სოციალური უთავბოლობა და შეამზადა სანუკვარი მოსაპოვარი — მთლიანი საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს საწადელი შესრულებული იქნა.

გიორგი ბრწყინვალემ ისარგებლა მონღოლეთში ატეხილი შინაური შფოთით — გარეკა მტერი სამშობლოს დიდი ნაწილიდან და ხარკის გადახდა შეუწყვიტა ყაენს. აბუსაიდ ყაენის სიკვდილის (1335) შემდეგ საბოლოოდ დაეცა ილხანთა სახელმწიფო, რომელიც ჯერ მომთაბარე ტომების შინაომმა მოიცვა და შემდეგ ცალკე ერთეულებად დაიშალა.

მთელი საუკუნის მანძილზე მოძალადე მონღოლთა აღსასრულს მოჰყვა საქართველოს გაერთიანება: 1329—1334 წლებში მეფემ შემოიერთა დასავლეთ საქართველოს სამეფო და სამცხის სამთავრო, შექმნა მყარი ეკონომიკა და აღადგინა ერთიანი სახელმწიფოებრივი წყობა.

საერთო წინსვლის კვალდაკვალ გაფართოვდა და გაუმჯობესდა ქვეყნის დიპლომატიური ქსელი: გაცხოველდა ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან, ახლო აღმოსავლეთთან, ბიზანტიასა და ტრაპიზონთან; კათოლიკური რომის სააზიო მისიონი ქ. სმირნიდან გადმოტანილი იქნა თბილისში.

გიორგი მეფის დიპლომატიის ერთ შესანიშნავ შედეგს წარმოადგენს მეგობრული ურთიერთობა ეგვიპტესთან. რამდენიმე საისტორიო წყაროს ჩვენებით მეფეს 1316-სა და 1320 წლებში ელჩები მიუგზავნა ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმის ქართული კოლონიის საკითხების მოსაგვარებლად. ამ ცდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე ელჩობა, რომელსაც ქსნის ერისთავთა შთამომავალი პიპა ქვენიფნეველი მეთაურობდა. სხვებთან ერთად პიპას საელჩოში შედიოდა იოანე ბანდასძე, რომელიც აგრეთვე ერთი იმდროინდელი თვალსაჩინო დიპლომატი უნდა ყოფილიყო. პიპას და იოვანეს მეფის პატრიოტული დავალება სასახელოდ შეუსრულებიათ¹. ეჭვი

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 444—445. ე. მეტრეველი — მასალები..., გვ. 44—48. პ. ინგოროყვა — თხზულებათა კრებული ტ. I, გვ. 768—769.

არ არის. ამ საქმეში მათ ორატორული დახელოვნება ხელს შეუწყობდა.

გიორგის ღვაწლით აღმავალი საქართველო წინსვლას ვანაგრძობდა 80-იან წლებამდე. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ბაგრატ მეხუთის მეფობის (1360—1393) დასაწყისში. ამ დროს განმტკიცდა კავშირი ოქროს ურდოსთან, მცირე აზიის ქვეყნებთან და ჩრდილო იტალიის ქალაქებთან. ასეთი ვითარება გაგრძელდა 1386 წლამდე, თემურ-ლენგის პირველ შემოსევამდე. დიდი დამპყრობლის წინამძღოლობით თათარ-თურქ-შანთა ურდოების რვაგზის შემოქრამ, რაც მოხდა 17 წლის მანძილზე, XV ს-ის დასაწყისისათვის გატეხა ქართველი ხალხის ფიზიკური ძალა და დაშლის გზაზე დააყენა საქართველო. ამით დამთავრდა ველურ მომთაბარეთა და განათლებულ ქართველთა ხანგრძლივი ომი, რასაც მოჰყვა ჩვენი გავლენის მოშლა კავკასიის მთქმე-მეზობლებში და საქართველოს განცალკევება მსოფლიო არენაზე.

ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდის საელჩო მკვივრმეტყველება

ფეოდალური საქართველოს მონარქიის რღვევის პროცესი, რაც მონღოლთა შემოსევით დაიწყო XIII ს-ის 30-იან წლებში, „ყოველი საქართველოს“ დაშლით დამთავრდა XV ს-ის 70-იან წლებში. გარედან მოქმედი დანაწილების ტენდენცია და შიგნით არსებული სათავადოების სისტემა ხელს უწყობდა ქვეყნის დაქუცმაცებას, რასაც ჯერ დამოუკიდებელი სამეფოების წარმოქმნა მოჰყვა და შემდეგ მათგან გამოთიშული სამთავროების შექმნა. ამ გზით ჩვენში ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს, სამეგრელო-აფხაზეთისა და გურიის სამთავროები. მათ შორის ყველაზე ადრე განცალკევდა სამხრეთ-დასავლეთის ზღუდე — სამცხე-საათაბაგო, რომელიც დიდხანს მონღოლეთს ექვემდებარებოდა, ხოლო ბოლოს თურქთა ბატონობაში მოექცა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება უძღური აღმოჩნ-

და შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში — მას არ გააჩნდა საიმედო საყრდენი ძალა ფეოდალური განდგომისა და ისლამური შემოტევის შესაჩერებლად.

მტრული გარემოცვის უმძლავრეს ძალას იმ დროს თურქეთი წარმოადგენდა. ბალკანეთზე გამარჯვების შემდეგ 1396 წელს ის ამარცხებს ანტითურქულ კოალიციას, იმორჩილებს საბერძნეთს, 1453 წელს იღებს კონსტანტინოპოლს, ანადგურებს ბიზანტიას და მომდევნო ხანებში იპყრობს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებს.

ამ ისტორიული მოვლენებიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზანტიის დაცემა იყო. კონსტანტინოპოლის მარცხით არა მარტო შეწყდა ათასი წლის მანძილზე არსებული ქრისტიანული ქვეყნის სიცოცხლე, არამედ მჭიდროდ ჩაიკეტა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის კარი. ამიერიდან საჭირო გახდა ახალი გზების ძიება კულტურული მსოფლიოსაკენ. ამას მოითხოვდა ჩვენი ფიზიკური და სულიერი არსებობის შენარჩუნება. ამან განსაზღვრა ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდში ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, ქართული დიპლომატია.

ჩვენი მოწინავე ადამიანები უმთავრესად ორი საშუალებით ცდილობდნენ პოლიტიკური იდეალების მიღწევას — ქვეყნის შინა გაერთიანებითა და გარე სამყაროსთან ურთიერთობით. საქართველოს რღვევის სათავეიდანვე მიმართავდნენ ჩვენში ორივე საშუალებას, მაგრამ XV საუკუნიდან უფრო გარე სამყაროსაკენ, კერძოდ, რუსეთისაკენ ლტოლვა შეინიშნება.

ამ მოვლენის ასახსნელად უნდა აღინიშნოს, რომ „XV საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის სახელმწიფო შინაგან გაერთიანებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღწევს და სრულიად მარტივად წარმოიშვა აზრი იმის შესახებ, რომ ამიერიდან ბიზანტიის როლს აღმოსავლეთ ქრისტიანების მიმართ რუსეთი და მისი ხელმწიფე შეასრულებდა“¹.

ამან შეაპირობა იმდროინდელი ქართული დიპლომატიის უმთავრესი უბანი — რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური თა-

¹ ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 263.

ნამშრომლობა. მასთან ერთად გრძელდება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან.

ამრიგად, ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდის ქართული დიპლომატია ორი მიმართულებით ილტვის: ჩრდილოეთით — რუსეთისაკენ, და დასავლეთით — იტალია-საფრანგეთისაკენ.

დასავლეთით მიმართული ქართული დიპლომატიის ერთი ადრინდელი ღონისძიება, რომელმაც ევროპის ქვეყნების განდგომის გამო ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი, იყო საქართველოს სამეფო-სამთავროების მონაწილეობა ანტითურქულ კოალიციაში. კოალიციის მოწყობის ინიციატივა რომის პაპებს ნიკოლოზ V-სა და კალიქსტი III-ეს ეკუთვნოდათ. ამ უკანასკნელის დესპანის ლუდოვიკო ბოლონიელი 1459 წელს გამოცხადდა საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446—1466) წინაშე და თურქეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიიწვია ის. მეფემ აღუთქვა დესპანს საქართველოს სამეფო-სამთავროების მონაწილეობა მომავალ ომში და თავის მხრივ საკუთარი კოალიციის გეგმა შეიმუშავა. ასე გაერთიანდნენ საქართველოს მეფე და სამცხის, სამეგრელო-აფხაზეთისა და გურიის მთავრები. ამ პერიოდს ეკუთვნის გიორგი VIII-ისა და ვვარყვარე ათაბაგის წერილები ბურგუნდიის მთავართან.

გიორგის წერილში ნათქვამია:

„ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის დუკას, მე, გიორგი საქართველოს მეფე, მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. ამ წიგნს გწერთ, რათა სცნოთ, რაც ვჰყავით ამჟამად აღმოსავლეთში. აწ უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევფიცენით, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინეპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა... აწ თუმცა ამ მორიგეობამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც კი მოხარული ვარ, რადგან ამის მაგიერად ღვთისაგან მოველი სულიერ სასყიდელსა. აწ, სხვას არაფერს გწერ, რადგან ჩვენს ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნი ჩემს ელჩსა, რომლისგან ყველაფერს შეიტყობთ და რომელსაც გავედრებ. მას მოუხსინეთ“.

ყვარყვარეს წერილში ნათქვამია:

„დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყე, რომ ძლიერ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმინდა სარწმუნოების პატივსა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმიდესი სარწმუნოების დასაცველად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დავსდვა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა... დასასრულ, უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გააჩვენებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ველარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლავართ“.

1460 წელს გიორგი მეფემ და ყვარყვარე ათაბაგმა 5 ღუპანისაგან შემდგარი საელჩო მიუვლინეს დასავლეთის ქვეყნებს ნაცადი დიპლომატის ნიკოლოზ ტფილელის მეთაურობით. მეფე-ათაბაგის დესპანები წარდგნენ ჯერ გერმანიის იმპერატორის, შემდეგ ვენეციის სენატისა და, დასასრულ, რომის პაპის წინაშე და საქართველოს საომარი მზადყოფნა მოახსენეს მათ. პაპთან შეხვედრისას ნიკოლოზ ტფილელმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელსაც თავის ადგილას საგანგებოდ ვეხებით.

1461 წელს საქართველოს ელჩები ეწვივნენ საფრანგეთს, სადაც წარდგნენ მეფე კარლოს VII-ისა და მისი მემკვიდრის ლუდოვიკო XI-ის წინაშე და თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობა შესთავაზეს მათ.

როგორც ზემოთ ითქვა, ევროპელ მოკავშირეთა განდჯობამ, რაც ვიწრო ინტერესებით იყო გამოწვეული, ჩაშალა რომის მიერ მარჯვედ წამოწყებული და საქართველოს მხრივ ერთსულოვნად გაზიარებული კოალიციის შექმნის გეგმა. გაწვილებული ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ სამშობლოში.

საქართველოსა და რომის ურთიერთობა განახლდა XV ს-ის მიწურულში ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის მეფობისას (1478—1505). 1495 წელს, როცა დასავლეთ ევროპაში ზეიმობდნენ ესპანეთიდან არაბთა განდევნას, კონსტანტინემ

თავისი კარის დიპლომატი ნილო მონაზონი ელჩად მიუგზავნა რომის პაპს ალექსანდრე VI-ესა და ესპანეთის დედოფალს იზაბელას. ამ ელჩობის მიზანს, მილოცვა-მისალმებისა და კეთილი სურვილების მიწვდენასთან ერთად, თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლთა შეკავშირება წარმოადგენდა. ჩვენამდე მოღწეულია დედოფლისადმი მიწერილი წერილის რუსული თარგმანი¹ და პაპისადმი მიწერილი წერილის პასუხი², საიდანაც ჩანს ქართველი მეფის მზადყოფნა „დაჩაგრული ქრისტიანების დასახსნელად და გაუპატიურებელი ტაძრების დასაბრუნებლად“.

კონსტანტინე მეფისა და ნილო მონაზონის დიპლომატიური წამოწყება, რაც პოლიტიკურ კავშირსა და საომარ მოქმედებაში უნდა გადაზრდილიყო, რომისა და ესპანეთის უმოქმედობით შეწყდა.

უფრო ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში. ხსენებული ელჩობის ნიადაგის მოსამზადებლად. კონსტანტინე II-ეს ნილო მონაზონი ეგვიპტეში მიუვლენია. იქ ის გამოცხადებულა სულთან კაიტბეის (1468—1496) კარზე და მოლაპარაკების გზით მოკავშირე შეუძენია. ნილო მონაზონის დიპლომატიური მონაპოვარი — საქართველოს მეფისა და ეგვიპტის სულთნის მეგობრობა — უშედეგო აღმოჩნდა იმ სეპარატიზმის გამო, რაც მომდევნო ხანებში დასავლეთმა გამოიჩინა.

ამრიგად, ამ ეტაპზე საბოლოოდ დამარცხდა დასავლეთის პოლიტიკური ორიენტაცია, რასაც მოჰყვა ქართული დიპლომატიის შემობრუნება რუსეთისაკენ ჩრდილოეთის ორიენტაციით. აქედან მოკიდებული 300 წლის მანძილზე ჩვენი დიპლომატიის ღერძი, რომლის ირგვლივ თავს იყრის ყველა განშტოება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაა.

1490-იანი წლების დასაწყისში საქართველო პირველ სერიოზულ დიპლომატიურ კავშირს ამყარებს რუსეთთან. 1492 წლის ზამთარში კახეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის (1476—1511) ელჩები ნარიმანი, დამიანე და ხოზემარუმი ეწვივნენ მოსკოვის მთავარს იოანე I-ს ვასილის ძეს და ზეპირ

¹ ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1 გვ. 165.

² მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 64—65.

დანაბარებთან ერთად მეფის წერილი გადასცეს მას. ამ წერილის რუსულ ტექსტს, რომელიც მოსკოვის ცენტრალურ არქივში ინახება, წარწერილი აქვს: «ся грамота пришла из гурзинские земли от Иверского царя Александра»¹. ეს შენიშვნა, თვით წერილის საგანგებო დაცვა და ქართველი ელჩის დასახელება ერთ რუსულ მატთანეში იმას გვიჩვენებს, რომ ქართველთა ელჩობა მოსკოვის სამეფოში მნიშვნელოვან ფაქტად მიუჩნევიან და ცხოველი ყურადღების საგნად გაუხდიან. ხსენებულ მატთანეში, სადაც 1492 წლის ამბებია მოთხრობილი, აღნიშნულია: «тоя же зимы прииде посол к великому князю из Иверская земли от князя Александра именем Мурат»². პროფ. ი. ცინცაძის სარწმუნო მოსაზრებით აქ ნახსენები Мурат-ი ნ ა რ ი მ ა ნ ი-ს შეცვლილი სახელია³.

ალექსანდრე გიორგის ძის წერილი მოსკოვის მთავრის იოანე ვასილის ძის მიმართ, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით ვარჩევთ, ქართული საელჩო მკვევრბეტყველების მნიშვნელოვანი შენაძენია.

XVI ს-ის დამდეგისათვის საქართველო დაშლილია ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. შემდეგ ხანებში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის რღვევის პროცესი: განცალკევდა სამცხე, ქართლ-კახეთში მომრავლდნენ სათავადოები, მცირე ერთეულებად დაიყო იმერეთი, აფხაზეთი გამოეყო სამეგრელოს, განაპირდა გურია.

დანაწილებულ საქართველოში შინაფეოდალური ომები გაჩაღდა. სამეფო-სამთავროები და მათი საგამგეო ერთეულები ებრძოდნენ ერთიმეორეს. უთავბოლო წინააღმდეგობას სღეედა უამრავი უსამართლობა. ანგარებით შეპყრობილი მეფე-მთავრები, ერისთავ-ფეოდალები, მოურავ-მოხელეები და მღვდელ-მონაზვნები არ ზოგავდნენ ერთმანეთს პირადი გახდილების უკუღმართ გზებზე. პოლიტიკური აშლილობისა და სოციალური უწესრიგობის პირობებში ზოგიერთი ხელისუფ-

¹ ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 237.

² Полн. собр. русск. летоп., XII, стр. 232.

³ ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 245—248.

ალი თავგამოდებით ცდილობდა დაქვეითების შეჩერებას, და ზოგჯერ წარმატებასაც აღწევდა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ჩვეულებრივ, თავს იჩენდა რაიმე დაბრკოლება და ისევ ძძიმე ვითარება ბატონდებოდა.

ასეთი სიტუაცია გაგრძელდა დიდხანს. მისი პირველი წარმომადგენლებია: იმერეთის მეფე ბაგრატ I (1510—1565), კახეთის მეფე ლევანი I (1520—1574) და ქართლის მეფე ლუარსაბ I (1534—1558). მათ შორის დიპლომატიური შემოქმედების მხრივ ყურადღებას იმსახურებს ლევანი I. მისი პოლიტიკური ძიების გასაცნობად საჭიროა მცირე ექსკურსი მაშინდელ საგარეო ვითარებაში.

XVI ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს პირისპირ ოსმალეთის გვერდით დგება ირანი. ქართველ ხალხს უხდებათურქულ-ყიზილბაშური აგრესიის მოგერიება. ორმხრივი შემოტევის ცეცხლს ქვეყანა ხვდება დაშლილობის პირობებში. მიუხედავად ამისა, ხალხი შეუპოვრად იცავს თავს.

მუსლიმანური ექსპანსიის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში თავი ისახელეს იმერეთის მეფემ ბაგრატმა და ქართლის მეფემ ლუარსაბმა, რომლებიც ცალ-ცალკე უმკლავდებოდნენ ოსმალებსა და ირანელებს.

ხანგრძლივი ომიანობის შემდეგ, 1555 წელს, ირანმა და ოსმალეთმა გავლენის სფეროების სახით გაინაწილეს ჩვენი სამშობლო: აღმოსავლეთ საქართველო და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი ირანმა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხის დასავლეთი ნაწილი — ოსმალეთმა.

ამით არ დამთავრებულა ომები. ქართველი ხალხი არ ცნობდა ერთმანეთში მოქიშვე მუსლიმანური ქვეყნების თვითნებურ შეთანხმებას. ქართლი — ლუარსაბის მემკვიდრის სიმონის წინამძღოლობით და კახეთი — ლევანის მემკვიდრის ალექსანდრეს მეთაურობით განაგრძობდნენ ბრძოლას. ამ ბრძოლისათვის დამახასიათებელია საომარი მოქმედების გვერდით დიპლომატიური შეტევის წარმოება. ამ უკანასკნელს სათავე მისცა ლევან მეფემ. მისი წამოწყება შეაპირობა საქართველოს ჩრდილოეთით ქრისტიანული რუსეთის გაძლიერებამ.

XVI ს-ის მეორე ნახევარში რუსეთი თითქმის კავკასიონამდე აღწევს. მდინარე ვოლგის შესართავთან, თერგისა და ჩერ-

ქეზეთის მიდამოებში მოსკოვმა თავისი გარნიზონი ჩამოაყენა და პოზიციები განიმტკიცა. განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს რუსეთი 50-იან წლებში, ივანე მრისხანის მიერ ყაზანისა და ასტრახანის შემოერთების შემდეგ (1552—1556). სწორედ ამ დროს ეკუთვნის ლევან მეფის დიპლომატიური ნაბიჯი.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: „ოდეს დაიპყრა რუსთ მეფემან იოანე ყაზანი და აშტარხანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგს და თარლუს მცველნი თვისნი, ამან ლევახ წარუვლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა. ამან მოუვლინა და დაადგინა ციხეთა კახეთისათა რუსნი. არამედ განძლიერდა რა შაჰთამაზ, წარგზავნა სპანი რუსნი რუსეთადვე და აუწყა განძლიერება შაჰსთამაზისა: რათა არა მოსწყდენ სპანი თქვენი ქვეყანასა ჩემსა“.¹

როგორც ვხედავთ, ყაზანისა და ასტრახანის დამორჩილებისა და თერგზე გამაგრების (1563) შემდეგ კახეთის მეფეს რუსეთში ელჩი მიუვლენია და ივანე მრისხანისათვის უთხოვია „სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა“. სხვა ცნობის მიხედვით ამ ელჩის სახელი იაკობია. ამ ცნობას შეიცავს XVI ს-ის რუსული მათიანე, რომელშიც ნათქვამია: «а отпустил царь кизитского митрополита.. слугу Михаила, по их челолюбитью, з грузинского князя Леона послом съ Яковомъ с товарищи на Астрахань да на черкаскую землю до Турского Салтана земли и ко Царюграду»².

ამავე წყაროს ცნობით, იაკობი სამშობლოში ბრუნდება 1564 წელს. ამ პერიოდს ეხება ვახუშტის ნათქვამიც. რუსულ-ქართული წყაროების მასალით დასტურდება, რომ 1563—1564 წლის ელჩობას რეალური შედეგი მოჰყოლია. ქართულ წყაროში ხაზგასმულია ეს შედეგი, მაგრამ იქვე ნაჩვენებია მისი დროებითი ხასიათი და ხანმოკლე ეფექტი.

საგულისხმოა, რომ ივანე მრისხანის მეფობაში (1547—1584) დანერგილ დიპლომატიურ კავშირს რუსეთსა და საქართველოს შორის ადასტურებს XVII ს-ის ერთი რუსული ძეგლი — მიხეილ თედორეს ძე რომანოვის სიგელი თეიმურაზ პირველისადმი — რომელშიც ნათქვამია: «...изначала грузин-

¹ ვ. ბ ა ტ რ ი შ ვ ი ლ ი — საქართველოს ცხოვრება, გვ. 163.

² Полн. собр. русск. летоп., XIII, стр. 2, 391.

ские земли цари ...послушанье были за много лет у прародителей наших. А принял дед наш блаженные памяти в. кн. Иван Васильевич под царскую высокую руку грузинского Леонтия царя царева Александра отца во оборону для православные христианские веры»¹.

აღნიშნული ურთიერთობის დასაბამად აქ მიჩნეულია ლევან კახთა მეფის დიპლომატის იაკობის ელჩობა რუსეთში.²

იაკობის მიერ ნაკისრი საქმე და მისი წარმატებით შესრულება გვაფიქრებინებს, რომ მეფის ელჩი თავისი დროის თხიზლად მოქმედი და მკვევრად მეტყველი დიპლომატი უნდა ყოფილიყო.

| რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა დიდი წინსვლითა და წარუშლელი კვალით აღინიშნა XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, კერძოდ, 1587—1604 წლებში.³ ახალი ხარისხობრივი აღმავლობა, რაც მიღწეული იქნა ამ დროს მოსკოვ-კახეთის თანამშრომლობით, მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის ქართული დიპლომატიისა და მისი თანმხლები მკვევრმეტყველების ისტორიისათვის. ჩვენი წარსულის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემების დიპლომატიურ ძვრებს თაოსნობდა კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605).

ქვემოთ, ალექსანდრე მეფის საელჩო მკვევრმეტყველების საკითხებთან დაკავშირებით, განხილულია ეს ძვრები და მათი მეშვეობით მოპოვებული შედეგი XVII ს-ის დამდეგისათვის.

XVI საუკუნე კათოლიკური ქვეყნებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის დაქვეითების ხანაა. ამის მიზეზს ოსმალეთი წარმოადგენდა. 1461 წლიდან, ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, ის გახდა ჩვენი უშუალო მეზობელი. ამით ჩაიკეტა სამხრეთ-დასავლეთის მხარე, საიდანაც კათოლიკურ სამყაროს ვუკავშირდებოდით, და თითქმის შეწყდა ევროპასთან ურთიერთობა. დასავლეთის მისიონერები და ქართველი ელჩები ამიერიდან სპორადულად აწარმოებდნენ თავიანთ დი-

¹ М. Полиевктов — Посольство Мышецкого и Ключарева в Кахетию, стр. 19—20.

² ი. ცინცაძე — ძიებანი... გვ. 283.

³ ნ. ბერძენიშვილი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან...

პლომატიურ მიმოსვლებს და ხშირად ვაჭრის, მეცნიერისა თუ მოგზაურის ნიღაბქვეშ ატარებდნენ პოლიტიკურ ზრახვებს. იშვიათად ადგილი ჰქონდა გეგმაშეზომილ მისვლა-მოსვლასა თუ მიწერ-მოწერასაც, რაც არსებითად ძველი პოზიციების ხელახალი მოსინჯვა იყო.

ერთ ასეთ ცდად უნდა მივიჩნიოთ ქართლის მეფის სიმონ I-ის (1558—1600) წერილი რომის პაპთან პავლე III-ესთან.

ეს წერილი კენტად შემორჩენილი დოკუმენტია იმ მდიდარი მასალიდან, რომელიც ქართლისა და რომის ურთიერთობის საქმეზე შეიქმნა XVI ს-ის უკანასკნელ ხანებში. ამ საქმის უმთავრეს ნაწილს ანტითურქული კოალიციის მოწყობა შეადგენდა. ასეთი წამოწყების იდეა სიმონ I-ს ეკუთვნოდა. მეფის სურვილს მხარს უჭერდნენ როგორც ქრისტიანული ქვეყნები, ისე მუსლიმანური ირანი: პირველნი — კათოლიციზმის გაძლიერების მიზნით, მეორე — ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად. ეს მხარდაჭერა აღმოჩნდა ფიქტიური. დასავლეთსა და აღმოსავლეთში გაბატონებულ პოლიტიკურ ინტერესებს განსხვავებული მიზნები გააჩნდა — მათი თავმოყრა არ მოხერხდა საერთო მტრის წინაშეც. ამრიგად, ანტითურქული კოალიციის გეგმა ამჯერადაც ჩაიშალა.

ამ გეგმის ერთი ფაქტობრივი მაჩვენებელი არის სიმონ I-ის წერილი რომის პაპთან.

ის იწყება მაღალფარდოვანი მქვერი მიმართვით:

„სიმონ, წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა, — ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნალარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულ ორდანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამდღა მესამე ცამდე და შონსმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბა-

ტონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო. — დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს წმიდა მარჯვენასა“.

მიმართვას ცვლის ორივე მხრისათვის საგულისხმო მოვლენების უწყება, მაგალითად: „ეგრეთვე ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ ნეტარმა მამაჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სიწმიდესა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიანთაგან; მან ირიცხა თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება“.

მოვლენების უწყებას მოსდევს ფიცის მსგავსი აღიარება, რაც მთავრდება საბრძოლო მოწოდებით: „დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე და არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის. აწ, ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეციოთ ძალა და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით; ღმერთი სამაგიეროდ მოგაგებსთ ზეციერ სასუფეველსა. ვიდრე ცოცხალ ვართ, ღვთის შეწევნით და თქვენის წმიდა ლოცვის ძალით, არაოდეს აღვასრულებთ აგარიანთა ნებას. მაგრამ არ ვიციოთ მომავალში რა მოგველის და რა იქმნება. ამიტომ ვშიშობთ, სახიერება სირევგნედ არ გარდაიქცეს და უსჯულოებაში არ ჩავეცივდეთ. ამიტომ მოვანსენებ თქვენს უწმიდესობას, შეეწიეთ, უყავთ წყალობა ქრისტიანებს და დაიხსენით უსჯულოთა ხელთაგან“.

გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის საელჩო მქვერმეტყველება

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა მყარ ნიადაგს პოულობს და გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის დამდგენისათვის თვალსაჩინო პოლიტიკურ ნაყოფს იძლევა. ეს ნაყოფი ელჩების ხშირ გაცვლა-გამოცვლაში, საქმიან სჯა-თათ-

ბირებსა და რეალურ შედეგებში გამოიხატება. საქართველოს მხრივ ამ რთულ პროცესს კახეთის მეფე ალექსანდრე II ხელმძღვანელობდა.

ის ჯერ კიდევ XVI ს-ის 80-იან წლებში გამოეხმაურა რუსეთის მეფის თედორეს მოწოდებას ტარკის შამხლის წინააღმდეგ შეკავშირების თაობაზე. საქმე ის არის, რომ ხსენებულ საუკუნეში საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაღის-ტანში დაწინაურდა ტარკის საშამხლო, რომელიც ოსმალეთის წაქეზებით მტრობდა ჩრდილოეთით რუსეთს და სამხრეთით კახეთს. ამან საგრძნობლად წაუბიძგა მოსკოვ-კახეთის შეკავშირების საქმეს, რაც თანაბრად სასარგებლო მოჩანდა როგორც კავკასიისაკენ დაძრული რუსეთისათვის, ისე ლეკებისაგან შევიწროებული საქართველოსათვის.

ხსენებულ საქმეში მეფემ ჩააბა თავისი დახელოვებული დიპლომატები: იოაკიმე, კირილე და ხურშიტი. მათ ელჩობას რუსეთში მოჰყვა ქართველი მეფის ხელდებულობის ფიცი.¹

გარდა დასახელებული ელჩებისა კახეთის მეფის კარზე მოღვაწეობდნენ ცნობილი დიპლომატები: ყაფლან ვაჩნაძე, ომან ჩოლოყაშვილი, თარსა მდივანი, თავადი სოლომონი და სხვ. მათი მეოხებით მეფე მტკიცე კონტაქტს ამყარებს მოსკოვის სამეფოსთან XVI—XVII საუკუნეთა ზღვარზე. ამავე ხანებში შემუშავდა ჩვენში სწორი იდეური პრინციპი, რომლის მიხედვით საქართველოს გაერთიანება რუსეთთან დაკავშირების გზით უნდა მომხდარიყო. ეს რწმენა ამოძრავებდა ქართულ დიპლომატიას ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე. ამ დიპლომატიის მამამთავარი ალექსანდრე მეორეა. მისი პოლიტიკის უშუალო გამგრძელებლად თეიმურაზ I გვევლინება.

XVII ს-ის პირველ ნახევარში საგრძნობლად გაფართოვდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა. თუ მანამდე მოსკოვის სამეფოსთან დიპლომატიური კავშირი ჰქონდა მხოლოდ კახეთს, ამიერიდან საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული დაუკავშირდა რუსეთს. ეს კავშირი, ცხადია, მეტ-ნაკლები სიახლოვითა და სიმტკიცით ხასიათდებოდა. მაგრამ საერთო შემჭიდროების ნიშ-

¹ ნ. ბერძენიშვილი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 158—160.

ნებს, ატარებდა და დლითი დღე ძლიერდებოდა. ამის ერთ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის გავლენის ზრდა ამიერკავკასიაში, რომლის ქვეყნები, მათ შორის ქართული სამეფო-სამთავროები, შეგნებულად გააყენენ ისტორიული განვითარების პროცესს და შეეცადნენ თავიანთი ინტერესების დაცვას ხელმისაწვდომი გზებით. ერთი ასეთი გზა დიპლომატიური ურთიერთობა იყო.

XVII ს-ის დასაწყისიდან კახეთის გვერდით რუსეთთან ურთიერთობის წრეში ჩაება ჯერ იმერეთი, შემდეგ სამეგრელო და ბოლოს ქართლი. მათი მეტწილად ურთიერთშეუთანხმებელი დამოკიდებულება მოსკოვის სამეფოსთან აღინიშნა ელჩების ხშირი გაცვლა-გამოცვლით, ქართველ მეფეთა სტუმრობით რუსეთის კარზე და უწყვეტი დიპლომატიური კავშირის განმტკიცებით. აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, რუსეთსაქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის უმთავრეს მამოძრავებელ ძალას მაინც კახეთი წარმოადგენდა. აქ ცოცხლობდა მახლობელი წარსულის ტრადიცია, რომლის იდეური არსი ახალ შევსებასა და მძლავრ გასაქანს პოულობს XVII ს-ის 20-იან წლებში თეიმურაზ I-ის თაოსნობით. მისი პოლიტიკის მთავარ ღირსებას ის შეადგენდა, რომ წინანდელი განკერძოების ნაცვლად სხვებთან შეთანხმების გზას დაადგა და საერთო ინტერესებით განიმსჭვალა.

ასეთი პოლიტიკის სათავედ შეიძლება 1616 წელი მივიჩნიოთ, როცა შაჰ-აბასის გამანადგურებელი ომების შემდეგ ქართლ-კახეთში თეიმურაზმა მოსინჯა თერგის შესართავთან ჩამომდგარი სარდლობის, არსებითად მოსკოვის, განწყობილება, რომლის გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს რუსი დესპანის გრიგოლ ვერიოვიკინის ელჩობა საქართველოში¹.

უფრო მტკიცე ურთიერთობა მოგვიანებით დამყარდა. საქმის წამომწყებად ამჯერადაც თეიმურაზი გვევლინება. 1618 წლის 17 ოქტომბერს მან მოსკოვში მიავლინა ილუმენი ხარიტონი,² 1624 წლის 14 მარტს — არქიეპისკოპოსი თეოდოსი, არქიმანდრიტი არსენი და არქიდიაკონი კირილე.³ ხოლო 1635

¹ М. Полиевктов — Материалы..., стр. 24—35.

² იქვე, გვ. 36—61.

³ იქვე, გვ. 62—98.

წლის 20 დეკემბერს — მიტროპოლიტი ნიკიფორე¹. ამ უკანასკნელ ელჩობას მოჰყვა თედორე ვოლკონსკისა და არტემ ხვატოვის საპასუხო ელჩობა მოსკოვიდან (1637)².

თეიმურაზ I-ის ხსენებული ელჩიონების უმთავრეს ამოცანას რუსეთის დახმარების მოპოვება წარმოადგენდა თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. ამ ამოცანის გადაწყვეტის პირობებს ქმნიდა რუსეთის წინსვლა კავკასიონის ქედის გადმოდმით, რაც უმთავრესად საქართველოს სამეფო-სამთავროების გზით ხორციელდებოდა. ეს ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმას რუსეთთან ურთიერთობაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თეიმურაზ I-ის პოლიტიკურ წამოწყებაში მონაწილეობდნენ იმერეთის მეფე გიორგი IV და გურიის მთავარი მამია გურიელი.

უნდა აღინიშნოს, ინტერესთა დამთხვევით არ იფარგლება რუსეთ-საქართველოს იმჟამინდელი ურთიერთობა — აქ თავს იჩენს პოზიციების სერიოზული სხვაობაც: მოსკოვის მიზანს წარმოადგენდა ირანთან მორიგებით ოსმალეთის ძალმომრეობის შებოქვა კავკასიაში, ხოლო კახეთის პოლიტიკური თვალსაზრისი ამის საპირისპირო პრინციპით ხელმძღვანელობდა. ამ წინააღმდეგობის ნიშნით წარიმართა რუსეთ-საქართველოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება აღნიშნული ურთიერთობის მთელ მანძილზე³. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ქართველ ელჩებს ბევრი მკვეერი შესიტყვებისა და ორატორული შერკინების წარმოება მოუხდებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი პაექრული ხელოვნების კვალი არ შემონახულა.

ის გარემოება, რომ ხარიტონისა და თეოდოსის ელჩობის შემდეგ ერთ ხანს თითქმის შეწყდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, შექმნილი ვითარების სიმწვავისა და მძაფრი ბრძოლის მაჩვენებელია.

1635 წელს განახლდა რუსეთ-საქართველოს მინელებული ურთიერთობა. ამჯერად თეიმურაზის ცნობილი კარისკაცი ნიკიფორე მიტროპოლიტი ჩაუდგა სათავეში ფართოდ გაშლილ დიპლომატიურ მუშაობას. ის როგორც მეფის საგანგებო წარ-

¹ М. Полиевктов — Материалы..., стр. 101—141.

² იქვე, გვ. 158—426.

³ იქვე, XV VII.

მომადგენელი საზეიმო ბრწყინვალეობით მოსავეს თავის პერსონას, წარჩინებული დიდებულის სახით ცხადდება მოსკოვის მეფის მიხეილ რომანოვის წინაშე და შესაფერის სამაგიერო პატივს იღებს რუსეთის მთავრობისაგან.

საქმე ის არის, რომ გარეგნული დიდებით არ იფარგლებოდა ნიკიფორეს ელჩობა — მისი მოვალეობა შედარებით შორს მიდიოდა.

ამ მოვალეობას მეფის ელჩმა წარმატებით გაართვა თავი: მან დაარწმუნა მიხეილ თედორეს ძე თეიმურაზის ერთგულებაში, გაამართლა მისი თურქეთთან ურთიერთობის პოლიტიკა და გამოთქვა სურვილი მოსკოვის მფარველობაში შესვლისა. დიპლომატის გონივრულმა საქმემ დადებითი შედეგი გამოიღო. უწინარეს ყოვლისა ეს ჩანს საპასუხო ელჩობით, რაც უშუალოდ მოჰყვა ნიკიფორეს ელჩობას და დიდი მნიშვნელობის აქტით — „ფიცის წიგნით“ დაგვირგვინდა.¹ ამავე ელჩობის საგულისხმო შედეგს წარმოადგენს აგრეთვე კახეთის ვრცელი აღწერა,² რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მეცნიერულ შესწავლას რუსი სწავლულების მიერ, რასაც შემდეგ ხელი შეუწყო რუსი ელჩების ფ. ელჩინის, ეფ. მიშეცკის, ნ. ტოლოჩანოვის, ალ. იველევისა და სხვ. ნარკვევებმა ჩვენი ქვეყნის კუთხეების შესახებ.

აქ უნდა აღინიშნოს: თეიმურაზის დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან ჩვენში არც ერთობლივი მოწონებით შეხვედრიან და არც ერთსულოვანი დაწუნებით, მაგრამ ყველასათვის ცხადი გახდა მისი პოლიტიკის მნიშვნელოვანი შედეგი, რაც გამოჩენილ მეფესთან ერთად ნიკიფორე მიტროპოლიტის ღვაწლს წარმოადგენდა და მათი მართებული საქმითა და მჭევრი სიტყვით იყო მოპოვებული.

თეიმურაზ მეფე ერთი პირველი ქართველი დიპლომატია, რომელიც ჩრდილოეთის პოლიტიკური ორიენტაციის გვერდით დასავლეთის პოზიციებსაც ზვერავდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში კათოლიკური ევროპის უზენაეს პირებს ელჩებით უკავშირდებოდა. ამ ელჩთა შორის მეტი ნდობით ცნობილი მწიგნობარი და მქადაგებელი ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩო-

1 იქვე. გვ. 173—174.

2 იქვე, გვ. 364—426.

ლოყაშვილი სარგებლობდა. 1620-იან წლებში მეფეს ნიკოლოზი რამდენჯერმე მიუვლენია დასავლეთში, კერძოდ, რომის პაპის ურბან VIII-ის წინაშე და მისთვის ესპანეთის მეფესთან შუამდგომლობა უთხოვია. ამ გზით მეფეს ესპანეთის ჩარევა სურდა მუსლიმანური ქვეყნების საპირისპირო ბლოკში. ამასთან, ის „რომის მწყემსის“ მხარდაჭერასაც ითვალისწინებდა. ყოველივე ეს გარკვევით ჩანს იმ წერილიდან, რომელიც მეფეს ნიკოლოზის ხელით გაუგზავნია პაპისათვის.

წერილი იხსნება რიტორიკული შესავლით: „აღმოსავლეთი-დგან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად ბრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა სამებასა ეგარეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ. თქვენ ხართ პატივი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰქადაგეს, თქვენ ყოველივე უწყით. პეტრემ განასწავლა სოფელი და განაბრწყინა. ესევე ვალდებულება გაძევსთ თქვენ. აღჭურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამალღებული მწყემსი“.

მეფე აუწყებს ადრესატს: „ღვთის შეწევნით და თქვენის უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით მივიღეთ მეფობა. აწ გთხოვთ, თქვენის ბრძანებით დაგვამტკიცოთ. ჩვენც ჩვენის მხრივ გპირდებით მორჩილებას და პატივისცემას. ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირადაც ჩხუბი მოგვდის მათთან. მაგრამ ღვთის შეწევნით არც ერთ მათგანს დავემორჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავსთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ“.

ამას მოსდევს თეიმურაზის მთავარი სათხოვარი, შემწეობა ესპანეთთან დაკავშირების საქმეში, და ღესპანის ხსენება, რითაც მთავრდება წერილის არსებითი ნაწილი.

თეიმურაზის მეორე ეპისტოლე იმავე პაპის მიმართ დაწერილია 1629 წლის დამდეგს. ამ დროს მეფეს მიღებული ჰქონია ურბან VIII-ის საპასუხო წერილი, რომელიც მისთვის კათოლიკე მისიონერებს პეტრესა და იაკობს მოუერთმევიათ. მათი ხსენების შემდეგ თეიმურაზი დაწვრილებით აცნობს პაპს

შაჰ-აბასის მიერ დარბეულ საქართველოს, არწმუნებს მას..საერთო საქმისადმი თავის ურყევ ერთგულებაში და აცხადებს მზადყოფნას „სანატრელის შეერთებისათვის“.

მშფოთვარე და წამებული სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, 1658 წელს, თეიმურაზ I გაემგზავრა მოსკოვს, წარუდგა ალექსი მიხეილის ძეს და ჯარით დახმარება სთხოვა ქართლ-კახეთის გასათავისუფლებლად. მეფის თხოვნის შესრულება არ მოხერხდა რუსეთის გართულებული საგარეო ვითარების გამო.

თეიმურაზის განზრახვა საბედისწერო აღმოჩნდა: სამშობლოში დაბრუნებული მეფე შაჰმა სპარსეთში მიიტყუა და ასტრბადის ციხეში მოათავსა. აქ 1663 წელს გარდაიცვალა ეს დიდხანს მედგრად მებრძოლი მეფე-დიპლომატი და პოეტი-მოქალაქე.

XVII ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში დიდად დაწინაურდა ოდიშის სამთავრო. მისი ენერგიული მთავარი ლევან დადიანი (1611—1657) იმორჩილებს მახლობელ კუთსეებს და მეტოქეობს იმერეთის მეფეს ალექსანდრე მესამეს (1639—1660). 40-იან წლებში მეტად გამწვავდა მეფისა და მთავრის ცილობა. ამ დროისათვის ისინი ქართლ-კახეთის მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ და თავიანთი კერძო ინიციატივით უკავშირდებოდნენ ქრისტიანულ ქვეყნებს, რომელთა შორის უმთავრესი, ცხადია, რუსეთი იყო.

ლევან დადიანი კიდევ უფრო ადრე დაუკავშირდა რუსეთს, რომელსაც მფარველობას სთხოვდა და ერთგულებას აღუთქვამდა ის ორივე მხრისათვის სასარგებლო პირობით. პირველ ელჩობას ადგილი ჰქონდა 1636 წელს, როცა ოდიშის მთავარმა საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი კარის მოძღვარი გაბრიელი მიავლინა მოსკოვში და მიხეილ რომანოვს თავისი გულისნადები გაუმხილა. ამას მოჰყვა რუსი დიპლომატების ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის საპასუხო ელჩობა 1639—1640 წლებში, რაც პირველი დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტია დასავლეთ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში.¹

¹ С. Белокуров — Материалы..., стр. 257—376.

ამ ელჩობის მასალა, რომელიც საარქივო პირველწყაროებიდან გადმოიღო და გამოაქვეყნა ს. ბელოკუროვმა 1888 წელს, საელჩო მეტყველების ბევრ ფაქტობრივ მაჩვენებელს შეიცავს. აქ დაცულია ჩვენებანი, დაკითხვები, დიალოგები, ეპისტოლეები და ა. შ., რომლებიც თარგმანის სახით გვიჩვენებენ ჩვენი საელჩო ზეპირი და წერილობითი სიტყვის საკმაოდ მაღალ დონეს. ასეთია, მაგალითად, ლევან დადიანის წერილი მიხეილ რომანოვთან¹.

იმერეთის ხსენებული მეფე ალექსანდრე III რუსეთთან ერთად რომსაც მეგობრობდა, ამას კარგად ამოწმებს მისი მოკლე სიტყვა, თქმული პატრის — ქრისტეფორე კასტელის წინაშე, მაგრამ უფრო პაპის — ურბან VIII-ის გასაგონად.

მეფის ოღნავ ნართაულად გამოთქმული აზრი ასეა გამოხატული:

„ღვთის მონავ, კარგა ხანია თქვენმა სათნოებამ განაბრწყინა საქართველოს სამეფონი. თუ ჩემი სამეფო უკან ჩამორჩა სხვებს და თქვენი სიკეთე არ ელირსა, ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მე და ჩემი სამეფო თქვენს აქ ყოფნას არ ვნატრობდით; არა, ამის მიზეზი სულ სხვა სამწუხარო ამბავი იყო. რა შევიძელი თქვენი მოწვევა, მაშინვე მივმართე ჩვენს ბიძაშვილს მეფეს დადიანს და ვსთხოვე თქვენი თავი, რომელსაც დიდი ხანია ვნატრობდი. რა კეთილ ინებეთ და მოხვედით, დიდად გავიხარეთ. ამის უმეტეს სიკეთეს თქვენ ვერ გვიზამდით. აწ დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი პატივისცემა და შემწეობა არ მოგაკლდებათ, ყოველი თქვენი ნება ასრულებული იქნება, თქვენს დაცვას ჩემს ვალადა ვრაცხ“.

ალექსანდრე III-ის ძე ბაგრატი, რომელიც დროგამოშვებით მეფობდა იმერეთში 60—70-იან წლებში, იდგა მამის საგარეო პოლიტიკის პოზიციებზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ორიენტაციის საკითხში, და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა რუსეთთან.

1658-1675 წლებში ქართლში მეფობდა მუხრანელი ბაგრატიონების შთამომავალი ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი). ის ერთ ხანს ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ერისთავების წინააღმდეგ

¹ იქვე. გვ. 272.

და ცდილობდა ქვეყნის გაერთიანებას, მაგრამ ამ გზაზე ხშირად ირანის შაჰის „მფარველი ხელით“ დაგებული მახეს აწყდებოდა და უკან იხევდა. ამით აიხსნება მეფის ინტენსიური პოლიტიკური ძიება. ეს ჩანს ვახტანგის წერილებიდან, რომლებიც 1675 წელს გაუგზავნია მას კათოლიკური რომის მესვეურთათვის. მათ შორის მეფის მთავარი ადრესატი პაპი კლიმენტი მეათეა. მასთან საერთო საზრუნავის თემაზე დაწერილ ეპისტოლეში ასეთი მკვეერი მიმართვაა: „მოგიკითხავ სიყვარულითა და გაქვებ სახელის დიდებით თქვენ აღმაღლებულთა და ყოველთა ცისკიდეთა ქუეშე საჩინო მნათობო ელვარეო, მწყემსად ცხვართა პირმეტყველთა გამორჩეულთა და ქრისტეს მცნებისა ქადაგებად გამოჩენილთა, მაღალისა და აღმატებული-სა სამოციქულოსა საყდარსა გამორჩევით და უსასყიდლოდ დადგინებულთა, პეტრე მოციქულისა ტახტის მკირველთა და ცხვართა მისთა დამცველთა და კლდეო სიმბტიციისაო, ვითარც უბრძანა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან: შენ ხარ კლდე და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მასო და მოგცენ შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანიო. სიმართლისა და მართლის განჩინებისა საქმისათვის ბოროტისათვის შემკვრელო და კეთილისათვის გამხსნელო და მრავალთა სულთა კელთა ქუეშე მქონებელო, სიყვარულითა მათისა ცხოვრებისა თავისმდებელო, მამაო მართლმორწმუნეთა შვილთა, მოყვარეო ზე აღმატებულთა და დიდებულთა“.

ვახტანგ მეხუთემ ჯერ იმერეთისა და შემდეგ კახეთის ტახტზე აიყვანა თავისი შვილი არჩილ II, რომელიც ხშირი წყევტილებით 1699 წლამდე მართავდა თავის სამფლობელოებს.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, 1676 წელს, ქართლში გამეფდა გიორგი XI, რომელიც 1688 წლამდე იჯდა ტახტზე, ხოლო 1703—1709 წლებში მეფედ ითვლებოდა, მაგრამ სამშობლოს გარეთ შაჰის სამსახურში იმყოფებოდა.

1688 წლიდან 1703 წლამდე ქართლის ტახტს ფლობდა თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, რუსეთში აღზრდილი ერეკლე I (ნაზარალი-ხანი).

ზემონახსენები მეფეებიდან პირველი ორი — არჩილ II

და გიორგი XI — ფართო დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. მათ შორის არჩილი უფრო რუსეთისაკენ იყო გადახრილი, ხოლო გიორგი უმთავრესად ევროპის კურსით ხელმძღვანელობდა.

არჩილ მეორემ ალაღვინა და განაგრძო თეიმურაზ პირველის პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობის სფეროში. მსგავსად უფროსი თანამედროვისა, ისიც შემწესა და მფარველს ხედავდა „ჩრდილოეთის კოლოსში“ და ცდილობდა მასთან საერთო ენის გამონახვას. ამას გვიჩვენებს მეფის ხანგრძლივი მიწერ-მოწერა რუსეთის მეფეებთან და მათი ოჯახის წევრებთან. ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწილი შეკრიბა და გამოაქვეყნა მარი ბროსემ 1861 წელს. თავისი რიტორიკული ფორმით აქ გამოირჩევა წერილი რუსეთის მეფეების იოანე და პეტრე ალექსის ძეთა მიმართ. როგორც ცნობილია, ისინი ერთ ხანს (1682—1696) ერთად მართავდნენ რუსეთს. ამით აიხსნება არჩილის წერილის კოლექტიური ადრესატი.

აქ „სამგვამოვანი ერთარსებისა“ და „დაუსაბამო ძის“ ხსენებას რთულ ეპითეტურ გარემოცვაში მოსდევს მისტიკური სახეების წყება და შემდეგი პირდაპირი მიმართვა მეფეებისადმი: „კურთხეულ არს სამებითა დიდებული ერთ-ლთაება, რომელმა გამოგირჩიათ, დაგადგინათ მართალ-მადიდებლად მეფედ და მსაჯულად ქვეყანისა, დაგადგათ გვირგვინი მეფობისა და შეგვამოსა პორფირი მადლისა და მოგცათ სკიპტრა მართ-მსაჯულობისა და მოწყალებისა. დიდო კემწიფენო, მეფენო, დიდნო კნიაზნო დიდისა და ცოტასი და თეთრის რუსეთის და ყოვლისა თვით-მპყრობელნო ივანე ალექსის შვილო და პეტრე ალექსის შვილო. მრავალ ჟამცა წარუმართებია მპყრობელსა ცისა და ქვეყანისასა ხემწიფობა თქვენი და ყოველი მტერი თქვენი და წინააღდეგი ცხოველი მყოფელისა ჯვარისა ძალიერებითა ჯვარისათა, თქვენსა ფეხთა ქვეშ მოუქცევია“.

ამის შემდეგ რამდენიმე საქმიან უენიშუნას და ფაქტის კონსტატაციას ავტორი ანზოგადებს თხოვნის გამომხატველი დასკვნის სახით: „რადგან თქვენს საფარველს ქვეშ ვართ, ამდენი წყალობა ქენით, რომ გაგვეძლოებოდეს, სიშიშვლესა და სიმშილზე არ ეწუხდეთ, და ჩემი ყმანი, რომელიც დაგვრჩომო-

დეს, ამათის უქონლობით არ გაგვეყარნეს. კელმწიფეთ შოხს-
სენება ურჯულო ქრისტიანის მტერია და იმ ქვეყნის გარეშე-
მოს, მაგათს ბრძანებას ქვეშ მყოფთა ურჯულოთზე ეს დიდის
ქელმწიფების ბრძანება გამოვიდეს, რომ იმათგან არა გვიშავ-
დეს რა, თუ ვინმე ჩვენის საბატონოსი ჩვენთან ვინმე მოვიდო-
დეს და ან ჩვენ გავგზავნიდეთ. გზაზე არა უშავდეს რა და ხება
და ბძანება მაგათის დიდის ქელმწიფობისა და დიდებულისა
მეფობისა გათავდეს“.

არჩილის მეტყველების ძარღვიანი სტილი გამორჩევით
აღერს ქართულ საელჩო სიტყვაკაზმულობაში.

სიკოცხლის უკანასკნელი წლები (1699—1713) არჩილმა
რუსეთში გაატარა. აქ ის ინტენსიურ ლიტერატურულ და დიპ-
ლომატიურ მუშაობას ეწეოდა. ორივე სფეროს მან შესამჩნე-
ვი კვალი გაავლო, განსაკუთრებით პირველს. რაც შეეხება
მეფე-პოეტის დიპლომატიურ მოღვაწეობას ემიგრაციის პერი-
ოდში, ის იმედგაცრუებული მამულიშვილის უნაყოფო ცდე-
ბის წყებაა, რომელიც შეწყდა მეფის სიკვდილთან ერ-
თად (1713).

როგორც აღინიშნა, გიორგი XI-ის პოლიტიკური კურსი
უფრო დასავლეთისკენ იხრებოდა. ის ევროპაში ეძებდა საი-
მედო მოკავშირეს ოსმალთა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ საბ-
რძოლველად. თავის დასავლურ პოლიტიკას მეფე უმთავრე-
სად ორი დიპლომატის — ექვთიმე რატიშვილისა და გასპარ
ქართველის მეშვეობით აწარმოებდა. ისინი პირისპირ ხედე-
ბოდნენ ან მიმოწერით უკავშირდებოდნენ კათოლიკური რო-
მის, მართლმადიდებლური რუსეთის, გრიგორიანული სომხე-
თისა და მუსლიმანური ირანის წარმომადგენლებს და გიორგი
XI-ის ნებით მართავდნენ ქართულ დიპლომატიას.

ჩვენამდე მოღწეულრა გიორგი მეფისა და ექვთიმე რატი-
შვილის სამი წერილი რომის პაპის ინოჩენციო XI-ის მიმართ.
ისინი შემონახულია დედნების სახით და 1687 წლით თარიღ-
დებიან. სტილისტური მონაცემების მიხედვით სამივე წერილი
ექვთიმე რატიშვილს უნდა ეკუთვნოდეს. მათი ანალიზის სა-
ფუძველზე ქვემოთ დადგენილია ავტორის ორატორული სახე.

ქართლის კარის ოფიციალური მრწამსის საჩვენებლად
უფრო საყურადღებოა მეფის ხელრთვით გაგზავნილი წერი-

ლები; რომელთაგან თავისი სისრულითა და მკაფიობით გამოირჩევა პირველი.

აქ მეფის სათხოვარი გამოხატულია მოკლედ: „აწე ამას მოვახსენებთ და ვევედრებით თქვენსა სიუხვისა წყალობასა, რომე ჩუენ შვილად შეგვიწყნაროთ რაგვართაც სხვანი ქრისტიანენი გვირგვინოსანნი კელმწიფენი არიან თქუენნი შვილად შეწყნარებულნი“.

ეს ნათქვამია ვრცელი სახოტბო მიმართვის შემდეგ, რასაც მოსდევს კიდევ უფრო ვრცლად ნაჩვენები წანამძღვარები და შესაძლო შედეგი რომისა და ქართლის მეგობრობისა.

ერთგან მეფე წერს: „თქუენთა შვილად შეწყნარებულთა გვირგვინოსანთა კელმწიფეთაგან მრავალჯერ გამარჯვება გვესმა ჩუენში და ჩუენს საკელმწიფოში დიდი სიხარული და ძხიარულება არის. სრულიად ჩუენი საკელმწიფო მარადის ევედრებიან ღმერთსა, რათა უმეტესად განაძლიეროს ღმრთისაგან კურთხეული მარჯვენა თქუენი და წმიდისა სამებისა და ერთარსებისა მართალ-მადიდებელთა სახელოვანთა კელმწიფეთა მტერთა ზედა ძლევა. მერმე კიდევ ეს მოვახსენოთ თქუენსა ღმრთისაგან სამართლიანად შეყუარებულს თავსა: ჩუენი საბატონო და ალაგი ყაენს მორჩილობს და მის უბრძანებელს ვერასა ვიქთ, თვარემ რადგან თქუენის ლოცვით თქუენს შვილად შეწყნარებულთ გვირგვინოსანთ კელმწიფეთაგან გამარჯვება და ურჯულოთ მტერთა ზედა ბრძოლა მოგვესმა, ჩუენც ვეცდებოდით ღმრთითა და თქუენის მადლით, რომ ჩუენის საკელმწიფოთ თქუენის მტრისათვის ბევრი ავი გვექმნა, თქუენთვინაც გვემსახურებინა და თქუენთა მორჩილთა კელმწიფეთათვის თავი გვეცნობებინა. აწეცა ჩუენის საკელმწიფოთა და ბრძანების მორჩილთა საქართველოს ლაშქრით მზა ვართ, თქუენს ბრძანებას ველით, რომელსაც თქუენი ლოცვა და კურთხევა დაგვარიგებს იმისი მქნელი ვართ“.

გაცხოველებული დიპლომატიური შემოქმედებითა. და. ში-სი. გამოხატველი დოკუმენტების სიუხვით საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში მკვეთრად გამოირჩევა XVIII ს-ე, რომლის პირველი მეოთხედი და უკანასკნელი მესამედი განსაკუთ-

რებით მდიდარია საგარეო ურთიერთობის აქტებით და მათი ამსახველი საისტორიო მასალით. ეს მასალა შეიცავს საელჩო მეტყველების უნიკალურ ძეგლებს, რომლებიც იქვე დართულ ცნობებთან ერთად ნათლად გვიჩვენებენ როგორც კერძო ორატორულ გზებს, ისე მათ საერთო მიმართულებასაც. ამ ჩვენებით ხერხდება ჩვენი კლასიკური ზეპირი და ეპისტოლარული საელჩო მკვერმეტყველების უკანასკნელი ფურცლის გადაშლა. ამ ფურცელზე აღბეჭდილია ბევრი გამოჩენილი ქართველი დიპლომატის ორატორული ხელოვნება. მათ შორის ყველაზე ადრინდელი და უფრო თვალსაჩინო სულხან-საბა ორბელიანია. მას მხარს უმშვენებს უმცროსი თანამედროვე ვახტანგ VI. მათი მომდევნო დიპლომატებია: ანტონ კათალიკოსი, არტემონ ანდრონიკაშვილი, ლევან ბატონიშვილი და სხვ. მათ კვალდაკვალ მოჰყვებიან: მაქსიმე ქუთათელი, დავით კვინიხიძე, სულხან თუმანიშვილი, ზურაბ წერეთელი და სხვ. ამ პლედის ნამოქმედარს აგვირგვინებენ სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწეები: ბესარიონ გაბაშვილი, გარსევან ქავჭავაძე და სოლომონ ლიონიძე.

XVIII ს-ის პირველი მეოთხედის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს ს. ორბელიანის ელჩობა დასავლეთ ევროპაში. ის შედგა 1713—1716 წლებში ვახტანგ VI-ისა და სულხანის ინიციატივით. მათივე თაოსნობით ჩატარდა ელჩობის სამზადისი, რომლის პროცესში სულხანმა რამდენიმე პასუხსაგები საქმე აწარმოა თურქეთსა და ირანში, სადაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და სათანადო პოლიტიკური წრთობა მიიღო. ამას მოჰყვა სულხანის უკანასკნელი დიდი ელჩობა, რომელიც თუმცა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ისტორიული შედეგით აღინიშნა, რაც ქართლ-კახეთის პოლიტიკური მიმართულების გადამწყვეტ შებრუნებაში გამოიხატა — ამიერიდან დასავლეთის ორიენტაცია საბოლოოდ შეიცვალა ჩრდილოეთის ორიენტაციით.

მიუხედავად ამისა 1722 წელს ვახტანგ VI-ის მხრივ ერთხელ კიდევ გამოვლინდა დასავლეთთან დაახლოების რწმენა. ამჯერად ქართლის მეფე წერილებით დაუკავშირდა რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს და მათგან მფარველობა ითხოვა. მეფის თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული;

1724 წელს ვახტანგ VI და ს. ორბელიანი რუსეთში გადასახლდნენ.

1723 წლიდან ქართლში თურქები გაბატონდნენ. 1735 წელს ისინი ირანელებმა შეცვალეს. უკანასკნელთა თარეში ჩვენში გაგრძელდა 1747 წლამდე — პატარა კახის სამხედრო და პოლიტიკურ მომძლავრებამდე.

ირანელთა ბატონობის სათავე აღინიშნა საპროტესტო ელჩობით პეტერბურგის კარზე. 1736 წელს თეიმურაზ II-ემ თავისი დიპლომატის როსებ გიორგის ძის მეთაურობით 3 კაცისაგან შემდგარი საელჩო მიუვლინა იმპერატორ ანა იოანეს ასულს და რუსეთის გამოსაჩრლება ითხოვა ნადირ-შაჰის ძალადობის აღსაკვეთად.¹ როსების ცდას ეფექტური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ კეთილი მანიშნებლის აზრი აღმოაჩნდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების გზაზე.

1744 წელი გარდატეხის თარიღია ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ წლიდან ირანის მპყრობელმა ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II და მისი შვილი ერეკლე II ქართლისა და კახეთის მეფეებად დანიშნა. ქართლ-კახეთის გაერთიანებას მამა-შვილის ხელში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შემდგომი გაძლიერებისა და აღორძინებისათვის. ეს ესმოდათ ქართველების მტერ-მოყვრებს როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის გარეთ. მათ ეს რწმენა გაუჩნდათ ტახტის აღდგენამდე, როცა თეიმურაზმა და ერეკლემ ალაგმეს არაგვის ერისთავი (1743), გაულრმავდათ, როცა მეფეებმა გააუქმეს ქსნის საერისთავო (1744) და განუმტკიცდათ, როცა მამა-შვილმა სძლიეს ერევნის, განჯისა და ნახჭავანის სახანოებს და შემოიმტკიცეს აღმოსავლეთ კავკასია (1748—1750).

ქართლ-კახეთის მეფეთა ენერგიულ შეტევას, რაც მათ გამეფების წლებში აწარმოეს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, იარაღთან ერთად ხელს უწყობდა სიტყვატ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ: ჭერ თეიმურაზისა და ერეკლეს ერთობლივი დიპლომატია, 1744—1761 წლებში, და შემდეგ ერეკლეს დამოუკიდებელი პოლიტიკა, 1762—

¹ ა. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში..., გვ 387—403.

1798 წლებში, ხარბად მიმართავდა და უხვად იყენებდა მკვერ სიტყვას, კერძოდ, საელჩო მკვერმეტყველებას. ამის პირდაპირი მაჩვენებელია ჩვენამდე მოღწეული სიტყვები, წერილები, გამოთქმები და დიალოგები. ამასვე მიუთითებენ დოკუმენტებით ცნობილი ელჩობანი, სხდომები, თათბირები და პაექრობანი. ამ მდიდარი მასალის ანალიზით ნათელი ეფინება თეიმურაზისა და ერეკლეს თაოსნობით გაშლილ დიპლომატიურ მუშაობას, მათს საგარეო პოლიტიკასა და მათი მონაწილეობით აყვავებულ საელჩო მკვერმეტყველებას.

ვიდრე ამ ორატორულ ხელოვნებას შევეხებოდეთ უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური აზროვნება პირდაპირი გაგრძელება ლოგიკური დაგვირგვინებაა, ერთი მხრით, ჩვენი კლასიკური დიპლომატიის გენერალური ხაზისა და, მეორე მხრით, არჩილ II-ისა და ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთში დამკვიდრებული კოლონიების პოლიტიკური მონაპოვრისა. ამ დიდი მემკვიდრეობის კანონიერი მფლობელი და ღირსეული დამცველი აღმოჩნდა ერეკლე II, რომელმაც ახალი შინაარსით გაამდიდრა შთამომავლობით მიღებული თეორიული განძი და გონივრული მოქმედებით აქცია ის პრაქტიკულ ღირებულებად. ამ უკანასკნელს წარმოადგენს ისტორიული გარდატეხა: საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ქართლისა და კახეთის მეფეებმა პირველი ერთობლივი ნაბიჯი დიპლომატიურ სარბიელზე გადადგეს 1752 წელს, როცა რუსეთის სამეფო კარზე საგანგებო დავალებით მიავლინეს ათანასე თბილელი და სიმონ მაყაშვილი, რომლებიც 1754 წლამდე დარჩნენ რუსეთში და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მისია შეასრულეს. მათი ელჩობის უმთავრეს მიზანს სამხედრო დახმარების მიღება შეადგენდა, რაც არ მოხერხდა რუსეთურქეთის გამწვავებული ურთიერთობის პირობებში, მაგრამ ახალი კვალი აღიბეჭდა ჩრდილოეთთან დაახლოების გზაზე და რეალური თანამშრომლობის იმედი ჩაისახა ერთმორწმუნეთა შორის. ამ სახით აღინიშნა ხსენებული ელჩობა ქართულ პირველწყაროში,¹ სადაც ხაზგასმულია მეფეების საწადელის ჩაშ-

¹ პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — საქართველოს ცხოვრება. გვ. 217—218.

ლა, რასაც რამდენადმე გულუბრყვილოდ გვიხსნის ჩვენი ისტორიკოსი, მაგრამ, როგორც ჩანს, არა შეუგნებლად, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური მოსაზრებით¹.

ქართლ-კახეთის მეფეთა ერთობლივი ელჩობა ქართლელი ათანასე ამილახვრისა და კახელი სიმონ მაყაშვილის მეთაურობით შედგა. მათ შორის უპირატესი უფლებით პირველი, სარგებლობდა. სხვა მიზეზებთან ერთად ამითაც აიხსნება მათი გამთიშველი ქიშპი, რასაც საქმისათვის დიდი ზიანი მოუტანია, მაგრამ, ამასთან, ზოგიერთი პირადი მხარე გამოუვლენია, მაგალითად, მჭევრმეტყველების უნარი, რაც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ჩვენამდე მოღწეული საარქივო დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც 1952 წელს ვრცელი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა პროფ. ი. ცინცაძემ, ათანასე თბილელი უფრო განათლებული და მჭევრმეტყველი ჩანს, ვიდრე სიმონ მაყაშვილი. ამასთან, დასტურდება მათი საერთო წვლილი, რაც ელჩობისას ცოცხალი სიტყვის სალაროში შეუტანიათ. აღნიშნულ დოკუმენტებში ბევრგან ხსენებულია „ზეპირათ დანაბარები სიტყუანი“, რაც ათანასესა და სიმონს ელისაბედ I-ისა და მისი დიპლომატების წინაშე უნდა ეთქვათ. ასე, მაგალითად, 1752 წლის 27 მაისს თეიმურაზი და ერეკლე ასე სწერდნენ ასტრახანის გუბერნატორს ი. ბრილკინს: „საქართველოდამ ყოვლად დიდებულისა და მალლისა თვითმპყრობელობისა წინაშე ყოვლად სამღუდლო მიტროპოლიტი ტფილისისა ათანასი წარმოვაგლინეთ კნიაზ სიმეონითურთ მოციქულად და ჩვენი საიდუმლო სიტყვა ვარწმუნეთ“². 1753 წლის 17 აპრილს ს. მაყაშვილი სწერს იმპერიის კანცლერს ა. ბესტუჟეევ-რიუმინს: „ამა წიგნებს გარდა, რომელიც ერთი ქელმწიფესთან არის და ერთი თქვენთან. ამას გარდა ზეპირათ ნაბძანები მაქვს ჩვენის მეფეებისაგან, ზეპირათ რომ თქვენის გრაფის დიდებულებას მოვასხენო“³. იმავე წლის 6 ივნისს ქართველი მეფეები საგანგებოდ აფრთხი-

¹ ი. ცინცაძე — ა. თბილელისა და ს. მაყაშვილის ელჩობა რუსეთში. გვ. 129—130.

² იქვე, გვ. 141.

³ იქვე, გვ. 148.

ლებენ რუსეთის ვიცე-კანცლერს მ. ვორონცოვს: „ჩვენნი ყოველნი საიდუმლოთ განზრახვითნი სიტყუანი ვარწმუნენით ყოვლად სამლუდელოსა ათანასის მიტროპოლიტსა ტფილისისასა და მაგის მიერ მოიკსენეთ“¹.

როგორც ვხედავთ, ა. თბილელისა და ს. მაყაშვილის საელჩო შემოქმედება არ იფარგლებოდა წერილობითი სიტყვით, რომლის ძეგლები დაცულია, და ხშირად იყენებდა ზეპირ მეტყველებას, რომლის ნიმუშები, სამწუხაროდ, არ შემონახულა.

1761 წელს თეიმურაზ II თვითონ გაემგზავრა პეტერბურგში და სამხედრო დახმარება ითხოვა იმპერიის კარზე. ის ითხოვდა ჯარს ან სახსრებს ჯარის დასაქირავებლად. მეფე სამაგიეროდ რუსეთს აღუთქვამდა მისი ინტერესების დაცვას ირანში, სადაც შექრას ვარაუდობდა დალისტნის დამარცხების შემდეგ. ამ ვარაუდის გამართლება საქართველოს დახსნის გარანტია უნდა ყოფილიყო ირანის ბატონობისაგან. ქართლ-კახეთის მეფეების სურვილსა და აღთქმას რუსეთის კარი გულგრილად მოეკიდა.

1762 წლის დამდეგს იმედგაცრუებული თეიმურაზი პეტერბურგში გარდაიცვალა. ჩქარა ერეკლემ შეიერთა ქართლის სამეფო და თავი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან იწყება მისი დამოუკიდებელი დიპლომატიური მოღვაწეობა.

ვიდრე მას შევეხებოდეთ, მივხედოთ იმერეთის საქმეებს.

10 წლით ადრე, ხსენებულ მოვლენებამდის, იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ I. მისი მეფობა დასავლეთ საქართველოში მოგვაგონებს პატარა კახის მეფობას ქართლ-კახეთში. სოლომონ მეფე თავგამოდებით ებრძოდა ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებს, იცავდა ხალხის ინტერესებს და ეროვნული ხსნის საწინდარს ხედავდა რუსეთთან მეგობრობაში. ამით აიხსნება სოლომონის განუწყვეტელი ურთიერთობა რუსეთის სამეფოსთან.

ამ ურთიერთობის სათავედ 1768 წელი, რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისი, უნდა მივიჩნიოთ. გამჭრიახ მეფეს მარჯვე

¹ იქვე, გვ. 150.

მომენტი შეურჩევია დიდი საქმის წამოსაწყებად. ამ დროისათვის მოგვარებული იყო იმერეთისა და ქართლ-კახეთის ურთიერთობა, სამშობლოს ფარგლებიდან განდევნილი იყო ოსმალთა ურდოები და მომრავლებული იყო ლიხთიმერეთის მოსახლეობა. ასეთ ვითარებაში მიუმართავს სოლომონ I-ს ეკატერინე მეორისათვის და, რადგან რუსეთ-თურქეთის პირველი ომი მოახლოებული იყო, განსაზღვრული მხარდაჭერა აღუთქვამს. ამ გზით, რა თქმა უნდა, სოლომონი, უწინარეს ყოვლისა, საიმედო მოკავშირეს ეძებდა დროებით მიწყნარებული თურქეთის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ იმერეთის მეფეს სამჯერ მიუვლენია ეკატერინეს წინაშე დიპლომატი დავით კვინიხიძე: პირველად 1769 წელს გენერალ ტოტლებენის უკმაკური ქცევის გასაცხადებლად, მეორედ 1774 წელს ქუჩუკ-ყაინარჯის ხელშეკრულების თაობაზე, ხოლო მესამედ 1784 წელს მფარველობის სათხოვნელად.

დავით კვინიხიძის დიპლომატიურ საქმეს, უდავოა, მკვერი სიტყვა ამშვენებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ნიმუშები არ შემონახულა და ამიტომ კვლევა-ძიების შემოვლილი გზით ვსარგებლობთ.

სოლომონ I-ის ერთპიროვნული მართვის სისტემაში ჩაბმული იყვნენ სამეფო კარის ნაცადი დიპლომატები, რომლებიც მეფის სურვილის მიხედვით აწარმოებდნენ სახელმწიფო ოპერაციებს. ისინი ასრულებდნენ არა მარტო მაღალი რანგის მოხელეთა დიდმნიშვნელოვან მისიებს, არამედ მცირე დანიშნულების ტექნიკურ საქმეებსაც. მათი ხელით უნდა იყოს შექმნილი სამეფო კორესპონდენციები და ოფიციალური დოკუმენტები. ეს გვაფიქრებინებს, რომ მეფის მიმოწერის დიდი ნაწილიც დიპლომატების კალამს ეკუთვნოდა. უნდა ითქვას, შეიძლება საერთოდ ექვი შევიტანოთ უზენაეს ხელისუფალთა პირადი გზავნილების კუთვნილებაში — ხშირად ესა თუ ის ხელრთვა არ არის ავტორობის მაჩვენებელი. კერძოდ ეს ითქმის სოლომონ I-ის სახელით მოღწეულ წერილებზე, რომლებიც უფრო მეფის კარისკაცების შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ. ასეა თუ ისე, ეს საკმაოდ მდიდარი ეპისტოლარული მე-

მკვიდრობა სოლომონის ეპოქის საელჩო მეტყველების სახის მაჩვენებელია.

სოლომონ I-ის სახელით ჩვენამდე მოღწეულია მისი წერილობითი მიმართვები რუსეთის ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და უმაღლესი მოხელეების მიმართ. ამ მიმართვებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მეფის 3 წერილი ეკატერინე მეორისადმი. მათ შორის პირველი დაწერილია, 1768 წელს, ხოლო მეორე და მესამე — 1770 წელს. პირველსა და მესამეს წინ უძღვის სახოტბო შესავალი, რომელიც ეკატერინეს მიემართება.

გარეგნულად უფრო გამართული პირველი მიმართვის შესავალია: „საყოველთაო დედაო მართლმადიდებელთა ქუეყანათაო, რომელი მახლობელთა და შორეულთა ზოგად განგვანათლებ და დედობრივითა თანალმობითა ღმერთებრივსა მოწყალეებასა უხვევით მოგვფენ ყოველთა; და არა თუ მხოლოდ ყოველობით როსიისა საკეისროჲსა ხარ სიქადულ და ნუგეშინისმცემელ, არამედ ყოველთა თანერთქმათა წმიდისა და უხადოსა აღმოსავლეთისა სარწმუნოებისათა ზოგად ხარ სიქადულ და ნუგეშინისმცემელ — ამისთვის მოტყინარითა გულითა, სასოებითა მტკიცითა და შეურყეველთა სარწმუნოებითა ყოველად დიდებულსა საყდარსა გარემოვლითა, შევრდომით და თაყვანისცემით მტერთა ქრისტეს კირსათა დამთრგუნველსა ფერქთა იატაკსა შეგივრდებით და მოწყალეებისა მთხოველი სამსა სავედრებელსა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა ყოველად-მოწყალეებისა თქვენისა“.

მეორე მიმართვა იწყება სოლომონისა და მისი ელჩის მაქსიმე ქუთათელის ხატოვანი ხსენებით, რასაც მოსდევს წერილის შედარებით სადად შესრულებული საქმიანი ნაწილი. ასეთი ნაწილები სხვა მიმართვებშიც შეუფერავი სტილითაა გამოხატული. სოლომონის საერთოდ მკვირვად ნაძერწ სამეტყველო ფორმას დაკრავს არათანმიმდევრული სტილისტური იერი, რაც გარეგნული ელფერის სიჭრელესა და სხვადასხვაობაში გამოიხატება.

ჩვენთვის საყურადღებო საკითხის გასარკვევად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ 1770—80-იან

წლებში ერეკლეს მიერ ჩატარებული რეფორმით სახელმწიფოს მართვის აპარატში ცალკე გამოიყო საგარეო საქმეთა მმართველობა. ეს მოხდა რუსეთის სახელმწიფო წყობილების გავლენით, რომლის ერთ შემადგენელს საგარეო საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა, რომელსაც 1760—90-იან წლებში ეკატერინე მეორესთან ერთად ნ. პანინი, გრ. პოტიომკინი და ა. ბეზობროდკო ხელმძღვანელობდნენ.

პატარა კახის ხსენებული რეფორმის შემდეგ წარმოქმნილი საგარეო საქმეთა სამმართველო, რომლის ჰერკვემ 40 წლის მანძილზე ბევრი სახელოვანი ქართველი დიპლომატი მოღვაწეობდა. გახდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ცენტრი, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფე ხელმძღვანელობდა. ამ კერამ დიდად შეუწყო ხელი ქართული დიპლომატიისა და საელჩო მკვერმეტყველების განვითარებას.

ერეკლე II-ის სახელით ჩვენამდე მოღწეულია მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომლის ავტორობის შესახებ უნდა ითქვას იგივე, რაც ზემოთ აღინიშნა სოლომონ I-ის სახელით მოღწეული მიმართვების ავტორობის თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, თუ მეფის ხელმოწერით დაცული წერილობითი განძი ანონიმური ავტორების კუთვნილებაა, ის ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების საერთო მონაპოვარს წარმოადგენს და მისი ისტორიული განვითარების დონის მაჩვენებელია.

1769—1797 წლებში მეფე ერეკლე ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა რუსეთის იმპერატორებთან და უმაღლეს სახელმწიფო პირებთან. ამასთან, მეფეს განუწყვეტელი წერილობითი კავშირი ჰქონდა თავის დიპლომატებთან, რომლებიც რუსეთის კარზე იმყოფებოდნენ. ასეთი ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნა ის მდიდარი საისტორიო მასალა, რომელიც მეფის სახელს უკავშირდება და პირველწყაროს სახით გვევლინება. ამ მასალის დიდი უმრავლესობა მშრალი, საქმიანი აღწერისა და ცივი, გულგრილი თხრობის სტილითაა წარმოდგენილი. ასეთი ფორმა, ჩანს, უკეთ გამოხატავდა ჰირნახული ხელმწიფის ოფიციალურ განწყობილებასა და ობიექტურ აზროვნებას. ამასთან ერთად მეფის ზოგიერთ წერილს არ აკლია კაზმული ფორმა და მწყობრი გარეგნობა.

ერთი ასეთი ქმნილებაა მიმართვა პავლე პირველისადმი, რომელიც მეფის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვის წამყვან შინაარსს წმინდა პრაქტიკული ხასიათის სათხოვარი — „ძლევამოსილი მხედრობის ბოძება“ — წარმოადგენს, ავტორი თავის ძირითად სათქმელს ჰარმონიულად გამართულ გარემოცვაში აქცევს და სიამოვნების გამომწვევი მასალით მოსავს. მაგალითად, ასე: „ვითარცა მე, ეგრეთცა წინაპართაჲ ჩემთა ჰქონდათ სურვილი და ადრითგანვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა თქვენისა, რომელიც განფენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა. რომლისათვის ჩვენც სარწმუნოდ მოიმედენი ვართ. რომ თქვენი უდიდებულესობა ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს“.

ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში მოქცევის შემდეგ, 1769—1770 წლებში, როცა რუსეთ-თურქეთის ომი მძვინვარებდა, მეფე ერეკლემ მტკიცე დიპლომატიური კავშირი დაამყარა და ცხოველი მიწერ-მოწერა გააჩაღა რუსეთის სამეფოსთან. ამ ურთიერთობის ერთი პირველი წამომწყები და უშუალო მონაწილე იყო მეფის ელჩი პეტერბურგის კარზე არტემონ ანდრონიკაშვილი. მისი ელჩობის უმთავრეს მიზანს სამხედრო დახმარების მიღება შეადგენდა, რის საზღაურად მესხეთის ფრონტის გახსნა უნდა მომხდარიყო, რასაც ორმხრივი სარგებლობა ექნებოდა: რუსეთისათვის — თურქეთის ძალთა დაქსაქსვა, და საქართველოსათვის — მესხეთის გათავისუფლება.

არტემონის ელჩობას შორსმავალი საწადელიც გააჩნდა: მას უნდა შეემზადებინა რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაასლოება, საითკენაც ასეული წლების მანძილზე მიისწრაფოდნენ ორივე ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები.

ამავე მიზანს უფრო გარკვევით და მეტი რეალური შანსით ისახავდა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობა რუსეთში, სადაც ისინი ერეკლეს დავალებით იმყოფებოდნენ 1772—1774 წლებში. მათ დავალებული ჰქონდათ გა-

ეცნოთ ეკატერინე მეორისათვის ის პირობები, რომელთა დაცვით ისურვებდა მეფე ერეკლე რუსეთის მფარველობაში შესვლას. ელჩებს თან ჰქონდათ ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც წარდგნენ ისინი ეკატერინეს წინაშე და მოახსენეს მას მეფის დანაბარები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა, მან საგრძნობი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს მომავალი დაკავშირების საქმეში. ამ საქმის იურიდიულ გამომხატველს წარმოადგენს 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი.

კათოლიკურ რომთან დაახლოების უკანასკნელ ცდას საქართველოს მხრივ ადგილი ჰქონდა 1781—1782 წლებში. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ქართლ-კახეთის მეფე წერილებით დაუკავშირდა იმპერატორ იოსებ II-ეს და სამხედრო დახმარება ითხოვა თურქეთის წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი, რასაც არავითარი წინსვლა არ მოჰყოლია, გადაიდგა რუსეთთან შეთანხმებით. მისიონერ მოციქულთა შუამავლობა ერეკლეს პირად წერილებსა და ზეპირ დანაბარებს ეყრდნობოდა და მათი დანიშნულებისამებრ გადაცემით ამოიწურა.

ხსენებულ მასალაში, რომლის წერილობითი ნაწილი ჩვენამდე მოღწეული გარკვევით ჩანს საელჩო მკვერამეტყველების კვალი. მისი შემცველია, მაგალითად, იტალიურ ენაზე შემონახული მიმართვა იოსებისადმი.¹ ამ დოკუმენტის რუსული პირი — ქართული დედნის თარგმანის თარგმანი — თავდაპირველი ფორმის ნიშნებს ინარჩუნებს და ქართველი ავტორის ხელოვნებას გვიჩვენებს. ამასვე ადასტურებს იქვე ხსენებული «Словесное наставление», რაც ერეკლე II-ეს თავისი მოციქულისათვის მიუცია იმპერატორის წინაშე მოსახსენებლად².

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიაში, გეორგიევსკის რუსულ ციხე-სიმაგრეში, გაფორმდა რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი პირობა“, რითაც ორივე მხრისათვის სასურვე-

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, II, стр. 13—15.

² იქვე, გვ. 14.

ლი შედეგით დაგვირგვინდა 300 წლის მანძილზე წარმოებული ძიება, რომლის საშუალებას აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა წარმოადგენდა. ამ ურთიერთობის უმაღლესი იურიდიული ნაყოფი, ქართლ-კახეთის პოლიტიკური დაქვემდებარების სტატუსი, მფარველობითი ტრაქტატი თავდაპირველად დაიწერა რუსულ ენაზე.¹ მისი ქართული ტექსტი არის თარგმანი, რომელიც კარგად გვიჩვენებს ჩვენი დიპლომატიური ენის ლექსიკურ სიმდიდრესა და გრამატიკულ წყობას. ამასთან, მას შესამჩნევად ეტყობა რუსული დიპლომატიური ენის გავლენა, რაც უმთავრესად ზოგიერთი სპეციალური ტერმინის უცვლელად გადმოღებაში გამოიხატება.

ტრაქტატში გაერთიანებულია ძირითადი ტექსტი და 3 დანართი. ძირითადი ტექსტი შეიცავს პრეამბულასა და ცამეტ არტიკულს. პირველი დანართია 4 საიდუმლო არტიკული; მეორე დანართია 1 დამატებითი მუხლი; მესამე დანართია ფიცის ტექსტი.²

ეს ნაწილები შეკრულია თანმიმდევრულად გამართული, ოდნავ მოუქნელი ენობრივი ქსოვილით. ძეგლის სტილი შეფერილია არქაიზმებით. ტექსტში შეინიშნება ნეოლოგიზმებიც. თარგმნისათვის უცხო არ არის სიტყვათშემოქმედება. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი ლექსიკური სიახლე. მაგალითად: მუნდასწრება (იქ ყოფნა), მკირსი (საქირო), თანაშეუღლება (შეკავშირება), თვისყოფა (შესაბამისობა), ხმაყოფა (შეტყობინება), მგზავრ-განმელელი (გზადმიმავალი), სრულძალმქონებელი (სრულუფლებიანი) და სხვ.

ტრაქტატის ენობრივი ფორმის საჩვენებლად ზედმეტი არ იქნება რამდენიმე ნიმუშის ამოკრება.

პრეამბულის დასკვნითი ნაწილი ასე იწყება:

„ადრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისთანა ქართულთამან კმსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათ-

¹ Л. А лексидзе — Взаимоотношения Грузии с Россией..., стр. 69.

² იქვე, გვ. 74—75.

ლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღდგომად მაჰირვე-
ბელთა, რომელთაცა ქვეშეშევრდომილ იყვნენ იგინი მეზო-
ბელთაგან თვსთა; მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვთ-
მპყრობელთაგან მეფეთა მიმართ საქართველომასათა, ნათესავ-
თა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან გამოიყუანა მოკიდუ-
ლებამ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან, რომელი-
ცა უფროსლა იჩუენების რუსეთის საიმპერატორომასა ტიტ-
ლოსაგან“¹.

პირველი არტიკული ასე ჟღერს:

„უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა
სახელითა თვსითა, მემკვდრეთა და მენაცუალეთა თვსთა დღე-
სასწაულობით უკუნსტქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარ-
სამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდებულებისა სპარსთასა, ანუ
სხუათა მპყრობელთასა და ამით ცხად ჰყოფს წინაშე პირსა
ყოვლისა სოფლისასა, ვითარამედ არა შეარაცხს იგი თვსზედა
და მენაცუალეთა თვსთა ზედა სხუასა თვთმპყრობელსა თვხი-
ერ უზენაესისა ჯელმწიფებისა და მფარველობისა მისი იმპე-
რატორობის დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვდრეთა
და მონაცუალეთა სამღუთომასა ტახტისა ყოვლისა რუსეთისა-
თა აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზაყოფისა 'მე-
წვენისათვს სარგებელისა საკელმწიფომასა ყოველსა შინა 'მემ-
თხუევეასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი“².

ფიცის ტექსტში ნათქვამია:

„მე უკუე ქვემოჰსენებული აღუსტქუამ და ვიფიცავ ამას
ყოვლისა შემძლებელითა ღუთითა... რათა ვიყო ერთგულ, სარ-
წმუნო და კეთილისმწადნელ, — აღვიარებ სახელითა ჩემითა
სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა
მფარველობასა და უზენაესსა ჯელმწიფობასა მისის იმპერა-
ტორობის დიდებულებისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრე-
თა მისთასა ჩემზედა და მოსაყდრეთა ჩემთა ქართლისა და კა-
ხეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განეაგდებ ყო-
ველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითარსამე

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 101.

² იქვე. გვ. 102—103.

მისაღებელთა ტიტლოთა, ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებებისა, ანუ კელმწიფებისა სხვათა კელმწიფეთა და მპყრობელთასა, და უარეყოფ მფარუელობასა მათსა, შევიკრვი წმიდითა ქრისტიანებრითა სუნიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა საკელმწიფოსათა ვრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაც სახმარ ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორობის დიდებულებისა და ყოვლისა რუსეთისა საკელმწიფო-მსასა, და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე სისხლისა“¹.

მესამე საიდუმლო არტიკულის არსებითი ნაწილი ამ სახისაა:

„დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღურე მისისა იმპერატორობის დიდებულებისა კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა თანამდებ არს, რათა უგანათლებულებასა მისსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ეთანახმოსმცა და დაჰსდუას პაზრი შეწვენისათს თქმულთა მათ ქუეყანათა და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათს, რომელიცა არ ჰსწუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს“².

ახეთი აგებულება და სიტყვიერი გარსი ამშვენებს დიპლომატიური დოკუმენტაციის ამ სანიმუშო ძეგლს, რომლის ირგვლივ შედარებით მოკლე დროში შეიქმნა ოფიციალური საბუთების მდიდარი ციკლი — წერილები, სიტყვები, დიალოგები, აქტები, მიმართვები, რომელთა ენობრივი ფორმა არსებითად განურჩეველია ტრაქტატის სიტყვიერი ფაქტურისაგან და მისი მაღალი დონის გამომხატველია.

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი საგანგებო მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია, რომლის პოლიტიკური შემზადება, ლიტერატურული შედგენა და იურიდიული გაფორმება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისა და საქართველოს დიპლომატიური სამმართველოს თანამშრომლების

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 107.

² იქვე, გვ. 109.

ღეაწლს წარმოადგენს. ქართველების მხრივ ტრაქტატისა და მისი ლიტერატურის შექმნის საქმეში ჩაბმული დიპლომატები — გ. ჭავჭავაძე, ს. თუმანიშვილი, ს. ლაშქარაშვილი, გ. ავალიშვილი, რ. ფალავანდიშვილი და ს. ლიონიძე — ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ხანმოკლე მეფობაშიც (1798—1800) განაგრძობდნენ თავიანთ პატრიოტულ შემოქმედებას. ამ პერიოდის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს გეორგიევსკის ხელშეკრულების გადასინჯვა, რაც რუსეთის ძალებზე სრული დაყრდნობის ტენდენციამ გამოიწვია ჩვენში.

ეს ტენდენცია პავლე პირველმა თავისი იმპერიალისტური პიზნისათვის გამოიყენა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისაკენ მიმართა. ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა ალექსანდრე პირველმა, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას მეფის რუსეთის უღელქვეშ.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1784—1789 წლებში, იმერეთში მეფობდა განსვენებული მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე. მან განაგრძო დიდი წინამორბედის ნაცადი პოლიტიკა, რაც, ერთი მხრით, ანტიოსმალური ტენდენციითა და, მეორე მხრით, გეორგიევსკის ხელშეკრულების სულისკვეთებით იყო შეპირობებული. ამ პოლიტიკის მესვეურები მეფესთან ერთად იყვნენ მისი წარჩინებული დიპლომატები — მ. ქუთათელი, დ. კვინიხიძე და ზ. წერეთელი, რომელთაგან პირველი ორი სოლომონ პირველსაც ემსახურებოდნენ, ხოლო უკანასკნელი — სოლომონ მეორესაც.

იმერეთის უკანასკნელი მეფე, ბიძაშვილი სოლომონ I-ისა და შვილიშვილი ერეკლე II-ისა, მეფობდა 1789—1810 წლებში. ის ხანგრძლივად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა დიპლომატიურ ხერხებსაც მოიცავდა. მეფე ფხიზლად ზეერავდა თურქეთისა და რუსეთის მტერ-მოყვრულ პოზიციებს და შესაბამის ზომებს იღებდა ყოველ საჭირო შემთხვევაში. ასე, მაგალი-

თად, 1789 წელს, გამეფებისთანავე, სოლომონმა ელჩის რწმუნება განუახლა ბ. გაბაშვილს და მნიშვნელოვანი დავალებანი მიანდო მას: პოეტ-დიპლომატს დაეკისრა ჯერ შავი ზღვის ქართული სანაპიროების შემომტკიცება და შემდეგ გეორგიევსკის აქტის მსგავსი სტატუტის გამოთხოვა იმერეთისათვის. ამ მიზნით 1789—1790 წლებში ბესიკი იმყოფებოდა კიშინიოვსა და იასში, გრ. პოტიომკინის ბანაკში, სადაც იმ დროს იყვნენ ქართლ-კახეთის ელჩები — გაიოზ რექტორი, იონა ხელაშვილი და სულხან თუმანიშვილი, რომელთა თანადგომით დაისვა იმერეთის საკითხი. ამ საკითხის გადასაჭრელად იქ იმჟამად, შორს რუსეთის ცენტრიდან და საომარ პირობებში, არ აღმოჩნდა საჭირო პრეცედენტი, მაგრამ მეფის ცდას უქმად არ ჩაუვლია — გაირკვა იმერეთის მიმართ ჩრდილოეთის აზრი, რაც განსხვავდებოდა ქართლ-კახეთის მიმართ რუსეთის აზრისაგან: ჩრდილოეთის თვალში დასავლეთ საქართველო ნაკლები კომპრომისის უფლებით სარგებლობდა.

1803 წელს სოლომონმა პეტერბურგის კარზე მიავლინა ს. ლიონიძე, რომელსაც იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და ტანტის მეფისათვის შენარჩუნების საკითხი უნდა გადაეწყვიტა და ამით დასავლეთ საქართველოს ურთულესი პოლიტიკური საქმეები მოეგვარებინა.

იმერეთის მეფისა და რუსეთის იმპერატორის ზრახვები ერთმანეთს არ დაემთხვა. პეტერბურგში გადაწყვეტილი ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების თანდათანობითი ინკორპორაცია, რაც იმერეთის სამეფოს გაუქმებით უნდა დაწყებულიყო, აქედან გამომდინარე დიქტატს წარმოადგენს 1804 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება, რომლის ძალით სოლომონი რუსეთს უნდა დამორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, მეფე ბრძოლას განაგრძობდა. ამის საპასუხოდ რუსეთის ხელისუფლებამ ჩვენში შემოყვანილი ჯარი გაზარდა და მეფე აიძულა ოსმალეთში გადახვეწილიყო. 1810 წელს იმერეთის სამეფომ შეწყვიტა თავისი დამოუკიდებელი არსებობა.

ამით ვამთავრებთ ქართული საელჩო მკვერმეტყველების ზოგად განხილვას. ასეთია მისი ისტორიული განვითარების

საერთო სურათი. ამ სურათზე აღბეჭდილია ჩვენი ძველი ორატორული ხელოვნების ერთი მდიდარი განშტოების — საელჩო მეტყველების — საზოგადო ნიშნები და მთლიანი ხასიათი. ასე გამოიყურება ქართული ოფიციალური დიპლომატიისა და შისი უმთავრესი ღონისძიების განუყრელი გზები საუკუნეთა მანძილზე. ამ გზებზე გაჩაღებული შემოქმედების ცალკეული წარმომადგენლები, მათი კერძო პორტრეტების სახით, ნაჩვენებია ქვემოთ.

საქართველო
გამოცემა



ქართული
სამედიცინო
გამოცემების
საერთაშორისო
საზოგადოებრივი
სამსახური

მირიან მეორე

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დაცულია ქართლის მეფის მირიან (მირვან) II-ის სიტყვა, მიმართული ერისთავებისადმი. მირიან II მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ხანებში. ის აღიზარდა სპარსეთში, სადაც წაყვანილი იქნა მამის — ქართლის მეფის ფარნაჯომის — სიკვდილის შემდეგ. ისტორიკოსის სიტყვით, მირიანი „იყო კაცი ქუელი, მკნე, მქედარი“ და მრავალგზის გამოცდილი თურქთა და არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში.¹

მირიან (მირვან) II ქართლის ტახტს ეცილებოდა ბარტომ მეფეს, რომელიც საისტორიო წყაროებში იხსენიება ძველი წელთაღრიცხვის 36 წელს. მირიანი სპარსეთის ჯარით შემოიჭრა ქართლში, დაამარცხა ბარტომი, მოკლა ის და დაისაყუტა მისი ტახტი.

ისტორიკოსი წერს: „ხოლო ვითარ მოკლა მირვან ბარტომი, და შემოვიდა ქართლად და დაიპყრა ყოველი ქართლი; და რომელნი დაშთომილ იყვნეს ერისთავნი ქართლისანი ციხეთა და სიმაგრეთა შინა, მისცა მათ ფიცი და აღთქმა, და გამოიყვანნა ყოველნი“².

ასე გაიმარჯვა მირიან (მირვან) მეორემ, რომლის წარმატებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ორატორულ დახელოვნებას, რაც კარგად ჩანს ლეონტი მროველის განზრახ შემცირებული ფაქტობრივი მონაცემითაც: „ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი, არა წარჩინებულნი, წარვიდეს და მიერთნეს

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 31.

² იქვე, გვ. 32—33.

მირვანს¹. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ შირი-
ანს შეუერთდნენ „არა წარჩინებულნი“, რაც იმით უნდა აიხ-
სნებოდეს, რომ ტახტის პრეტენდენტი ზეპირი სიტყვის მეშ-
ვეობით უფრო ადვილად, რა თქმა უნდა, დაბალი ფენის წარ-
მომადგენლებს მიიმხრობდა.

ამრიგად, გარკვევით ჩანს შირიანის სიტყვის თვალსაჩინო
წილი მოპოვებულ პოლიტიკურ წარმატებაში. ეს სიტყვა თა-
ვისი არსებითი ხასიათით საელჩო მკვევრმეტყველებას განე-
კუთვნება.

შირიანის სიტყვის ტექსტს თხზულებაში წინ უსწრებს ის-
ტორიკოსის ცნობა: „ამან შირვან შეკრიბნა სპანი ძლიერნი
სპარსეთს, წარემართა ქართლს, და მოუვზავნა მოციქული
ერისთავთა ქართლისათა, და რქუა მათ...“². ამ უწყებას მოს-
დევს სიტყვის ტექსტი: „მოიქსენეთ სიყუარული მამის მამისა,
წირვანისი, და კეთილი მისი თქუენდა მომართ“. ეს ფრაზა გა-
ძართულია მესამე პირში, რაც იმით აიხსნება, რომ შირიანის
სიტყვას წარმოთქვამს მოციქული, რომელიც ამ შემთხვევაში
ეოცხალი წერილის როლს ასრულებს. შემდეგ თხრობა მიმდინ-
ნარეობს პირველ პირში — მეფე ლაპარაკობს მოციქულის
პირით. ჭერ ნათქვამია: „დალაცათუ მამამან ჩემმან შემოილო
სჯული უცხო თქუენ შორის, და მისგანცა გაქუნდა კეთილი“.
შემდეგ წარმოებულია დიპლომატიური მანევრი, რომლის მი-
ზანს წარმოადგენს ერისთავების გულის მოგება: „სამართლად
მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამა-
თა თქუენტა, და აწ ნუ არს საურავი და შიში გულსა თქუენ-
სა სიკუდილისათვს მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევე-
ბისათვს მოჰკლვენ მამანი შეილთა და ძმანი ძმათა, და არა
იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათვს მოკლულთა“. და-
სასრულ, აღნიშნულია მთავარი, რითაც ნაცადია ერისთავების
მიმხრობა: „მე ვარ შეილი მეფეთა თქუენტა ფარნავაზიანთა.
დალაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულ-
სა ზედა მამათა თქუენტასა, და ვესავე მე ღმერთთა მპყრობელ-
თა ქართლისათა, და სასოებითა მათითა წარმართებულ ვარ ძი-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 31.

² იქვე.

ებად მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი“. ამით თავდება ეს საგრძნობი დიპლომატიური მიხვევ-მობხვევით აგებული ორატორული სიტყვა.

ის გარემოება, რომ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულის ორატორული ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია ახალი წელთაღრიცხვის XI ს-ის ისტორიკოსის თხზულებით, ცხადია, დედნის ღირსებას ართმევს და ნდობის ძალას უმცირებს მირიანის სიტყვის ტექსტს, მაგრამ მისი შემონახვის ფაქტი და დამხმარე მასალად გამოყენება იმას მოასწავებს, რომ ის სანდო წყაროდ მიუჩნევიან. ეს, ალბათ, შესაძლებელი გახდა მირიანის სიტყვის დროზე ფიქსირებისა და დაცვის მეოხებით, რასაც უქცევია ის XI ს-ის მეცნიერისათვის ხელმისაწვდომ დოკუმენტად.

ასეთი დოკუმენტების კვალი, კერძოდ ჩვენი უძველესი საისტორიო ქრონიკის — „ქართლის მოქცევის“. ზოგიერთი ცნობის გამოყენება — ნათლად შეინიშნება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“¹, რომლის შექმნა, რა თქმა უნდა, სათანადო წყაროების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ეს წყაროები, მცირე გამონაკლისს გარდა სამწუხაროდ, უცნობია. ერთი ასეთი წყარო, რომელიც ამჟამად ჩვენთვის გაურკვეველი გზით შესულა მროველის თხზულებაში, მირიანის ორატორული ძეგლია. ასეთი ვითარების ძალით ის საკმარის ნდობას იმსახურებს.

1 Г. М е л и х и ш в и л и — К истории древней Грузии, стр. 41.

ლაზი ელჩი

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიერ შემონახულ ცნობებში საქართველოს შესახებ დაცულია ლაზი ელჩის სიტყვა, თქმული სპარსეთის მეფის ხოსროს წინაშე ლაზეთის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის თაობაზე. არსებული ვითარების, კერძოდ, რომის პატრონატის შეცვლა სპარსეთის მფარველობით განზრახული იქნა იმ ძალადობისა და უსამართლობის შედეგად, რასაც რომაელები მიმართავდნენ ჩვენი ეკონომიკის დარგში VI ს-ის 30-იან წლებში. ამ მხრივ ერთ უფლებამოსილ მოხელეს იოანე ციბეს გადაუჭარბებია ყველასათვის. მას დასავლეთ საქართველოში მონოპოლიური ვაჭრობა შემოუღია და ქვეყნის მთელი აღებ-მიცემა პირადი შემოსავლის წყაროდ გაუხდია.¹

პროკოპი კესარიელი დაწვრილებით აგვიწერს რომის ეკონომიური პოლიტიკითა და მისი პრაქტიკული გამტარებლის „მეწვრილმანე“ ციბეს მტაცებლობით შეწუხებულ ლაზებს, რომლებმაც ელჩები მიუგზავნეს სპარსეთის მეფეს ხოსრო I-ს და მფარველობა სთხოვეს მას. „როგორც კი ელჩები მივიდნენ სპარსთა ქვეყანაში და ფარულად წარუდგნენ ხოსროს, მიმართეს მას შემდეგი სიტყვით“, — ამბობს პროკოპი კესარიელი, — და იქვე ათავსებს სიტყვის ტექსტს.²

სიტყვა იწყება მტკიცე რწმენის გამომწვევი ისტორიული ექსკურსით, რასაც წერილობითი საბუთის ხსენებით ამთავრებს ორატორი, და ამზადებს ნიადაგს უმთავრესის სათქმელად:

„თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგხვედრია ისეთები,

¹ გეორგია, ტ. II, გვ. 51—52.

² იქვე, გვ. 48.

რომელნიც რაღაცნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰკედლებიან, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა, და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისთვის დაუბრუნებია უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი, — ირწმუნე დიდებულო მეფე, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხები ხომ ძველათგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ეხლაც არის დაცული...”

ამას მოსდევს ელჩობის ძირითადი არსის გამოხატვა და მისი უმთავრესი მოტივის — „რომაელებისაგან განცდილი უბედურების“ ხსენება, რაც ქვემოთ, რამდენიმე რიტორული შემადღების შემდეგ, უფრო ვრცლად და გულდასმითაა გადმოცემული:

„საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინიან. უამრავი ჭარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავეძწყვიდით ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ. იმ აზრით რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფე. რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც-კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თვითეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრის-და მიხედვით“.

ამით სავსებით დასაბუთებულია რომაელთაგან ლაზების განდგომა, ნაჩვენებია ამ გათიშვის გარღვევალობა და, დასასრულ, ლაპარაკია იმ სარგებლობაზე, რასაც ლაზეთთან კავშირი მოუტანს სპარსეთს:

„იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ

ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გვიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული“.

ამრიგად, ლაზი ელჩის სიტყვა ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. ის აგებულია მწყობრი ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგრამ შენიღბულია მოჩვენებითი გულახდილობითა და ოსტატურად მოგონილი უშუალობის გრძნობით. ცხოვლად გამოთქმული აზრი აქ გაღრმავებულია შორსმავალი პოლიტიკური იდეებით და შემაგრებულია გამოსადეგი ისტორიული არგუმენტებით. ერთი სიტყვით, ლაზი ელჩის სამოციქულო მკვერმეტყველება გამოხატულია დიპლომატიური შეფარვითა და მტკიცე გარეგნული დამაჯერებლობით.

პიპა ქვენიფნეველი

პიპა ქვენიფნეველი XIV ს-ის პირველი ნახევრის სახელმწიფო მოღვაწეა. ის გიორგი ბრწყინვალის (1314—1346) პოლიტიკური მრჩეველი და კარის დიპლომატია. პიპა თავისი ღრობის გამოჩენილი მწიგნობარი და მკვერმეტყველი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს მისი მოვალეობის ხასიათი სამეფოს სათავეში. ამასვე მიუთითებს პიპას ელჩობა ეგვიპტის სასულთნოში.

პიპა ქვენიფნეველი ქსნის ერისთავის შალვა ვირშელის ძის შვილია. შალვა ქვენიფნეველი XIII ს-ის მიწურულის ცნობილი ფეოდალია, რომელიც განუდგა დავით VIII-ეს (1293—1311) და დიდხანს შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.¹ დავითის მეფობაში მომრავლდნენ შინა მოციქულები, ერთხელ ადგილი აქონდა შორეულ ელჩობასაც — მეფემ დესპანები მიუვლინა ოქროს ურდოს და ვოლგისპირეთის ულუსს დახმარება სთხოვა ილხანთა წინააღმდეგ. ამ ამბების უნებური მეთვალყურე პიპა, ჩანს, ბავშვობიდანვე ეზიარა საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიური ბრძოლის ხერხებს. ამას ვხედავთ მისი ნაყოფიერი საელჩო მივლინებით.

1320 წელს გიორგი ბრწყინვალემ თავისი დიპლომატი პიპა ქვენიფნეველი იოვანე ბანდაძის თანხლებით ელჩად მიუგზავნა ეგვიპტის სულთანს და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის „კლიტენი“ მოითხოვა. ამ დავალებასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, პიპას საიდუმლო მოვალეობაც ექნებოდა დაკისრებული, რაც, ალბათ, სამხედრო დახმარების მოგვარებაში გამოიხატებოდა, მაგრამ ეს წყაროებში აღნიშნული არ არის. რაც შე-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 443—444.

ეხება აქ გაცხადებულ დავალებას, ის ელჩებს წარმატებით შეუსრულებიათ.

მეფის ელჩებმა იმოგზაურეს იერუსალიმსა და ქაიროში, მონინახულეს ჯვარის მონასტერი, განაწესეს რამდენიმე ალაპი და, რაც მთავარია, ეგვიპტის სულთნისაგან მიიღეს „იერლაცი შეწყალებისა“ და „კლიტენი იერუსალიმისანი“. ამ დაძახებულებისათვის ჯვარის სავანის სპეციალურ დავთარში აღუბეჭდავთ შალვა ქვენიფნეველის, პიპა ქვენიფნეველისა და მისი მეუღლის თამარის მოსახსენებელი ალაპები¹.

ახალი ქართლის ცხოვრების ერთ ტექსტში, რომელსაც „ერისთავთა ძეგლი“ ეწოდება, შემდეგს ვკითხულობთ: „ამას უამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქუა პიპა, გზასა კმელთასა მრავლითა ძლუნითა წინაშე ნისრელისა. და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძლუნენი იგი მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვივა, უამი აწირვინა და ეზიარა, და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი, და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა. და მოილო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა. ფრიად განიხარა მეფემან გიორგი, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“².

იგივე ფაქტი აღბეჭდილია ელ-კალკაშანდის არაბულ ცნობებში საქართველოს შესახებ, რომლებიც 1886 წელს გამოაქვეყნა ვ. ტიზენგაუზენმა. აქ საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ამსახველ მასალებში, რომლებიც XIV ს-ის არაბი მემათიანის ელ-ომარის ჩანაწერებიდან მომდინარეობს, ლაპარაკია ჯვარის მონასტრის მუსლიმანთაგან დახსნის შესახებ, რაც ქართველთა დიპლომატიური ჩარევითა და მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოხერხებულა³.

1 ე. მეტრეველი — მასალები..., გვ. 74—75; 55, 63.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 444—445.

3 В. Тизенгаузен — Заметка Эль-Калькашанди о Грузии, стр. 212—213.

სარწმუნო მოსაზრებით, ხსენებულ ქართულ და არაბულ წყაროებში ერთი და იგივე ფაქტი — გიორგი ბრწყინვალის დიპლომატიური ცდა — იგულისხმება და 1320 წლის ელჩობაზეა ლაპარაკი¹, რაც შემოვლილი გზით ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების ფაქტზეც მიუთითებს მოცემულ ეპოქაში.

ამ მკვერმეტყველების ერთი წარმომადგენელი იყო პიპა ქვენიფნეელი.

¹ ი. ჭავჭავაძის შვილი — ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 173—174; ე. შეტრეველი — მასალები..., გვ. 44—45; პ. ინგოროვიკა — თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 768—769.

ნიკოლოზ ტფილელი

მიქელ თამარაშვილის მიერ რომში მოპოვებული საარქივო მასალის მეშვეობით შეიძლება გამოავლინოთ ჩვენი კულტურის ისტორიაში ერთი ნაკლებად ცნობილი მოღვაწე, XV ს-ის ელჩი და დიპლომატი ნიკოლოზ ტფილელი¹.

ის თანამედროვეა საქართველოს მეფის გიორგი VIII-ისა (1446—1466) და მესხეთის მთავრის ყვარყვარე ათაბაგისა (1451—1466). ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, XV ს-ის შუა წლებში თავს აღწევენ ხანგრძლივ შინაბრძოლებს, უკავშირდებიან ერთმანეთს, იერთებენ შიდა სამთავროებს, უთანხმდებიან გარე სამეფოებს და დასავლეთთან კავშირის დამყარებით ლაშობენ საერთო მტრის — ოსმალეთის დაძლევას. ყოველივე ამას წინ უძღოდა რომის პაპის პიო II-ის სამხედრო გეგმა დასავლეთ-აღმოსავლეთის კავშირისა თურქეთის წინააღმდეგ, რაც მან მინორიტელი ბერის ლუდოვიკო ბოლონიელის პირით აცნობა ქართველ მეფესა და ათაბაგს, რომელთა მისწრაფება სავსებით ემთხვეოდა პაპის განზრახვას.

ამ განზრახვით შთაგონებულ მეფესა და მთავარს 1460 წელს ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით ხუთი დესპანისაგან შემდგარი საელჩო გაუგზავნიათ დასავლეთ ევროპაში გერმანიის, ვენეციისა და რომის უზენაეს საერო და სასულიერო პირებთან და მათთვის რეალური სამხედრო დახმარება აღუთქვამთ. საელჩოში შედიოდნენ გამოცდილი დიპლომატიური წარმომადგენლები: ნიკოლოზ ტფილელი — გიორგი მეფისა, ქასადანი — ყვარყვარე ათაბაგისა, მიხეილი — ტრაპიზონელი კეისრისა, მორალო — სომხეთის მთავრისა და მაჰმე-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 61—63.

დი — სპარსეთის შაჰისა. მათ მეთაურობდა გიორგი VIII-ის დიპლომატი ნიკოლოზ ტფილელი.

ნიკოლოზი, როგორც მისი წოდებიდან ჩანს, მაღალი სასულიერო პირი, კერძოდ, ტფილისის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა მისი დიპლომატიური დამსახურება. ამ მხრივ ის, ჩანს, თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა, ლათინური წყარო მას იხსენიებს როგორც „Nicolaus orator Georgii Alexandri magnis“ ნიკოლოზის მოციქული ალექსანდრე დიდის ძის გიორგისა¹. ხსენებულ საელჩოში ის ყველაზე საპატიო პიროვნებად გამოიყურება. ამას ამტკიცებს ის, რომ პაპის წინაშე რომში შემდგარი აუდიენციის დროს სწორედ მას გამოუთქვამს მთელი საელჩოს მიზანსწრაფვა.

ის ეუბნება პიო II-ეს:

„თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამო მინორიტების წესის ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანთოვას ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა მაჰმედს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუწყოთ და ნატრობთ, ჩვენმა მთაგრებმაც ახიაში ომი აუტეხონ, როდესაც ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთაგრებს, რადგან მათ სძულსთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთაგრებს ერთმანეთში მღელვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწმზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს“.²

ამ სიტყვით ამომწურავად გამოთქმულია გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის პოლიტიკური ზრახვები, თუმცა გულუბრყვილოდაა გაგებული მათი შერიგების ფაქტი.

საქართველოს დესპანები ლუდოვიკო ბოლონიელისა და ნიკოლოზ ტფილელის მეთაურობით ჯერ გერმანიაში შეჩერ-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 598.

² იქვე, გვ. 61.

დნენ. სადაც ფრიდრიხ იმპერატორი ინახულეს და მეფე-მთავრების სალამი გადასცეს, შემდეგ ვენეციაში მივიდნენ და იქაურ სენატს დაესწრნენ, ხოლო დასასრულ, რომს ეწვივნენ, პაპის წინაშე წარდგნენ, წერილები მიართვეს და პირადად აუწყეს ის სიხარული, რაც პაპის წინადადებას ჩვენში გამოიწვია. აქ წარმოითქვა ნიკოლოზ ტფილელის ზემომოყვანილი სიტყვა.

ეს სიტყვა და მისი ავტორის სადესპანო მოღვაწეობა გარკვევით გვიჩვენებენ ნიკოლოზ ტფილელის ორატორულ ღვაწლს. საელჩო მკვერმეტყველების სარბიელზე.

ნილო მონაზონი

რომისა და ვარშავის ხელნაწერთა საგანძურებში დაცული პირველწყაროებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმარისი სისრულით აღდგენილია ერთი შედარებით უცნობი ქართველი დიპლომატის ნილო მონაზონის საელჩო მოღვაწეობის სურათი.¹ ამ სურათის მიხედვით ნილო (ნილოსი) მონაზონი XV ს-ის დასასრულის გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეა. ის თანამედროვე ქართლის მეფის კონსტანტინე II-ისა (1478—1505), რომლის კარზე წარმატებით ასრულებდა ბევრ საპატიო მოვალეობას — იყო კარის მოძღვარი, მეფის მრჩეველი და საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი დესპანი ეგვიპტეში, ესპანეთსა და რომში.

დიდი შინაური აშლილობისა და მძლავრი მუსულმანური გარემოცვის ვითარებაში ქართლის მეფე კონსტანტინე II ფართო დიპლომატიურ მუშაობას აწარმოებდა შორეული ქვეყნების მისამხრობად და საიმედო მოკავშირეების შესაძენად. ამ მიზნით ის უკავშირდებოდა როგორც ქრისტიანულ რომსა და ესპანეთს, ისე მაჰმადიანურ ეგვიპტეს და მათი დახმარებით ცდილობდა თურქების მოგერიებას. მართალია, ამ ენერგიულ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მოსაქცევად საერთაშორისო პოლიტიკის წრეში. ასეთი ცდების შედეგად იქცა საქართველო XV საუკუნიდან, განსაკუთრებით ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ქრისტიანული დასავლეთისათვის საყურადღებო ქვეყნად. ამ პოლიტიკური ინტერესის გა-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 64—67; ი. ჭავჭავაძის შვილი — ქართველი ერის ისტორია ტ. IV, გვ. 163—169.

მოწვევაში თავიანთი წვლილი შეუტანიათ ქართლის მეფეს კონსტანტინე მეორესა და დიპლომატს ნილო მონაზონს.

1493 წლის მახლობლად კონსტანტინე მეფეს ნილო მონაზონი ელჩად მიუვლენია ეგვიპტის სულთნის აშრაფ კაიტბეის (1468—1496) კარზე, სადაც, სანდო წყაროების ჩვენებით, მანამდისაც არა ერთხელ ყოფილან ჩვენი მოციქულები. შენახული მასალების მიხედვით ძნელი გასარკვევია ნილოს დასაქმების კონკრეტული არსი, მაგრამ ირკვევა, რომ ქართველი ელჩი ქაიროში სიხარულით მიუღიათ და მის დიპლომატიურ ცდას მეფისა და ხალიფის კავშირი მოჰყოლია. ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც შემდეგ კონსტანტინე მეფეს ესპანეთის დედოფლის იზაბელასათვის გაუგზავნია. აქ სხვათა შორის ნათქვამია: „გვგონია და ვხედავთ კიდევ, რომ ამიერიდან აღმოსავლეთის მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას თავისი მაციკროვნებელი ბრწყინვალეებით“¹.

1492 წელს ფერდინანდ V-ემ და იზაბელა დედოფალმა საბოლოოდ დაამარცხეს არაბები ესპანეთში და სამუდამოდ განდევნეს ისინი ნახევარკუნძულიდან. ეს სასიხარულო ამბავი ქაიროდან მომავალ ნილოს იერუსალიმში შეუტყვია, სადაც ის ესპანეთის დედოფლის დესპანებს შეხვედრია და ისინი საქართველოში წამოუყვანია. ყოველივე ამას მოწინავე ქართველ მამულიშვილებში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანობის შეკავშირებისა და ამ გზით საქართველოს აღორძინების იმედი აღუძრავს და კონსტანტინე მეფის ახალი პოლიტიკური მცდელობა გამოუწვევია. ეს უკანასკნელი ნილო მონაზვნის ელჩობაში გამოიხატა რომის პაპის ალექსანდრე VI-ისა და ესპანეთის დედოფლის იზაბელას წინაშე.

ეს ელჩობა შედგა 1495 წელს. კონსტანტინეს თავისი ელჩისათვის საგანგებო რწმუნება და საიდუმლო დაეალება: მიუცია, რომლის შინაარსს გაკვრით ვგებულობთ იმ საპასუხზე წერილიდან, რომელიც ალექსანდრე VI-ეს კონსტანტინესათვის მოუწერია. სამწუხაროდ, თვით კონსტანტინეს წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია.

¹ ი. ჭავჭავაძის შვილი — ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1, გვ. 164.

პაპის წერილში ნათქვამია: „თქვენის ელჩის, საყვარელის შვილდს, ნილო მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას და აგრეთვე გვილოცავთ და ყოვლისმპყრობელ ღმერთს მადლობას სწირავთ იმ გამარჯვებისათვის, რომელიც დარჩათ ჩვენთა სახელოვან შვილთა იმანთა ნიის მეფეს და დედოფალს ურწმუნოთა წინააღმდეგ; ეგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გაღმარებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ, რათა დავიხსნათ ეგოდენი დაჩაგრული ქრისტიანე და დავიბრუნოთ გაუპატიურებული ტაძრები“.¹

ნილო მონაზვნის ელჩობის დიდი მნიშვნელობა კარგად ჩანს იმ წერილიდან, რომელიც რომის პაპს თავისი „ყველა და თითოეული“ ხელქვეითისათვის გაუგზავნია ქართველი დესპანის რომიდან გამგზავრებისას. აქ ნათქვამია: „ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა ბასილის წესის მონაზონი საყვარელი შვილი ნილო, რათა მოეძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანისცემა და ერთგულება. აწ ხსენებული ორატორი ბრუნდება რა უკან თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგან თავისუფალი გზა მიეცეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ და საგანგებოდ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანამხლებლებით შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში, როგორც ჩვენს სამფლობელოში, ისე თქვენსაში“².

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 64—65.

² იქვე, გვ. 67.

ამასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი წერს: „ძნელად შევხვდებით, რომ ამისთანა თავის გასაცნობელი ქალაქი პაპებს სხვა ელჩებისათვის მიეცეს“.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეულია კონსტანტინეს მიერ ესპანეთის დედოფლისადმი მიწერილი წერილის ძველი რუსულით ნათარგმნი პირი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ვარშავის არქივში 1823 წელს¹. ამ წერილის დედნით და ზეპირი მოხსენებით წარმდგარა თავის დროზე ნილო მონაზონი იზაბელას წინაშე ესპანეთში. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ელჩის ზეპირი მოხსენება, რასაც სრული უეჭველობით ადასტურებს ხსენებული წერილი, რომელშიც საზეიმო ხასიათის მილოცვა-მისალმებასა და საქმიან მიმართვასთან ერთად აღნიშნულია: „... ჩვენი დესპანი ეპისტოლითურთ გამოვისტუმრეთ თქვენთან. მაგრამ იმის გარდა, რაც ამ ეპისტოლეშია დაწერილი, ჩვენი დესპანი ბევრ სხვასაც რასმე პირადად სიტყვიერად მოგახსენებთ“².

ასეთ დაეალებას ქვეყნის წინამძღოლი, ცხადია, მხოლოდ დახელოვნებულ მეტყველს მიაღობდა. ამ ფაქტითა და სხვა ბიოგრაფიული მონაცემებით, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, სარწმუნო ხდება ნილო მონაზვნის ორატორული დამსახურება.

¹ ი. ჭავჭავაძის შვილი — ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1 გვ. 165.

² იქვე. გვ. 169.

ალექსანდრე პირველი

XV საუკუნის რუსულ საისტორიო წყაროებში დატულია ჩვენი მეფე-დიპლომატის ალექსანდრე I-ის ორატორული-შემოქმედების კვალი. 1491 წელს მეფეს მკვერად გამოთქმული „მოკითხვის წიგნი“ გაუგზავნია მოსკოვის მთავრის იოანე მესამისათვის (1462—1505) და მომძლავრებული რუსეთის პოლიტიკური პოზიციები მოუსინჯავს საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ მიზნით ალექსანდრეს მოსკოვში მიუვლენია თავისი კარის დიპლომატები ნარიმანი, დამიანე და ხოზემარუმი, რომლებიც 1492 წლის ზამთარში წარმდგარიან მთავრის წინაშე და მისთვის წერილთან ერთად მეფის ზეპირად დანაბარებაც გადაუციათ. ჩვენამდე მოღწეულია ამ წერილის რუსული ტექსტი.¹ მისი ქართული დედანი ჯერხნობით მიუგნებელია. მის მაგივრობას ამჟამად გვიწევს პროფ. ი. ცინცაძის მიერ ოსტატურად შესრულებული თარგმანი.²

ალექსანდრე გიორგის ძე, კახეთის მეფე 1476—1511 წლებში, შინაური აშლილობისა და გარეშე მტრების მძლავრობის დროს, როგორც ირკვევა, გამალებით ეძებდა კავშირს მონღოლთა ბატონობიდან ახლადდახსნილ და ფეხზე წამომდგარ რუსეთთან. ფხიზელი პოლიტიკოსი, ჩანს, თვალყურს ადევნებდა; ერთი მხრით, ბიზანტიის დაცემით გამოწვეულ შედეგებს და, მეორე მხრით, ოქროს ურდოს რღვევით შექმნილ პირობებს. ის კარგად ხედავდა ბიზანტიის დაცემის სამწუხარო შედეგს საქართველოსათვის და ოქროს ურდოს დაშლის დადებით მნიშვნელობას რუსეთისათვის. პირველს მოჰყვა საქარ-

¹ С. Белокуров — Сношения..., XXI—XXII.

² ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 236—237.

თველოს გამოთიშვა დასავლეთის კულტურული სამყაროდან, ხოლო მეორეს — რუსეთის გაძლიერება ეროვნული თავისუფლების ნიადაგზე. XV ს-ის მეორე ნახევარში მოშენდა და გაფართოვდა მოსკოვის სამფლობელო. მოკლე დროში მან შეიერთა ნოვგოროდისა და ტვერის სამთავროები. ამით გაიზარდა მისი ძალა, გავლენა და მოქმედების არე.

ამ ვითარებას დაემთხვა კახეთის მოწინავე ადამიანთა ლტოლვა პოლიტიკურად და კულტურულად მძლავრი ქვეყნებისაკენ, რომელთა შორის სარწმუნოებით მახლობელი რუსეთი იქნა შერჩეული ჩვენთვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მოძმედ. ასეთი პოლიტიკური მისწრაფების უმთავრეს გამომხატველად იმ დროისათვის გვევლინება ალექსანდრე I. ეს მტკიცდება მისი სიტყვითა და საქმით, რასაც კარგად გვიჩვენებს ზემოხსენებული „მოკითხვის წიგნი“ იოანე ვასილის ძის მიმართ.

ალექსანდრე მეფის წერილი პირდაპირ არ გადმოსცემს ავტორის ნება-სურვილს, ნართაულად გამოხატავს მის საწადელს და არ შეიცავს რაიმე გარკვეულ თხოვნას. ის უფრო დიპლომატიური ურთიერთობის ერთგვარი პრედიკატია, შესავალი, რომელსაც უნდა მოჰყვეს პოლიტიკური დაახლოება. რაც შეეხება თვით სათხოვარს, ის, ალბათ, ზეპირად უნდა წარმოეთქვათ მივლენილ ელჩებს.¹ ეს კი იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ იმჟამად რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭერ ისევ თარეშობდნენ მონღოლთა ურდოები, რომლებსაც შეიძლებოდა ხელში ჩავარდნოდათ საიდუმლო დოკუმენტი. ასეთი ვითარების გამო ჩვენთვის არსებითად უცნობია კახეთის მეფის ელჩობის კონკრეტული არსი.² ამ დანაკლისს მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ალექსანდრე I-ის შემონახული წერილი, რომელიც სხვათაგან, კერძოდ ორატორული თვალსაზრისით, დიდად საყურადღებოა როგორც საელჩო მქვერმეტყველების სამაგალითო ნიმუში.

ის იხსნება „დიდი მეფისადმი“ მიმართული „მდაბალი თაყვანისცემით“ „შორეული ქვეყნიდან“; „აზრით ახლო მყოფი

¹ ი. ცინცაძე — ძიებანი... გვ. 250—251.

² იქვე, გვ. 235.

მცირე ყმა“ ალექსანდრე გიორგის ძე მოკრძალებულ საღამს უძღვნის „დიდ მეფესა და ბატონს“ იოანე ვასილის ძეს. საზე-
იმო სიტყვის ელფერით შემკულ შესავალს მოსდევს ვრცელი
სახოტბო მიმართვა:

„ბრმათათვის სინათლევ, ლაქვარდოვან ცის ვარსკვლავო,
ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სიმტკიცე) ბურ-
ჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევე, ყველა ხელმწიფეთა
თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ლატაკთა
დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყ-
ნის მრისხანე ხელმწიფევე, ყოველ მთავართა მართლმსაჯულო,
ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებაე.
(წმიდა) ნიკოლოზისათვის აღთქმის მიმცემო“.

ამ შემალლებულ მკვერ მიმართვას ცვლის გარეგნულად
უფერული, მაგრამ ქვეტექსტით საყურადღებო მოკითხვა,
რომლითაც მეფე „ივერიელთა ჯანსაღად ყოფნის“ ცნობასთან
ერთად ადრესატის ჯანმრთელობას ისურვებს და მოიკითხავს,
რითაც ის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასა და
ელჩების გაცვლა-გამოცვლას უნდა გულისხმობდეს, როგორც
ამას ვარაუდობს პროფ. ი. ცინცაძე.¹ ამ ვარაუდის საფუძ-
ველს მკვლევარს აძლევს «здравия отвещати»-ს გადატანითი
მნიშვნელობა. რაც იმ დროს ცნობილი უნდა ყოფილიყო დიპ-
ლომატიური წრეებისათვის.

დასასრულ, წერილში დასახელებულია მოსკოვის კარზე
მივლენილი ელჩები — ნარიმანი, დამიანე და ხოზემარუმი,
გამოთქმულია მათი ელჩობის წარმატებისა და იოანე ვასილის
ძის „ბედნიერად ყოფნის“ სურვილი და მოხსენებულია მისი
„ყმობის უღირსი ალექსანდრე“.

ასეთ სურათს გვაძლევს ამ საყურადღებო ორატორული
ძეგლის ანალიზი. მისი მკვერად გამოთქმული ფორმა და შე-
ფარვით გადმოცემული შინაარსი, რაც დამახასიათებელი უნდა
ყოფილიყო XV საუკუნის საელჩო მეტყველებებისათვის, საკმა-
ოდ ცხადად გვიჩვენებს იმდროინდელ მოწინავე ქართველ პო-
ლიტიკოსთა დიპლომატიურ ლტოლვასა და მის გამომხატველ
ეპისტოლარულ შემოქმედებას.

¹ ი. ცინცაძე — ძიებანი..., გვ. 249.

ალექსანდრა მეორე

საქართველოს მეფე-დიპლომატთა შორის, თავისი სწორი წინასწარხედვით, გამჭკრიახი ალლოთი და მტკიცე მიზანსწრაფვით, გამოირჩევა კახეთის მეფე ალექსანდრე II. ის წინ უძღოდა აღმოსავლეთ საქართველოს მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეებს და მათთან ერთად დიდხანს აწარმოებდა უაღრესად მოქნილ პატრიოტულ დიპლომატიას. მისი გულწრფელი, გონივრული და შორსმავალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ღრმა კვალისა და გავლენიანი ამაგის სახით აღიბეჭდა საქართველოს ისტორიაში. ეს შედეგი მომდევნო პერიოდში გახდა მიზეზი ახალი წარმატებისა ჩვენი ისტორიული წინსვლის სარბიელზე.

ალექსანდრე II მეფობდა და მოღვაწეობდა 1574—1605 წლებში. ეს იყო დრო რუსეთისა და ოსმალეთის მწვავე პოლიტიკური ურთიერთობისა ასტრახანის, იმიერ-კავკასიისა და ყირიმის თაობაზე. ოსმალეთი ამიერ-კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევედა, ხოლო რუსეთი სამხრეთში მომძლავრებული მუსლიმანობის განადგურებას ლაშობდა. ასეთ პირობებში 1585 წლიდან განახლდა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური კავშირი, რაც ათიოდე წლის წინათ იქნა შეწყვეტილი, და ახალი ასპარეზი გადაიშალა ქრისტიანული ქვეყნების შემდგომი თანამშრომლობისათვის.

1586 წელს, წარჩინებული რუსი მოხელის რუსინ დანილოვის მეშვეობით, ერთმანეთს დაუკავშირდნენ რუსეთის მეფე თედორე და კახეთის მეფე ალექსანდრე.¹ რუსეთის მეფე ალექსანდრეს მფარველობას სთავაზობდა. საქართველოს მეფემ სიამოვნებით მიიღო ეს სასურველი თავაზი და თავის მხრივ

¹ С. Белокуров — Сношения..., стр. 10.

ახალი არგუმენტებით შეამაგრა საერთო მისწრაფება. რუსეთთან მეგობრობა კახეთის მეფეს დიდი პერსპექტივის წინაშე აყენებდა შამხლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც გადაუდებელ მოვლენად ჩანდა იმ ხანებში და წარმატებით მოგვარებას საჭიროებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთზე უმჯობეს მოკავშირეს ვერ ისურვებდა საქართველო. ამ სურვილის სულისჩამდგმელი აღმოჩნდა ალექსანდრე II.

ყოველივე ამას კარგად გვიჩვენებს ალექსანდრეს წერილები რუსეთის მეფესთან, მოსკოვის პატრიარქთან და ბორის გოდუნოვთან¹. მათ დაწვრილებით მოუთხრობს ქართველი მეფე-დიპლომატი ვერაგი შამხლისა და მარბიელი ლეკების ავაზაკობის შესახებ. ეს წერილები უმრავლეს შემთხვევაში რუსეთში მიჰქონდათ კახეთის ელჩებს, რომლებიც დაბელოვნებულ დიპლომატებს წარმოადგენდნენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, 1586 წლის 9 ოქტომბერს კახეთის მეფის ელჩები იოაკიმე, კირილე და ხურშიტი გამოცხადდნენ რუსეთის მეფის წინაშე და მონახუნეს მას ალექსანდრე II-ის „აჯა“, რაც საქართველოს „ყველა მტრისაგან“ დაცვასა და თერგზე ციხის აგებაში გამოიხატებოდა. კახეთის მეფის გამჭვრიახი პოლიტიკით ნაკარნახევი ციხის აგება საჭირო იყო არა მარტო რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირისათვის, არამედ მათ შორის არსებული უმოკლესი გზის (ძეგამი-თერგი) დასაცავად, რაც თავის დროზე უცდომლად იქნა გათვალისწინებული ქართველი დიპლომატის მიერ.

იოაკიმესა და სხვების ელჩობას თედორე მეფის კარზე მოჰყვა რუსი ელჩების როდიონ ბირკინისა და პეტრე პიოვის გამოგზავნა საქართველოში. ისინი 1587 წლის 28 აგვისტოს წარუდგნენ ალექსანდრე მეფეს. მოლაპარაკება, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა, დამთავრდა ქართველი მეფის ხელდებულობის ფიციტ.² მეფესთან ერთად ერთგულების ფიცი მიიღეს უფლისწულებმა და დარბაისელებმა.

მთარველისა და ხელდებულის პოლიტიკური ურთიერთო-

¹ С. Белокуров — Сношения..., ст. 224, 232, 234.

² ნ. ბერძენიშვილი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 158—160; Л. Алексидзе — Взаимоотношения Грузии с Россией..., стр. 30—59.

ბის ეს ოფიციალური აქტი, რომლის შექმნაში განსაზღვრული ღვაწლი მიუძღვის კახეთის მეფეს, საერთაშორისო ხასიათის მოვლენა იყო და, უწინარეს ყოვლისა, ირანისა და თურქეთის ყურადღება უნდა მიექცია. ასეც მოხდა. თურქეთის ხონთქარმა და ირანის შაჰმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს მოსკოვ-კახეთის მეგობრული დაახლოების მიმართ და მათთვის ნიშანდობლივი მუხანათური ცბიერებით დაფარეს თავიანთი ნამდვილი ზრახვები, მაგრამ დიპლომატი მეფის მოქნილი პოლიტიკა, რაც რუსეთ-თურქეთ-ირანის მტრული ურთიერთობის საფუძველს ეყრდნობოდა, უყურადღებოდ არ ტოვებდა მოპირდაპირე მხარეს და მისგან მომდინარე ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს შესაფერისად პასუხობდა¹.

1588 წელს მოსკოვის მეფემ თერგზე ციხის ჩადგმითა და მეციხოვნე ჯარის განწესებით შეასრულა თავისი შეპირება, რითაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახლო-აღმოსავლეთში და არსებითად ოდინდელი პოლიტიკური ზრახვა გაინაღდა.

დიდად საგულისხმოა, რომ ფრთხილი დიპლომატი ალექსანდრე მეფე სავსებით მინდობილი არ ყოფილა რომელიმე მოკავშირე ძალისადმი. რუსეთის ხელდებული მეფე ცდილობდა კმაყოფილი ჰყოლოდა თურქეთის ხონთქარი და ირანის შაჰი. ამას ერთ ხანს ის კიდევ ახერხებდა სხვადასხვა საშუალებებით, მაგალითად, ხარკის ძლევითა და მძევლების გაცემით. ამ გზით, გარეგნულად მაინც, მეფემ შეინარჩუნა მისთვის აუცილებელი „კეთილმეზობლობა“ მუსლიმანურ ქვეყნებთან და შეიძინა მათი განსაზღვრული ნდობა, რასაც შექმნილ პირობებში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთისათვის. 1588 წელს ალექსანდრემ თურქეთში მძევლად გაგზავნა უფროსი ვაჟი ერეკლე; ირანის კარზე ბავშობიდანვე იმყოფებოდა ალექსანდრეს მეორე ვაჟიშვილი კონსტანტინე, რომელიც „ქარგად შეეწყო“ იქაურ ადათ-წესებს და აღრიდანვე დაადგა გადაგვარების გზას.

90-იანი წლების დამდეგისათვის მდგომარეობა შეიცვალა: მოსკოვთან მეგობრობისათვის კახეთის მეფეს თურქეთი ომით დაემუქრა, ხოლო ირანმა უნდობლობა გამოაცხადა და ერთ-

¹ ნ. ბერძენიშვილი — დასახლებული ზრომა, გვ. 23—25.

გულების საბუთი მოითხოვა. ასეთ საბუთად შაჰი ალექსანდრეს ამხედრებას თელიდა ხონთქრის წინააღმდეგ. ამასთან, თურქეთის მხრივ შეზღუდული ირანი მოსკოვთან კავშირს ეძებდა. ყირიმის გადამკიდე რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო ირანთან დაახლოება. ასეთ პირობებში შეიქმნა შემდეგ დიდხანს მოქმედი და ხშირად გახსენებული დიპლომატიური ფორმულა: მოსკოვ-საქართველოს კავშირის გზით რუსეთ-ირანის კავშირისაკენ.¹

შექმნილ ვითარებაში კახეთის მეფის საკუთარ საზრუნავს შამხლის შებოკვა წარმოადგენდა. ამის მიღწევას ის მფარველის ძალით ცდილობდა. ამისათვის მან მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება და დიპლომატიური უნარი გამოიყენა. ამ გზით ალექსანდრე მეფემ ნიჟიერი სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის სახელი მოიპოვა იმ პერიოდში, როცა რუსეთში მოღვაწეობდნენ თედორე ივანეს ძე და ბორის გოდუნოვი, ხოლო ირანში ხუდაბანდა-შაჰი და შაჰ-აბასი — მსოფლიოში სახელგანთქმული დიპლომატები. უნდა აღინიშნოს, რომ მეფე წარმატებით მეთაურობდა მოწინავე მამულიშვილთა მთელ პლეადას, რომელშიც შედიოდნენ კახეთის კარის ცნობილი დიპლომატები: ყაფლან ვაჩნაძე, ომან ჩოლოყაშვილი, თარსა მღივანი, ლევან მღივანი, საბა მღივანი, თავადი სოლომონი, თავადი იორამი, ხურშიტი და კირილე არქიმანდრიტი.

ისინი მეფის დიდი ნდობითა და ფართო რწმუნებით სარგებლობდნენ და სხვადასხვა დროს ელჩისა თუ შუამავლის მოვალეობას ასრულებდნენ. მათი მეშვეობით მეფე ხშირად თავის პოლიტიკურ ზრახვებს წარმატებით ახორციელებდა და თვალსაჩინო დიპლომატიურ გამარჯვებას აღწევდა. ასე, მაგალითად, თარსა მღივნის ელჩობით ალექსანდრემ ორჯერ აწარმოვა დიპლომატიური შეტევა მოსკოვის მიმართ. ჯერ ოსტატურად შეთხზა შამხლის შემონათვალი მოსკოვთან ურთიერთობის ფარული აზრის წვდომის თაობაზე და ამით რუსეთის აქტიური ამოძრავება გამოიწვია კახეთის სასარგებლოდ, და შემდეგ მოხერხებული დიპლომატიური ფანდით წააქეზა მოსკოვი დარუბანდის დასაპყრობად და ამით საშამხლოს წი-

¹ ნ. ბერძენიშვილი — დასახელებული შრომა, გვ. 35.

ნააღმდეგაც მიმართა მფარველის ძალა. ორივე შემთხვევაში ალექსანდრემ დიდი დიპლომატიური ტაქტი, სიმტკიცე და ზომიერება გამოიჩინა, საქმე სწორი გზით წარმართა და დადებით შედეგს მიაღწია.¹

ს. ბელოკუროვის მითითებულ შრომაში ბევრგან დაცულია ალექსანდრესა და მისი ელჩების საუბრისა თუ სიტყვების ფრაგმენტები, პერიფრაზული ნაწყვეტები და ეპისტოლარული მასალა, და თუ ისინი დედნების შინაარსთან ერთად მათ ფორმასაც გადმოგვცემენ, მაშინ მათი ავტორების სახით ზეპირი სიტყვის დახელოვნებულ ოსტატებთან გვაქვს საქმე. პოლიტიკური სჯა-ბაასისა და მიწერ-მოწერის ერთი ასეთი ხელოვანი ალექსანდრე მეორეა. ის უმთავრესად საქმიანი მუსაფირსა და ეპისტოლარული შემოქმედების ოსტატი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ხსენებული ავტორის მიერ შეკრებილი საისტორიო მასალა.

იქვე დაცული ცნობით ირკვევა, რომ ალექსანდრეს ერთხელ კიდევ გაუმხელია თავადი სოლომონისა და თარსა მდივნის პირით რუსი ელჩებისათვის „თავისი გულისნადები“.² ამჯერად ის ცდილობს ნათლად აგრძნობინოს რუს დიპლომატებს, რომ „საშამხლო-კახეთშია განასკვული მაჰმადიანობისა თუ ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება ახლო აღმოსავლეთში; საშამხლო-კახეთის ბრძოლა ეს მაჰმადიანობის და ქრისტიანობის ომია, ოსმალეთის და რუსეთის შეტაკებაა“³. ამასთან, მეფე საიდუმლოდ უკავშირდება რუსეთის წარმომადგენლებს და გამარჯვების დიდ პერსპექტივებს უსახავს მათ ამიერ-კავკასიაში, უკეთუ ისინი თურქეთ-საშამხლოს დალაშქვრას არ დააყოვნებენ⁴.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით პროფ. ნ. ბერძენიშვილი მართებულად ასკენის: „ამით ალექსანდრე მეფეს XV საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა ანტიოსმალური გეგმა კვლავ გამოჰქონდა. თუმცა უნდა აქვე ითქვას: ოსმალეთის წინააღ-

¹ С. Белокуров, დასახელებული წიგნი, გვ. 203—207.

² იქვე, გვ. 215.

³ ნ. ბერძენიშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 43—44.

⁴ С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 220.

მდეგ საერთო ლაშქრობის იდეა ქართველ პოლიტიკოსთა ცხოველი იდეა იყო მთელ XVI საუკუნეში. განსხვავება ის იყო, რომ კახეთის მეფის ხერხიანი გეგმით საქართველოს გამოხსნა-აღდგომა წინასწარი პირობა იყო ოსმალეთის წინააღმდეგ შერტევის წარმატებისათვის. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ წამოყენებული ეს დიპლომატიური ფორმულა ორი საუკუნის მანძილზე მოქმედ პროგრამად დარჩა რუს და ქართველ პოლიტიკოსთათვის: ოსმალეთის (თუ ერანის) წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მიზანია ქართულ სამეფო-სამთავროთა შექმნა, საქართველოს მიზანია რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანება და აღდგომა¹.

1590 წელს ალექსანდრე მეფემ რუს ელჩებს მოსკოვში გააყოლა თავისი დიპლომატები სოლომონი და ხურშიტი, რომლებიც მეფის ზეპირი დანაბარებითა და წერილებით წარდგნენ მოსკოვის პატრიარქისა და ბორის გოდუნოვის წინაშე². ეს წერილები, რომლებშიც მეფე საკმაოდ მკვეთრი და კატეგორიული ტონით გამოთქვამს თავის სათხოვარს, ეპისტოლარული საელჩო მკვევრმეტყველების საყურადღებო ნიმუშებია. მათ განსაზღვრული წილი უდევთ იმ წარმატებაში, რაც შამხლის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობის სახით შედეგად მოჰყვა ხსენებულ ელჩობას.

1591 წლის 25 აპრილს კახეთის მეფის გამარჯვებული დიპლომატები რუსი ელჩების თანხლებით გამობრუნდნენ სამშობლოსაკენ. მართალია, ჩვენი ელჩების გამარჯვება უფრო პარადული აღმოჩნდა, ვიდრე საქმიანი, რადგან რუსეთი არსებითად შამხლის დაშინებით დაკმაყოფილდა, მაგრამ მიღწეულ შედეგსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მუსლიმანური მეზობლების დასაოკებლად.

1592 წელს კახეთის მეფემ რუს ელჩებს მოსკოვში გააყოლა თავისი დესპანები თავადი იორამი და კირილე არქიმანდრიტი. ისინი გამოცხადდნენ თედორე მეფის წინაშე და ალექსანდრეს წერილობითი „აჯა“ გადასცეს მას. კახეთის მეფე ისევ შამხლის თავგასულობას უჩიოდა და მის დალაშქერას თხოულობდა. რუსეთის მეფემ კახეთის საქმეები ბორის გო-

1 ნ. ბერძენიშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 45.

2 С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 232—234.

დუნოვს მიანდო. ამ უკანასკნელმა 1594 წელს კიდევ მოაწყო „დიდი ლაშქრობა“ შამხლის წინააღმდეგ და ზღვის სანაპიროზე საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ საშამხლო ისევ წინანდელ ძლიერებასა და ყირიმ-თურქეთის მხარდაჭერას ინარჩუნებდა. ყოველივე ეს წარმოადგენდა იმ ხანებში ალექსანდრეს უმთავრეს საზრუნავს, რასაც ის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოსავალ წერტილად მიიჩნევდა და რუსეთის უზენაესი პირებისადმი მიწერილ წერილებში გამოხატავდა. ასე, მაგალითად, კახეთის მფარველობას მოსკოვის პრესტიჟის საქმედ აცხადებს ალექსანდრე თედორესადმი მიწერილ წერილში, რომელშიც ნათქვამია: „ახლა უკვე ყოველ ქვეყანაში ხმა გასულია, ყველა მტერმა და მოყვარემ ჩვენი საქმე იცის, რომ დიდმა ხელმწიფემ ალექსანდრე მეფეს მფარველობის ხელი დასდო“.¹ საელჩო მკვერმეტყველების შესანიშნავი ძეგლია აგრეთვე ალექსანდრეს 1594 წლის 15 ივნისის წერილი ბორის გოდუნოვთან.²

XVI ს-ის დასასრულისათვის, მძლავრი ქრისტიანული და მუსლიმანური ქვეყნების მტრული ურთიერთობის პირობებში, კახეთის კარზე წარმოიქმნა ისტორიულად მართებული პოლიტიკური იდეა — საქართველოს გაერთიანება რუსეთის მეშვეობით, რაც ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელ თეორიულ პრინციპად იქცა XVII—XVIII საუკუნეთა მანძილზე და XIX საუკუნის დამდეგისათვის პრაქტიკული შედეგის სახით დაგვირგვინდა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებით. ამ ეროვნული მოძრაობის წამომწყები და პირველი მოპირნახულე ალექსანდრე მეორეა, რომელსაც შემდეგ, ორი საუკუნის განმავლობაში, ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა, მათ შორის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები — თეიმურაზ I, ვახტანგ VI და ერეკლე II.

ხსენებული პოლიტიკური იდეა მკვეთრად ჩამოყალიბებული სახით პირველად თავს იჩენს 1595 წელს ალექსანდრეს წერილობით მოხსენებაში, რომლითაც ხელდებული მფარ-

¹ ნ. ბერძენიშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 52; С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 252—259.

² С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 263—265.

ველს მოაგონებს „წყალობის წიგნით“ აღებულ ვალდებულებას, კერძოდ, საშამხლოს დაპყრობას, და აუწყებს ქართლის მეფესთან შეერიგებას, ხოლო გურიის, სამეგრელოსა და მესხეთის მთავრებთან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას.¹ ეს პერსპექტივა — საქართველოს ეროვნული გაერთიანება — ჩვენთვის სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა, ხოლო რუსეთისათვის საიმედო საშუალებას, რაც მას მთლიანი ქვეყნის იოლად დამორჩილებას უქადდა.

აღექსანდრე II-ის ქმედით დიპლომატიას კარგად გვიჩვენებს მისი 1598 წლის 22 სექტემბრის მოხსენება მფარველისადმი.² აქ შეჯამებულია მოსკოვ-კახეთის მეგობრული ურთიერთობის 12 წლის შედეგი: ლაპარაკია მფარველის მხრივ შეუსრულებელ პირობებზე, გამოთქმულია საყვედური: გულისტკივილი, მაგრამ მთელი მიმართვა გამსჭვალულია შეფარვით გამოხატული მადლიერებით. კმაყოფილების შემცველ ქვეტექსტში იგრძნობა მეფის მოსაზრება: არსებული მდგომარეობა უვარგისია, მაგრამ უკეთესია ყველა დანარჩენ შესაძლებლობაზე.

ამიერიდან მეფემ განიზრახა მეტი გარკვეულობა შეეტანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ხელდებული მტკიცედ მოითხოვდა მოძალადეებისაგან დაცვას. სამაგიეროდ ის ახალ საზღაურს — ხონტქრისათვის განკუთვნილ ხარკს — პირდებოდა მფარველს.³ ასეთი ურთიერთობის მოგვარებით დასაქმებული ელჩები თავადი სოლომონი და ლევან მდივანი 1598 წელს წარდგნენ რუსეთის სამეფო კარზე ახლად გამეფებული ბორის გოდუნოვის წინაშე, გადასცეს მას კახეთის მეფის წერილობითი მოხსენება და სიტყვიერად აუწყეს საქმის ვითარება. ამასობაში, ირან-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით, ერთმანეთს დაუახლოვდნენ რუსეთი და ირანი, რომლებმაც კახეთისა და საშამხლოს დაჩემება-გასხვისების გზით დაამყარეს ურთიერთწონასწორობა და ზრუნვის წრიდან გარიყეს თავიანთი ხელდებულები. რუსეთის მხრივ მფარველობას მოკლებული აღმოჩნდა საქართველო.

¹ С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 267, 276.

² იქვე, გვ. 320—321.

³ იქვე, გვ. 314.

1602 წლის 1 ივლისს მეფის ელჩები დაბრუნდნენ კახეთში, სადაც ჯერ ავად გამხდარი და შემდეგ შემონაზვნებული ალექსანდრე უკვე შეეცვალა დავით ბატონიშვილს. დავითის მეფობა აღმოჩნდა ხანმოკლე. მისი მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ კახეთის ტახტზე ისევ ალექსანდრეა. მოხუც მეფეს გვერდით ამოუდგა გიორგი ბატონიშვილი. ხელშეორედ გამეფების შემდეგ მეფე-დიპლომატმა განაახლა რუსეთთან ურთიერთობა და გადამჭრელი ღონისძიებით მოინდომა მისგან რეალური დახმარების მიღება. მან საყვედურებით აავსო რუსი ელჩები ივანე ნაშროკინი და ივანე ლეონტიევი, გადაკრული სიტყვებით აგრძობინა მათ განდგომის შესაძლებლობა, საქმეში ჩაირია მომხრე კარისკაცები, დაანახვა ელჩებს მათი ერთსულოვნება და, დასასრულ, ახალი დესპანების კირილე ქსანტოპულოსა და საბა მდივნის ხელით სავალდებულო მოსაკითხი და ვედრების წიგნი გაუგზავნა ბორის გოდუნოვს.¹

ხსენებული წიგნი ვედრებასთან ერთად რუსეთ-კახეთის ხანგრძლივი ურთიერთობის უარყოფით შეფასებასაც შეიცავდა, რაც მოსკოვში ჩასვლისთანავე ლეონტიევმა სიტყვიერად დაუდასტურა მეფეს, როგორც მისი შეურაცხყოფელი აზრი, გამოთქმული „უმაღური“ ალექსანდრეს მიერ. ბორის გოდუნოვმა, რომელსაც არ უნდოდა კახეთთან ურთიერთობის გაწყვეტა, 1604 წლის 4 მარტს მიიღო ქართველი დესპანები და მოუსმინა მათ. კირილემ და საბამ დაწვრილებით უამბეს ბორის გოდუნოვს მეფის სათხოვარი, გააცნეს კახეთის ვითარება, გამოთქვეს საჩივარი რუსი ელჩების შეუფერებელი ქცევის გამო და იმართლეს თავი მათი ცილისწამებისაგან. ამჯერად ქართველი დესპანები წარმატებით აღწევენ თავიანთ საწადელს და 1604 წლის 22 მაისს რუსი ელჩების მიხეილ ტატიშჩევისა და ანდრია ივანოვის თანხლებით სამშობლოსაკენ წამოვლენ.²

XVII ს-ის დამდეგს ირან-თურქეთის ურთიერთობის გართულებამ, რაც ჩქარა სასტიკ ომში გადაიზარდა, ცხადი გახდა რუსეთისათვის შამხლის წინააღმდეგ ლაშქრობის დროულობა. შექმნილ ვითარებაში კახეთის მეფის ნება-სურვილიც

¹ С. Белокуров — დასახელებული წიგნი, გვ. 372.

² იქვე, გვ. 420.

მონაწილეობდა, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად ეს სამხედრო წამოწყება ხელდებულის დახმარებად იქნა აღიარებული. 1604 წლის მიწურულში რუსეთის ჯარი სარდალ ივანე ბუტურლინის წინამძღოლობით შეიჭრა საშამხლოში. ხანგრძლივი საშხადისისა და დიდი დაყოვნების შემდეგ რუსეთმა აწარმოა ხანმოკლე, მაგრამ ძლევამოსილი ომი იმიერკავკასიის უმძლავრესი მუსლიმანური გაერთიანების წინააღმდეგ და ირანისა და თურქეთის გვერდით დაიმკვიდრა ახალი ძალის სახელი მთელ კავკასიაში და ახლო-აღმოსავლეთში. ამიერიდან სამი მოქიშპე ძალა უშუალო ურთიერთშეხების პირობებში ამოქმედდა საქართველოს ირგვლივ. ამ ძალებიდან ჩვენთვის ყოველმხრივ მახლობელი რუსეთი იყო. ეს შეგნება დანერგა, აღმოაყენა და განამტკიცა ალექსანდრე მეორემ.

1604 წლის 19 აგვისტოს, როცა ალექსანდრე მეფე შაჰ-აბასის ბანაკში იმყოფებოდა, რუსი ელჩები ტატიშჩევი და ივანოვი წარდგნენ გიორგი ბატონიშვილის წინაშე, აუწყეს ქართველი ელჩების წარმატება და მოითხოვეს ერთგულების ფიცის მიღება. ამ საწადელს ისინი ეწვივნენ 1605 წლის 1 იანვარს. ამ დროს ალექსანდრე ისევ შაჰის კარზე იმყოფებოდა. ის კახეთში დაბრუნებამდე ირანის შაჰისადმი ფარული სიძულვილითა და გარეგნული პატივისცემით შეპირობებულ სიფრთხილეს იჩენდა, მაგრამ „საპატიო ტყვეობიდან“ თავის დაღწევის შემდეგ მეტი სიციხადით გამოავლინა გულწრფელი მისწრაფება, რაც, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ ყოფილა აბასისათვის. შაჰი მზად იყო ურჩი ხელქვეითების მკაცრად დასასჯელად. სასჯელის ზომად მან საზარელი მკვლელობა შეარჩია და მისი ჩადენა გადაგვარებულ კონსტანტინეს დააკისრა. მშობლის ქალათმა და სამშობლოს მოღალატემ მოკლა მამა — ალექსანდრე მეფე და ძმა — გიორგი ბატონიშვილი. ეს ტრაგედია მოხდა ძეგამს 1605 წლის 12 მარტს.

ასე დამთავრდა ამ შორსმკვირტელი მეფე-დიპლომატის დაუდგარი ცხოვრება და ამით ერთ ხანს შეწყდა სწორი მიმართულებით წარმოებული პოლიტიკური ძიება, რაც შემდეგ ნაცადი გზით გააგრძელეს თეიმურაზ პირველმა და ვახტანგ მეექვსემ, ხოლო, დასასრულ, ისტორიული გამარჯვებით დააგვირგვინა ერეკლე მეორემ.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი

XVII საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი, დიპლომატი და მქადაგებელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ქართული საელჩო მკვერმეტყველების თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის ბიოგრაფიულ ცნობებსა და თანამედროვეთა მემუარებში დაცული რეალიები მოწმობენ, რომ ის თავისი დროის დახელოვნებული საჯაროდ მეტყველი და ორთაშუა მოსაუბრე უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს, მაგალითად, მისი დიპლომატიური, საელჩო და სამქადაგებლო საქმიანობა, რასაც ხანგრძლივად ეწეოდა ის თავისი მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე როგორც ჩვენში, ისე სხვაგან. ხსენებული მასალის მეშვეობით საკმარისი სიცხადით იხატება საქართველოს მძიმე ისტორიულ პირობებსა და რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მომუშავე უანგარო პატრიოტის ორატორული პროფილი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი, ჩამომავლობით ეკუთვნის ჩოლოყაშვილთა იმ შტოს, რომელიც ირუბაქიდის სახელწოდებით არის ცნობილი. აქედან მომდინარეობს მისი იტალიურად სახეცვლილი გვარი ირბახი; ხოლო ნიკიფორე მონაზვნობაში შერქმეული სახელია.

ნიკოლოზი კახელი ფეოდალის ომან ჩოლოყაშვილისა და არაგვის ერისთავის ქალის ბარბალეს შვილია. ის დაიბადა 1585 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ომან ჩოლოყაშვილი თავისი დროის ცნობილი დიპლომატია, რომელიც კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574—1605) სახლთუხუცესად ყოფნის დროს, ყაფლან ვაჩნაძის, თარსა მდივნის, კირილე არქიმანდრიტ-

სა და სხვათა გვერდით, მეფის პოლიტიკური მრჩევლის როლს ასრულებდა და სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობდა.¹

ნ. ჩოლოყაშვილი ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხვედრილა ქ. რომში. სადაც ადგილობრივ ბერძნულ სკოლაში უსწავლია, კათოლიკური სასულიერო განათლება მიუღია და უკვე მოწიფული 1608 წლის მახლობლად სამშობლოში დაბრუნებულა მისიონერ გვილელმოსთან ერთად. ნიკოლოზი და მისი თანამგზავრი თავდაპირველად გურიაში შემოსულან, სადაც კარგა ხანს დარჩენილან და კათოლიკობა უქადაგიათ².

ამის შემდეგ ნიკოლოზს ვხედავთ კახეთში თეიმურაზ I-ის (1589—1663) კარზე, სადაც ის მეფის მოძღვრისა და დიპლომატის მოვალეობას ასრულებს. ამ სარბიელზე ჩანს ნიკოლოზი, მაგალითად, 1614 წელს, როცა „წელითა მოძღურისა ჩოლოყაშვილის ნიკოლოზისათა“ შექმნილა ერთი შეწირულების სიგელი³.

ნ. ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგი პერიოდი მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე შედარებით გაურკვეველია სარწმუნო საბუთების უქონლობის გამო⁴.

სანდო ცნობების მიხედვით ნიკოლოზი კვლავ გვევლინება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე 1639 წელს, ამჟერად სამეგრელოში, ლევან დადიანის (1611—1657) კარზე. აქ ხსენებული წლის 13 ნოემბერს გამოცხადდნენ რუსი ელჩები თედოტე ელჩინი და პავლე ზახარიევი. რამდენიმე ხნის შემდეგ ელჩებმა ინახულეს ხოპის მიძინების მონასტერი, სადაც მათ დახვდათ „ახლახან იქ დამკვიდრებულ“ ეპისკოპოსი ნ. ჩოლოყაშვილი. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს უკვე მიღებული აქვს მაღალი სასულიერო წოდება. თედოტე ელჩინის ცნობით ნიკოლოზს ხოპის მონასტერში კამათი გაუმართავს. რუს ელჩებთან მართლმადიდებლური და კათოლიკური ტიბიკრნების ქრონოლოგიის საკითხებზე და თავისი აზრების

1 ნ. ბერძენიშვილი — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 37.

2 გ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 139.

3 თ. ეორდანიას — ქრონიკები, ტ. II, გვ. 440.

4 კ. კეკელიძე — ნიკიფორე ირბახი, გვ. 301.

დასამოწმებლად „ბერძნული წიგნებისათვის“ მიუმაართვას¹. აქვე დადასტურებულია, რომ მანამდე ნ. ჩოლოყაშვილი ყოფილა იერუსალიმში, შემოუვლია ევროპა და რუსეთის გზით სამშობლოში დაბრუნებულა². აკად. კ. კეკელიძის მართებული დასკვნით ყოველივე ეს 1614—1629 წლებში უნდა მომხდარიყო³. ამ პერიოდის დიდი ნაწილი ნიკოლოზს იერუსალიმში გაუტარებია. ამ ფაქტებით რამდენიმე ნათელი ეფინება ნ. ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზემოხსენებულ შედარებით გაურკვეველ და ბუნდოვან წლებსაც.

სსენებული ფაქტების გვერდით ცნობილია ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენა: 1627 წელს ქ. რომში კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ელჩის რწმუნებით გამოცხადდა ნ. ჩოლოყაშვილი, რომელიც იქ დარჩა 1628 წლის 2 დეკემბრამდე. ამ ხნის მანძილზე მან შეძლო თავისი დიპლომატიური მისიის შესრულება და მეტად მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება: ჩამოასხმევიანა ქართული მხედრული შრიფტი, ხელი შეუწყო ქართული სტამბის დაარსებას და მონაწილეობა მიიღო ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში⁴. როგორც ცნობილია, ეს ლექსიკონი, პირველად ქართული წიგნის ისტორიაში, დაიბეჭდა ქ. რომში 1629 წელს სტეფანე პაოლინის მიერ.

1629 წლის ივლისში ევროპიდან რუსეთის გზით მომავალი ნ. ჩოლოყაშვილი სამეგრელოში შემოვიდა, ერთ ხანს იქ დარჩა, შემდეგ კახეთში თეიმურაზ I-ს წარუდგა და პაპის წერილი გადასცა.

პაპი ურბან VIII თეიმურაზ I-ს სსევათა შორის სწერდა: „ქეშმარიტად ღვთიური სახიერება ევლინება საქართველოს და ამისი ცხადი ნიშანიც ის არის, რომ ამ ბოლო დროს, ვითარცა მფარველნი ანგელოზნი, მოგვევლინათ მოძღვარნი და მოგიტანეს საუკუნო სიბრძნის რჩევანი. ღმერთი, რომელიც გაბნეულ ისრაელს შეჰკრებს და გაჰკურნებს ყველა ტომთა,

¹ С. Белокуров — Материалы..., стр. 373.

² მ. თამარაშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 92—93.

³ კ. კეკელიძე — ნიკიფორე ირბახი, გვ. 302.

⁴ მ. თამარაშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 95., კ. კეკელიძე — ნიკიფორე ირბახი, გვ. 292.

ალარასოდეს მოგაკლებსთ თავისს მოწყალებას. ამიტომ ჩვენც მამობრივის სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი წმიდა ბასილის მონაზონი ნიკიფორე ირბახი, რომელიც თქვენის წერილით მოგვივლინეთ თქვენ მოწმად და თქვენის პირობის თავდებად¹.

ექვი არ არის, რომ აქ ხსენებულ სიბრძნის მრჩეველ მოძღვართა შორის პაპი გულისხმობდა ნ. ჩოლოყაშვილსაც, რომელიც იქვე სხვა კონტექსტში ნიკიფორე ირბახის სახელითაა ნახსენები.

მ. თამარაშვილის მიერ რომის არქივში მოპოვებული მასალის ჩვენებით ევროპის ქვეყნებში მივლინებულ ნ. ჩოლოყაშვილს დავალებული ჰქონია „ისპანიის მეფე ალექსანდრე სპარსეთთან საომრად“². ქართული ელჩი მადრიდში დიდი პატივით მიუღიათ, მაგრამ მისი მძიმე თხოვნა ვერ შეუსრულებიათ და მასთან დიპლომატიური მუსაიფით დაკმაყოფილებულან.

ჩვენთვის საყურადღებოა თვით ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მისია, რომლის მსგავსი მოვალეობით, უნდა ვიფიქროთ, ნ. ჩოლოყაშვილი ბევრგან წარსდგებოდა უცხოეთში ყოფნის დროს, რაც მისი დიდი სადესპანო ხელოვნებისა და, მაშასადამე, მკვევრად მეტყველების უნარის მაჩვენებელია.

კ. კეკელიძის საფუძვლიანი ვარაუდით „1629—1640 წლებში ნიკიფორე-ნიკოლოზს უნდა მიეღოს თბილისში მეტეხის წინამძღვრის თანამდებობა“³. 1643 წლიდან ნ. ჩოლოყაშვილი იერუსალიმის ჯვარის მამაა. იერუსალიმის მონასტრის აღაპებსა და პალესტინის ეპიგრაფიკულ წარწერებში ბევრგან ხაზგასმულია ნ. ჩოლოყაშვილის წარუშლელი დამსახურება ჯვარის კულტურულ კერაში⁴.

1649 წელს ნიკოლოზი სამშობლოში დაბრუნდა. ამის შემდეგ მან საცხოვრებლად დასავლეთ საქართველოში აირჩია, სადაც მისთვის ჩვეული ენერგიული საქმიანობა გააჩაღა. ამერიიდან განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ნიკოლოზის დიპ-

¹ მ. თამარაშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 97—98.

² იქვე, გვ. 92—93.

³ კ. კეკელიძე — ნიკიფორე ირბახი, გვ. 303.

⁴ იქვე, 304; ე. მეტრეველი — მასალები..., გვ. 143.

ლომატიური და სამქადაგებლო მუშაობა. ამის მაჩვენებელი ფაქტები დატულია იმდროინდელ ელჩთა მემუარებში, მისიონერთა წერილებში, ოფიციალურ დოკუმენტებსა და სახელმწიფო პირთა მიმოწერაში. ასე, მაგალითად: 1651 წლის 24 ივნისს იმერეთის მეფის ალექსანდრეს კარზე, ხოლო 18 ივლისს რაჭაში კახეთიდან ლტოლვილი თეიმურაზ მეფის რეზიდენციაში, სადაც მიღებული იქნენ რუს ხელმწიფის ელჩები ტოლოჩანოვი და იველევი, საზეიმო ცერემონიალს დასწრებია ნ. ჩოლოყაშვილი, რომელიც ორივე შემთხვევაში მეფეების შარცხნივ მჯდარა და თავისი მაღალი წარჩინებითა და გამორჩეული ქცევით სტუმრების ყურადღება დაუმსახურებია. ელჩებთან შეხვედრის დღეებში მას წარმოუთქვამს ლოცვები, წაუკითხავს საღმრთო წერილი, მონაწილეობა მიუღია წირვის შესრულებაში და ხალხისათვის მიუმართავს ვრცელი ქადაგებით¹. იმავე წლის 30 სექტემბერს ნ. ჩოლოყაშვილს უკისრია ლევან II დადიანის ელჩობა თეიმურაზ პირველთან². ხოლო ერთი თვის შემდეგ ის დიპლომატიური მისიით წამდგარა რუსი ელჩების წინაშე ქუთაისში³.

XVII ს-ის შუა წლებში ნიკოლოზი დაუახლოვდა თეათინელ კათოლიკეთა წინამძღვარს იოსებ ძამპის, რომელიც თავის „სამეგრელოს აღწერილობაში“ ასე ახასიათებს მას: „ხალხი მას დიდს პატივსა სცემს და სამეგრელოს მთავარს იგი ჰყავს ვეზირად და მოციქულად, რადგან მას ძალიან კარგად ესმის პოლიტიკა და რამდენჯერმე ყოფილა იერუსალიმში. მას მოუვლია მთელი ევროპა, უნახავს ისპანია, საფრანგეთი, ინგლისი, პოლონეთი და იტალია, სადაც ჩვენი მამები ყოველთვის ბინას აძლევდნენ. იცის რამდენიმე ენა, გარდა ქართულისა და მეგრულისა, სახელდობრ: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ისპანური და იტალიური“⁴.

ასეთივე მაღალი მხარეებით შემკული და, კერძოდ, რიტო-

¹ М. Полиевктов — Посольство Толочанова и Иевлева в Имеретию, стр. 69.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 97.

⁴ ი. ძამპი — სამეგრელოს აღწერილობა, პუბლიკაცია შარდენისა (Voyage en Perse, I), ამსტერდამი, 1711 წ. გვ. 167—168.

რული ღირსებით დაჯილდოებულია ნ. ჩოლოყაშვილი ჯვარის მონასტრის დიაკვნის გრიგოლის გადმოცემით: „უწყოდეთ, რამეთუ კაცი ესე წმიდა და ღმრთისმოშიში იყო, ბრძენი, ფილოსოფოსი და რიტორი და ღირსი ყოელისა სიკეთისა და სწავლული ენისა ვითარ შეიღისამდე“¹.

ნ. ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა 1659 წელს.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მრავალი ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმ დამსახურებაზე, რაც ამ დაუცხრომელი ენერჯის ადამიანს მიუძღვის ჩვენი საელჩო მკვევრმეტყველების განვითარების საქმეში. იმავე ბიოგრაფიის ბევრი სარწმუნო ცნობა ნათლად გვისუბრათებს იმ დიპლომატიურ მუშაობას, რაც ნ. ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა და შემოვლილი გზით მისი ორატორული დახელოვნების მაჩვენებელია. ამასვე ადასტურებს იქვე დამოწმებული სამქადაგებლო საქმიანობა, რასაც, როგორც ჩანს, ხანგრძლივად ეწეოდა ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ეს დაუღალავი მუშაი.

¹ ციტირებულია კ. კეკელიძის დასახელებული წერილიდან, გვ. 309.

ექვთიმე რატიშვილი

XVII საუკუნის მეორე ნახევარში, გიორგი XI-ის მეფობის დროს (1676—1688), ქართლის სამეფოს პოლიტიკურ სარბიელზე ენერგიული მოქმედებით გამოირჩევა თბილისის მთავარეპისკოპოსი ექვთიმე რატიშვილი. ის უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თავისი ბასრი ეპისტოლარული მეტყველებით, რაც რამდენადმე გადატვირთულია მაღალფარდოვანი სტილის კაზმულობით. მიუხედავად საგრძნობი რიტორიკული შემადგენებისა, ე. რატიშვილის ორატორული ფორმა ხიბლავს მსმენელსა და მკითხველს საკმაოდ მძლავრი ჰარმონიითა და მკვეთრი იერით. ორატორის შელამაზებულ მეტყველებაში აქა-იქ იჩრდილება სათქმელის ძირითადი არსი, მაგრამ გარეგნულად დასრულებულ მთლიანობაში ნათლად გამოკრთის საერთო აზრი და იდეური სულისკვეთება. ყოველივე ეს თითქმის ყოველთვის აქ ჭარბად შეფერილია დიპლომატიური მოკრძალების ნაძალადევი ელფერიით.

ექვთიმე რატიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენთვის უცნობია. პირველწყაროებს არ შემოუნახავს მისი პიროვნებისა და შემოქმედების ამსახველი ცნობები. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რომის კათოლიკური ეკლესიის პროპაგანდის არქივში დაცული და ჩვენამდე მოღწეული მასალა, რომელიც ასახავს ე. რატიშვილის დიპლომატიურ საქმიანობას და გვიდასტურებს მის ორატორულ დამსახურებას. ხსენებული მასალა, რომელიც შეიცავს ექვთიმეს ბიოგრაფიულ რეალიებს და ორატორულ მიმართვებს რომის პაპის ინოჩენციო XI-ის მიმართ, მოპოვებული და გამოქვეყნებულია მ. თამარაშვილის

მიერ.¹ ამ მონაპოვრის მიხედვით ქვემოთ აღდგენილია ე. რატიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის რამდენიმე საყურადღებო მომენტი.

ექვთიმე რატიშვილი მაღალი სასულიერო პირია. XVII საუკუნის მიწურულში ის ფლობს თბილისის მთავარეპისკოპოსის თანამდებობას. ამასთან, ექვთიმე ქართლის მეფის გიორგი XI-ის უახლოესი კარისკაცია, ის ასრულებს მეფის დიპლომატიასა და მრჩევლის მოვალეობას. ასეთ ვითარებაში მეფე და მისი დიპლომატი შეთანხმებულად მოქმედებენ, ირკვევა მათი პოლიტიკური მრწამსის ერთობა და იდეური ერთსულოვნება.

ოსმალთა და ყიზილბაშთაგან დარბეულ საქართველოში ირანის შაჰის მორჩილი მეფის ვახტანგ V-ის (1658—1675) სიკვდილის შემდეგ გამეფდა გიორგი XI, რომელმაც მთელი სიოცხლე ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია. ის ორჯერ (1676, 1703) იქნა გამეფებული ქართლში. სადაც დიდხანს ენერგიულად ებრძოდა სპარსული გავლენის ყოველგვარ ცდას და თავდადებით იცავდა ეროვნულ თვითმყოფობას. ამ ბრძოლაში მას, ცხადია, უხდებოდა მოკავშირეების ძეგნა და მათი მხარდაჭერით მოქმედება. ასეთი ძეგნის ცდას წარმოადგენს დასავლეთ ევროპის კათოლიკურ სამყაროსთან, კერძოდ რომის პაპთან, დაკავშირება და მისი მეშვეობით ყიზილბაშური მოძალების შენელება. ამ მცდელობაში, როგორც ირკვევა, აქტიურად მონაწილეობს ექვთიმე რატიშვილი.

ყოველივე ამას ნათლად გვიჩვენებს გიორგი მეფისა და ექვთიმე ეპისკოპოსის კათოლიკური ტენდენციები, რასაც ისინი, ცხადია, იმისათვის ამჟღავნებდნენ, რომ ხსენებული მოკავშირე ჰყოლოდათ. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რომის ეკლესია ჩაბმული იყო ბერძნული მართლმადიდებლობისა და ოსმალური მუსლიმანობის წინააღმდეგ გაფართოებულ ბრძოლაში და თვით საჭიროებდა ერთგულ მოკავშირეს. ამით აიხსნება კათოლიკური დასავლეთისა და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ცხოველი ურთიერთობა, რომ-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 262—273; 837—841.

ლის წამომწყებს ვატიკანი წარმოადგენდა და რაც მომეტებული ძალით XV საუკუნიდან შეინიშნება. ასეთ ვითარებაში ერთმანეთს ემთხვეოდა რომის პაპისა და საქართველოს მეფის ინტერესები, რასაც, წინასწარი მონაცემების მიხედვით, გარკვეული წარმატება უნდა მოჰყოლოდა, და თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმისათვის, რომ მაშინდელ მსოფლიოში სხვა, უფრო მძლავრი, ინტერესები მოქმედებდნენ.

1687 წლის 7 ნოემბერს პატრი იოსებ ლივორნელი თბილისიდან ტოსკანიის მთავარს სწერდა: „პატრმა ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანითურთ, რომელიც არის პირველი მინისტრი მთელის სამეფოსი, ეგრეთვე მათი უსამღვდელოება ექვთიმე საქართველოს არქიეპისკოპოსი თავისი რამდენიმე მღვდლითურთ“.¹

ანალოგიურ ცნობას აწვდის საქართველოდან მისიონერი ჯუსტინო რომის პაპს ინოჩენციო XI-ეს². იმავე წელს თვითობს მეფე გიორგი ასე სწერდა ინოჩენციოს: „თქუენის ლოცვით თქუენს შეილად შეწყნარებულთ გვირგვინოსანთ ქელმწიფეთაგან გამარჯვება და ურჯულოთ მტერთა ზედა ბრძოლა მოგვესმა. ჩვენც ვეცდებოდით ღმრთითა და თქუენის მადლით, რომ ჩუენის საქელმწიფოთ თქუენის მტრისათვის ბევრი ავიგვექმნა, თქუენთვინაც გვემსახურებინა და თქუენთა მორჩილთა ქელმწიფეთათვის თავი გვეცნობებინა. აწეცა ჩუენის საქელმწიფოთა და ბრძანების მორჩილთა საქართველოს ლაშქრით მზა ვართ, თქუენს ბრძანებას ველით, რომელსაც თქუენი ლოცვა და კურთხევა დაგვარიგებს, იმისი მქნელი ვართ“³...

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ექვთიმე რატიშვილის სახელით შემონახული წერილი ინოჩენციოს მიმართ. ის იწყება ვრცელი სახოტბო მიმართვით: „მრავალჯამიერიითა სიბრძნითა აღსავსეს, ფრიადთა საცნობელთა ღმრთისმსახურებისა გამომეძიებელისა, ვითარებათა და ჩაოდენობათა ფერად-ფერადთაგან ყვავილთა შემკულთა ღმრთისმეტყველებისა გოლეულ-

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 263.

² იქვე, გვ. 264—266.

³ იქვე, გვ. 838.

თა თაფლთა მსგავსად მწთოლვარესა, ჯეროვანთა კეთილთა წარმატებელსა, ორკერძოვე მრავლით კერძო ღმრთის სიყვარული შესაქებებულსა, ეთერ-პირ სიბრძნისასა და წყაროსა ღმრთისა მეტყველებისასა, ორპირ-მახვილ მსწრაფლ-მკვეთელ მტერთასა, საყმაოსა მონაზონთა და მლუდელთა დღითი დღე კეთილ-განმგებობით ცხოვრებულსა, დიდისა და ცათა მობაძვისა ეკლესიისა სვეტსა, მას შინა დამყარებულსა ნათელსა, მწყემსსა ქეშმარიტისა, მოძღვარსა სახიერსა და ყოველთა ქრისტიანეთა სიქადულსა, მოციქულთა თანაწორსა და საყდართა მისთა მკდომარესა, დიდისა ღმრთისა ქალაქისა პრომისა მპყრობელსა, სანატრელსა ინოჩენციო მეთაერთმეტეს...“¹.

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს თავის თავზე: „უღირსი მონა უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი, დიდისა ღმრთისა ეკლესიისა საქართველოს განმანათლებელისა სამთავროსა მღთაებისა საყდრისა საჭეთ-მპყრობელი სრულიად საქართველოსა მთავარეპისკოპოზი ეფთვიმეოს მოვალ წინაშე თქუენსა სიმდაბლით, პირ-მიწა-გაერთებით შეეიტკობ ნათლით სავსესა პატროსნებასა თქუენისა არა ჯორციელად, არამედ სულით, და დავნერგავ სიყვარულსა შორის თქუენსა და ჩემსა, რომელსა გვიბრძანებს უფალი ჩუენი იესო ქრისტე“².

ამას მოსდევს რამდენიმე ფრაზა საღმრთო წერილიდან და, დასასრულ, ავტორი ჩერდება უმთავრეს სათქმელზე: „აწუ ეს მოგახსენოთ: ჩუენს ღმრთისაგან კურთხეულს მეფეს გიორგის, სრულიად საქართველოს ეპისკოპოზთ და მონაზონთა და ერის კაცთა დიდი სიხარული აქუსთ თქუენის გაძლიერებისა და მტერთა ზედა ძლევისათვის. კუალად ვევედრებით ღმერთსა, რათა უმეტესად განაძლიეროს და აღაძაღლოს მარჯვენე თქუენი და თქუენთა მორჩილთა შვილად შეწყყნარებულთა ქელმწიფეთა“³.

გიორგი მეფისა და ექვთიმე ეპისკოპოსის წერილები შემო-

1 მ. თა მარა შეილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 840.

2 იქვე, გვ. 840.

3 იქვე, გვ. 841.

ნახულია დედნების სახით. აღსანიშნავია, რომ ისინი ერთი ხელითაა დაწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე წერილის გადამწერი ე. რატიშვილია და, უნდა ვიფიქროთ, მათი ავტორიც იგივეა. ჩანს, კარისკაცს მეფისათვის დაუმზადებია პაპის მიმართ გასაგზავნი წერილი, რომელზეც მეფეს ხელი მოუწერია, საკუთარი ბეჭედი დაუსვამს და ადრესატისათვის გაუგზავნია¹.

ამრიგად, ხსენებული წერილების ავტორად ექვთიმე რატიშვილი უნდა ვივარაუდოთ, რაც კიდევ უფრო აღიდებს მის დამსახურებას ჩვენი საელჩო ეპისტოლარული მკვერმეტყველების სფეროში.

¹ მ. თა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 839.

გასპარ ქართველი

გამოჩენილი ქართველი დიპლომატისა და საელჩო მკვერ-მეტყველის სულხან-საბა ორბელიანის წინამორბედთა შორის პოლიტიკური მოღვაწეობის დარგში ყურადღებას იქცევს XVII საუკუნის მიწურულის სახელმწიფოებრივი ცხოვრების რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი. მათ შორის უხდა დავასახელოთ ძუნწად შემონახული წყაროებით ცნობილი გასპარ ქართველი, რომლის დიპლომატიური მოღვაწეობის სურათი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში სარწმუნოდ აღადგინა პროფ. ვ. გაბაშვილმა¹. ამ სურათის მიხედვით საკმარისად ნათლად ჩანს XVII ს-ის 80-იან წლებში გიორგი XI-ის კარზე მომუშავე: აქტუალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული და მოწინავე იდეების მატარებელი გასპარ ქართველი. მისი ნაყოფიერი დიპლომატიური მუშაობა, ჩანს, არ შეწყვეტილა შემდეგ ხანებშიც, როცა ქართლში საგრძნობლად გაძლიერდა ანტიირანული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა შაჰის მიერ 1688 წელს ტახტიდან გადაყენებული გიორგი XI. ამრიგად, ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში გასპარ ქართველს მეტად მნიშვნელოვანი როლი უთამაშია და, როგორც ირკვევა, მასვე შეუზღადებია მეფის ხელახალი აღზევების საქმე, რაც 1703 წელს, დიპლომატის სიკვდილის შემდეგ, განხორციელდა.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს გასპარ ქართველის გავლენიან დიპლომატიურ შემოქმედებას, რომლის აყვავების დრო, XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნა, სავსებით ემთხვევა ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურ-

¹ ვ. გაბაშვილი—სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 64—66.

თიერთობის გაცხოველებას, რაც საქართველოს უშუალო მონაწილეობით აღინიშნება. ამ მონაწილეობის ერთი ტიპობრივი გამომხატველი გასპარ ქართველია.

შემონახული ცნობების ჩვენებით მეტად ფართო უნდა ყოფილიყო გასპარ ქართველის სამოღვაწეო სარბიელი: ის ჩანს ისტაპანსა და მოსკოვში, თბილისსა და ვარშავაში; მას ვხედავთ მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და გრიგორიანთა შორის; ის მოღვაწეობს ფრანგ მისიონერთა, ირანელ დიპლომატთა და სომეხ ვაჭართა წრეში.

XVII ს-ის მიწურულში გასპარ ქართველი მონაწილეობს იმ საელჩოში, რომელსაც მეთაურობს ისტაპანელ კათოლიკეთა ეპისკოპოსი ელიასი, რომელთანაც ერთად უნდა ეწარმოებინა მას დასავლეთ ევროპაში თურქეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა სპარსეთის ინტერესების სასარგებლოდ.

საგულისხმოა, რომ ხსენებულ საელჩოში შედიოდნენ აგრეთვე დაბალი რანგის ქართველი დიპლომატები, რომლებიც 1700 წელს მოსკოვში გასპარ ქართველის თაოსნობით შეხვდნენ ემიგრანტ არჩილ მეფეს. ეს შეხვედრა, ცხადია, არ იყო შემთხვევითი, მაგრამ მისი არსებითი შინაარსი ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ ჩვენთვის ცნობილია, რომ არჩილ მეფემ პეტრე I-ის ჩარევით ხელი შეუწყო ელჩების გამგზავრებას დასავლეთ ევროპაში. ეს ხელის შეწყობა სიმპტომატიურია — ის ელჩობის დღის წესრიგში საქართველოს საკითხის არსებობის მაჩვენებელია. ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებულ ვარაუდს გამოთქვამს პროფ. ვ. გაბაშვილი: „...საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გასპარ ქართველი დასავლეთ ევროპაში მიდიოდა იმავე მიზნით, რა მიზნითაც 1713 წელს საფრანგეთს გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი. არჩილთან მოსკოვში შეხვედრას, მაშასადამე, სრულიად გარკვეული პოლიტიკური დანიშნულება უნდა ჰქონოდა“.¹ ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით იგივე მეცნიერი სამართლიანად ფიქრობს, რომ „...გამორიცხული არაა გიორგი XI-ის კონტაქტი ელიასის ელჩობის მონაწილე გასპარ ქართველთან“.²

¹ ვ. გაბაშვილი — სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 65.

² იქვე, გვ. 66.

სამწუხაროდ, გასპარ ქართველმა ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილს. ის გარდაიცვალა ვარშავაში 1701 წელს.

გასპარ ქართველის მოღვაწეობის ხასიათი გეაფიქრებინებს, რომ ის თავისი დროის საელჩო მჭევრმეტყველების გაწაფული ოსტატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზემოხსენებული უმთავრესი დიპლომატიური მისიის ჩაშლით უნდა აიხსნებოდეს როგორც მისი ბიოგრაფიული ცნობების ნაკლებობა, ისე ორატორული ძეგლების უქონლობა.

სულხან-საბა ორბელიანი

დიდებული ქართველი მეცნიერი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ზეპირი სიტყვისა და დიპლომატიური სჯა-ბაასის დახელოვნებული ოსტატი იყო. მისი ღრმა მეცნიერული განსწავლულობა და მაღალი მხატვრული აზროვნება მკვეთრად გამოვლინდა სისადავით დამშვენებულ და სიდიხით შემკულ ქართულ სიტყვაში. ის თანაბარი ძალ-ღონით ფლობდა მეტყველების ზეპირსა და წერილობით ფორმებს, რომელთაც დიდი წარმატებით იყენებდა სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე.

XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს რთულ და აშლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, სულხან ორბელიანი ეწეოდა მეტად მრავალმხრივსა და ნაყოფიერ საქმიანობას. ის წვდებოდა საერო და სასულიერო შემოქმედების მრავალ სფეროს: მოგზაურობდა შორეულ ქვეყნებში, ასრულებდა დიპლომატიურ მისიებს, ქმნიდა მხატვრულ შედევრებს, წერდა უკედავ მეცნიერულ ნაშრომებსა და აწარმოებდა ფართო სამქადაგებლო მუშაობას. ასეთი იყო სულხან-საბა ორბელიანის ვრცელი სამოღვაწეო სარბიელი.

ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა მისი დიპლომატიური ღვაწლი და მასთან დაკავშირებული საელჩო მკვერმეტყველება.

მძიმე ისტორიულ პირობებში, „მრავალმეფიანობის“ მთელ მანძილზე, 1688—1724 წლებში, ქართლის მეფეების — ერეკლე I-ის, გიორგი XI-ის, ქაიხოსროს, იესესა და ვახტანგ VI-ის მეფობისა თუ „ჯანიშინობის“ დროს, როცა ჩვენი სამეფო-სამთავროები ფაქტიურად ყიზილბაშთა და ოსმალთა სამფლობე-

ლოებს წარმოადგენდა, სულხან ორბელიანს ოთხჯერ მოუხდა სხვადასხვა სახის დიპლომატიური მისიის ჩატარება და ოთხივე შემთხვევაში ძლიერი პოლიტიკისათვის საჭირო ცოდნა, ოსტატობა და გულმოდგინება გამოიჩინა.

სულხანი თავისი დროის უდიდესი დიპლომატია, რომელიც თანამედროვეთა შორის გამოირჩეოდა დიდი გამოცდილებით, ფართო განათლებითა და ფხიზელი აზროვნებით. ის ჩვენი ქვეყნის მარჯვე პოლიტიკური მიმართულების დაუცხრობელი მამიებელია, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესთა შეხვედრის დახლართულ გზებზე თავგამოდებით ცდილობდა შეერჩია სამშობლოსათვის სწორი და გამოსადეგი ორიენტაცია. ამ ეროვნული დანიშნულების ისტორიულ ძიებას ს. ორბელიანი საერთაშორისო პოლიტიკის ფონზე აწარმოებდა. ის მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური მოაზროვნე და პრაქტიკოსია, რომლის დიპლომატიური შემოქმედება ემთხვევა და გამოხატავს ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის გაცხოველებულ ურთიერთობას XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ს. ორბელიანი ჩვენში მეთაურობდა იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ჯერ გადაწყვეტილი ჰქონდათ რომისა და საფრანგეთის დანმარებით შებრძოლებოდნენ ირანისა და თურქეთის აგრესიას, მაგრამ შემდეგ, როცა დაინახეს დასავლეთთან კავშირის შეუძლებლობა, შეცვალეს თავიანთი პოლიტიკური გეზი, შებრუნდნენ ჩრდილოეთისაკენ და გადაქრით დაადგნენ რუსეთთან დაახლოების გზას. ეს შებრუნება არ მომხდარა ერთბაშად და მოულოდნელად. ის მზადდებოდა ათეული წლების მანძილზე და ვიდრე საბოლოოდ მომწიფდებოდა ბევრი წინასწარი ფაქტორით შეპირობდა. ამ ფაქტორთა შორის ერთი მეტად მნიშვნელოვანი იყო ს. ორბელიანის უკანასკნელი ელჩობის მარცხი, რამაც ნათლად უჩვენა პროევროპული ჯგუფის ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთთან კავშირის უიმედობა. რაღა თქმა უნდა, ეს ისედაც ცნობილი იყო რუსეთთან კავშირის მომხრეთათვის, რომელთა საგარეო პოლიტიკას ამიერიდან ახალი ძალა შეემატა და ფართო გასაქანი მიეცა. ყოველივე ეს რუსეთ-საქართველოს დაკავშირებით დაგვირგვინდა XVIII ს-ის დასასრულისათვის.

ს. ორბელიანი ოფიციალურ დიპლომატიურ სარბიელზე თავდაპირველად გამოდის XVII ს-ის მიწურულში, როცა ქართლის ტახტისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ გიორგი XI და ერეკლე I. ამ ცილობაში მეტ-ნაკლებად და სხვადასხვა სახით მონაწილეობდნენ სპარსეთის შაჰი, თურქეთის სულთანი და ახალციხის ფაშა. ცვალებადი წარმატებით მიმდინარე ბრძოლაში ს. ორბელიანი გიორგი XI-ის მხარეზე იდგა. ასეთ ვითარებაში ერეკლე I-ის მიერ დევნილი ქართველი დიპლომატი გამოცხადდა ახალციხის ფაშასთან, ვინც აშკარად მტრობდა გიორგი XI-ეს, აწარმოვა მასთან დიპლომატიური მოლაპარაკება და არა მარტო შეარიგა გიორგი და ხალილ-ფაშა, არამედ დაამყარა მათ შორის მტკიცე ურთიერთობაც¹. ამას გვიჩვენებს ტახტის პრეტენდენტისა და სამცხის ათაბაგის სამხედრო ხელშეკრულება, „საფიცრის წიგნი“, სულხანის დიპლომატიური შემოქმედების ეს პირველი იურიდიული ძეგლი, რომლის შექმნით, გაფორმებითა და რატიფიკაციით ღირსეული სახელი მოიპოვა მან თავისი მოღვაწეობის დაწყებისთანავე.

ხსენებულ „საფიცრის წიგნში“ ერთგან გვითხულობთ:

„...ესე მტკიცე საფიცრისა წიგნი მოგეცით ჩვენ ათაბაგმა ბატონმა ხალიფაშამ თქვენ ჩვენსა სიძესა ორბელიშვილსა ბატონსა სულხანს, ბიძასა და თქვენსა ბატონსა თამაზ სარდალსა და თქვენსა ძმებსა, ასე და ამა პირსა ზედან, რომ ბატონის მეფის ბრძანებით ჩვენთან მობრძანდეთ და ჩვენ და ბატონი მეფე საფიცრითა და მოყვრობით მოგვარიგეთ და თქვენც საფიცარი მოგვეცით და ჩვენ ეს საფიცარი მოგვიცია, რომ ვიყვნეთ თქვენთვის კაი და კაისა მდომე. რომელიც მეზობლობაში გაგვეწყობოდეს და ხელი გაგვიწვდებოდეს, ხელი მოგიმართოთ. ავი არვის ვაქნევინოთ, არ დაგზარდეთ“².

ეს დოკუმენტი ს. ორბელიანის დიპლომატიური მოღვაწეობის პირველი მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ს. ორბელიანის მეორე დიპლომატიურ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1710 წელს. ამჯერად ის ირანში გაუწვევია და პოლი-

¹ ქ. ლომაშვილი — სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 74.

² თ. ეორდანი — ქრონიკები, II, გვ. 159.

ტიკურ საქმეებში ჩაუბამს ქაიხოსრო ლევანის ძეს¹. ამ უკანასკნელს ქართლის ტახტი ხვდა 1709 წელს, როცა ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა მისი ბიძა გიორგი XI. 1711 წელს ქაიხოსროც გიორგის ბედს გაიზიარებს.

ხანმოკლე და მერყევი მეფობის პირობებში ქაიხოსროს, ჩანს, რამდენიმე რთული დიპლომატიური საქმე მოუგვარებია. ირანში ქართლის მეფისათვის ს. ორბელიანს სათანადო დახმარება გაუწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, წყაროების უქმარობის გამო, ამ შემწეობის არსი, მიზანი და შედეგი, თუმცა უდავოა მათი პოლიტიკური აზრი და დიპლომატიური ხასიათი.

ს. ორბელიანის ეს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საგულისხმო, მცდელობა ყურადღების ღირსია და აღნიშვნას იმსახურებს.

1712 წელს ს. ორბელიანი მეორედ გაემგზავრა ირანში დიპლომატიური მიზნით. ამჯერად ის თან ახლდა ვახტანგ VI-ეს.

მას შემდეგ, რაც ავღანეთში დაიღუპნენ ქართლის მეფეები გიორგი და ქაიხოსრო, მეფობის მისაღებად ისპაჰანის კარზე გამოცხადდა ვახტანგ ლევანის ძე. ის თავისი მრჩევლისა და დიპლომატის სულხანის თანხლებით წარდგა შაჰის წინაშე და ითხოვა ქართლის ტახტი. ვახტანგის მეფედ დადგენისა და დამტკიცების იურიდიულ მხარეს განაგებდა და ტახტის მემკვიდრის კანონიერ პრეტენზიებს იცავდა ს. ორბელიანი. იგივე ხელმძღვანელობდა ოფიციალურ მიწერ-მოწერას და აფორმებდა წერილობით დოკუმენტებს.

ვახტანგის მეფედ დამტკიცება არ აღმოჩნდა ადვილი, ამისთვის ირანის შაჰმა მისი გამაჰმადიანება მოითხოვა. პრეტენდენტმა გადაჰკრით უარყო შაჰის მოთხოვნილება. ამას მოჰყვა ვახტანგის დაპატიმრება და ქირმანს გადასახლება, ხოლო ქართლის ტახტზე მისი მოწინააღმდეგე ძმის, გამუსლიმანებული იესეს გამეფება. ასეთ ვითარებაში უაღრესად გართულდა კანონიერი მეფის პოლიტიკური გარემო. იგივე აღინიშნა მისი საქმიანობის დიპლომატიურ დარგში. ყოველივე ამით დიდად

¹ ს. ორბელიანი [Curriculum vitae], გვ. 477.

გაიზარდა ს. ორბელიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა ვახტანგის ამაღლებაში. იქვე ჩაისახა მეფის გამოსხნისა და საქართველოს გადარჩენის იდეა დასავლეთ ევროპის სამეფოების დახმარებით. ასე შეპირობდა ს. ორბელიანის დიპლომატიური მოგზაურობა იტალიასა და საფრანგეთში. ეს არის დიდი ქართველი დიპლომატის მეოთხე, ყველაზე ხანგრძლივი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელჩობა.

ამ ელჩობის შესახებ მოთხრობილია ქვემოთ.

ს. ორბელიანის ელჩობას დასავლეთ ევროპაში წინ უსწრებდა ხანგრძლივი სამზადისი, კერძოდ, მიწერ-მოწერა რომის სასულიერო პირებთან და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან, რომელთა შორის იყვნენ პაპი, კარდინალები, მეფე და მინისტრები. საქართველოს მხრივ ამ საქმეში უმთავრესად ჩაბმული იყვნენ სულხანი და ვახტანგ VI, განსაკუთრებით პირველი. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების სამაგალითო საუნჯეა. ის სრული სახით არ მრღწეულა ჩვენამდე, მაგრამ შემორჩენილი მასალაც საკმარისია მისი ავტორის მკვერი და კოლორიტული სტილის გასაცნობად. ამას ძალზე გვიადვილებს აგრეთვე სულხანის ერთი ვრცელი მოხსენება და რამდენიმე მიმართვა ლუი მეოთხემეტისადმი, მათ შორის სახობო სიტყვა, რომელიც ავტორს წარმოუთქვამს იმპერატორის წინაშე. ეს საკმაოდ მდიდარი ორატორული მემკვიდრეობა დაცული და შემონახულია.

ს. ორბელიანის უკანასკნელი ელჩობის ერთგვარ სამზადისს წარმოადგენდა ისიც, რომ 1713 წლის მახლობლად¹ საქართველოს მომავალმა ელჩმა პოლიტიკური მოსაზრებით აღიარა კათოლიკური სარწმუნოება და ამით ნიადაგი მოამზადა რომელ და ფრანგ სასულიერო პირებთან თანაბარ დონეზე შესახვედრად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სულხანის ეს მთავარი დიპლომატიური წამოწყება კარგად იყო მომზადებული, მაგრამ თუ მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია — არსებითად იმიტომ, რომ მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკა, რომლის უმთავრეს მონაწილეებს ერთმანეთისადმი მტერ-მოყვრულად

¹ კ. კეკელიძე — სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 303.

განწყობილი საფრანგეთი, ინგლისი, პორტუგალია, პოლანდია, თურქეთი და ირანი წარმოადგენდნენ, ხელს არ უწყობდა საქართველოს სურვილის შესრულებას. „ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერკავკასიაში პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ერანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არაფერს მოიმოქმედებდა: ინგლის-პოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური შეგობრობა ერან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო“¹.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სულხანის დიპლომატიურ მოგზაურობას უკვალოდ არ ჩაუვლია და არც სასოწარკვეთილი მარცხით დამთავრებულა ის. მისი უმთავრესი დადებითი შედეგი იმაში გამოიხატა, რომ მოწინავე ქართველებმა უკვე გაიცნეს ევროპის ქვეყნები, გააცნეს მათ ჩვენი სამშობლო, დაინახეს საფრანგეთისა და საქართველოს დაახლოების შეუძლებლობა და ირწმუნეს რუსეთ-საქართველოს შეკავშირების რეალური საფუძველი და ისტორიული მნიშვნელობა. ასეთი რწმენის შემუშავების საქმეში ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ის აღმოჩნდა ერთგვარი საფეხური, რასაც წინსვლის გზაზე მოჰყვა ერთგვარი აღმავლობა, რომლის უტყუარი მაჩვენებელი ვახტანგისა და სულხანის რუსეთთან უშუალო ურთიერთობაა. ეს ურთიერთობა ს. ორბელიანის უკანასკნელ, სათავეშივე შეწყვეტილ, დიპლომატიურ მცდელობად უნდა ჩაითვალოს.

ს. ორბელიანის ელჩობის სრული პერიოდი დასავლეთ ევროპაში 1713—1716 წლებია. 1714 წლის მარტში სულხანი უკვე პარიზში იმყოფება. მას თან ახლავს ფრანგი მისიონერი აბატი რიშარი, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას ასრულებს თითქმის მთელი ელჩობის მანძილზე. ხსენებული დროისათვის ვახტანგისა და სულხანის მიერ საიდუმლო წერილებით დამყა-

¹ ნ. ბერძენიშვილი — XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 177.

რებული იყო კავშირი ლუი მეთოთხმეტესა და კლომენტი მე-
თერთმეტესთან. ჭერ კიდევ 1709 წლის 15 აგვისტოს სულხა-
ნი სწერდა რომის პაპს: „ზეცისა სასუფეველისა კლიტეთა
მპყრობელსა და ქუეყანასა ზედა წმიდათა შესაკრებელთა თავ-
სა, თავისა მის მოციქულისა პეტრეს მოსაყდრესა, იესოს ქრის-
ტეს სისხლით მოსყიდულთა ცხოვართა მართალსა მწყემსსა,
წმიდათა უაღრესსა ცრემლით და შევრდომით აჭუარებ ყოველ-
თა ცოდვათა და ვევედრები წმიდათა ფერქთა მთხვეველი მუ-
ულლითურთ ჩემით, მინდობილნი მადლისა მაგათისანი, რათა
ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღჟოცად ვევედროს ღმერთსა
და წმიდა კურთხევა მათი მოგეფინოს და ლოცვა ჩუენ უღირს-
თათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა
ზედა შეურყვეველად. სიტყვით და საქმით უწყით, რამეთუ
შენ გაქუს კელმწიფეთა მიტევებად ცოდუათა, რომელი შოგ-
ცა განჯსნა და შეკვრა იესო ქრისტემან.

თქუენის მადლის მფარველობითა უხილავ მტერსა ზედა
მომეკმარე, თუ არა ხილულს მტერს ჩემზედ არა შეუძლია რა“.

1714 წლის აპრილში საფრანგეთის იმპერატორმა მიიღო
ქართველი ელჩი, რომელმაც მას გადასცა ვრცელი მოხსენება.

აქ ვკითხულობთ:

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია და საქართვე-
ლოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელ-
შია. თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველებო არა მარ-
ტო ქრისტიანედ დარჩებიან, არამედ კიდევ შეუერთდებიან
კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რო-
მელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქვა, რომ მობ-
რუნდება თავის სამშობლოში თუ არა, კათოლიკობა მიიღოს,
რადგან იგი ამ თავის უბედურობას აწერს იმას, რომ აქამდე
შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს
ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქცი-
ონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა
და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.

გარდა ამ წყალობისა, რომელსაც ვახტანგისათვის ვსთხოვ
საფრანგეთის უძლიერესს იმპერატორს, კვლავ მინდა მოვახ-
სენო მას ყოვლად მდაბალი სათხოვარი სამეგრელოს პატრი-

არქისა. ამ ეპისკოპოსს მე ძლიერ დიდი ხანია ვიცნობ სათნო კაცად; როცა მის პროვინციაში გამოვიარე, დიდის ვედრებით მევედრა, რათა რვა ანუ ათი მასიონერი ესთხოვო მათ ხელმწიფეებს, რომელიც ცნობილია მთელს აღმოსავლეთში ყველა მისიონერების მფარველად და შემწედ. ამ პატრიარქის აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმიდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევას¹.

სულხანმა იმპერატორის წინაშე გადასაწყვეტად დააყენა სამი მნიშვნელოვანი საკითხი: ვახტანგ VI-ის ტყვეობიდან დახსნა, კავკასიაში კათოლიკობის გავრცელება და საქართველოს სავაჭრო გზად გამოყენება².

„ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რომის პაპის ავტორიტეტი და საფრანგეთის ხელმძღვანელობით კავკასიის დიდი ნაწილის პოლიტიკური შეკავშირება ერან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ“³.

1714 წლის 11 მარტს ჟერ კიდევ პარიზში ჩასვლამდე სულხანი მარსელიდან სწერდა რომის კარდინალს: „რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს დიდებულს ფრანციის მეფეს ჩუენის მეფისათვის წიგნი მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ. მერმე ამისი ნდომა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპის ფექს კოცნა მეღირსოს. მაგათის ბრძანებით უფრო მრავალი პატრები გაიგზავნოს, რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციის დიდი მეფე ჩუენი მეფის მოხმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქუეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი გუნებით და სიყვარულით ატლოა ამ წმიდას რკულზედ, და მალე მას გაამრავლებს“.

1714 წლის მაისში სულხანი მეორედ წარდგა საფრანგეთის იმპერატორის წინაშე, გადასცა მას პაპის საპასუხო წერილი და მიმართა შესანიშნავი სახოტბო სიტყვით. ამ სიტყვის დე-

1 მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 321—322.

2 ვ. გაბაშვილი — სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 72—73.

3 ნ. ბერძენიშვილი — დასახელებული შრომა, გვ. 176.

დანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ თარგმანშიც კარგად ჩანს მისი მაღალი ორატორული ღირსება.

აი, ეს სიტყვა:

„პატივი გვაქვს მოვართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა კეთილ ინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორეგზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე; რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენის მოწყალების განმეორება საქმაოა ჩვენს დასავალებლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მგზავრობა, კიდევ რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენის თვალით ვიხილეთ თქვენს უაღრესტოეს ხელმწიფობაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და ღიღება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“.

1714 წლის ივნისის დასაწყისში სულხანი პარიზიდან გაემგზავრა იტალიაში. რომში ჩასვლისთანავე ის წერილით უკავშირდება საფრანგეთის მინისტრს პონშარტრანს და ატყობინებს მას მშვიდობით მგზავრობისა და პაპის კარზე „კარგად დახვედრის“ ამბავს!.

ს. ორბელიანი რომში რჩება ორ თვეს. ამ ხნის მანძილზე უნდა ვიფიქროთ, მან რამდენჯერმე მოინახულა რომის პაპი, კარდინალები და სხვა გამოჩენილი პირები. რომიდან ს. ორბელიანი ფლორენციაში ჩავიდა, სადაც რამდენიმე დღე გაატარა და 20 სექტემბერს სიცილიაში გაემგზავრა. სიცილიიდან სულხანი კიდევ წერილს უგზავნის საფრანგეთის მინისტრს.

რომელსაც ბოლომდე ბეჭითად უსრულებს დანაბარებს: „სადაც მიხვიდე, შენი ამბავი მოიწერეო“.¹

სიცილიიდან ოქტომბრის ბოლოს სულხანი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. აქედან ის 1715 წლის 18 თებერვალსა და 7 აპრილს უკანასკნელ წერილებს უგზავნის მინისტრ პონშარტრანს. ეს წერილები შეუფერავი ტონით გადმოსცემს გაწბილებული მოციქულის მძიმე განწყობილებას, მაგრამ შეუდრეკელი პატრიოტი სევდით გამსჭვალულ მიმართებებშიც გამოთქვამს იმედს, რომ „გამოხსნისა და აღდგომის“ მომლოდინე ქვეყანა „დიდი მეფის შეწვევისა და წყალობის გარეთ“ არ იქნება დატოვებული. დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილს უგზავნის სულხანი რომის პაპს კონსტანტინეპოლიდან.

ქართველი ელჩის წერილები ვერსალისა და ვატიკანის უზენაეს წრეებში ერთგვარ გამოცოცხლებას იწვევს, მაგრამ დროებით და უშედეგოდ.

ასეთ ვითარებას 1715 წლის 1 სექტემბერს ერთვის ლუი XIV-ის გარდაცვალება, რამაც ხანდაზმულ და მოქანცულ ქართველ დიპლომატს ჩაუქრო რწმენის უკანასკნელი სხივი.

1716 წლის 13 მაისს რამდენიმე კაპუცინის თანხლებით ს. ორბელიანი გამოემართა სამშობლოსაკენ.

ამრიგად, ს. ორბელიანის ელჩობა დასაველეთ ევროპაში დიპლომატიური მარცხით დამთავრდა. ბრწყინვალე შეხვედრებს პარიზში, რომსა და კონსტანტინოპოლში რეალური შედეგი არ მოჰყოლია: ვახტანგ VI-ის ტყვეობიდან დახსნის საქმე საზეიმო შეპირებებსა და თავაზიან მიწერ-მოწერას არ გაშორებია, კავკასიაში კათოლიკობის გავრცელება ფრანგმა დიპლომატებმა რომის ეკლესიის საქმედ გამოაცხადეს, ხოლო საქართველოს საეპრო გზად გამოყენება, ეს ყველაზე მომხიბლავი საცთური ნაადრევად და მოუშზადებლად იქნა მიჩნეული².

ასეთი შედეგის უმთავრეს მიზეზს საფრანგეთისა და სპარსეთის მაშინდელი პოლიტიკური ურთიერთობა წარმოადგენდა. ამ ურთიერთობაში საქართველო ორივე მხრისათვის ერთ-

1 მ. თამარაშვილი — დასახელებული წიგნი, გვ. 329.

2 ვ. გაბაშვილი — დასახელებული შრომა, გვ. 74.

გვარი „დამხმარე ფაქტორი“ იყო. სხვასთან ერთად ამ ფაქტორითაც აწესრიგებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ურთიერთობას მაშინდელი საფრანგეთი და სპარსეთი ინგლისისა და პოლანდიის ეკონომიური ექსპანსიის წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, როგორც აღინიშნა, დიდი სამეფოები ჩვენი ქვეყნის მეშვეობით ერთგვარ წონასწორობას ამყარებდნენ, რაც საერთოდ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობას მოასწავებდა, მაგრამ კერძოდ სულხანის ელჩობის შემთხვევაში დამაბრკოლებელი მოვლენა აღმოჩნდა. ამით აიხსნება დიდი ქართველი დიპლომატის უკანასკნელი ელჩობის მარცხი.

1716 წელს ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა გაწვილებული დიპლომატი ს. ორბელიანი. 3 წლის შემდეგ აზიიდან სამშობლოში დაბრუნდა გათავისუფლებული მეფე ვახტანგ VI. 1719 წელს ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ხნით განშორებული მეფე და დიპლომატი, რომლებმაც იმედით სავსე საერთო მზერა ამიერიდან ერთმორწმუნე და მეგობრულად განწყობილი რუსეთისაკენ მიაპყრეს.

ამასობაში პეტრე I ძლიერი ლაშქრით დაიძრა სამხრეთისაკენ ირანის წინააღმდეგ. ამით განსაკუთრებით განმტკიცდა ჩვენში საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ რწმენა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც იმედის გაცრუება ელოდათ ქართველ მამულიშვილებს: რუსეთის საგარეო და შინაური მდგომარეობის მოულოდნელი გართულების გამო პეტრე I-ის ლაშქრობა შეწყდა, ხოლო მის დასახმარებლად ჯარით დაძრული ვახტანგი უკანვე გამობრუნდა!

ყოველივე ამას მოჰყვა დიდი შინაური აშლილობა და მძაფრი პოლიტიკური კრიზისი ქართლის სათავეში, რასაც დაერთო დაღისტნელთა თავდასხმები და თურქების შემოჭრა აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთ პირობებში 1724 წელს ვახტანგ VI დიდი ამალით გადასახლდა რუსეთში და დამკვიდრდა მოსკოვის მახლობლად ს. ვსესვიატსკოეში. ვახტანგს თან გაჰყვა მისი ერთგული კარისკაცი, მრჩეველი და დიპლომატი ს. ორბელიანი. ისინი იმხანად ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი,

1 ნ. ბერძენიშვილი და სხვ. — საქართველოს ისტორია, გვ. 335—336.

რომ პეტრე I-ის დახმარებით ჩქარა ისევ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. ამჯერადაც გაუცრუვდათ იმედი მეფესა და დიპლომატს. ვიდრე ისინი რაიმე სახის დიპლომატიურ ნაბიჯს გადადგამდნენ 1725 წლის 26 იანვარს სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა.

ასეთია „მთელ საქართველოს მამად მიჩნეული“ ამ დიდი ქართველის ღრმად ეროვნული დიპლომატია და მისი გამომხატველი მძლავრი საელჩო მკვევრმეტყველება.

ვახტანგ მუხრანელი

საქართველოს მეფე, მწერალი და მეცნიერი ვახტანგ VI ძველი ქართული კულტურის უკანასკნელი პერიოდის ღვაწლმოსილი წარმომადგენელია. მისი მრავალმხრივი დამსახურების ერთი ნაყოფიერი სფერო დიპლომატიური შემოქმედებაა. თავისი დროის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, რომელთა შორის ყველაზე გამოჩენილი იყო მისი აღმზრდელი სულხან ორბელიანი, ვახტანგმა შესამჩნევი კვალი გააწვინა ქართული დიპლომატიის სარბიელს და პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო კაცის სახელი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში. ამ სახელის მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა ვახტანგის დიპლომატიურმა საქმიანობამ, ხოლო ამ უკანასკნელის უმთავრესი ხელისშემწყობი საელჩო მკვევრმეტყველება უნდა ყოფილიყო.

ვახტანგის დიპლომატიური უნარი თავს იჩინა XVIII ს-ის დამდეგს, როცა ირანის მპყრობელმა შაჰ-თამაზმა ქართლის მეფედ გიორგი XI დაამტკიცა, მაგრამ ის თავისთან დაიტოვა და ქართლში „ჯანიშინად“ ანუ მეფის მოადგილედ ვახტანგ VI დანიშნა¹. ვახტანგის „ჯანიშინობის“ დროს, 1703—1711 წლებში, ფართოდ გაიშალა მეფის მოადგილის პოლიტიკური, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობა: მოშენდა ქვეყანა, განმტკიცდა ხელისუფლება, დაარსდა სტამბა, დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, შეიკრიბა „ქართლის ცხოვრება“ და ჩატარდა დიდი საკოდიფიკაციო მუშაობა. ამ უკანასკნელის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ვახტანგის ბრწყინვალე იურიდიული ძეგლები — „კანონები“ და „დასტურლამალი“.

ეს შრომები ჩვენთვის ამჟამად იმ მხრივ არის საყურად-

¹ ნ. ბერძენიშვილი და სხვ. — საქართველოს ისტორია, გვ. 333.

ლებო, რომ აქ გამოჩნდა თავდაპირველად ვახტანგის განსწავლულობა დიპლომატიის დარგში. დიპლომატიის ისტორიისა და თანადროულ ხალხთა ურთიერთობის ცოდნის გარეშე, ცხადია, ვახტანგ VI ვერ შექმნიდა ისეთ სრულყოფილ საკანონმდებლო ძეგლებს, რომელთა პრინციპული დებულებანი არა მარტო იურიდიულ დასაბუთებას, არამედ მოსაჩვენარ შეუვალობასაც საჭიროებდნენ.

1712 წლიდან, მას შემდეგ, რაც ვახტანგი მეფედ დასამტკიცებლად ირანში გაიწვიეს, კიდევ უფრო გაღრმავდა მისი დიპლომატიური ცოდნა, ამასთან, მეტი პრინციპულობითა და ნაკლები დათმობით აღინიშნა ტყვექმნილი მეფის სიტყვა და საქმე.

ყაენის საბრძანებელში ვახტანგის დიპლომატიამ ცვალებადი გარემოების შედეგად გარკვეული ცვლილება განიცადა. პირველ ხანებში, როცა მან გადაჭრით უარყო გამუსულმანება, რასაც მისგან შაჰი მოითხოვდა, მისი დიპლომატია უფრო აშკარა და პირდაპირი იყო, ხოლო შემდეგ, როცა ის დატყვევებული იქნა და ქირმანს გაიგზავნა, მისმა დიპლომატიამ ფარული და ნართაული ხასიათი მიიღო. ამ პერიოდს ეკუთვნის ვახტანგის თაოსნობით წამოწყებული დიპლომატიური ცდა ევროპასთან დაახლოებისა, რომლის რეალურ სულისჩამდგმელს ს. ორბელიანი წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის ცნობილ ელჩობაში საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის წინაშე განსაზღვრული გამოვლენა პოვა ვახტანგის დიპლომატიამ.

როგორც ცნობილია, „სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას საფრანგეთში წინ უძღოდა წერილების გაცვლა-გამოცვლა ვახტანგ VI-ესა და ფრანგ დიპლომატებს შორის“.¹ 1714 წლის 11 მარტს სულხანი სწერდა რომის კარდინალს: „დიდებულს ფრანკისის მეფეს ჩვენის მეფისათვის წიგნი მოეწერა. მე მისი პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ“. საფრანგეთის მეფის წერილი თავის მხრივ პასუხი იყო ვახტანგის წერილისა. ერთი სიტყვით, ქართლის მეფეს ხსენებულ პერიოდში ბევრი დიპლომატიური წერილი დაუწერია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჩვენთვის უცნობია. საქმე ის არის, რომ ვახტანგის დი-

¹ ვ. გაბაშვილი — სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, ვე. 66.

პლომატიური მიმოწერა უაღრესად კონსპირაციული უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ჩვენამდე მოღწეული ერთი წერილი, რომელიც 1714 წლის 20 თებერვალს ვახტანგის სახელით სულხანისათვის გაუგზავნია ვინმე იოსებ ფრეზერატს¹. ეს წერილი საბასათვის გადასაცემად ფრანგი ელჩისათვის გაუგზავნია ვინმე მურმოროს, რომელსაც თავის მხრივ 1714 წლის 19 თებერვალს ვახტანგის დავალებით ისპაჰანიდან საპასუხო წერილი გაუგზავნია ფრანგი მინისტრისათვის².

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მართებულად უნდა მივიჩინოთ მ. თამარაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგი თავისი პოლიტიკური ზრახვების დასაფარავად საკუთარი ხელით არ წერდა და არც ხელის მოწერით ადასტურებდა ბევრ დიპლომატიურ წერილს, რომლებსაც ის თვითონ ქმნიდა, მაგრამ სხვების ხელრთვით აგზავნიდა. ამით უნდა აიხსნებოდეს ვახტანგის ეპისტოლარული ძეგლების უქონლობა მისი ქირმანში ტყვეობისა და საბას ევროპაში ელჩობის პერიოდისა.

1716 წელს, როცა საბოლოოდ გაირკვა საბას ელჩობის მარცხი, ვახტანგმა გარეგნულად აღიარა მამამდიანობა — ამით მიიღო ქართლის ტახტი, ირანის სპასალარობა და 1719 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ამის შემდეგ მეფის დიპლომატია ისევ ნაცადი ფარული ვზით, მაგრამ მეტი პირდაპირობით განაგრძობს მოქმედებას.

ამ პერიოდს ეკუთვნის ვახტანგის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება დასავლეთ ევროპასთან. 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგს თითქმის ერთნაირი შინაარსის წერილები გაუგზავნია რომის პაპთან და ავსტრიის იმპერატორთან. ამ წერილების მიზანი ისევ საერთო ენის გამონახვა და ქართლის მეფისათვის რეალური დახმარების მოპოვება იყო.

იმპერატორისადმი მიმართული წერილი ვახტანგს გადასაცემად ავსტრიის ელჩისათვის გაუგზავნია კონსტანტინოპოლში და მისთვის შუამდგომლობა უთხოვია ავსტრიისა და თურქეთის წინაშე, რათა ამ უკანასკნელთ შეემსუბუქებინათ

¹ მ. თამარაშვილი — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 316—317.

² იქვე, გვ. 316.

საქართველოს მძიმე მდგომარეობა. არსებითად იგივე უთხოვია ვახტანგს რომის პაპის ინოჩენციო XII-ისა და ავსტრიის იმპერატორის კარლ მეექვსისათვის. უფრო მკაფიოდ ეს თხოვნა იმპერატორისადმი მიმართულ წერილშია გამოხატული. აქ ნათქვამია:

„პოი, კეისარო! ღეთისაგან ამღლებულო საიმპერატორო ტახტზე, რათა, ვითარც მთავარმა, წინამძღვრობა უყოთ ყველა ქრისტიანე ერთა. ვიცი თქვენი მოწყალე გული აღიძრება ეგოდენ გაჭირვებასა და შეწუხებაზე, რასაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის აქაური ერი. ამჟამად მაჰმადიანების მთავარი ჯარს აგროვებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, რათა აიკლოს ერთიანად ჩვენი სამთავრო და ამ მხარეში მთლად მოსპოს ქრისტიანობა, როგორათაც დაგვემუქრა. ამნაირ გაჭირვებაში მხოლოდ ის გზა დაგვჩაჩა, რომ მიემართოთ თქვენს გულ-მოწყალეობას, რათა ან ძალით და ან თქვენი ელჩის შუამდგომლობით პორტას წინაშე შეაჩეროთ ეს მაჰმადიანები, არ მოვიდნენ, თავის მუქარა არ შეასრულონ და არ ამოგვწყვიტონ“.

ეს წერილი ვახტანგის დიპლომატიური მოღვაწეობისა და საელჩო მკვერმეტყველების საისტორიო დოკუმენტია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს მეფის პოლიტიკურ საწადელს და ამ უკანასკნელის გამოხატვის ფორმას. ამ ჩვენების მიხედვით მეფე ყველა შესაძლებლობით, და მათ შორის მკვერმეტყველებითაც, თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს „გამონსნისა და აღდგომისათვის“. მიუხედავად ამისა, ვახტანგის პატრიოტულ ცდას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია — რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს არ აღმოაჩნდათ ჩვენი დახმარების სურვილი და შესაძლებლობა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა წარმატებით დაამთავრა ომი შვეციასთან, შემოიმატა ბალტიის ზღვისპირეთი და „გაჭრა ფანჯარა“ ევროპისაკენ, ყურადღება მიაპყრო ახლო-აღმოსავლეთს და გადაწყვიტა ირანის დამარცხებით კასპიის მიდამოების შემოერთება და აზიასთან დაკავშირება. პეტრე I-ის ამოძრავებას ირანის წინააღმდეგ დაემთხვა ვახტანგის დასავლური ორიენტაციის მარცხი, რამაც სხვა ხელის შემწყობ მოვლენებთან ერთად შეა-

პირობა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა XVIII ს-ის 20-იან წლებში, როცა შეიქმნა შესაძლებლობა წარმატებით დაგვირგვინებულიყო მოსკოვის დიპლომატიის ხანგრძლივი ნაამაგარი¹.

ხსენებული ურთიერთობის სულისჩამდგმელი საქართველოს მხრივ იყო ვახტანგ VI. მასთან ერთად იდგა და საქვეყნო საქმეს მესვეურობდა სულხან ორბელიანი.

როგორც ცნობილია, რუსეთის პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად პეტრე I-ის ლაშქრობა შეწყდა და ჩვენი ქვეყნის მესვეურთა გეგმები ჩაიშალა. ამას დაერთო ქართლში თურქების გაბატონება (1723—1735), რაც შემდეგ, ვიდრე პეტარა კახი მომძლავრდებოდა, ირანელთა ბატონობით შეიცვალა (1735—1747).

ამ მძიმე ხანის დასაწყისში, 1724 წლის 15 ივლისს, ვახტანგ VI თავისი ოჯახითა და დიდი ამალით რაქის გზით რუსეთში გაემგზავრა.

მოსკოვსა და პეტერბურგში ვახტანგ მეექვსემ კვლავ განაახლა თავისი დიპლომატიური მუშაობა რუსეთის ძალით ტახტის მისაღებად და სამშობლოში დასაბრუნებლად. ამჯერადაც უნიადაგო აღმოჩნდა გადახვეწილი მეფის წადილი. ამის ერთ მიზეზს წარმოადგენს პეტრეს გარდაცვალება ვახტანგის ცდის დასაწყისშივე — 1725 წლის 28 იანვარს.

უკანასკნელი იმედის გაცრუების შემდეგ ვახტანგ VI ქ. ასტრახანს დასახლდა და იქვე გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს.

ასე დასრულდა ამ მეგრძოლი მამულიშვილის პოლიტიკური, სამწერლო-სამეცნიერო და დიპლომატიური შემოქმედება, რომლის ერთ-ერთ დამამშვეენებელს მკვევრმეტყველება წარმოადგენდა.

¹ ნ. ბერძენიშვილი—XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიკოსი, გვ. 174.

როსებ გიორგის ძე

როსებ გიორგის ძე XVIII ს-ის მეორე მეოთხედის პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც ახლახან მიგნებული მასალის მიხედვით, ქართლის მძიმე ისტორიულ პირობებში შეთურობდა სერიოზულ დიპლომატიურ წამოწყებას და მკვეერი სიტყვით ცდილობდა ჭკეუკის მოსარჩლის პოვნას. ასეთ მოსარჩლედ მას, თეიმურაზ მეორესთან ერთად, რუსეთი მიანიხნა. ეს იდეა ასაზრდოებდა იმ დროს ქართულ პატრიოტულ რწმენას, რომლის შესვეურები ჩრდილოეთთან დაახლოებით ლამობდნენ აღმოსავლეთის ძალმომრეობის შეწყვეტას. ამ შესვეურთა შორის ვხედავთ როსებ გიორგის ძეს.

1736 წელს, როცა ქართლში ირანელი სარდალი ნადირყული (შემდეგ ნადირ-შაჰი) თარეშობდა, ფშავეში გახიზნული თეიმურაზი 3 კაცისაგან შემდგარ საელჩოს მიუგზავნის რუსეთის დედოფალს ანა იოანეს ასულს და მისგან საქმიან გამოსარჩლებას თხოულობს ირანელთა ძალადობის წინააღმდეგ. ქართველი დიპლომატების წადილს ქართლში მეფობის აღდგენა და რუსეთიდან სესხის მიღება შეადგენდა, რაც უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარებულყო. ასეთი ურთიერთობის თაოსნად როსები შეურჩევიან.

ეს საკმარისი სიცხადით გვიჩვენებს როსების ორატორულ დასელოვნებას, რაც სრული უეჭველობით დასტურდება იმ საარქივო მასალით, რომელიც მოსკოვის ცენტრალურ არქივში მოიპოვა და 1946 წელს გამოაქვეყნა პროფ. ა. იოსელიანმა¹.

¹ ა. იოსელიანი — კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში... გვ. 397—403.

ამ მასალაში ხაზგასმულია როსების «Словестное доношение» და «Словесной доклад», რითაც ბევრჯერ წარმდგარა ის რუსეთის უზენაესი ხელისუფლების წინაშე და თავისი სათქმელი გამოუცხადებია. იქვე რუსულ ენაზე დაცულია ერთი დოკუმენტი— როსების მოხსენება ანა იოანეს ასულისადმი შაჰ-ნადირის ვერაგული ქცევისა და ქართლისათვის საჭირო შემწეობის შესახებ, რომელშიც ირანელთა მიერ დარბეული ქართლ-კახეთის ოსტატური სურათია გადმოცემული. ამ სურათს დღემდე შემოუნახავს ავტორის სიტყვის ძალა და სილამაზე.

იქვე დართული ცნობის თანახმად, როსებს თავისი მოხსენება ზეპირად წარმოუთქვამს. „აქედან ჩანს, — ასკენის ა. იოსელიანი, — რომ იგი როსების მიერ კი არ უნდა იყოს დაწერილი, არამედ აუდიენციაზე დამსწრე პირის თუ თარჯიმნის მიერ“¹.

ამრიგად, მკვლევრის საფუძვლიანი ვარაუდით მოხსენების დედანი ქართული უნდა ყოფილიყო — მისი შემონახული პირი წარმოთქმის დროს ან შემდეგ შესრულებული თარგმანია.

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, როსების მეტყველება დღემდე ინარჩუნებს კაზმულ გარეგნობასა და შინაგან ძალას.

¹ ა. იოსელიანი — კახეთის სამეფოს ელჩობა, გვ. 402.

არტემონე ანდრონიკაშვილი

1769—1770 წლების საქართველოს საისტორიო დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია პროფ. ალ. ცაგარლის მიერ, ნათლად გვისურათებს ერეკლე II-ის ელჩის არტემონ ანდრონიკაშვილის სადესპანო მოღვაწეობას რუსეთის სამეფო კარზე. ამ დოკუმენტების მიხედვით ის თავისი დროის ცნობილი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის უაღრესად მნიშვნელოვანი დავალებანი, რაც მისთვის მიუზღვიათ რუსეთ-თურქეთის ომით (1768—1774) გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში.

1769 წლის 5 ივნისს ერეკლე უფლის ნ. პანინს არტემონის ელჩად მიგზავნას ეკატერინე II-ის კარზე და სთხოვს რუსეთის მინისტრს ერწმუნოს ქართველი ელჩის ზეპირად ნათქვამს.¹ იქვე აღნიშნულია, რომ მეფის დესპანს დავალებული აქვს მოახსენოს პანინს ერეკლეს თხოვნა, რაც შემდეგ უნდა მოხსენდეს ეკატერინე II-ეს.

სიმპტომატიურია, რომ წერილობით დოკუმენტში, სადაც ხსენებულია „მისის ღრაფობის ბრწყინვალეების პირველისა მინისტრისა ზეპირ მოსახსენებელი სიტყვანი“, ჩართულია არტემონის მიერ ზეპირად მოსახსენებელ დავალებათა ნუსხა, რომელშიც ერეკლე მეფის ასეთ მნიშვნელოვან დიპლომატიურ შენიშვნას ვხვდებით: „ჩვენ გვგონია, რომ მისის დიდებულების ბრძანებით გამორჩეულიც ექნებათ საქმე, რომ ჰერანში ვინც ჩინებულნი არიან იმათი ისეთი რიგი კაცი, წიგნი და სიტყვა ებრძანოთ, რომ იმათ თავიანთ თავზედ არა იფიქრონ რა და დაწყნარებულის გულით იყვნენ, ეს მოგონება და მოხ-

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 7.

სენება ჩემბან გულმან ასე დაინახა, რომ ამ მოხსენებისათვის თანამდებობა გვექონდა და ყოვლითურთ ნება მისის დიდებულებისა არს¹.

1769 წლის 16 დეკემბერს პანინი უდასტურებს ერეკლეს არტემონის გამოცხადებას დედოფლის კარზე და ამცნობს მას ამ ელჩობის დადებით შედეგს². ამ ცნობითა და ერეკლეს წერილებით ნათელი ეფინება მეფის თხოვნას, რაც რუსეთის ჯარისა და სამთამადნო საქმის ოსტატების მოწვევაში გამოიხატებოდა და ჩვენი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიურ გაძლიერებას ითვალისწინებდა³.

როგორც ითქვა, ა. ანდრონიკაშვილის ელჩობას დადებითი შედეგი მოჰყოლია. ამას ამტკიცებს რუსეთის სამხედრო კორპუსის გამოგზავნა საქართველოში გენერალ ტოტლენის წინამძღოლობით და სამთამადნო საქმის ოსტატების ჩამოსვლა ჩვენში პროფესორ გილდენშტეტის მეთაურობით. ორივე ფაქტი დეტალურად აღბეჭდილია საისტორიო პირველწყაროებში და სათანადოდ შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში⁴.

ამრიგად, ცხადად გარკვეულია, რომ ქართლ-კახეთის მეფის ელჩი ა. ანდრონიკაშვილი თავის დროზე დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენებს აგვარებდა და აწესრიგებდა. მძიმე ისტორიულ ვითარებაში მან წარმატებით შეასრულა თავისი დიპლომატიური მისია, რაც, რა თქმა უნდა, ქართველი ელჩის ორატორულ ოსტატობასაც მოითხოვდა.

ყოველივე ამას გვიჩვენებს რუსეთისა და საქართველოს უზენაეს ხელისუფალთა მიწერ-მოწერა 1769 წლის 5 ივნისიდან 1770 წლის 3 ივნისამდე⁵. ამ ერთი წლის მანძილზე საქართველოს მეფისა და რუსეთის იმპერატორის დიპლომატიურ ურთიერთობას სათავეში უდგას ა. ანდრონიკაშვილი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავისი მოვალეობა პირ-

1 ი. ცინცაძე — XVIII ს-I-ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის... არქივიდან, გვ. 132.

2 А. Цагарели — Грамоты... I, стр. 86.

3 იქვე, გვ. 80.

4 А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 37—38; ი. ცინცაძე. — 1783 წლის მთარეულობითი ტრაქტატი, გვ. 74—75.

5 А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 6—38.

ნათლად შეასრულოს და მინდობილი ელჩობა წარმატებით დააგვირგვინოს. როგორც ირკვევა, მეფის ნდობა დესპანს სავსებით გაუმართლებია.

საგულისხმოა, რომ ა. ანდრონიკაშვილი რუსეთში მოქმედებდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1751—1784) ელჩთან დავით კვინიხიძესთან შეთანხმებით. ამ უკანასკნელს დიდხანს ეკირა იმერეთის სამეფო კარზე უმაღლესი მსაჯულის თანამდებობა და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა სოლომონ I-ისა და დავით II-ის (1784—1789) ელჩობაში რუსეთის სამეფო კარზე. ის უაღრესად გამჭრიახი და გამოცდილი პოლიტიკოსი უნდა. ყოფილიყო, რასაც გვიჩვენებს მისი ფართო დიპლომატიური სარბიელი და ქართლ-კახეთის დესპანებთან შეთანხმებული მოღვაწეობა.

ყოველივე ეს საკმარისი სიცხადით მოწმობს, რომ ა. ანდრონიკაშვილი XVIII ს-ის 60-იანი წლების მიწურულში რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის გავლენიანი მონაწილე და თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ანტონ კათალიკოსი

კათალიკოსი ანტონ I (ბაგრატიონი) ქართული კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. ის გამოჩენილი ლეთისმეტყველი, მწერალი, ფილოსოფოსი და მეცნიერია. მან შესამჩნევი კვალი გააჩლო თავისი დროის აზროვნების თითქმის ყველა დარგს და დიდი ცოდნა, ინტერესი და სიყვარული გამოიჩინა მრავალმხრივი შემოქმედების ყოველ სფეროში. განსაკუთრებული წარმატებით ანტონი სასულიერო მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობდა. აქ საკუთარი სააზროვნო სისტემითა და ფართო დიაპაზონით გამოირჩეოდა ის ეგზეგეტიკის, დოგმატიკის, პოლემიკის, ასკეტიკის, კანონიკისა და ჰაგიოგრაფიის დარგებში. ნაყოფიერად მუშაობდა ის ისტორიის, ლინგვისტიკისა და ფილოსოფიის სფეროებშიც. ყოველივე ამასთან ერთად, ანტონი თავისი დროის გამოჩენილი მკვევრმეტყველი იყო.

კათალიკოსი ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზი) იყო შვილი იესე ბაგრატიონისა, ვახტანგ VI-ის ძმისა, და თეიმურაზ II დის ელენესი. ის დაიბადა 1720 წელს. თავდაპირველი განათლება მან მიიღო დავით-გარეჯის მონასტერში, სადაც შეისწავლა საღმრთო წერილი, ფილოსოფია და უცხო ენები.

პირადი უბედურების, ნადირ-შაჰის მიერ სატრფოს მიტაცების გამო სასოწარკვეთილი ბატონიშვილი ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა 1739 წელს, გელათის მონასტერში დამკვიდრდა და სასულიერო ცხოვრებაში ჩაება. აქ ანტონი ჩქარა ღებულობს იერარქიულ წარმატებას, იწყებს ლიტერატურულ მუშაობას და აღრმავენს თავის საღვთისმეტყველო განათლებას.

1743 წელს ანტონი გამოეთხოვა იმერეთს, დაუბრუნდა სიყრმის კუთხეს, დაბინავდა დავით-გარეჯში და მიუახლოვდა

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს. მომდევნო წლიდან ის ინიშნება სრულიად საქართველოს კათალიკოსად და ამიერიდან სდება ახლო მონაწილე ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა.

თავისი პოლიტიკური ორიენტაციით ანტონი დასავლეთისაკენ იყო გადახრილი და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასა და ქვეყნის კულტურულ აღორძინებას ევროპასთან დაახლოებითა და საეკლესიო რეფორმით ლამობდა. ამ მოსახრებით დაუახლოვდა ის იმჟამად თბილისში მყოფ კათოლიკე მიწიონერებს და განუდგა მართლმადიდებლობას.

ანტონის კათოლიკურ განდგომას წინაღუდგა სამღვდლოების მძლავრი დასი სამეფო კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით. გამწვავებულ ბრძოლას მოჰყვა კათალიკოსის ქცევის მკაცრად დაგმობა და მისი გადაყენება უზენაესი სასულიერო თანამდებობიდან 1755 წელს მცხეთაში მოწვეული საეკლესიო კრების მიერ.

ერთი წლის შემდეგ ანტონმა აღიარა თავისი შეცოდება, უარპყო კათოლიკობა და ითხოვა ღვთისმსახურების უფლების მინიჭება და რუსეთში გამგზავრების ნება. ამ სურვილის შეწყნარების შემდეგ ანტონი გაემგზავრა მოსკოვს და ესტუმრა თავის ახლო ნათესაებს, ვახტანგ VI -ის შემკვიდრებებს. მოსკოვიდან ის ჩავიდა პეტერბურგში, წარუდგა სინოდს, იმართლა თავი და 1757 წლის 1 დეკემბრიდან დაინიშნა ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად. ამ თანამდებობაზე მან დაჰყო 5 წელი.

რუსეთში ანტონმა გააღრმავა და გააფართოვა თავისი ცოდნა, შეიძინა დიდი პრაქტიკული გამოცდილება და შექმნა რამდენიმე საღვთისმეტყველო ნაშრომი.

თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, როცა ერეკლემ გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები და განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება, ანტონი ბრუნდება სამშობლოში მეფის მოწვევით და 1764 წლიდან კვლავ ღებულობს კათალიკოსის ტახტს.

ამიერიდან იწყება მისი დიდი საგანმანათლებლო მუშაობა. მოკლე დროში მან გააჩაღა მხურვალე კულტურული საქმიანობა: შექმნა სკოლები, აღადგინა სტამბა, შემოიკრიბა სწავ-

ლულები, დაწერა და სხვებსაც დააწერია სამეცნიერო ნაშრომები და მოახდინა საეკლესიო მართვა-გამგეობის გონივრული ცვლილება.

ყოველივე ამასთან ერთად ანტონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ელჩობა რუსეთში. არსებითად ამ ფაქტს უკავშირდება ანტონის საელჩო ორატორული ხელოვნება.

1771 წლის 29 დეკემბერს ერეკლე მეორემ რუსეთის სამეფო კარზე ელჩებად მიაგვლინა ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი 60 კაცის თანხლებით. ეს მრავალრიცხოვანი საელჩო, რომელსაც ანტონი მეთაურობდა, მთელი წლის მანძილზე შეაჩერეს ქ. ასტრახანში, საიდანაც ის მხოლოდ 1773 წლის იანვარში დაიძრა პეტერბურგისაკენ საგრძნობლად შემცირებული შემადგენლობით¹. ელჩებს თან მიჰქონდათ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის შესვლის პირობებს. ამ პროექტით და მისი ზეპირი განმარტებით წარდგნენ ელჩები ეკატერინე II-ის წინაშე და ზეპირადვე მოახსენეს მას ქართველი მეფის ნება-სურვილი და სათხოვარი. მთავარი მომხსენებელი აქ, რა თქმა უნდა, ანტონ კათალიკოსი იყო.

მეფის თხოვნა მფარველობის შესახებ და მასთან დაკავშირებული ვალდებულებანი არადროულად და შეუსაბამოდ მიიჩნია რუსეთის მთავრობამ, მან უკუაგდო ხსენებული პროექტი და უარყოფითი პასუხი გასცა ელჩებს. 1774 წელს ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში².

ამ მიზანმიუღწეველი საელჩოს მუშაობაში ანტონ კათალიკოსმა, უნდა ვიფიქროთ, გააკეთა ყველაფერი, რაც მას შეეძლო და მასზე იყო დამოკიდებული. ამის მაჩვენებელია 1773 წლის 27 აპრილის მოხსენება, რომელიც ანტონსა და ლევანს ნ. პანიჩისათვის გადაუციათ³. ეს დოკუმენტი ანტონის ორატორულ ნახელავს წარმოადგენს.

ანტონ კათალიკოსის საელჩო ორატორული მემკვიდრეო-

¹ А. Цагарели — Грамоты..., I, XXVIII—XXIX.

² З. Авалов — Присоединение Грузии к России, стр. 120—126.

³ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 90—92.

ბიდან განსაკუთრებით საყურადღებოა 1770 წლის 12 მაისისა და 1772 წლის 24 ოქტომბრის წერილები ნ. პანინისადმი. მათ შორის პირველი ქართული საელჩო მკვევრმეტყველების შესახებ ნიშნავი ძეგლია, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მძლავრი რიტორიკული შესავლით, სადაც ნაკლებად იგრძნობა ანტონის „მაღალი სტილის“ ხელოვნური კაზმულობა, მაგრამ სავსებით დაცულია მისთვის ნიშანდობლივი პათეტიკური ელერა.

აი, ეს შესავალი:

„განაღვიძებს გონებასა ჩემსა თქუშნისადმი მაღლისა დრაფობის ბრწყინუალებისად აწინდელი გარემოებაჲ და უდიდესად ესე, რამეთუ მისი იგი დიდებულებაჲ, გონიერი მზე, ავლუსტა ჩუშნი გამოუტყევებს რა შარავანდედთა წყალობისათა სიმსწრაფლისამებრ უგრძეს და უშორეს განტყევებასა, ამსგავსებს მოძრავობასა და შორსმიმწთომელობასა მზიურთა შარავანდედთასა, ხოლო ყოველსავე ზოგად მიჰტენს წყალობისა შარავანდედთა მახლობელთა ზედა და შორიელთა.

ესე გუარით ამით განფენითა წყალობისათა მეცა უღირსი წყალობასა ნიკებულ ვიქმენ მ. დ. უხუად შეილთადმი შესაბამთა წყალობისა დინებითაგან, რომელ მივიღე მქსგავსებაჲ საცხოვრებელისა მის ჩუენისა საღმრთოჲსა გენგებულეებისა, რომლითაცა შეჰქმნა ღმერთმან ცხოვრებაჲ შორის ქუშყახისა, ვინაჲცა ვინათგან სამღუდეღელთავეროჲთა მით პანალიიჲთა წყალობით ნიკებულ ვიქმენ სამღუდელოჲსაგან. იმჰ. მ. წინაშე საკურთხეველისა მდგომარე ვჰმადლობ მ. დ. ჩემდამო ესე გუარისათჳს წყალობისა. ხოლო საქართუშლოჲსა მომართ ესე გუარ შეწყალებისა და ძეთა შორის თჳსთა აღრიცხჳსათჳს ჩუშნისა მ. დ., რამეთუ განიღჳდა მძინარემან სურვილმან ჩუშნმან და წინაპართა ჩუშნთამან, უგალობ კმითა მაღლობისათა მაღიდებელსა ავლუსტაჲსა ჩუშნისასა და ვიტყვი: ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩუშნ, განმზადდეთ დღესასწაული ეჲსა ყოველთასა ვიდრე რქათამღე საკურთხეველისათჳ; ჩუშნთანა არს ღმერთი. ჰსცანთ წარმმართთა და იძლიენით!“¹.

ანტონის მეორე ეპისტოლე, რომელსაც ლევან ბატონიშვილიც აწერს ხელს, დღიურ საჭირბოროტო საკითხს შეეხე-

¹ А. Ц а г а р е л и — Грамоты..., II, I, стр. 33.

ბა — ასტრახანში დიდხანს დაყოვნებული საელჩოს მძიმე პირობებს ასახავს და შედარებით შეუფერავი, ძუნწად ნაძერწი მშრალი სტილით ხასიათდება¹.

ამრიგად, ანტონ კათალიკოსის საელჩო მკვერმეტყველება „მაღალი სტილის“ პოზიციების ერთგვარ დათმობას წარმოადგენს მისი დამცველის მხრივ, რაც არა მარტო დიპლომატიური მიმოწერის შინაარსით აიხსნება, არამედ ცოცხალი მეტყველების ბუნებითაც, რასაც, როგორც ჩანს, ჟეროვან ანგარიშს უწევდა ქართული ორატორული ხელოვნების ეს თვალსაჩინო ოსტატი.

¹ А. Цагарели — Грамоты II, I, стр. 88—89.

ლევან ბატონიშვილი

ერეკლე მეორის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებში თავისი გამპკრიახობით, სიფხიზლითა და მუყაითობით გამოირჩეოდა ლევან (ლევან) ბატონიშვილი. ის იყო მეფის უსაყვარლესი ვაჟი, რომელიც ბავშვობიდანვე მოექცა ქვეყნის უზენაეს მმართველთა წრეში და სიკბაბუკეში ჩაება რთულ პოლიტიკურ საქმიანობაში. ლევანის ბევრი მაღალი ღირსება და იშვიათი ქმედითი ენერჯია გარკვევით აღბეჭდილია მრავალ საისტორიო წყაროში. ისინი ერთხმად მიუთითებენ სახელოვანი უფლისწულის დიდ სახელმწიფოებრივ აღლოსა და მიხვედრილობაზე.

ლ. ბატონიშვილის სიცოცხლე, 1756—1782 წლებით განისაზღვრა.

ლევანის ხანმოკლე მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ისტორიული ფაქტი: მორიგე ჯარის ორგანიზაცია და რუსეთში წარმოებული ელჩობა. მათ შორის ჩვენთვის ამჟამად ეს უკანასკნელი ფაქტია მნიშვნელოვანი. ლევანის მიერ რუსეთის სახელმწიფო კარზე შესრულებული მისია გვიდასტურებს ახალგაზრდა დესპანის პოლიტიკურ სიმწიფეს, დიპლომატიურ უნარსა და ინტელექტუალურ ძალას. იგივე გვიჩვენებს, რომ კბაბუკი ელჩი სულდათქმული მუსაიფისა და საჯარო მეტყველების ოსტატიც უნდა ყოფილიყო.

1772 წლის იანვრიდან 1774 წლის აგვისტომდე რუსეთში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლეს მიერ საგანგებო მინდობილობით დასაქმებული საელჩო ლევან ბატონიშვილის, ანტონ კათალიკოსისა და მათი მრავალრიცხოვანი მხლებლების შემადგენლობით¹. საელჩოს მიზანს წარმოადგენდა გა-

¹ А. Цагарели — Грамоты..., I, стр. 370.

ეცნო ეკატერინე მეორისათვის, თუ რა პირობებით სურდა ერეკლეს რუსეთის მფარველობაში შესვლა. ამ პირობების ძირითადი არსი გამოხატულია 1773 წლის 27 აპრილის წარდგინებაში, რომელიც ლევან ბატონიშვილსა და ანტონ კათალიკოსს ნ. პანიჩისათვის გადაუციათ¹.

1772 წლის 24 ოქტომბერს გზაში დაყოვნებული ქართველი ელჩები ასტრახანიდან სწერდნენ პანიჩს: „წარმოსრულნი საქართუშლოთ წელიწადსა 1772, იანუარსა 5, წინაშე მ. ი. დ., წარმოგზავნითა საქართუშლომსა და კახეთისა მეფის ირაკლისაგან სარგებელისათჳს როსიის მონარხიისა და საჭიროებათათჳს რომელთამე თჳსთა — მოვედით ასტრახანს მარტს 6, და აქამომდე აქა მყოფნი არა მცირედსა შინა მწუხარებასა და სიმწარესა, რომელ ვითარცა ტყუშნი ვიყოფებით დაკლებულნი მამულისაგან ჩუშნისა და ვერ მიწოთმილნი სრულყოფად კომისიისა, რომელიც გვრწმუნებიეს მეფისა ირაკლისაგან. მრავალნი საქმენი თანანადებნი ჩუშნნი მამულსა შინა ჩუშნსა განსაგებელნი ჩუშნგან, რომელიცა საჭიროდ თანაგუაძს, მდგომარებენ ვერ მიწვენითა დასასრულისათა, და აქა ჩუშნ ყოვლითურთ მოცლილნი, უქმად მყოფნი მიეცემულვართ პაერისა სიმძიმითა ვერ შემწყნარებელნი უცხოჲსა კლიმატისანი სნეულებათა განგრძობილთა... ამისთჳს თ. მ. დ. ბ. ცრემლთაძდე ვედრებით ვთხოვთ, რათა განეთავისუფლდეთ ჩუშნ აქათგან და ღირს ვიქმნეთ წინაშე მ. ი. დ. წარდგომად, — არა რაჲმესა შეწყენისა და წინააღმდგომებრისა სათხოვარისა მქონებელნი, თჳნიერ მ. ი. დ. შესამატისა და როსის იმპერიის სასარგებლომსა, და რომელთამე საჭიროთა მეფის ირაკლისათა თხოვათა“².

1773 წლის 16 მარტს ამ ელჩობის მომლოდინე ერეკლე სწერდა იმავე პანიჩს: „კადნიერება ესე თქვენდამო მიმალბინა უმეტესმან მწუხარებამან, ვინადგან ძმა ჩემი კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი ლეონ უმალღესსა კარს ყოვლად უმდაბლესად ვაახელ, რომლისა სასურველისა ჩემის მოხსენებულის უდიდებულესისა და ყოვლად უგანათლებულესისა, და სრულიად აღუსტას ჩემის მოწყალის ქელმწიფისად სავედრებე-

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 90—92.

² იქვე, გვ. 88.

ლისა საქმისათვის,— და აქამომდესაც ვერ მივემთხვიე მოწყალების რეზოლუციასა, რომელისათვისცა კვალად მარადის ვარ მავედრებელი არა მე მხოლოდ. არამედ სრულიად ესე ჩვენი საქრისტიანო ქვეყანა წინაშე თქვენის მაღლის ღრათობის ბრწყინვალეებისა დაუგვიანელობისათვის უმაღლესისა ბრძანებისა¹.

როგორც ჩანს, 1773 წლის აპრილში წამდგარან ჩვენი ელჩები რუსეთის მაღალი მოხელის წინაშე და მისთვის ზემოხსენებული წარდგინება გადაუციათ. იმავე წლის 23 ივნისს მეფე ერეკლე კვლავ თხოულობს პანინისაგან ელჩობის პასუხის დაჩქარებას: უმეტესისა ვედრებითა გვედრებით. რომ არ დაგვადოთ და თქუენი ჩემდამი კეთილ-მოქმედებითისა სასოებისაგან არ მოგვაკლოთ. და რომელიც მ. ი. დ. წინაშე სავედრებელნი და სათხოველნი ჩემს ძმას და ჩემს ძეს ლეოხს გამოვატანე, და ეგრეთვე თქუენის მ. დ. ბ. მიმართაც მეოხებისა ვედრებანი მოგახსენე. — ესენი ყოვლად უგანათლებულეს დიდის მონარხისაგან მოწყალებით უფროს ამასა აღარ დაგვიგვიანდეს, წყალობით სავსე რეზოლუცია გვებოდოს, და ყოვლად მოწყალის დიდის კელმწიფის მოწყალებითა და შუამდგომლობითა თქუენითა ჩვენის მწუხარებისაგან განთავისუფლდეთ. სხუანი აქაურნი საქმენი და ჰამბაენი ძმისა ჩემისა და ძისა ჩემისა პირით წყალობით მოისმინეთ².

როგორც ირკვევა, მეტად მძიმედ მიიმართებოდა ეკატერინე II-ის კარზე ერეკლე მეორისათვის უაღრესად საშური საკითხების მოგვარებისა და გადაწყვეტის პროცესი³. ამ ხანგრძლივ დიპლომატიურ ურთიერთობაში ლევან ბატონიშვილი, ჩანს, სამშობლოს მძიმე მდგომარეობას კარგად ითვისებდა და თავისი პატრიოტული მოვალეობის სიმალლეზე იდგა.

¹ Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 89.

² იქვე. გვ. 94.

³ З. Авалов — Присоединение Грузии к России, стр. 120—126.

მაცხიმი მუთათელი

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფეების სოლომონ I-ისა (1751—1784) და დავით II-ის (1784—1789) კარზე ხანგრძლივად მუშაობდა ცნობილი სასულიერო პირი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე მაცხიმი მუთათელი. ის თავისი დროის ფხიზელი პოლიტიკოსი, წარჩინებული კარისკაცი და გაწაფული მქვევრმეტყველია. ორივე მეფის უახლოეს ერთგულთა შორის მუთათელი დიდხანს გამოირჩეოდა თავისი სულიერი სიმტკიცითა და პატრიოტული თავდადებით. მას არა ერთხელ უყისრია და მარჯვედ შეუსრულებია მძიმე სადესპანო მისიები და რთული პოლიტიკური დავალებანი. ასეთ შემოქმედებითს სარბიელზე ის, რა თქმა უნდა, ბევრ დაბრკოლებას წააწყდებოდა, რასაც, უეჭველია, დიპლომატიურ მოქნილობასთან ერთად მქვევრი მეტყველების ძალითაც სძლედა და სასურველი შედეგის გზას იადვილებდა. ეს გზა საკმარისი სიცხადით შეიძლება გავითვალისწინოთ საისტორიო მასალის დახმარებით. ამ მასალას ჩვენამდე მოუღწევია, მაგრამ, სამწუხაროდ, არასრული სახით, მას აკლია ჩვენთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი — საელჩო სიტყვების ქართული ტექსტები, რომლებიც, საბედნიეროდ, შენახულია რუსულად, რაც საგრძნობლად ავსებს ხსენებულ დანაკლისს.

1768 წელს სოლომონ I თავის უახლოეს მრჩეველს მაცხიმე მუთათელს ელჩად უგზავნის ეკატერინე II-ეს, რომელსაც საგანგებო წერილით აცნობს იმერეთის მძიმე მდგომარეობას და სთხოვს მას დახმარებასა და გამოსარჩლებას თურქებთან ბრძოლაში. მეფის სათხოვარი სამი მუხლისაგან შედგება და ასეა ჩამოყალიბებული: „პირველად: რათა გამომიწსნა უცხოთესლთა, ოსმანთა, ქველისაგან და ყოვლად ძლიერი ქელი დასდვა ჩვენ ზედა და ქუეყანასა და ერსა ჩვენსა ზედა... მეო-

რედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქვე განგვამტკიცოს ყოვლად მოწყალე ჴელმწიფემ საქმართა და შეწვენათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღმდეგომად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ საჴმართაგან ფრიად ნაკლებევან ვარ. მესამედ: მტერნი ჩვენნი მაჴმადიანნი, ოსმანნი, ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ, ცოდვათა ჩვენთათვის, ვერღარა უძლოთ წინააღმდეგომად, — ყოვლად მოწყალე ჴელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებიან სხუანი მეფენი, რათა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა¹.

ეს თხოვნითი წერილი მეფის დესპანს ზეპირი მოხსენებით შეუვსია — დედოფლის წინაშე მას სოლომონის „გულის სიტყვა და განზრახვა“ გაუცხადებია და რეალური დახმარების საფუძველი, შესაძლებლობა და შედეგი დაუხატავს.

რამდენიმე თვის შემდეგ, 1769 წლის 14 მარტს მაქსიმე ქუთათელს დედოფლისათვის ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგენია, რომელშიც დაწვრილებით აღწერილია იმერეთის გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა. ბარათში ერთგან გამოთქმულია მთავარი საწადელი: „თუ იმერეთის ქვეყანა ასე ბედნიერი შეიქმნება, რომ ძლიერი და მართლმადიდებელი აღმოსავლეთის სარწმუნოების ტახტი ჴელს დასდებს და საუკუნოდ იყმობს, და მეფე სოლომონს რუსეთიდან ხუთი ათასამდის კაცს თავისის განწყობილობით და სახარჯოს თეთრით გაუგზავნის რუსეთი, ის რომ დაინახავს საფარველად მართლმორწმუნეს და ძლიერის იმპერატორიცას საბრძანებელის ქვეშე, იქნება ასეთი იმედი მიეცემა თვითონ და იმის ხალხსა, რომ იმ ციხეებში ოსმალოები რომ არიან, სულ ყველას ამოსწყვეტს...“² ბარათი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ამას მეფის სოლომონის გამოგზავნილი ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე მოგახსენებს“³. უნდა ვიფიქროთ, ეს ბარათი მაქსიმეს შეუდგენია თავისი ინიციატივით პეტერბურგში ყოფნის დროს.

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 1—2.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 5.

გზაში ქუთაისიდან პეტერბურგამდე, 1768 წლის ოქტომბერში, მაქსიმეს საუბარი ჰქონია ყიზლარის კომენდანტთან, რომლისთვისაც გაკვრით გაუმხელია თავისი მისიის შინაარსი და წამოწყებულ მგზავრობაში მისგან შემწეობა უთხოვია¹. მეფის დესპანს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო კომენდანტი პოტაპოვი შეეყვანა მთელი საქმის კურსში, ვინაიდან საელჩო დავალება საიდუმლო ხასიათს ატარებდა, რაც ნათლად ჩანს იმავე პერიოდის სოლომონის ერთი წერილიდან პანინისადმი².

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმე ქუთათელის ელჩობას რუსეთში ჩვენი ქვეყნისათვის საერთოდ დადებითი შედეგი მოჰყვა, რაც საქართველოში რუსი მხედრობისა და საკმაოდ შიშაური არტილერიის გამოგზავნაში გამოიხატა და თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული შეტევითი ბრძოლებით აღინიშნა იმერეთსა და მესხეთში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სარდალი გენერალი ტოტლებენი ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებთან შეუთანხმებლად მოქმედებდა და თვითნებურად იქცეოდა. ეს კარგად ჩანს იმ მკვერამეტყველური წერილიდან, რომელიც სოლომონ პირველს მიუწერია ეკატერინე მეორისადმი 1770 წლის 11 თებერვალს. აქ ნათქვამია: „ოდეს მოიწია მხედართმთავარი მათითა მკედრობითურთ საზღვარსა თემისა ჩვენისასა, მრავლად მოხარულნი წინ მივეგებენით, და აღმოვიკითხეთ რა ბრძანება და წერილი გამოქსნისა და შეწყალებისა ჩვენისა, მუკლდადგმით მადლობა შევწირეთ და მივართვით პირველად ღმერთსა და მერმე ყოვლად მოწყალეს ჭელმწიფვსა, და ზოგად ვიხარეთ გარდარეულითა სიხარულითა სამღვდელოთა და საეროთა, დიდთა და მცირეთა, და ყოველმან სავსებამან ქვეყნისა ჩვენისამან ესრეთ განიხარა, ვითარცა ეგვიპტით მონებისაგან გამოქსნილთა ისრაილთა, და მყის თანა თაყვანისმცემელ, მლოცველ, მმადლობელ ვიქმნენით ყოველნივე მათის ყოვლად ძლიერის იმპერატორობის დიდებულებისა, რომელმან ემმანოელისაებრი გამოქსნისა და შეწყალების შარავანდელი მოგვფინა“³.

¹ А. Цагарели — Грамоты..., I, стр. 12—13

² იქვე, გვ. 17.

³ А. Цагарели — Грамоты, II, I, стр. 21.

ასეთია მაქსიმე ქუთათელის პირველი ელჩობის სურათი სარწმუნო წყაროების მიხედვით. ქვემოთ ლაპარაკია მის მეორე ელჩობასა და ამასთან დაკავშირებულ საყურადღებო მოვლენებზე.

მაქსიმე ქუთათელის მეორე ელჩობა რუსეთში შედგა 1784 წელს. ამჯერად ის იყო იმერეთის მეფის დავით II-ის დესპანი ეკატერინე დედოფლის კარზე. ხსენებული წლის მაისისა და სექტემბრის წერილებით დავითი მორჩილებას პირდება და ერთგულებას სთავაზობს ეკატერინე II-ეს და ასახელებს რუსეთში წარგზავნილ ელჩებს. მაისის წერილში მათ ასე ასახელებს დავითი: „...სწრაფვის მგზავრობით გვიახლება დიდი უფალი და მწყემსთ-მთავარი ჩვენი. ამისი უწმიდესობა კათოლიკოსი ყოვლისა საიმერეთოჲსა და აფხაზეთისა მაქსიმე. და ამასთანა ჩვენის ქვეყნის უპირატესი სარდალი და სახლთუხუცესი, და სიძე ჩემი კნიაზი წერეთელი ზურაბ, და ამასთანა მდივანბეგი ჩვენი კნიაზი დავით“¹. სექტემბრის წერილში განსაკუთრებული პატივითა და ნდობით იხსენიება მაქსიმე: „დიდი უფალი და მწყემსთ-მთავარი ჩვენი აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე, რომელსა ყოველნივე ზოგად მინდობილ ვართ სულით ჩვენით და ქორციით“².

ამრიგად, დავით მეფის საელჩოში შედიოდნენ: მაქსიმე ქუთათელი, ზურაბ წერეთელი და დავით კვინიხიძე. მათ შორის მეფის პირველი დესპანი და საელჩოს მეთაური მაქსიმე ქუთათელია.

ქართველი ელჩები 1784 წლის 29 დეკემბერს წამდგარან ჯერ ეკატერინე II-ისა და შემდეგ უფლისწულების — პავლესა და ალექსანდრეს წინაშე. პირველი აუდიენციის დროს მაქსიმე ქუთათელს სიტყვა უთქვამს ეკატერინეს მიმართ, ხოლო მეორე აუდიენციის დროს წარმოუთქვამს ორი სიტყვა უფლისწულების მიმართ. სამივე სიტყვა პირველად თქმულა ქართულ ენაზე. მათი რუსული თარგმანები, რომლებიც წაუუკითხავთ იქვე, დაცულია ხსენებული შეხვედრების სპეცია-

¹ იქვე. გვ. 181.

² იქვე. გვ. 183.

ლურ აღწერილობაში, რომელიც შემდეგ ოფიციალურად გამოუქვეყნებიათ¹.

მაქსიმე ქუთათელის სიტყვები სადღესასწაულო ხასიათის ორატორული ძეგლებია. ისინი ამალღებული ტონით გადმოსცემენ საზეიმო განწყობილებას. მათი ფიქსირებული ფორმით იგრძნობა მკვეთრი ემოციური ელფერი და მძლავრი პათეტიკური ჟღერა.

¹ А. Цагарели — Грамоты..., I, стр. 52—54.

დავით კვინიხიძე

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ და რუსულ პირველწყაროებში, მაქსიმე ქუთათელისა და ზურაბ წერეთლის გვერდით, ხშირად იხსენიება იმერეთის უზენაესი მსაჯული დავით კვინიხიძე. ის ხანგრძლივად ჩანს სოლომონ I-ისა და დავით II-ის უახლოეს კარისკაცთა შორის და დიდხანს მონაწილეობს იმერეთის საშინაო და საგარეო საქმეებში. მისი უშუალო ჩარევითა და გადამწყვეტი გავლენით დასმულა და მოგვარებულა ჩვენში თავის დროზე ბევრი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი — მათ შორის რთული დიპლომატიური პრობლემები, რომელთა წარმატებით გადაჭრას ისტორიული აზრი გააჩნდა ჩვენი სამშობლოსათვის. ამ ეროვნული მოღვაწეობის ასპარეზზე მტკიცედ იდგა და თავდადებულ შრომას ეწეოდა დავით კვინიხიძე.

ამჟამად მისი მრავალმხრივი შრომის ერთი სფერო, კერძოდ, საელჩო საქმიანობა გვაინტერესებს. სწორედ აქ უნდა გამოველინა მას ჩვენი უმთავრესი საძიებელი — ორატორული ოსტატობა, რაც აგრეთვე მისი, როგორც მსაჯულის, სულიერი საუნჯე იქნებოდა. რადგან დავით კვინიხიძის სამოსამართლო მოღვაწეობის ფაქტები ჩვენთვის უცნობია, ამიტომ ქვემოთ მისი საელჩო საქმიანობის განხილვით ვიფარგლებით.

ხსენებულ პირველწყაროებში აღნიშნულია დ. კვინიხიძის სამგზის ელჩად ყოფნა ეკატერინეს კარზე. თავდაპირველად ის 1769 წლის მიწურულში მიუვლენია იქ იმერეთის მეფეს გენერალ ტოტლებენის თვითნებობის გასაცხადებლად. ამ ფაქტის მაუწყებელ საბუთში აღნიშნულია არა მარტო ელჩობის გამომწვევი მიზეზი, არამედ შედეგიც, რაც დედოფლის მხრივ დიპლომატიურად მიკობულ-მოკიბულ პასუხში გამოიხატება¹.

¹ А. Цагарели — Грамоты..., I, стр. 272—274.

ეს უნდა იყოს დაგვიანებული პასუხი იმ მიმართვისა, რომელიც 1770 წლის 11 თებერვალს სოლომონ პირველმა დავით კვიციხიძის ხელით გაუგზავნა ეკატერინე მეორეს¹.

დ. კვიციხიძის მეორე ელჩობა რუსეთში შედგა 1774 წელს ქუჩუკ-ყაინარჯის საზავო ხელშეკრულების გაფორმების (1774 წ. 10 ივნისი) შემდეგ. ამ წლის 10 ნოემბრის წერილებში ეკატერინე II-ისა და ნ. პანინის მიმართ სოლომონი მკვერი ფორმით აყალიბებს თავის სათხოვარს დედოფლისადმი და ერთგან ასახელებს ელჩად მივლენილ დ. კვიციხიძეს.

სოლომონი ეკატერინეს სწერს:

„უსაზოგადოესო დედაო ყოველთა მართლმეაღმსარეთა აღმოსავლეთისა ძეთაო! ღმერთმან მამან, მრჩობლ — მარჯვენემან ცით მოგცა უწიაღკერძო ძალი, ვითარცა დიდსა კონსტანტინეს, ავთესლთა მაჰმადიანთა დამამხობელად და, მკვიდროანსა ზედა უხვება, და ძლევამემოსილთა ლაშქართა სიმძრავლე. ხოლო შენმან დედობრივმან და ღმერთებრივმან მოწყალებამან ზღვა და კმელი სწორებით აღავსო, და ერი ქრისტეს მოსახელეთა ქრისტიანეთა, მრავალს ქვეყანასა და ქალაქ-სოფელთა შინა, უცხოთესლთაგან დაჩაგრულნი და დამონებულნი, ტყვეობისაგან განთავისუფლდენ და შეგინებულთა მაჰმადიანთა ხელისაგან გამოიქსნენ“².

პანინისადმი მიწერალ წერილში ნათქვამია:

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ და ოსმანთ შუა, დიად, დიდი ხანია ბრძოლა იყო და მრავალი სისხლი დაიქცა, არას გზით ჩვენგან იმათი გარიგება და შეერთება არ იქნება. ჩვენ ჩვენის ყოვლად მოწყალის კელმწიფის გარდა სხვა გზა არა გვაქვს“³.

ამ წერილებში სოლომონის მიერ გამოთქმული თხოვნის არსი ნათელია: მას სურს დამსახურებული სარგებლობა მოუტანოს იმერეთს რუსეთის გამარჯვებამ თურქეთთან პირველ ომში (1768—1774). სამწუხაროდ, მეფის პრეტენზია

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 21—22.

² იქვე, გვ. 175.

³ იქვე, გვ. 176.

ნაგვიანევი აღმოჩნდა. როგორც ითქვა, რუსეთ-თურქეთის საზავო შეთანხმება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე დ. კვინიხიძის ელჩობა. ამასთან, რუსეთის დედოფალი შექმნილ ვითარებაში უფრო თურქეთს უწევდა ანგარიშს და მასთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა „შორეული იმერეთის“ მიზეზით; უნდა ითქვას, რომ რუსეთის შიგნით გართულებული სოციალური ვითარებაც ხელს უშლიდა იმ ხანებში იმერეთის კანონიერი პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

ყოველივე ამის გამო დ. კვინიხიძის ხსენებული ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა, რაც ნათლად ჩანს იმ განცხადებიდან, რომელიც დედოფლის ბრძანებით შეუდგენიათ 1775 წლის 7 ოქტომბერს¹. ამავე განცხადების ძალით იმერეთის დესპანი უკან დაუბრუნებიათ.

ამის შემდეგ დ. კვინიხიძე 1784—1786 წლებში გამოჩნდება დიპლომატიურ სარბიელზე, სადაც ჯერ ისევ სოლომონის დასაქმებას ასრულებს, ხოლო შემდეგ დავით მეფის დესპანია ეკატერინეს კარზე. ამჯერად ის მოღვაწეობას ეწევა მაქსიმე ქუთათელთან და ზურაბ წერეთელთან ერთად. როგორც ცნობილია, მათ შედარებით მოკლე დროში ბევრი მნიშვნელოვანი დავალება შეასრულეს და საგრძნობლად გააუმჯობესეს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა: თავდაპირველად იმერეთის ელჩებმა ეკატერინეს მიართვეს სოლომონის წერილი იმერეთის სამეფოს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მიღების შესახებ ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსად²; 1784 წლის 29 დეკემბერს ისინი წარდგინეს ეკატერინე II-ისა და უფლისწულების წინაშე და დავით მეფის ერთგულება დაადასტურეს³; 1785 წლის 16 მაისს მათ გადასცეს მხედართმთავარ პავლე პოტიომკინს დავით მეფის წერილი იმერეთის ზოგიერთი თავადის განდგომის თაობაზე და აუწყეს მას ქვეყნის მძიმე მდგომარეობა⁴; 1785 და 1786 წლებში ელჩებმა მოაგვარეს

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, II, стр. 8—10.

² ი. ცინცაძე—1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 275—276 გვ.

³ А. Цагарели — Грамоты..., II, II, стр. 52—54.

⁴ ი. ცინცაძე — დასახელებული წიგნი, გვ. 278—280.

რამდენიმე საყურადღებო საქმე და წარმატებით შეასრულეს ბევრი დიპლომატიური დავალება¹.

ასეთი მოღვაწეობის სარბიელზე იმერეთის მსაჯულსა და დესპანს დავით კვინიხიძეს, თქმა არ უნდა, მკვევრმეტყველებაც ემარჯვებოდა, რასაც, ცხადია, წარმატებით იყენებდა იმ თავის საელჩო საქმიანობაში.

¹ ი. ცინცაძე — დასახელებული წიგნი, გვ. 288—290.

ზურაბ წერეთელი

იმ საელჩოში, რომელიც იმერეთის მეფემ დავით მეორემ 1784 წელს მიუგზავნა ეკატერინე მეორეს, იხსენიება „უპირატესი სარდალი და სახლთუხუცესი“¹ ზურაბ წერეთელი. ზურაბი XVIII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც კარგა ხანს დიდი ძალითა და გავლენით სარგებლობდა იმერეთის სამეფო კარზე, როგორც სარდალი, დიპლომატი და პოლიტიკოსი. ის ყოველივე ამასთან ერთად დარბაისლური მუსაიფისა და ცოცხალი სიტყვის ხელოვანია, რასაც გვიჩვენებს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ხასიათი, კერძოდ, დესპანის მოვალეობა, რაც მას რამდენჯერმე წარმატებით შეუსრულებია. ამ სარბიელზე მიღწეული წარმატებანი, უეჭველია, ზ. წერეთლის ორატორული ოსტატობის შედეგიც იქნებოდა.

ზ. წერეთელს ეკატერინე II-ის კარზე ელჩის რწმუნებით ვხედავთ 1784—1786 წლებში. ამ ხნის მანძილზე ის ბევრ მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობს და არა ერთ დიპლომატიურ დავალებას ასრულებს. თავის საელჩო მოღვაწეობას ზურაბი ეწეოდა სხვა დესპანებთან, უმთავრესად. მაქსიმე ქუთათელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად. როგორც ცნობილია, ისინი იყვნენ იმერეთის მეფეების სოლომონ I-ისა და დავით II-ის ელჩები ეკატერინეს კარზე.

ზ. წერეთელი დ. კვინიხიძესთან ერთად პირველად რუსეთში მიავლინა სოლომონ პირველმა. ეს მოხდა 1784 წლის 21 აპრილს, სოლომონის გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე². სოლომონი სიკვდილის წინ სთხოვს ეკატერინეს იმერეთის

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 181.

² о. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 277.

მიღებას რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსად. ელჩების მიერ დედოფლისადმი მიერთმეულ წერილში ნათქვამია: „ამას ვევედრებით ჩვენს გამომხსნელს ხელმწიფეს. რომ ჩემი ქვეყანა და მე და შემდგომნი მემკვიდრენი სახლისა ჩვენისანი, ვითარცა მარადის მოწყალემან კელმწიფებამან თქვენმან. თქვენთა ბედნიერთა ფერთთა ქვეშე დაიფაროს და ჩვენი ყმობაც სამკვიდროდ საერთგულოდ აღსარება გამოცხადდეს, ვითარცა ჩემი ძმის მეფის ირაკლის მიმართ მოივლინა თქვენი საუკუნო საფარველი და მოწყალება და რიგი, ეგრეთვე ჩვენც გვეწყალობოს, როგორც თქვენს დიდებულებას შვენოდეს და აწ ჩვენის ქვეყნის სანატრელი არის“¹.

იქვე აღნიშნულია:

„...შესავედრებლად გვიახლებია დიდებულის ტახტისა წინაშე ჩვენზედ მრავალრიგად მამით და სახლით ნამსახური, ჩვენი ერთგული და ჩვენგან ფრიად შეყვარებული, კნიაზი წერეთელი ჩვენი სიძე და ჩვენი სახლთუხუცესი ზურაბ, სარდალი მარადის ქვეყნისა ჩვენისა. და ესრეთვე ჩვენი მარადის ერთგული და მრავალგზის გარჯილი და ნამსახური ჩვენი საყვარელი და თანაგამზრახი მდივანბეგი და კნიაზი დავით, სრულიად მისანდობელი ჩვენგან. რომელთათვისაც ჩვენი საქმე და სიტყვა უნაკლულოს რიგით გვირწმუნებია და მოახსენებენ უდიდებულესობასა თქვენსა და ჩვენ მაგიერად თაყვანისცემით ჩვენს ვედრებას და თხოვნას განაცხადებენ უდიდებულესისა კელმწიფისა და მოწყალისა ჩვენისა“².

აქედან ჩანს არა მარტო მეფის დიდი სათხოვრის მთელი შინაარსი, არამედ ის ნდობაც, რითაც სარგებლობდნენ საგანგებო მოვალეობით დასაქმებული დესპანები.

სოლომონ I-ის გარდაცვალების (1784 წლის 23 აპრილი) შემდეგ დავით II-ეს ზ. წერეთელი შეუყვანია იმ საელჩოში, რომელიც 1784 წლის 29 დეკემბერს მაქსიმე ქუთათელის მეთაურობით წარდგა ეკატერინეს წინაშე და მას იმერეთის ახალი მეფის მორჩილება და ერთგულება დაუდასტურა³. ამ საელჩოში, ჩანს, ზურაბი იმერეთის მეფემ ელჩის რწმუნების

¹ იქვე, გვ. 276.

² იქვე.

³ А. Цагарели — Грамоты..., II, II, стр. 52.

გაგრძელების წესით შეიყვანა სამშობლოში დაბრუნებამდე. ამის შემდეგ ზ. წერეთელი დავით II-ის დავალებებს ასრულებს და მისი დესპანია სხვებთან ერთად რუსეთის კარზე.

1785 წლის 8 ივლისს ზურაბ წერეთელს გრ. პოტიომკინისათვის მოხსენება წარუდგენია შავი ზღვის პირად კინტრიშის ციხის აგების თაობაზე. ამ მოხსენებით იმერეთის დესპანი ვრცლად უსაბუთებს რუსეთის გავლენიან მოხელეს კინტრიშის (ციხისძირი) გამაგრების ეკონომიურ და სამხედრო მნიშვნელობას. ეს მოხსენება ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. აქ ჯერ ლაპარაკია იმერელთა მხედრობის შედგენაზე რუსული წესით და შემდეგ რუსეთის მთავარი სიმაგრის აგებაზე ბათუმის მახლობლად.¹ დესპანი წერს: „...ერთგულებით მოგახსენებთ, უგანათლებულესო კნიაზო, რომ იმერეთი გამოუყენებელი ალაგი არ არის და თუ ინებებს მისი იმპერატორობის დიდებულება, და ვისაც აღარჩევს იმერეთის თავადთაგანი და აჩვენებს იმას ვითამცა ერთგულსა მონასა თვისსა შაძლებინებასა და მაშინ ის შეყრის პოლკსა ხელმწიფის ხარჯით მისი იმპერატორობის დიდებულების სამსახურისათვის წესისაებრ საჯელმწიფოს ხარჯითა და ულუფითა და მემრეც აჩვენებს გზასა აღშენებასა ციხისასა შავისა ზღვისა პირსა რომელიც რომ არის იმერეთის მამულშია კინტიში ანუ ციხისძირი, რომელიც შეუდარებლის სხვის ალაგების თვისის ნაყოფისაგან შაშემატისი იქნება, ამითი რომ იმერეთი, აფხაზეთი და გურია-მიგრელი და სულად შეიკურის იქ ციხის აშენების მიზეზითა.“²

მოხსენება მთავრდება მკვერი შემადლებით:

„ასრეთ უგანათლებულესო თავადო, რუსეთის საჯელმწიფოს თაო, პირველო მბრძანებელო ღენერალ-ფელდმარშალო, მღვიძარვე აღსაყენებლად დაცემულთ ქრისტიანეთავ და შამწეო ჩვენო, მიათვალე მკნეობა ჩვენი უშიშთა და უძლავრთ რუსთა შეგვაერთე და გვქმენ იმათათ ჩვენც მოსარგებლედ თქვენის ყოვლად მოწყალის კელმწიფის დიდის ეკატერინას ყმათთანა. ნუ განგვაშორებ თქვენს ჩვენდა მომართ საიმედოს მფარველობასა, იყავნ მბრძანებელ ჩვენდა. გვაჩვენენ კეშმა-

1 ს. ჟანაშია — შრომები, I, გვ. 40—41.

2 ი. ცინცაძე — დასახელებული წიგნი, გვ. 284.

რიტი გზანი და გეასწავლენ სისხლის ღვრა დიდის ეკატერი-
ნასთვისა, ამინ“¹.

მარტო ეს მოხსენებაა საკმარისი იმისათვის, რომ ზურაბ
წერეთელი ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების წარმომადგეხ-
ლად ჩავთვალოთ.

დასასრულ, ზ. წერეთელის დიპლომატიური ღვაწლის სა-
ჩვენებლად საჭიროა ითქვას, რომ ის შედიოდა იმერელ თავად-
თა იმ დელეგაციაში, რომელიც 1790 წელს წარუდგა ერეკლე
მეორეს და მას ამერეთ-იმერეთის გაერთიანება სთხოვა. „დე-
სპანნი იმერთა არწმუნებდნენ მეფესა, რომელ ყოვლადი სა-
მეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით სა-
ქმისა ამის დასასრულსა“².

იმერეთის ამ მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის —
ექვთიმე გენათელის, დოსითეოზ ქუთათელის, პაატა მიქე-
ლაძის, სენნია წულუკიძისა და სხვების გვერდით — ვხედავთ
ზურაბ წერეთელს, რომელიც თავისი უნარიტა და გამოცდი-
ლებით არავისზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო; პირიქით, სა-
ფიქრებელია, რომ ხსენებული დროისათვის ორჯერ რუსეთ-
ში ელჩად ნამყოფი ზურაბი დიდი ნდობითა და გავლენით სა-
რგებლობდა ქვეყნის მესვეურთა წრეში. ამით უნდა აიხსნას
მისა მონაწილეობა ესოდენ მნიშვნელოვან სახელმწიფო სა-
ქმეში, რომელიც თუმცა წარმატებით არ დასრულებულა, მა-
გრამ ეროვნული ძალების ამოძრავებით აღინიშნა და პირვე-
ლი რიგის გადაუქრელ პრობლემად დაისახა.

მოვლენების ასეთ ურთიერთმიმართებაში ზურაბ წერეთ-
ლის ცოცხალი მეტყველება უთუოდ შეასრულებდა შესაფე-
რისს როლს.

1 ი. ცინცაძე — დასახელებული წიგნი, გვ. 288.

2 პ. იოსელიანი — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 15.

სულხან თუმანიშვილი

ერეკლე მეორის ელჩთა შორის რუსეთის კარზე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, ხანგრძლივად ჩანს და ნდობით გამოირჩევა მეფის მახლობელი დიპლომატი და წარჩინებული კარისკაცი სულხან თუმანიშვილი. ის 1787 წლის თებერვლიდან 1793 წლის დეკემბრამდე ცვლიდა რუსეთში ცნობილ რეზიდენტს გარსევან ჭავჭავაძეს. რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რუსეთ-საქართველოსა და თურქეთ-ირანის ინტერესთა შეხლა-შემოხლის დროს, აშკარა თუ ფარული ბრძოლების სარბიელზე სულხანი, როგორც ირკვევა, მეტად მძიმე დიპლომატიურ ტვირთს ეწეოდა, მაგრამ ყოველთვის თავისი მოვალეობის სიმალლეზე იდგა და ეროვნულ საქმეს პირნათლად ემსახურებოდა. ამას გვიმოწმებს რამდენიმე საისტორიო წყარო, სადაც ს. თუმანიშვილის ელჩობასა და საზოგადო მოღვაწეობაზეა ლაპარაკი. იქვე აღბეჭდილია მისი ორატორული დახელოვნების მანიშნებელი ფაქტები.

1788 წლის მაისში, რუსეთ-თურქეთის მეორე ომის დროს (1787—1791), როცა ს. თუმანიშვილი ქართლ-კახეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად ითვლებოდა ეკატერინეს კარზე, ის ერეკლე II-ის წერილით წარდგა რუსეთის მთავრობის წინაშე და მომავალ საზავო ხელშეკრულებაში სამშობლოსათვის ხელსაყრელი მუხლების შეტანა მოითხოვა. მეფის სურვილს შეადგენდა ომის დამთავრების შემდეგ თურქეთის მხრივ ახალციხის პროვინციის დათმობა ქართლ-კახეთისათვის და აჭარის ოლქის დათმობა იმერეთისათვის.¹

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, II, стр. 66—67.

იმავე წელს ს. თუმანიშვილი ანალოგიური მიმართებით წარ-
დგა ფელდმარშალ გრ. პოტიომკინის წინაშე და რუსეთ-თურ-
ქეთის საზავო ხელშეკრულებაში საგანგებო მუხლის შეტანას-
თან ერთად დამხმარე ჯარის გამოგზავნა მოითხოვა ქართლ-
კახეთის ძლიერების უზრუნველსაყოფად.

ს. თუმანიშვილის მიმართვაში ნათქვამია:

„...თუ პორტის ათამანთან უმაღლესმა კარმა შერიგება
მოახდინოს, იმ დროს, ითხოვს მისი სიმაღლე (ერეკლე მეორე.
— ნ. კ.), თვისი სამფლობელოთი მტკიცეს პირობით შერიგე-
ბაში ჩაიტანოთ, რომ არც თვითონ პორტამ უმტეროს და არც
სხვათ დაჰპატიყოს მტერობად, არც ცხადათ და არც მალვით.
და რაც საქართველოში ბატალიონები იყო ის ერთი ორად გა-
იგზავნოს საქართველოში სამყოფლად...“¹

აქ გამოთქმული მოთხოვნილება ს. თუმანიშვილმა 1791
წელს მეფის დავალებით შედგენილი მოხსენებით გაუმეორა
რუსეთის მთავრობას, რომელსაც იქვე მფარველობითი ტრაქ-
ტატის მეათე არტიკული მოაგონა, სადაც ლაპარაკია თურქე-
თის, სპარსეთისა და სხვების მიერ დამორჩილებული ქართვე-
ლების გამოსხნასა და სამშობლოში დაბრუნებაზე.²

ს. თუმანიშვილმა მეფის სახელით ითხოვა აგრეთვე იმავე
ტრაქტატის მეექვსე არტიკულით გათვალისწინებული დამ-
ხმარე ჯარის გაძლიერება და საქართველოში დამკვიდრება. ეს
იმიტ იყო გამოწვეული, რომ 'აღა-მაჰმადხანის მტრული ამო-
ძრავება ქართლ-კახეთის სამხრეთით ყველასათვის უდავო
ფაქტს წარმოადგენდა.

1791 წელს დამთავრდა რუსეთ-თურქეთის მეორე ომი და
ქ. იასში დაიდო ზავი. იასის საზავო ხელშეკრულების მეხუთე
მუხლი ეხება საქართველოს. ამ მუხლის თანახმად დამარცხე-
ბული თურქეთი პირობას დებს, რომ ახალციხის მმართველი,
მესაზღვრეები და სხვები ამიერიდან არავითარ სახის ხელყო-
ფას არ მიმართავენ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ.³

¹ ი. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ.
266—267.

² იქვე, გვ. 138.

³ იქვე, გვ. 191.

ასეთი აღიარება, მიუხედავად მისი საექვო ხასიათისა, გარკვეულ წარმატებას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც რუსეთ-თურქეთის მეორე ომი უშუალოდ არ შეხებია და შექმნილ ვითარებაში ბევრი არაფერი იყო მოსალოდნელი.

ქართული დიპლომატიის ხსენებულ წარმატებაში განსაზღვრული წილი უდევს სულხან თუმანიშვილს.

სერგი ლაშქარაშვილი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო პირველწყაროებში ხშირად იხსენიება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელი სერგი ლაშქარაშვილი. მისი ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც გამოქვეყნებული იქნა გასული საუკუნის უკანასკნელ ხანებში,¹ გვაფიქრებინებს, რომ ის თავისი დროის ქართული და რუსული საელჩო მკვერ-მეტყველების ოსტატი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, სხვა ენებთან ერთად, მას ბრწყინვალედ სცოდნია ქართული და რუსული, რომლებზეც შექმნილია ჩვენამდე მოღწეული მისი რამდენიმე მკვერად გამართული ოფიციალური დოკუმენტი.

სერგის მამა ლაზარე ვახტანგ VI-ის ამაღლასთან ერთად 1725 წელს ჩასულა მოსკოვში, სადაც ცოლად შეურთავს რუსი აზნაურის ქალი და იქვე დამკვიდრებულა საცხოვრებლად. აქ, 1739 წელს შესძენიათ მათ სერგი. პატარა სერგი, ჩანს, ბავშვობიდანვე იჩენდა მიდრეკილებას ენების შესწავლისადმი. ამ მიზნით გაემგზავრა ს. ლაშქარაშვილი 1762 წლის მახლობლად კონსტანტინოპოლში, სადაც შეისწავლა ბერძნული, არაბული, თურქული, სპარსული, სომხური, იტალიური და ფრანგული ენები. იქვე მუშაობდა ის რუსეთის საელჩოში საგარეო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენლად.

განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა ს. ლაშქარაშვილი თურქეთში რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომის წლებში (1768—1774), როცა კონსტანტინოპოლში დაპატიმრებული იქნა რუსეთის რეზიდენტი ობრეზკოვი. თურქეთში ყოფნის

¹ П. Бутков—Материалы..., II, стр. 469, 536; III, стр. 328, 335; А. Цагарели — Грамоты..., II, II, ХХХIII—ХХХIV.

დროს ს. ლაშქარაშვილმა ცოლად შეირთო შვეიცარიის კონსულის დიუნანტის სილამაზით განთქმული ქალიშვილი. 1779—1782 წლებში სხვადასხვა დროს ს. ლაშქარაშვილი რუსეთის კონსულად მუშაობდა სინოპში, მოლდავეთში, ვალახეთსა და ბესარაბიაში. 1782 წლის ოქტომბერში ის დაინიშნა რუსეთის რეზიდენტად ყირიმის უკანასკნელი ხანის შაგინგირეის კარზე.

1786 წლის მარტში ს. ლაშქარაშვილი ინიშნება სპარსეთის საქმეთა რწმუნებულად ფელდმარშალ გრ. პოტიომკინის სამმართველოში. იმავე წელს ის იგზავნება კონსტანტინოპოლში რუსეთ-თურქეთის მოახლრებული ომის (1787—1791) პოლიტიკურ ატმოსფეროში გასარკვევად და ზოგიერთი საკითხის მოსაგვარებლად; თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ განაგრძობს მუშაობას ხსენებულ სამმართველოში.

1796 წლიდან ს. ლაშქარაშვილი მართავს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის აზიის საქმეთა დეპარტამენტს. აქ მუშაობის დროს ის ძლიერ უახლოვდება ჯერ ეკატერინე II-ესა და შემდეგ პავლე I-ს — მათთან პირადი შეხვედრის უფლებით აღჭურვილი ქართველი დიდ ნდობასა და სიყვარულს იმსახურებს იმპერიის კარზე. ასეთ ურთიერთობას კარგად გვიჩვენებს დედოფლისა და კარისკაცის ერთი სხარტული გასაუბრება, რომლის შინაარსი უცვლელად მოღწეულია ჩვენამდე. ერთხელ, ხელგაშლით ცხოვრების მოყვარული ლაშქარაშვილისათვის, ხუმრობით უკითხავს ეკატერინეს: — გოლიათო, სანამდე უნდა ვიხადო მე შენი ვალები?

— ვიდრე ქურდობას არ დავიწყებ, — უთქვამს დედოფლისათვის ლაშქარაშვილს, რომელსაც ჩია ტანადობის გამო დაცინვით გოლიათს უწოდებდნენ.

ს. ლაშქარაშვილის უკანასკნელ საყურადღებო დიპლომატიურ ღვაწლს წარმოადგენს მისი მონაწილეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში ის მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიურ ერთეულად დარჩენას, რასაც იზიარებდა ზოგიერთი რუსი მოხელეც.¹

1804 წელს ხანდაზმული ს. ლაშქარაშვილი ჩამოშორდა სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროს, თუმცა 1807 წელს კვლავ

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, II, ХХХIII.

გაიგზავნა პოლიტიკური დავალებით მოლდავეთ-ვალახეთში. ამათ დასრულდა მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი დიპლომატიური საქმიანობა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ს. ლაშქარაშვილმა გაატარა ქ. ვიტებსკში თავის მდიდარ მამულსა და მრავალრიცხოვან ოჯახში. საიდანაც თვალყურს ადევნებდა გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენას — ნაპოლეონის შემოჭრისა და განდევნის ეპოპეას¹. ის გარდაიცვალა 1814 წელს.

სერგი ლაშქარაშვილი აზიის საქმეთა დეპარტამენტში მუშაობის დროს დაინტერესდა საქართველოს საკითხით. იმავე პერიოდს ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული მიწერ-მოწერა ს. ლაშქარაშვილისა და ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის. განსაკუთრებით საყურადღებოა ერეკლე II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის წერილები ლაშქარაშვილისადმი. როგორც ჩანს, ქართველი პატრიოტები დიდ იმედს ამყარებდნენ „ამ ქვეყნის (საქართველოს. — ნ. კ.) შვილის“ სიტყვასა და საქმეზე². სამშობლოს მიმართ სიყვარულის გრძნობის ამოძრავებით ცდილობდნენ ისინი მის გადმობირებას საქართველოს მხარეზე და, როგორც ეტყობა, ზოგჯერ კიდევ სარგებლობდნენ მისი შემწეობით. ამით უნდა აიხსნებოდეს ს. ლაშქარაშვილის მიერ სახელმწიფო საბჭოში ქართლ-კახეთის სუვერენული უფლების დაცვა, როცა წყდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი³.

სერგი ლაშქარაშვილის კეთილგანწყობილებას საქართველოსადმი ადასტურებს აგრეთვე მისი ავტოგრაფიული წერილი დავით ბატონიშვილის მიმართ⁴. იგივე წერილი იმის უდავო მაჩვენებელია, რომ სამშობლოს დაცვილებული მამული-შვილი ბრწყინვალედ ფლობდა დედაენას და ოსტატურად იყენებდა მას თავის მდიდარ და მრავალმხრივ დიპლომატიურ მუშაობაში.

¹ А. Ц а г а р е л и, — Грамоты..., II, II, XXXIV.

² იქვე, II, I, გვ. 129.

³ იქვე, II, II, XXXIII.

⁴ იქვე, გვ. 185—186.

ბესარიონ გაბაშვილი

სახელოვანი ქართველი პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) მშობლიური ორატორული მეტყველების შესანიშნავი ოსტატია. ის ქართული ზეპირი და წერიითი საელჩო მკვევრმეტყველების ხელოვანია. ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი სამწერლო და სახელმწიფო მოღვაწეობის სარბიელზე ბესიკს რამდენჯერმე მოუხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მისიის შესრულება სხვადასხვა სახელმწიფო კარზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თავის დიპლომატიურ საქმიანობას ის აწარმოებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და სპარსულ ენებზე, რომელთა ცოდნასა და გამოყენებაზე მიუთითებს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტი. ყოველივე ამასთან ერთად ჩვენში ფართოდ ცნობილია ბესიკის ნათელი და მკვირცხლი აზროვნება, მახვილი და მოსწრებული სიტყვა, კაზმული და დახვეწილი სტილი.

პოეტის თანამედროვე საისტორიო მწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურაში დაუღლია ბევრი ცნობა იმის შესახებ, რომ სახელგანთქმული მამა და შვილი, ზაქარია და ბესარიონ გაბაშვილები, გამოირჩეოდნენ თავიანთი ხალასი და მჩქეფარე ორატორული ნიჭიერებით. ამასვე ადასტურებენ მგონის უმცროს თანამედროვეთა ზეპირი გადმოცემანი და მწიგნობრული ცნობები. ამ მრავალფეროვან მასალაში ბესიკი იხსენიება როგორც „ტკბილად მოუბარი, სიბრძნით სრული“ (სულხან ორბელიანი¹), „რიტორი მკვევრ-მოუბარი“ (დავით მესხი-შვილი), „მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოს-მოშაირე“ (იოანე ბატონიშვილი). ბევრგან ქებით აღინიშნება

¹ არა სულხან-საბა, არამედ XVIII ს-ის მეორე ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე.

აგრეთვე ბესიკის ლალი იმპროვიზაცია, მისი ექსპრომტული პოეზია, შესაქცევარი ლექსები, ზმები, კაფიები და მუნასი-ბები.

ასეთი ხელოვნების უბადლო შემოქმედი, რა თქმა უნდა, ცოცხალი მეტყველების ოსტატიც იქნებოდა, მით უფრო მაშინ, როცა პოეტურ მახვილსიტყვაობას თვით სახელმწიფო ძალაუწიებიც ხარბად მისდევდნენ და წარმატებით „იშველი-ებდნენ ხშირად სახელმწიფო საქმიანობაში, დიპლომატიურ მიმორწერაში, დავაში, ჩხუბისა თუ ზავის დროს“¹.

„პოეტი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მდივანი და მწი-გნობართუხუცესი, აგრეთვე დიპლომატიური მისიის ხელმძღვა-ნელი, შესანიშნავად დაუფლებულია სამოქალაქო და საეკლე-სიო საბუთების (სიგელ-გუჯრების) შედგენის ტექნიკას, დი-პლომატიური პაქმიანობის ენას...“ (ვ. თოფურია).²

აღმოსავლეთ საქართველოდან პირადი მტრობით დევნი-ლი³ ბ. გაბაშვილი 1777 წლის დამდეგს გადადის იმერეთში და სოლომონ I-ის კარს შეეფარება, სადაც თავისი მრავალრიც-ხოვანი ოჯახით შეხიზნული იყო მამამისი ზაქარია, რომელიც ანტონ კათალიკოსთან უთანხმოების ნიადაგზე 1767 წელს რუსეთს გადაიხვეწა და რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში ჩამობრუნდა. პოეტის მამა მეფის სასახლეში ამ დროისათვის დიდი ნდობითა და პატივით სარგებლობდა. მას გვერდით ამო-უდგა ათ წელს განზორებული სახელგანთქმული შვილი. აქ, იმერეთის კარზე, მამა-შვილმა ირგვლივ შემოიკრიბა ქართლ-კახეთის მეფით უკმაყოფილო პირები და შექმნა ერეკლეს წი-ნააღმდეგ მიმართული ოპოზიცია, რომლის სულისჩამდგამელს ბესიკი წარმოადგენდა. ამ ოპოზიციას იმ ხანებში, როგორც არკვევა, სოლომონიც თანაუგრძნობდა. სამწუხაროდ, მეფე და კარისკაცები იმეამად ვერ ხედავდნენ ფეოდალური კიდეგა-ნობის დამლუპველ შედეგებს და საქვეყნო საქმეებს ზოგჯერ პირადი ინტერესების მიხედვით სჯიდნენ და აგვარებდნენ. ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენდა სპარსეთიდან ქართლის ტა-

¹ გ. ლეონიძე — გამოკვლევები და წერილები, გვ. 332.

² ბესიკი — თხზულებანი, გვ. 283—284.

³ ვ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 670.

ხტის მაძიებლის ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოყვანა, რაც სოლომონ I-მა ბესარიონ გაბაშვილს დააეალა. ეს იყო ამ უკანასკნელის პირველი დიპლომატიური მოვალეობა. ასე დაიწყო ბესიკის პოლიტიკური საქმიანობა, რასაც ის 1778 წლიდან 1791 წლამდე, ნაადრევ სიკვდილამდე, განუწყვეტლად ეწეოდა.

ბ. გაბაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ცხადია, წინასწარ ამზადებდა და თანდათან აპირობებდა მისი ადრინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც მოპირდაპირე ძალთა კიდობის პირობებში მიმდინარეობდა და გადამწყვეტი ხასიათის ცვლილებებს შეიცავდა. ის ბავშვობიდანვე ტრიალებდა დაუნდობელი იდეური ბრძოლის ატმოსფეროში, რასაც ხშირად თან ახლდა პირადული ინტერესები და მათგან მომდინარე შინაური შფოთი. ასეთი ბრძოლა ჩვეულებრივად სიტყვიერი კამათით იწყებოდა. მაგრამ მანვე ტენდენციებით ვითარდებოდა და სამწუხარო შედეგით თავდებოდა. სწორედ ამ გზით წარიმართა ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია გაბაშვილის იდეური ბრძოლა, რაც ორივე მებრძოლისა და ორი თაობის გაბაშვილების დასჯით დამთავრდა. დასჯილთა შორის აღმოჩნდა ბ. გაბაშვილიც, რომლის ნაადრევ საბრძოლო გამოწრთობას, უეჭველია, ხელი შეუწყო თეიმურაზისა და ერეკლეს მიღმა დაწყებულმა, მაგრამ მათი ჩარევით დამთავრებულმა ბრძოლამ.

1778 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ბესიკი მიავლინა სპარსეთში ქართლის ტახტის პრეტენდენტის ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოსაყვანად. 1779 წლის თებერვალში, ბესიკის სპარსეთში ჩასვლის თარიღის მახლობლად, გარდაიკვალა ირანის ვეჟილი ქერიმ-ხანი, რომელიც მფარველობდა ალექსანდრე ბატონიშვილს. სპარსეთის კარზე შეხიზნულ ტახტის მაძიებელს ვეჟილი აღუთქვამდა საჭირო დახმარებას და პირდებოდა ქართლში გამეფებას. პრეტენდენტის უნიაღვრო ილუზიებს ბოლო მოუღო მფარველის სიკვდილმა. მანვე ხელი შეუწყო ალექსანდრე ბატონიშვილის იმერეთში წამოყვანას: ამით ისარგებლა ბესიკმა და მეფის დავალება, როგორც ელჩმა, პირნათლად შეასრულა — მან იმერეთში ჩამოიყვანა და მეფეს წარუდგინა ალექსანდრე ბაქარის ძე.¹ ახალგაზრდა

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, II, VII.

დიპლომატის ამ გამარჯვებამ ფრთები შეასხა მეფის სურვილს — ტახტის მახლობლად ჰყოლოდა კაცი, რომელსაც დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო დავალებისა და რთული დიპლომატიური მისიის შესრულება შეეძლებოდა. ამ შესაძლებლობის გამოყენება არ დასცალდა სოლომონ I-ს. ის გარდაიცვალა 1784 წლის 23 აპრილს.

აქ უნდა შევიჩერდეთ ერთ საყურადღებო მოვლენაზე. მსოფლიო მკვევრმეტყველების ისტორიაში ცნობილია საპოლიტიკო ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი განშტოება — საპროკლამაციო მკვევრმეტყველება, რომლის უჩვეულო აყვავება შეინიშნება XVII ს-ის მეორე ნახევარში, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, ფრანგულ ენაზე, და XX ს-ის პირველ მეოთხედში, რუსეთის დემოკრატიული რევოლუციებისა და განსაკუთრებით 1917 წლის ოქტომბრის დიდი რევოლუციის დროს, რუსულ ენაზე. ამ უკანასკნელი ფაქტორების ზეგავლენით მიმდინარე საუენის დასაწყისში მძლავრად ვითარდება ჩვენი საპროკლამაციო მკვევრმეტყველება, რომლის ისტორიულ პრეცედენტს თითქმის ვერ ვპოულობთ ქართულ კლასიკურ მკვევრმეტყველებაში.

აკად. ალ. ბარამიძის დაკვირვებით ხსენებული სახის ორატორული ხელოვნების ერთ წარმომადგენლად ჩვენში ბესიკი უნდა ჩაითვალოს¹. საქმე ის არის, რომ მის მიერ იმერეთში ჩამოყვანილი მეამბოხე ბატონიშვილისათვის მას დაუწერია ორატორულად გამართული მიმართვები, მოწოდებანი და წყალობის წიგნები, რომელთა მეშვეობით ცდილობდა ტახტის მაძიებელი გავლენიან პირთა მიმხრობას და მათი დახმარებით ერეკლეს დამარცხებას.

ერთ ასეთ პროკლამაციას წარმოადგენს ალექსანდრე ბატონიშვილის წყალობის წიგნი, მიმართული მეფის მოწინააღმდეგე თავადებისადმი, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „სახელითა ერთარსისა სამგვამოვნებით ცნობილისა, სახიერებით კაცთმოყვარისა მღვთისათა და ერთისა მის სამებისაგანისა სიბრძნისა ღვთისა ხორცქმნილისა დედამშობლისა მარადის ქალწულისა მარიამ სასოისა ჩვენისათა. ესე ჟამთა და

¹ ა. ბარამიძე — ბესარიონ ვაბაშვილი, გვ. 9.

წელხრონონთა აღმასრულებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, მეფეთმეფისა ვახტანგის ძის ძემან და დიდად სახელოვანის მეფისა მღვთივ კურთხეულისა ბაქარის ძემან ბატონის შვილმან ალექსანდრე, შენ, საქართველოს მკვიდრსა თავადასა და ჩვენის დიდებულისა სახლისა ერთგულებისათვის თავდადებულსა, მამა ცეცხლითა დამწვარსა კახის ბატონის ერეკლეს მიერ და შენ ხელით და თვალთ დაშავებულსა და მათგან ექსორიაქმნილსა და ჩვენსა დიდ ერთგულებით მსახურებულსა ჩვენსა თავადასა თავდგირიძეს იესე ელისბარის ძეს და შვილსა შენსა ელისბარს და ყოველთა სახლისა შენისა შთამომავალთა, შვილთა და შვილიშვილთა“.¹

ბ. გაბაშვილის დიპლომატიური შემოქმედება ფართო გასაქანს პოულობს და დიდი წარმატებით აღინიშნება დავით II-ის ხანმოკლე მეფობაში (1784—1789). როგორც ირკვევა, იმერეთის ახალ მეფეს 1785 წლის მახლობლად ბესიკისათვის უბოძებია მწიგნობართუხუცესობა. ყოველ შემთხვევაში, დავითის 1787 წლის წერილში პავლე პოტიომკინისადმი ის ხსენებულია როგორც „უპირატესი მდივანი და მწიგნობართუხუცესი“. ამავე წერილით ვგებულობთ ჩვენ, რომ დავით მეფეს 1787 წლის ზაფხულში ბ. გაბაშვილი ელჩად მიუვლენია რუსეთის მეფის კარზე. ამ წერილში ჭერ ლაპარაკია იმერეთის მეფისაგან განდგომილი თავადების სამეფოდან განდევნის თაობაზე და შემდეგ ბესიკის ელჩად მიგზავნის შესახებ ეკატერინეს კარზე. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ეს უკანასკნელი ცნობა. წერილში ნათქვამია:

„ჩვენი უკანასკნელი ვედრება ეს არის ჩვენო ჯელმწიფე მამავ, ეგ ჩვენის გონების უიქველად მისანდობელი ყმა, ჩვენი უპირატესი მდივანი და მწიგნობართ-უხუცესი, კნიაზი ბესარიონ ზახარიას ძე გაბაონელის ძე გვიახლებია თქვენის უაღმატებულესობის წინაშე ყოვლის ჩვენის სიტყვით და საქმის სისრულით და რომელიც ჩვენი საქმე და სიტყვა და აზრები გამოგეცხადოსთ ეგ დაირწმუნეთ ვითარცა პირით ჩემით და გულით თქვენს უაღმატებულესობას მე მოვანსენებლდე“.²

¹ ბესიკი — თხზულებანი, გვ. 204—205.

² ი. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 292.

ამჯერად ბესიკს დავალებული ჰქონდა ქართლ-კახეთის მაგალითის მიხედვით იმერეთის სამეფო მოექცია რუსეთის მხედველობაში; გამოეთხოვა მისგან სამხედრო დახმარება, განემტკიცებია მასთან პოლიტიკური კავშირი და შეემზადებია პირობები იმერეთის შესაყვანად რუსეთის მთავრობაში¹. ამ დიდი და პასუხსაგები დავალებით წარდგა რუსეთის მთავრობის წინაშე ბ. გაბაშვილი, რომელიც ამიერიდან თითქმის 4 წლის მანძილზე საღი დიპლომატიური არხებით იცავდა სამშობლოს ინტერესებს, ვიდრე მოულოდნელმა სიკვდილმა არ შეწყვიტა მისი ბოლომდე მიუყვანელი პატრიოტული საქმე. ხსენებულ პერიოდში (1787—1791) სხვადასხვა დროს ორი მეფის — დავითისა და სოლომონის ხელქვეით მოჭირნახულ ბესიკს უცხოეთში ბევრი მძიმე დაბრკოლება გადაულახავს და არა ერთი სასახელო საქმე მოუგვარებია.

1788 წელს ბესიკს ქ. კრემენჩუგში ეხედავთ. აქ ის იმერეთის ელჩის სახით იმყოფება გრ. პოტიომკინის ბანაკში². ეს უკანასკნელი სამხრეთის ჭარებს მთავარსარდლობდა რუსეთ-თურქეთის მეორე ომში (1787—1791), ამასთან, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საქმეებს განაგებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ომში ხედავდნენ ქართველები სამშობლოს ხსნას თურქეთისაგან. ამასვე ელოდნენ ისინი რუსეთ-თურქეთის პირველი ომისაგან (1768—1772), რომელსაც ეს შედეგი არ მოჰყოლია — ქუჩუკ-ყაინარჯის ზავს (1774) არსებითი ცვლილება არ შეუტანია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში — და რაც მიუღწეველი აღმოჩნდა მაშინ, ის უნდა მოპოვებულიყო ახლა. ასეთი პოლიტიკური კომპენსაციის მისაღებად ჩვენში ზრუნვას შეუდგნენ ომის დაწყებისთანავე. ამ ზრუნვის ერთი ყველაზე რეალური გამოვლენა ბესიკის ელჩობაა პოტიომკინის ბანაკში, სადაც შემზადდა თურქეთთან ომის სტრატეგიული გეგმა და პირველი ძლევამოსილი ბრძოლიდანვე დაიწყო სამზადისი საბოლოო გამარჯვების დიპლომატიური გაფორმებისათვის. ამ სამზადისში ჩაბმული იქნა ბ. გაბაშვილი. მას, ცხადია, იმერეთის პოლიტიკური ინ-

¹ ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე — ბესარიონ გაბაშვილი, გვ. 10.

² ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი — ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (ლიტერატურა და ხელოვნება, II. XI. 51).

ტერაქსებით შეპირობებული მიზნები გააჩნდა და მათი მიღწევის პრინციპები ამოძრავებდა. ერთ ასეთ პრინციპად ქართველ ელჩს მეფის ენერგიული მოქმედება მიუჩნევია და იმერეთის ომში ჩაბმა დაუნახავს საჭიროდ შექმნილ ვითარებაში.

1788 წლის 2 მაისს ბესიკი ასე მიმართავდა პოტიომკინს: „...ვხედავთ, რომ თათრების სამტროს დროებს ჩვენ ველარ ვნახავთ ამისთანას და, რომ არ მოგახსენოთ, არ შეგვიძლია. და თუ ახლა, ამისთანა დროს, ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმაჯვეს ველარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიაღვილე მერამე სიძნელეში შევა“.¹

ამ მიმართვის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მიუხედავად მისდამი მთავარსარდლის დამოკიდებულებისა, ომის დამთავრების შემდეგ იმერეთის მეფეს მეტი პრეტენზიების საფუძველი ჰქონდა. ამ დიპლომატიურ ხერხს დადებითი შედეგი მოჰყვა, რაც ნათელი გახდა ბესიკის სიკვდილის შემდეგ. სოლომონ II-ის მეფობაში.

1788 წელს კრემენჩუგში ყოფნის დროს ბესიკს დაუწერია ვრცელი რიტორიკული მიმართვა ჭაბუა ორბელიანისადმი². ეპისტოლარული ორატორული ხელოვნების ეს შესანიშნავი ქმნილება, როგორც სამშვერამეტყველო წერილის ნიმუში, შემდეგ მთლიანად შეუტანიათ ერთ სამდივიზო წიგნში (ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია)³.

მიმართვა წარმოდგენს „მაღალი სტილით“ დაწერილ ეპისტოლეს, რომლის ხელოვნურად ნაკეთები ენა მაღალფარდოვანი იერით, მაგრამ მწყობრი რიტმული დინებითა და ჰარმონიული ჟღერით გადმოსცემს სათქმელის აზრს.

ორატორის სტილის საჩვენებლად ქვემოთ წარმოდგენილია მიმართვის შესავალი და დასასრული:

„შენ სიბრძნის ერქვნით ორნატ რწყულ ტბით უკიდოით და კიშენ შესხმის ენით ერმის სიტყვამცემლობით ღვთივ ნათქმულ ხატკაც, გვამ გულისსათქმელ, სქეს უციაგეს იალკიალთა

1 ბესიკი — თხზულებანი, გვ. 195.

2 ხელნაწერი H — 1334.

3 ბესიკი — თხზულებანი, გვ. 258—259.

და ცების ცობათა, ხოლო სამყაროებრ გარდამრთხმელ გონე-
ბის ცობით და მიმხედ ერთისადმი ყოველთა შესაკდროისა და
მუნ მყუდროქმნილ, სადა უცნო უვითარომანცა სტრფო ნიე-
თმან!

გამოსრული ხით შესრული ხითვე, ვითარმე სიტყვით, და
მოსრული სიტყვითვე გვედრებ, სიტყვითო სამოთხეო, წარმი-
ძელვ გულის ქალაქად მაშვრალსა, განმისვენე და ნუმცალა მექ-
მნების განხდა და განსვლა შენით სიცოცხლით სიცოცხლედმდე
და საუკუნოთ საუკუნოდ².

ბ. გაბაშვილის დიპლომატიური მოღვაწეობა გრძელდება
სოლომონ II-ის მეფობის პირველ ხანებში (1789). როგორც
ჩანს, მეფემ ნდობა გამოუცხადა სოლომონ I-ისა და დავით
II-ის ერთგულ კარისკაცს და შეუნარჩუნა მას მაღალი თანამ-
დებობანი. ამის მაჩვენებელია ის, რომ სოლომონ მეორემ მას
მიანდო ახალი მნიშვნელოვანი დავალება, რაც, შავი ზღვის
ქართული სანაპიროების შემომტკიცებაში გამოიხატებოდა³.

1789—1790 წლებში ბ. გაბაშვილი ჯერ კიშინიოვში მიბ-
ყვება გრ. პოტიომკინის ბანაკს და შემდეგ ქ. იასში, სადაც
ქართლ-კახეთის დესპანების — გაიოზ რექტორის, იონა ხელა-
შვილისა და სულხან (სულხანის ძე) თუმანიშვილის გვერდით
აწარმოებს ხანმოკლე, მაგრამ ენერგიულ მუშაობას იმერეთის
უკანასკნელი მეფის დავალების შესასრულებლად.

სოლომონ II-ის უმთავრეს დავალებას წარმოადგენდა
1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის ანალოგიური ხელშე-
კრულების გამოთხოვა იმერეთისათვის; ამასთან, იმერეთის
მეფე მოითხოვდა რუსეთის საკონსულოების დაარსებას ახალ-
ციხეში, ბათუმსა და ფოთში — ნავსადგურების მოწყობას ბა-
თუმში, გურიის სანაპიროზე, ფოთსა და ანაკლიაში; დასასრულ,
მეფე თხოულობდა აფხაზეთის პოლიტიკურ და რელიგიურ
დახსნას ოსმალეთის მტრული გავლენისაგან⁴.

1 ბესიკი — თხულებანი, გვ. 100.

2 იქვე, გვ. 106.

3 А. Цагарели — Грамоты..., II, II, XVI.

4 იქვე, XVI, გვ. 70.

ჩვენამდე მოღწეულია ბესიკის ძიერ 1790 წლის 5 დეკემბერს ქ. იასში შედგენილი მოხსენებითი ბარათი გრ. პოტიომკინისადმი, რომლისთვისაც ის გადაუცია პოეტის ძმას სვიმონ გაბაშვილს¹. ამ უკანასკნელის ჩარევა საქმეში გამოწვეული იყო ბესიკის სიკვდილით. ის გარდაიცვალა 1791 წლის 24 იანვარს.

ხსენებული ბარათი არსებითად პროტექტორატს ეხება, მაგრამ გაკვრით მოიცავს ყველა დავალებას, რაც დესპანის მთელ დიპლომატიურ დასაქმებას შეადგენდა.

ამ დასაქმების ძირითადი აზრი ასეა აღბეჭდილი მოხსენებით ბარათში: „უკეთუ უმაღლესმან კარმან რუსეთისამან დასდუას ახლავ მფარველობა იმერეთზედ ის უმჯობესი იქმნება. და უკეთუმცა რომელისამე საქვეყნიეროს გასინჯვით ახლა განცხადება ამისი არ ამჯობინოს, მაშა საიღუმლო შეკრულება დაიდუას დრომდინ იმერეთსა და რუსეთს შუაზედ, რათა სარგებლობა ორთავე დრომდინ საიღუმლოდ და დაფარულად მუშაქობდეს.

და ესეც თუ ამჯობინოთ, რათა აქვნდეს მეფესა იმერეთისასა თვით უფლება ვითარცა შვენის თვითმპყრობელსა და რათა აქვნდეს მას შეკრულებისა და გაქსნისა ნება ომისათვის მაჰმადიანთა ზედა. რამეთუ მიზეზითა ამით რუსეთი იმერეთიდან დაფარულს ძალას შეიმატებს ოსმალთა ვნებათა ზედა და არც ექნება ვისმე მიზეზი, როგორც ოთამანის კარს ეგრეთვე სხუათა ქვეყანათა, რომელითაც მთელი ქუჭყანა რუსეთს ვერ უსაყვედურებენ და ამ სახის დადებით იმერეთის ძალით ადვილად წაერთმევის ქსენებული იგი ბათომიცა და ფოთიცა“.

ეს არის ბესიკის დიპლომატიური შემოქმედების უკანასკნელი ნაყოფი. აქ წყდება მისი მშფოთვარე და დაუდეგარი სიცოცხლე. ქ. იასში პოეტის საფლავის ქვაზე აღბეჭდილია ამ სიცოცხლის წარუშლელი კვალი, მაგრამ ნაკლები სახით — პოეტური დამსახურების მოუხსენებლად: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან გაბაშვილი, რომელიცა წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფისა დავი-

¹ ი. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 294.

თისკან დესპანად რუსეთისა დიდებულებისა საიმპერატო-
როსა კარისადმი...“¹.

აქ ნამდვილი უკვდაემყოფელის ადგილი ოფიციალურ წარ-
ჩინებას დაუჭერია. ამ წარჩინების დადებითი მხარე — პატ-
რიოტული დიპლომატია — ბესარიონ გაბაშვილის მოღვაწეო-
ბის საყურადღებო მოვლენაა, რომელსაც ჩვენთვის გარკვეული
ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია.

¹ გ. ლ. ო. ნ. ძ. ე — გამოკვლევები და წერილები, გვ. 390.

გარსევიან ჰავეჰავეძე

შესანიშნავი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი გარსევიან ჰავეჰავეძე გარდამავალი პერიოდის ქართული საელჩო მჭევრმეტყველების დიდი წარმომადგენელია. ის მშობლიური ენის თანაბრად ფლობდა რუსულ ენას და ამიტომ ახალი რუსული საელჩო მეტყველების მესვეურადაც უნდა ჩაითვალოს. მძიმე და წინააღმდეგობით სავსე ისტორიულ ვითარებაში გ. ჰავეჰავეძე დიდხანს ფიზიკლად ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკას და თავისი წარუშლელი ღვაწლით სამართლიანად დაიმკვიდრა მტკიცე და უანგარო პატრიოტის სახელი XVIII ს-ის დიდ ქართველთა შორის. საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების რღვევისა და ცვლილების პირობებში ის მარჯვედ ერკვეოდა ურთულეს პოლიტიკურ მოვლენებში და მუდამ თავისი დიდი მოვალეობის ღირსეულ სიმაღლეზე იდგა.

XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XIX ს-ის დამდეგის ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის გ. ჰავეჰავეძე ერეკლე მეორესთან და მის მემკვიდრეებთან ერთად მეთაურობდა ყველაზე აქტუალურ და მართებულ საგარეო პოლიტიკას, რომლის იდეურ ღერძს საქართველოს რუსეთთან დაახლოება წარმოადგენდა. ის წინ უძღოდა და ხელმძღვანელობდა ჩვენში იმ პარტიას, რომელიც რუსეთთან დაკავშირებას თვლიდა ქართველი ხალხის ფიზიკური და მორალური გადარჩენის ერთადერთ პირობად. ამ პირობის მტკიცე გარანტიად გადაქცევას შეაღია გ. ჰავეჰავეძემ თავისი მგზნებარე და დაუცხრომელი ენერჯია. სამშობლოს საკეთილდღეოდ გაჩაღებული ბრძოლის გზაზე მას მოუხდა ბევრი მძიმე დაბრკოლების გადალახვა და მძაფრი წინააღმდეგობის დაძლევა, რაც სამაგალითო ოსტატობით შესძლო ამ დიდად გავლენიანმა სახელმწიფო კაცმა თავისი ზუსტად მიზანმიმართული მოღვაწეობის

სარბიელზე. საქვეყნო ზრუნვით გატაცებული მებრძოლისათვის ამ სარბიელზე უცნობი იყო გადამწყვეტი პოზიციების დათმობა და სახელმძღვანელო პრინციპების უარყოფა — მოქნილ დიპლომატიასთან ერთად ის მტკიცედ ინარჩუნებდა საკუთარ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და მხოლოდ მისი ძირითადი არსის თანახმად აგვარებდა საცილობელ საქმეებს.

ყოველივე ამის წყალობით დაიმსახურა გარსევან ჭავჭავაძემ ერეკლე მეფის უსაზღვრო ნდობა, რითაც ბოლომდე სარგებლობდა ის თავისი სწრაფად აღმავალი და ხანგრძლივად შენარჩუნებული წარმატების გზაზე.

გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე ძველი და ძლიერი ფეოდალური ოჯახის შთამომავალია. ის დაიბადა 1751 წელს. გარსევანის რჩეულ წინაპრებს. საპატიო ადგილი ეკირათ საქმეფო კარზე და თვალსაჩინო გავლენით სარგებლობდნენ წარჩინებულთა წრეში¹. მისი მამა რევაზი ჭაბუკ ერეკლეს ახლდა სპარსეთში და მასთან ერთად მონაწილეობდა ნადირ-შაჰის ლაშქრობაში ინდოეთის წინააღმდეგ (1738). სამშობლოში დაბრუნებულ უფლისწულს თან წამოუყვანია თავისი თანამებრძოლი, ვისთანაც დიდხანს იზიარებდა უცხოეთში ყოფნის სიძნელეს, და ის კახეთის დარბაისელთა შორის დაუმკვიდრებია. ასეთ პირობებში სასახლის კარზე რევაზის პირმშოს ღრმა ცოდნა და ფართო განათლება შეუძენია. თავისი ღრობის კვალობაზე ბრწყინვალედ მომზადებული გარსევანი მეფე ერეკლემ ადრე შენიშნა და სავსებით ახალგაზრდას უბოძა შიდალი სამხედრო ხარისხი, ეშიკადასბაშობა და დიდი სამოქალაქო თანამდებობა, ყაზახის მოურავობა.

ადრევე დაწინაურდა ის დიპლომატიურ სარბიელზე. 1782—1784 წლებში გარსევანი მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო საქმეში—1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის შემუშავება-გაფორმებასა და დადება-რეატიფიკაციაში. როგორც ცნობილია, ტრაქტატის დედანს საქართველოს მხრიდან ხელს აწერენ იოანე ბაგრატიონი და გარსევან ჭავჭავაძე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდა ქარ-

¹ აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა („ივერია“, 1884, № 5—6, გვ. 40).

თველ დიპლომატს, უფროსი თაობის სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად, დიდი ამაგი მიუძღვის რუსეთ-საქართველოს დაახლოებისა და გაერთიანების ისტორიულ საქმეში. ამ საქმის დაუღალავი მესვეური, რომელმაც სხვებთან ერთად შექმნა მისი წარმატების იურიდიული ბაზა — მფარველობითი ტრაქტატი და დიდხანს თავგამოდებით იბრძოდა მასში აღბეჭდილი პირობების შესასრულებლად, გარსევან ჰავჭავაძეა. ხელშეკრულების დადებიდან (1783) საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801) ის თავდადებით იცავდა სამშობლოს ინტერესებს და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უმძიმესი პოლიტიკური გარდატეხა ნაკლებად მტკივნეული და მეტად სასარგებლო ყოფილიყო. ასეთი მოქმედების პირობებს ქმნიდა გარსევანის მაღალი წარჩინება — ხანგრძლივად მინიჭებული ფართო უფლებამოსილება და საპატიო თანამდებობანი.

1734 წელს გ. ჰავჭავაძე დაინიშნა ქართლ-კახეთის სრულუფლებიან ელჩად და ერეკლეს დიპლომატიურ რეზიდენტად რუსეთის სამეფო კარზე; რამდენიმე ხნის შემდეგ მას ებოძა იქვე საქართველოს მინისტრის თანამდებობა. ასეთი უფლებამოვალეობით ძალმოსილი გარსევანი 1802 წლამდე განუხრელად იბრძოდა რუსეთ-საქართველოს სამუდამო ერთობისათვის.

დასასრულ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა გარსევანმა დაინახა, რომ იმპერიის კარზე მისი მოვალეობა დასრულებულად ჩათვალეს, ის ჩამოშორდა დიპლომატიურ სარბიელს, დაბრუნდა სამშობლოში და მყუდროდ განმარტოვდა. გარსევანის ოჯახური სიმშვიდე, სათნო მეუღლის — მარიამ ავალიშვილისა და ნიჭიერი შვილის — მომავალი პოეტის ალექსანდრეს გვერდით, აღმოჩნდა ხანმოკლე. 1804 წელს ალექსანდრე მიემხრო აჯანყებულ მთიულებს. შვილის ქცევამ ეკვის ქვეშ დააყენა მამის ერთგულება რუსეთის ტახტისადმი.

1805 წლის მიწურულში ხანდაზმული დიპლომატი თახ გაჰყვა, უკეთ „გააყოლეს“, ტამბოვში გადასახლებულ ალექსანდრეს¹. 1806 წელს, შვილის გათავისუფლების შემდეგ, გარსე-

¹ ნ. ცქიტიშვილი — გ. ჰავჭავაძის დიპლომატიური მოღვაწეობა, გვ. 169—170.

ვანი პეტერბურგში დამკვიდრდა. აქ გაატარა მან თავისი მშფოთვარე სიცოცხლის უკანასკნელი წლები. გარსევანი გარდაიცვალა 1811 წელს. ის დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის საფარში.

გ. ქვეკვაძის ერთი ადრინდელი საელჩო სიტყვა, რომელიც რუსული თარგმანითაა ჩვენამდე მოღწეული, ითქვა 1783 წლის 19 ივლისს გეორგიევსკის პირველ აუდიენციაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსეთის მხრივ — მთავარსარდალი პ. პოტიომკინი, მარშალი აპრაკსინი, კომენდანტი მოლჟანინოვი და სხვ., საქართველოს მხრივ — პირველი სრულუფლებიანი ელჩი იოანე ბაგრატიონი, მეორე სრულუფლებიანი ელჩი გარსევან ქვეკვაძე, საელჩოს თარჯიმანი გაიოზ რექტორი და სხვ.

გარსევანს თავისი სიტყვა წარმოუთქვამს ქართულად, ქართლ-კახეთის მეფისა და ელჩების სახელით. იმ დროს ორატორი საკმარისად ვერ ფლობდა რუსულ ენას¹, რაც უდავოდ ხდის მისი სიტყვის ქართულ დედანს, რომელიც, სამწუხაროდ, არ შემონახულა. სამაგიეროდ ჩვენამდე მოღწეულია ამ სიტყვის რუსული თარგმანი, რომლის ოსტატური სტილი კარგად უნდა გადმოგვეცემდეს დედნის ორატორულ ფორმას. ის ასე ელერს:

«Пред определением судеб божих, устрояющих род человеческой, подвиглась душа к новой щедроте премудрой в свете, дивной и непосудимой государыни императрицы великия Екатерины, коей побед и добродетелей сияние пролилось во всю вселенную. Сии-то немеркнущие лучи просияли ныне не отчество наше к неизреченной радости благочестивейшего государя нашего, которому угодно было нас назначить для объявления, что, подчиняясь всероссийскому престолу, сердце его будет святилищем чистого и непорочного огня, где не престанет он жертвовать и собою и владением своим. Внуши, победоносных войск вождь! Сие изречение. Удостой положить с нами на алтарь сей жертвы нашей свет, подаваемый

¹ ს. ციტიციანი — გ. ქვეკვაძის დიპლომატიური მოღვაწეობა, გვ. 147—148.

нам через представительство светлейшего князя знаменитые особы, ближайшего к императорскому престолу министра Григорья Александровича Потемкина. Прими наше присутствие в лице самого нашего царя и государя, ревностию к монархине горящего и которой к особе вашей особливо доброжелательствует»¹.

1784 წლის 20 სექტემბერს ეკატერინე II-ემ საზეიმო აუდიენციის პირობებში მიიღო ქართლ-კახეთის მეფის რეზიდენტი გ. ჭავჭავაძე, რომელიც ერეკლე II-ის მიერ წარმოგზავნილი იყო პეტერბურგის კარზე 1783 წლის ტრაქტატის მეხუთე არტიკულის თანახმად². 18 სექტემბერს დადგენილი იქნა ხსენებული აუდიენციის წესრიგი, რომლის მიხედვით შეხვედრას უნდა დასწრებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველი საქართველოს საკითხში ანტ. თარხნიშვილი (მოურავოვი), რომელსაც უნდა წაეკითხა გარსევანის მიერ დედოფლისა და უფლისწულების წინაშე ქართულ ენაზე წარმოთქმული სიტყვების რუსული ტექსტები. ამის შემდეგ ჯერ რუსულ და მერმე ქართულ ენებზე უნდა წაკითხულიყო დედოფლისა და უფლისწულების საპასუხო სიტყვები. იმავე დღეს აპრობირებული იქნა გ. ჭავჭავაძის 3 სიტყვა. ამ სიტყვების რუსული ტექსტები შენახულია³.

შეხვედრის დროს გარსევანს წარმოუთქვამს 3 სიტყვა: პირველი — ეკატერინე II-ის მიმართ, ხოლო მეორე და მესამე — უფლისწულების მიმართ. მათ შორის დედოფლისადმი მიმართვა წარმოადგენს უფრო საყურადღებო ორატორულ ქმნილებას, რომლის თარგმანს საგრძნობლად ემჩნევა დედნის მკვეერი ფორმის კოლორიტი.

1784—1787 წლებში ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის კარზე მეტად ფართო და აქტუალურ დიპლომატიურ მუშაობას აწარმოებდა. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო ალა-მაჰმად-ხანის მტრული ამოძრავება რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც სპარსეთში დასასრულს მიუახლოვდა ნადირ-შაჰის

¹ ЦГВИА СССР, стр. 165—166.

² А. Цагарели — Грамоты..., II, II, XII.

³ იქვე, გვ. 49

სიკვდილით დაწყებული ხანგრძლივი შინააშლილობა (1747—1779), თანდათანობით დაწინაურდა ასტრაბადელი მთავარი ალა-მაჰმად-ხანი, რომელიც შაჰ-აბასის სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდა და ყველაფერს ამ უნიადაგო ოცნების თვალით შექყურებდა. ამ მზერის წრეში მოექცა 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, რომლის ფაქტიური გაუქმება მოითხოვა ირანის მზრძანებელმა, მაგრამ არა პირდაპირი გზით — ხელშეკრულების დარღვევით ერეკლეს მხრივ, არამედ დიპლომატიური ხრიკით — რუსეთთან „კეთილშეთანხმებით“ ერეკლეს მეშვეობით¹. ეს უქნასკნელი — რუსეთ-სპარსეთის „კეთილი შეთანხმება“ და რუსეთ-საქართველოს მტკიცე მეგობრობა შეუთავსებელი მოვლენები იყო შექმნილ ვითარებაში. ამიტომ, როგორც ითქვა, ალა-მაჰმად-ხანის სურვილის შესრულება არსებითად გეორგიევსკის² ხელშეკრულების გაუქმებას ნიშნავდა, რაც ყველაზე ნაკლებად სურდა მეფე ერეკლეს.

ამრიგად, საჭირო გახდა რუსეთის გაფრთხილება, უკეთ, მისი ყურადღების გამახვილება. ეს ამოცანა დაეკისრა გ. ჭავჭავაძეს. 1786 წლის 23 დეკემბერს მან რუსეთის მთავრობის ყურადღება მიაქცია ალა-მაჰმად-ხანის წინადადებაზე და ამხილა მისი მზაკერული შინაარსი².

1787 წლის თებერვლიდან 1793 წლის დეკემბრამდე გ. ჭავჭავაძე რუსეთში არ იმყოფებოდა — ამ დროს ის სამშობლოშია ხანგრძლივი შვებულებით ცოლ-შვილთან ერთად, მას თან ახლავს თავისი მრავალრიცხოვანი დიპლომატიური კორპუსი: საელჩოს მდივანი გიორგი ავალიშვილი, თარჯიმანი ფილიპე ხუციევი და კანცელარიის მოხელეები; მასთან არიან მსახურნი: გლახა მესხი, დავით ბათიაევი, დიმიტრი კახოვი და სხვ³.

გ. ჭავჭავაძის საქართველოში ყოფნის დროს ქართლ-კახეთის ელჩის მოვალეობას ეკატერინეს კარზე ასრულებდა სულხან თუმანიშვილი.

1794 წლის დამდეგიდან გ. ჭავჭავაძე დაუბრუნდა თავის დიპლომატიურ სარბიელს რუსეთში და მომეტებული ძალით განაგრძო შექმნილი ვითარებით დამძიმებული პოლიტიკური

¹ А. Цагарели — Грамоты..., стр. 61.

² იქვე, II, I, გვ. 111.

³ იქვე, II, II, გვ. 62.

მოღვაწეობა. ამ ვითარების უშთავერეს ფაქტს ალა-მაჰმად-ხანის თითქმის საქმედ ქცეული და რეალურ საფრთხედ მოვლენილი მუქარა წარმოადგენდა. თავგასული ყაჯარი დიდი მხედრობით უკვე დაიძრა საქართველოსაკენ. ქართლ-კახეთის სამეფოს კარს მოადგა უთანასწორო ომის საშიშროება. აუცილებელი გახდა მოკავშირეთა ძალების შემოერთება. ყველაზე საიმედო და ძლიერ მოკავშირეს, ცხადია, რუსეთი წარმოადგენდა.

ყოველივე ამან შეაპირობა გ. ქავჭავაძის დიპლომატიური დემარში 1795 წლის დასაწყისში. ქართლ-კახეთის ელჩმა შექმნა ლოგიკური შეუვალობითა და ორატორული ხელოვნებით დამშვიდებული იურიდიული დოკუმენტი—ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიასთან, რომლითაც მკვევრმეტყველურად დახატა შექმნილი მდგომარეობა და მოითხოვა მფარველობითი ტრაქტატით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება.

ნოტაში ნათქვამია:

„ოდეს მიღებულ იქმნა საქართველო მფარველობასა ქვეშე უმაღლესის რუსეთის იმპერიისასა, ტრახტატის ძალით, ებოძა ორი ბატალიონი, რომ უნდა ყოფილ იყვნეს მათს უმაღლესობას მეფესთან და ეგრეთვე ყოველთა ერთა ნიშნად მფარველობისა, და რომ მტერთა ჩვენთა ნახეს ესრეთი მფარველობა, იწყეს პატივად და განგდებად თვისის ჩვეულებრივის ბორტ-მოქმედებისა, და ერნი ჩვენნი, განმხნობილნი ამით, აღავლენდნენ ღმრთისადმი მადლობითსა ხმასა ძლიერისა ამის მფარველობისათვის უღლისაგან არამორწმუნეთა ქრისტესთა.

და როდესაც ათამანის პორტამ არა სამართლით გამოაცხადა ომი რუსეთის უმაღლესს კარს, მაშინ ჩვენ ესასობდით, რომ ამ ზემოხსენებულის ორის ბატალიონის სიმაგრისთვის მოემატება სხვა ქარიც და გვსურდა, რომ ჩვენის მხრიდამაც მონური სამსახური და ერთგულება გვეჩვენა საერთო მტერზე, და შემდგომად წინააღმდეგ ამისსა იქ მყოფი მინისტრი და ბატალიონებიც წამოვიდნენ თვით საქიროს დროს, და დავრჩით ჩვენ მართო ჩვენის მტრების წინაშე და გავატარეთ დრო შერიგებამდინ ჩვენის მტერის ძალით ჩაოდენც ჩვენგან შეიძლებოდა.

და შემდგომად შეკერისა თანა მშვიდობისა შორის უმაღლესის კარისა და ათამანის პორტისა მოხსენებულმა თვისისა

ფიციისა და შეკრულებისა მეფემან ჩემმან უმაღლესისადმი კარისა ინება წარმოვლინება ჩემი ძალისაებრ ტრახტატისა, მეხუთისა არტიკულისა, იმ წიგნებით, რომელიც თვით ჩემგან მიერთო, და მე მოწყალებით მიღებულ ვიქმენ, და მებძანა, რომ პასუხი შებრძანება, რომელსაც ჯერეთვე ველი მოსახსენებულად მეფისა ჩემისა.

ვინადგან ცვლილებისაგან ჟამისა განძლიერდა ალა-მაჰმად-ხან და დაუახლოვდა უკვე სამზღვართა ჩვენთა, რომელიც იმყოფება ახლა არდაველს, და აქვს განზრახვა, რათა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყოფილა ჟამსა სპარსეთის ყაენებისასა მძლავრებით¹.

ამის შემდეგ ნოტაში მკვეთრად ჩამოყალიბებულია მეფის სათხოვარი.

1795 წლის ივლისში, ალა-მაჰმად-ხანის შემოჭრის წინ, გ. ჰავჭავაძე რუსეთის კანცლერს ალ. ბეზბოროდკოს უგზავნის სხარტად გამოკვეთილ საგანგაშო ნოტას, რომელშიც მთელი სისრულით აღბეჭდილია შექმნილი მდგომარეობის სიძნელე².

გ. ჰავჭავაძის ენერგიულ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ქართული დიპლომატიის ყოველგვარი ცდა სპარსეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ამაო აღმოჩნდა. შეუძლებელი შეიქმნა შინაგანი ძალების ჯეროვანი დარაზმვა და მოკავშირეთა მხედრობის დროულად შემოერთება. პოლიტიკურ ძალთა ჰიდილით გამოშვეული წინააღმდეგობა საომარ კატასტროფაში გადაიზარდა და კრწანისის ტრაგედიით აღინიშნა. 1795 წლის 11 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი შემოიჭრა თბილისში და რამდენიმე დღის განმავლობაში მიწასთან გაასწორა მთელი ქალაქი — გაანადგურა მოსახლეობა, დაიტაცა ქონება, დაანგრია შენობები და ცეცხლს მისცა ხალხის ნაამაგარი.

კრწანისის ომს მოჰყვა გაცხოველებული მიწერ-მოწერა ქართლ-კახეთისა და რუსეთის მეფეებსა და მაღალ წარმომადგენელთა შორის — გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პრეტენზიების გამოთქმა, სურვილების გამოვლენა და აშკარად თუ

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 117.

² იქვე, II, II, გვ. 247.

შეფარვით გამოხატული პაექრობა. ამ მიწერ-მოწერაში გამოყენებულია დიპლომატიური მეტყველების ყველა სახეობა დაწყებული ბუნდოვანად დაგრეხილი სიტყვიდან დამთავრებული ნათლად გამოკვეთილი გულახდილი მიმართვით. ასეთი დიპლომატიური შესიტყვების ერთი ყველაზე თვალსაჩინო ოსტატი იმ დროისათვის გ. ჰავეკვაძეა. ის სხვებთან ერთად იყო ჩაბმული ხსენებულ მიწერ-მოწერაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში.

ამის დადასტურება შეიძლება ბევრი წერილობითი დოკუმენტით, მათ შორის 1796 წლის 7 მარტის მიმართვით ეკატერინე მეორისადმი. აქ კრწანისის ომის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის ღრმა და ვრცელი ანალიზია წარმოდგენილი. მიმართვა, გარსევანის სიტყვით, შედგენილია ერეკლეს მიწერილობის საფუძველზე, რომლის ერთგვარ დიპლომატიურ გარდათქმას წარმოადგენს ეპისტოლარული საელჩო მეტყველების ეს შესანიშნავი ნიმუში. ქართლ-კახეთის მეფის პრეტენზიები მიმართვაში ჩამოყალიბებულია ცალკეული მუხლების სახით, რომელთა შორის მტკიცე ლოგიკური კავშირი და ღრმა იდეური ერთიანობაა. ასე. მაგალითად, აქ ნათქვამია: „მის სიმაღლემან მეფემან ირაკლი; ხელმწიფემან ჩემმან. მომივიღინა მე წერილობითი ბრძანება თვისი, რათა თქვენის იმპერატორების დიდებულებას, ყოვლად უმოწყალესსა ხელმწიფესა, მფარველსა და შემწესა ქართლისა და კახეთისა და სხვათა ქვეყანათასა, რომელთაცა არს იგი მბრძანებელ, ყოვლად უყმებრივესად მოვახსენო, რომელნიცა არიან შემდგომნი:

პირველი, შემდგომად უმაღლესისა თქვენის იმპერატორების დიდებულების ბრძანებისა, რომელიცა მივლენილ არს უფლისა ღენერალ-ანშეფ ლუდოვიჩისადმი შესაწევნელად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, მხედრობითა, არტილერიითა და სხვებრთა პირისპირ მტრისა ჩვენისა ალა-მაჰმად-ხანისა, ბრძანებითა მისის სიმაღლისათა, დაუკარგავად ჟამისა, დაწყებულა კეთება გზათა თბილისით ვიდრე ჩვენს საზღვრამდე, ვითარცა მთას აქეთ, ეგრეცა იქით გამართულ და გაკეთებულ არიან, არა თუ ოდენ განსატარებელად მხედრობათა, არამედ, საიშედლოთ, მხედრობათათვის, არტილერიისა, ბარგთა და ყოველთა

სიმძიმეთა, რომელთაცა აწ გარდატანა ძალუტთ თვინიერ მცი-
რისა შრომისა...“¹ და ა. შ.

როგორც ჩანს, გ. ჭავჭავაძის ენერგიულ ცდასა და მონღო-
შებას დადებითი შედეგი მოჰყოლია. რუსეთის მთავრობას
გ. ჭავჭავაძისათვის დაუყოვნებლივ უცნობებია, რომ გენე-
რალ ვ. ზუბოვს დაევალა „ყოველგვარი დახმარება გაუწიოს“
ერეკლე II-ეს თბილისის დაცემით გამოწვეული უბედურების
შესამცირებლად და „ალა-მაჰმად-ხანის მტრული განზრახვის
დასამხობად“².

1796 წლის 30 აპრილს რუსეთის კარის წარჩინებული მო-
ხელე პლ. ზუბოვი უგზავნის ერეკლე II-ეს მეტად საყურადღე-
ბო ვრცელ წარდგინებას ეკატერინე მეორის რეზოლუციით:
«*днѣ по сему*»³. ამ წარდგინებით ნათლად ჩანს დიდი
ღვაწლი, რაც იმ ხანებში გ. ჭავჭავაძეს გაუწევია სამშობ-
ლოს სასარგებლოდ რუსეთის კარზე. პლ. ზუბოვი მეფეს აუ-
წყებდა, რომ მხედართმთავარი ვალ. ზუბოვი უკვე დაიძრა
თავისი ჯარით საქართველოს დასახმარებლად და თავგასული
მტრის ასალაგმავად. შემდეგ ზუბოვი ვრცლად ლაპარაკობს
ქვეყნის შიგნით არსებული დანაწილებისა და დაქსაქსვის დამ-
ლუპველ შედეგებზე, ასეთი ვითარების დასამოწმებლად მიუ-
თითებს კრწანისის ომზე და, დასასრულ, ურჩევს მეფეს საკუ-
თარი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანოს და განამტკიცოს
მშობლიური საბრძანებელი მდ. არაქსის ნაპირებიდან ოთომან-
ის პორტას საზღვრებამდე⁴.

ეს მოსაზრებანი, როგორც სამართლიანად ფიქრობს პროფ.
ალ. ცაგარელი, ემყარებოდნენ ჯერ კიდევ ძალმოსილ მფარ-
ველობით ტრაქტატს, რომლის მე-2 და მე-16 არტიკულებში
ლაპარაკია ქართლ-კახეთის მთლიანობის დაცვასა და შემდგომ
განმტკიცებაზე⁵.

კრწანისის ომის მომდევნო პერიოდში ზედიზედ მოხდა
რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა: 1796 წლის 6 ნოემბერს

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 124.

² იქვე, II, II, გვ. 132—133.

³ იქვე, გვ. 140.

⁴ იქვე, გვ. 142.

⁵ იქვე, XXIХ.

გარდაიცვალა ეკატერინე II, რუსეთის ტახტზე ავიდა პავლე I; 1797 წლის 5 ივნისს მოკლეს ალა-მაჰმად-ხანი, მისი ადგილი დაიკირა ბაბა-ხანმა.

პავლე პირველმა ჯერ კიდევ ალა-მაჰმად-ხანის სოკვილი-ლამდე კავკასიიდან გაიწვია არაქსის ნაპირებამდე მიღწეული რუსეთის ჯარი და ამით დიდი შეშფოთება გამოიწვია ქართლ-კახეთის მმართველ წრეში. 1797 წლის 16 აპრილს ერეკლე II საგანგებო ნოტას უგზავნის პავლე I-ს, რომელსაც აცნობს საქართველოს მდგომარეობას და სთხოვს 4 ათას კაცს სამშობლოს დასაცავად. თავის მხრივ გ. ჰავცავაძე იმავე წლის 11 ივნისს, ახალი აგრესორის ბაბა-ხანის გამოჩენისთანავე, მიმართავს პავლე I-ს ვრცელი წარდგინებით, რომელთაც შეაჩვენებს მას 1783 წლის ტრაქტატს და მუხლობრივ აყალიბებს ქართლ-კახეთის პოლიტიკური ვითარებისა და ხანდაზმული მეფის საწადელის შინაარსს. რეზიდენტის მიმართვა 8 მუხლისაგან შედგება. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მე-2, მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები. ასე, მაგალითად, მე-3 მუხლში ნათქვამია: „მეფე მხილველი თვისსა მოხუცებულებითსა წელსა, რომ სისუსტენი მძლე ექმნებიან მას და დღენიცა ცხოვრებისა მისისანი კშთებიან მცირენი, და აღმრჩევი და შემდგომად თვისსა სჭულიერისა მემკვიდრის სამეფოსათვის ძისა თვისისა გიორგისა, ყოვლად უმდაბლესად სთხოვს თქვენს დიდებულებას, რათა გაგზავნოთ თქვენის უმაღლესის კარიდამ ერთი აქაური უფალი, რომლისაცა ნება იქმნეს უმაღლესს დასამტკიცებლად და ანუ განსამგარებლად მემკვიდრისა ამის, და საცნობელად მისა ხალხისათვის მისისა, და წარსაგზავნელითა ამით მისცეთ მეფესა და ერსა მას კსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართველობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რათამცა მის ძლით აღმოიფხვრან რომელნიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი, რომელიცა მსახურებს საწყენად და წინააღმდეგად მართლსაღიდაბელსა ქრისტიანებრსა აღსარებასა“¹.

1797 წლის 31 დეკემბერს გ. ჰავცავაძე განმეორებით მიმართავს პავლე I-ს ვრცელი წარდგინებით. ამჯერად ელჩი

¹ А. Цагарели — Грамоты..., II. I, стр. 138.

იმპერატორის ყურადღებას ამახვილებს მფარველობითი ტრაქტატის ზოგიერთი მუხლის დარღვევის ფაქტზე რუსეთის მხრივ, კერძოდ, სამხედრო ნაწილების გაყვანაზე თბილისიდან, და მოითხოვს მათ დაბრუნებას საქართველოში. ელჩი აღნიშნავს: „მეორესა სეპარატის არტიკულსა ზემოდანიშნულსა შემაკავშირებელსა ტრაქტატსა შინა დაწესებულ არს მათის სიმაღლის მეფის, ჩემის ხელმწიფის, წინაშე პყრობა ორის სრულის ბატალიონის რუსეთის ქვეითის მხედრობისა ოთხითა ზარბაზნითა, რომელნიცა აძლევდა ქართველთა დიდთა სიმხნეთა და იმედოვნებათა, ხოლო მეზობლებთაცა ღირსრწმუნებულ ჰყოფდა მას შინა, ვითარმედ ყოველი სამეფო იგი მდგომარეობს საფარველსა ქვეშე ყოვლის რუსეთის უმაღლესისა კარისასა, და აყენებდაცა მათ უმოქმედობასა შინა; და რადგანაც ბატალიონნი იგი არიან აქედამ გამოყვანილნი, მამინ ყოვლად უმდაბლესად გთხოვ უბრძანოთ მათ მიბრუნებამუნვე, მარწმუნებელი, ვითარმედ მეფე, ჩემი ხელმწიფე, თვინიერ უმაღლესისა თქვენის დიდებულების ნებისა, არასადმე იკადნიერებს ხმარებასა მათსა, და დააყენებს ქალაქსა შინა თბილისს, მხოლოდ შიშისათვის მტერთა საქართველოსათა დასარწმუნებლად, ვითარმედ მაღალი თქვენის იმპერატორების დიდებულება საფარველი არს სამეფოსა ზედა მისსა აწცა, ვითარცა პირველ“¹.

გარსევანის ამ მიმართვაში პავლე პირველისადმი შედარებით მცირე მნიშვნელობის მოვლენებზეც არის ლაპარაკი, რომელთა შორის უფრო საგულისხმოა ეკატერინე II-ის ბრძანებით 1784 წელს ქართული გერბით ჩამოსხმული ზარბაზნებისა და მორტირების გამოგზავნა საქართველოში. გარსევანი სთხოვს იმპერატორ პავლეს: „ბრძანე ესრეთვე გაშვება საქართველოსა შინა ზარბაზნებთა და ყუმბარათა მათცა, მუნებურის ღერბით შთამოსხმულთა უმაღლესითა ბრძანებითა სანატრელისა და საუკუნოდ ხსოვნის ღირსის საყვარელის თქვენის დიდებულების მშობლისათა, რომელნიცა უბოძა მან მეფესა, ჩემსა ხელმწიფესა, და რომელნიცა დღემდე მუნით არ არიან

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 144—145

გაშვებული, და არიან ზედა იეგორევის ციხესა შინა. საქართველო, მხილველი მათისა თვისთანა, შერაცხს მასცა არა მცირედ ნუგეშად თვისად და მიიღებს ვითარცა წინდსა მალალ-მონარხოვისა თქვენისა მისდამი კეთილნებობისასა¹.

დასასრულ, გ. ჭავჭავაძე თხოულობს შვეებულებას, რათა მოინახულოს სნეული მოხუცი მეფე, რომელიც, ელჩის სიტყვით, შესაძლოა, „მდებარებდეს დღეს სასიყუდიენსა ცხედარსა ზედა“.

ელჩის ვარაუდი სინამდვილეს წარმოადგენდა. მძიმედ სნეული და ღრმად მოხუცი მეფე ერეკლე გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა მეფის უფროსი შვილი გიორგი XII.

დიდი ხელმწიფის სიკვდილით დამძიმებულ ატმოსფეროში, როცა სამხრეთიდან გაისმოდა ბაბა-ხანის მუქარა, ხოლო ჩრდილოეთიდან არ ჩანდა მტკიცე დახმარება, ქართული დიპლომატია დაეინებით მოითხოვდა რუსეთის მთავრობისაგან მფარველობითი ტრაქტატის დაცვას და მისგან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას. ამ დიპლომატიის სულისჩამდგმელი გ. ჭავჭავაძეა.

1799 წლის 11 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა გ. ჭავჭავაძეს, რომ მისი მოთხოვნის დიდი ნაწილი, კერძოდ, მხედრობისა და არტილერიის გაგზავნა საქართველოში, დადებითად გადაწყდა და უკვე გაცემულია სათანადო განკარგულება ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად².

ამასთან დაკავშირებით, იმავე წლის 15 თებერვალს გ. ჭავჭავაძე სამადლობელ ნოტას უგზავნის სამინისტროს და განმეორებით თხოულობს საქართველოში წამოსვლის ნებას. ამჯერად ელჩი თავის თხოვნას ახალი მეფის წინაშე გამოცხადების სურვილით ასაბუთებს. ის აღნიშნავს: „მე, მიმღებელი ადრითვე მოლოდებულისა ჩემ მიერ სასიხარულოჲსა ამის ნოტისა მათის იმპერატორების დიდებულების მალლისა მინისტრისაგან და მცნობელი მის ძლით მალალ-მონარხულისა მოწყალე-

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 145.

² იქვე, II, II, გვ. 200.

ბისა მისისა სამეფოსა ზედა მეფისა ჩემისა ხელმწიფისასა, მოვიღებ თქვენ მაღალისა მინისტრისადმი ერთსულობითსა მადლობასა კეთილ-მზრუნველობით მოპოვნებისათვის ჩვენდა უზენაესისა მის კეთილ-ნებობისა, და ვითხოვცა კვალად უმდაბლესად განახლებასა მისსა თავსაცა ზედა ჩემსა, რათა მიოხოთ ვითარცა მამამან შვილსა და გამოითხოვოთ, მათის იმპერატორების დიდებულების დიდის ხელმწიფისგან უმაღლესი ნება წარვლინებისათვის ჩემისა ხელმწიფისადმი სათანადოდათა სახითა ჩამილიითურთ ჩემით, ვითარცა მოწმად დასწრებისა მუნ მათდა ჩემისა...“¹.

გ. ჭავჭავაძის თხოვნა შეწყნარებული იქნა, ის გამოემგზავრა სამშობლოში, სადაც გაატარა რამდენიმე თვე და 1800 წლის გაზაფხულზე კვლავ დაბრუნდა რუსეთში გიორგი XII-ის საგანგებო დავალებით.

1799 წლის 18 აპრილს, გარსევანის რუსეთიდან წამოსვლის წინ, იმპერატორმა პავლემ ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა გიორგი XII, ხოლო ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილ². ამასთან დაკავშირებული დიპლომატიური მიწერ-მოწერის ხელმძღვანელი საქართველოს მხრივ გ. ჭავჭავაძეა. ამ ურთიერთობაში დაისვა საკითხი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის გადასინჯვისა და შევსების შესახებ, რაც თავის დროზე გათვალისწინებული იყო ამავე ხელშეკრულების მე-12 არტიკულით, რომელშიც ნათქვამია: „ზავი უკუშ ესე, ანუ პირობა, იქმნების საუკუნოდ, მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართულად ურთიერთისათვის სარგებლისა აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა“³.

ხსენებული საქმის მოგვარება, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ახალი პროექტის შემუშავება, გიორგი XII-მ დაავალა გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და რევაზ ფალავანდიშვილს. მათ შორის მეთაური, ცხადია, გ. ჭავჭავაძეა.

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 163.

² იქვე, II, II, გვ. 204.

³ იქვე, II, I, გვ. 106.

გიორგი XII-ის საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი ელჩები¹ გამოცხადდნენ პეტერბურგის კარზე 1800 წლის ივნისში და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს ნოტა, რომლის 6 პუნქტში ჩამოყალიბებული იყო მომავალი ხელშეკრულების სახელმძღვანელო პრინციპები². ამ პრინციპების საფუძველზე შემუშავებული იქნა 16 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც აპრობირებული იქნა პავლე I-ის მიერ, და საგარეო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თ. როსტოპჩინის ხელის მოწერით 1800 წლის მიწურულში გამოიგზავნა ჩვენში გ. ავალიშვილისა და რ. ფალავეანიშვილის ხელით.³ ამ პროექტის მიღება არ დასცალდა გიორგი XII-ეს. ის გარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს. ორიოდ თვის შემდეგ, 1801 წლის 11 მარტს, გარდაიცვალა პავლე პირველიც.

ხელშეკრულების პროექტი ჩაიბარა ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებულმა დავით ბატონიშვილმა, რომელმაც უცვლელად გაიზიარა მისი შინაარსი და ხსენებული ელჩების ხელით დააბრუნა ის პეტერბურგში საბოლოო გასათვორმებლად.⁴ 1801 წლის აპრილში ქართლ-კახეთის ელჩებმა გ. ჭავჭავაძემ, გ. ავალიშვილმა და რ. ფალავეანიშვილმა ხელშეკრულების პროექტი და ვრცელი ნოტა, საქართველოს ახალი წყობილების შესახებ, წარუდგინეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.⁵ ხსენებული ნოტა შედგენილია გ. ჭავჭავაძის მიერ.

ნოტაში ერთგან ნათქვამია:

„პუნქტსა ამას შინა კვალადცა აწ დამტკიცებულ ვპყოფთ, და ყოვლითურთ განვრცელებით მივაღებთ ამას, რომელ რომელიცა კეთილ-ნებებულ იქმნას მისის იმპერატორებითის დიდებულებისაგან და დანიშნულ მმართველად საქართველოსა სამეფოსად ერთად რომელიმე მეფის-ძეთაგანი, იგი იწოდებოდეს იმპერატორისა მოადგილედ, და იხსენიებოდეს მეფეთ საქართველოსად, და მიეცეს მას თანაშემწედ მარადის

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 187—188.

² იქვე, II, II, გვ. 292—294.

³ Акты, I, стр. 179—181.

⁴ А. Цагарели, Грамоты..., II, II, стр. 220—221.

⁵ იქვე, II, I, გვ. 195—209.

მუნ მყოფად ერთი რომელიმე დიდის რუსეთის დიდ-შემძლე-ბელთავანი, რათა მან მმართველობასა შინა მისსა განუმარტოს მას მისდამი მიცემული იმპერატორებითნი ჰსჯულნი, ბრძანებანი და სხვანიცა ესე გვარნი, და რათა თვინიერ თანხმობისა მისისა მან, იმპერატორის მოადგილემან და მუნ მეფედ წოდებულმან, არა რომელითამე სახითა თვით თავით თვისით არა კადნიერ იქმნეს განწესებად რომელისამე ჰსჯულისა, ბრძანებისა და რიგთა, და რათა არა მოაწეროს ხელი მან მხოლოდ თვინიერ ხელმოწერისა მისდამი განწესებულისა მის თანაშემწისა“.¹

1801 წლის 15 აპრილს, რუსეთის ახალი იმპერატორის ალექსანდრე პირველის განკარგულებით, დასახელებული დოკუმენტების — პროექტისა და ნოტის საფუძველზე, რუსეთის სახელმწიფო საბჭომ განიხილა საქართველოს ქვეშევრდომობის საკითხი². ამ განხილვის შედეგს წარმოადგენს 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.³ ამის შემდეგ ქართველი ელჩების დიპლომატიური მისია დასრულებულად ჩაითვალა. 1802 წლის მარტში ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში.

აზრთა სხვადასხვაობით გართულებულ და გარდატეხის ტივილებით დამძიმებულ ვითარებაში მიიღო სამშობლომ თავისი სასიქადულო შვილი გარსევან ჰავჭავაძე, ვინც, პ. იოსელიანის თქმით, იყო „უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა, მეტისა მნახავი და უკეთ მზრახველი“.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ურთულეს პერიოდში, როცა წყდებოდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და ბეწვზე ეკიდა ქართველი ხალხის ეროვნული მონაპოვარი, გარსევან ჰავჭავაძე 20 წლის მანძილზე წარმატებით მეთაურობდა მოწინავე ქართულ დიპლომატიას და სამშობლოს საკეთილდღეოდ მართავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ისტორიული აუცილებლობის კარნახის პირობებში ის

¹ А. Цагарели — Грамоты..., II, I, стр. 196

² იქვე, II, II, XXXIX.

³ З. Авалов — Присоединение Грузии к России, стр. 301—305.

ეძებდა და პოულობდა უკეთეს გზებს საქართველოს შემდგომი წინსვლისათვის და თავისი გაელენიანი სიტყვითა და საქმით უზრუნველყოფდა ამ გზების მარჯვე მიმართულებას.

გარსევან ჭავჭავაძის ასეთ ბრწყინვალე და წარუშლელ დიპლომატიურ შემოქმედებას ასაზრდოებდნენ გამჭრიახი გონება, მტკიცე ნებისყოფა და უანგარო პატრიოტიზმი, რომელთა მახვილ იარაღს მკვერი ზეპირი და წერილობითი მეტყველება წარმოადგენდა.

სოლომონ ლიონიძე

გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი ორატორი სოლომონ ლიონიძე ჩვენი საელჩო მკვერმეტყველების ბრწყინვალე წარმომადგენელია. XVIII ს-ის დიდ ქართველთა შორის ის გამოირჩევა თავისი წარუშლელი და მრავალმხრივი დამსახურებით. საქართველოს მართვისა და გამგეობის სათავეში, ჯერ ქართლ-კახეთსა და შემდეგ იმერეთში, მას ეკირა მაღალი სამოქალაქო თანამდებობანი. ის იყო ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ფხიზელი დიპლომატი, გამჭირიანი მრჩეველი და გავლენიანი კარისკაცი. ამასთან, ორივე სამეფო კარზე სხვადასხვა დროს ის ასრულებდა უზუნაესი მსაჯულის მოვალეობას. თანამედროვეთა შორის მან სახელი გაითქვა თავისი ნათელი აზროვნებით, ფართო განათლებითა და უანგარო პატრიოტიზმით. ჭკუით, ცოდნით, გმირობითა და მკვერმეტყველებით ამაგმოსილი ს. ლიონიძე ჩვენი სასიკაღმდლო წარსულის უკედავი დამამშვენებელია.

ს. ლიონიძე უწინარეს ყოვლისა დიდი ქართველი მკვერმეტყველია. მისი ორატორული ხელოვნება ჩვენი კლასიკური მკვერმეტყველების უმაღლესი საფეხურია — აღრინდელი და ახალი ცოცხალი სიტყვის გარდამავალი მიჯნის ისტორიული მოვლენაა. ს. ლიონიძე ძველი ქართული მკვერმეტყველების უკანასკნელი და, ამასთანავე, უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც სათავე დაუდო და სარბიელი გადაუშალა ახალ ეროვნულ ორატორულ შემოქმედებას.

ს. ლიონიძის მკვერმეტყველება გამოირჩევა თავისი ღრმა იდეურობით, სალი ემოციურობით, ზეგავლენის დიდი ძალითა და შესრულების მაღალი ოსტატობით. მისი ზეპირი მეტყველების კეთილზმოვანი ჟღერა უბადლოა ქართული ცოცხალი სიტყვის სარბიელზე და იშვიათია თვით მსოფლიო მკვერმე-

ტყველების ისტორიაში. სახელოვანი ოქროპირის შემოქმედება ისტორიულად შეპირობებულია ძველი ქართული ხალხური და კლასიკური ზეპირმეტყველებით, ანტიკური ბერძნულ-რომაული ორატორული ხელოვნებით, ადრინდელი ბიზანტიური ქრისტიანული მქადაგებლობითა და შუა საუკუნეების მსოფლიო მქვერმეტყველებით.

სოლომონ ლიონიძე დაიბადა 1754 წელს. მისი სიყრმის მშობლიური კუთხე კახეთია. ის შიდა კახეთის წარჩინებულ ლიონიძეთა შთამომავალია სოფელ კონდოლიდან.

სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. მაღალი სასულიერო ადგილის გამო ანდრია მეფის მახლობელი და სასახლეში დაწინაურებული პირი უნდა ყოფილიყო.

ს. ლიონიძეს განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. აქ მას შეეძლო მოესმინა ცნობილ ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერთა ლექცია-ქადაგებანი და წაეკითხა მეფის ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. აქვე შეეძლო მას შეესწავლა რუსული, სომხური, სპარსული და თურქული ენები, რომელთა ცოდნას იჩენდა და იყენებდა ის თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე.

ერეკლეს მახლობელ ადამიანთა და სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა შორის ს. ლიონიძეს დიდხანს ექირა მეტად საპატიო ადგილი. ის XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XIX ს-ის დამდეგის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

ს. ლიონიძე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონაწილეობდა ჩვენი სამეფოების საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ეროვნული კულტურის აყვავებას.

ს. ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის — „მეგობრობითი პირობა“, რომლის ძალით ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში

და საფუძველი ჩაეყარა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიულ გაერთიანებას¹.

1790 წელს ს. ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთებისა და დაიღო უზენაეს ხელისუფალთა საკავშირო ტრაქტატი².

ს. ლიონიძის პირადი ხელმძღვანელობით შესრულდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო საქმე — დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა,

ამ საქმეებით სახელგანთქმული ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და ტრიბუნი ს. ლიონიძე თანამედროვეთა შორის დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა. ამას გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ბევრი საისტორიო წყარო. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, სადაც ნათქვამია: „ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი“³. ინტერესმოკლებული არ არის აგრეთვე პლატონ იოსელიანის გვიანდელი ცნობა, რომლის მიხედვით ს. ლიონიძე იყო: „მაღალის გონების კაცი, ერთგული ქვეყანისა, დიდი მრჩეველი და უცთომელად შემშვეცნებელი საქმისა“⁴.

წარჩინებული კარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჭერ ფარული შურით აღინიშნა და შემდეგ გამქლავებული შულლითა და მტრობით. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. ეს გათიშვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი — მეფემ შეიცნო კარისკაცის სამართლე, მისი უანგარო ერთგულება და შეირიგა ის. ამ ფაქტს გულისხმობს ს. ლიონიძე თავის სამგლოვიარო სიტყვაში ერეკლეს მიმართ, როცა ლაპარაკობს: „იმისი ტუბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავისს

¹ Акты, I, стр. 323—324.

² პ. იოსელიანი — ცხოვრება ვიოტი მეთავეტისა, გვ. 18—23.

³ ი. ბატონიშვილი — კალმასობა, ტ. II, გვ. 203.

⁴ პ. იოსელიანი, დასახლებული წიგნი, გვ. 255.

უნებურად ჩემის შეწყუბების შენანება, რომელიც თავისი უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა“¹.

ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798) შემდეგ ს. ლიონიძე ერთ ხანს ისევ ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური ცხოვრების უახლოესი მონაწილეა. ის საქართველოს სამეფო კარზე ისევ თვალსაჩინო და გავლენიან მოღვაწედ მოჩანს. პოლიტიკურ ძალთა კიდილის არენაზე, როცა ბაგრატიონთა დინასტიის შიგნით გაჩნდა შეურიგებელი დაჯგუფებანი, ს. ლიონიძე ქერივი დედოფლის მომხრეთა შორის აღმოჩნდა. დარეჯან დედოფლის ჯგუფის საპირისპიროდ ღაირაზმა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძის დავით ბატონიშვილის დაჯგუფება. მოწინააღმდეგეთა შორის ჯერ ფარული და შემდეგ აშკარა ბრძოლა გაჩაღდა. მეფის რუსეთის მაღალი მოხელეები ამ ბრძოლაში დავით ბატონიშვილს თანაუგძნობდნენ. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში 1801 წელს ს. ლიონიძე დააპატიმრეს.

საპატიმროდან სოლომონი წერილით მოაგონებს მთავარ-მართებელ კნორინგს იმ დამსახურებას, რაც მას უმაღლესი კარის წინაშე მიუძღოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. კვლავინდებურად ერთგულ სამსახურს პირდება და მოითხოვს გათავისუფლებას². ს. ლიონიძის ენერგიულ ცდასა და გავლენიან პირთა ჩარევას, როგორც ეტყობა, გაუჭრია და ის პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ.

1802 წლიდან ს. ლიონიძეს იმერეთში ვხედავთ. აქ სოლომონ II-ის კარზე ის დიდი პატივით იქნა მიღებული. იმერეთის მეფემ ს. ლიონიძეს შეუწარმოა მაღალი თანამდებობანი და უბოძა ადგილ-მამულები იმერეთსა და რაჭაში — კაცხის, მინდასა და ბარაკონის მიდამოებში.

1803 წელს იმერეთის მეფე აძლევს ს. ლიონიძეს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში ალექსანდრე I-ის კარზე. მეფის სურვილს შეადგენდა იმერეთის რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისე, რომ სამეფო ტახტი შეეწარმოებინა. ამ სურვილს იზიარებდა ს. ლიონიძეც. მეფის

¹ ი. ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი — სოლომონ ლიონიძე..., გვ. 27.

² Акты, I, стр. 323.

ელჩი იმპერატორმა თუმცა პატივისცემით მიიღო¹. მაგრამ უპასუხოდ გამოისტუმრა. ამის ერთ მიზეზს წარმოადგენდა მეფისა და მისი ელჩების პირადი მტრების ფარული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

1804 წელს ს. ლიონიძე პეტერბურგიდან ბრუნდება იმერეთში და ერთ ხანს კვლავ სამეფო საქმეებს ასრულებს. 1810 წელს, იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და მეფის თურქეთში გაქცევის შემდეგ, სოლომონი ახალციხეს გადაიხვეწა.

აქ უცხოობასა და სიმარტოვეში გაატარა დიდმა ორატორმა თავისი უკანასკნელი დღეები. ის გარდაიცვალა 1811 წელს.

ს. ლიონიძის ორატორული მემკვიდრეობა ჩვენამდე პოლ-წყულია სამი შესანიშნავი ძეგლის სახით. ეს ძეგლებია: 1. მიმართვა პავლე პირველისადმი² (1796), 2. „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“³ (1798), და 3. სიტყვა, თქმული ალექსანდრე პირველის მიმართ⁴ (1804). მათ შორის ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა პირველი და მესამე. ისინი ქართული საელჩო მკვევრმეტყველების სანიმუშო განძს წარმოადგენენ. მათი მხატვრული ანალიზით ქვემოთ ნაჩვენებია ს. ლიონიძის საელჩო ორატორული ხელოვნება.

სოლომონ ლიონიძე ქართული სადარბაზო, საელჩო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მკვევრმეტყველების წარმომადგენელია. მისი ორატორული შემოქმედება უხვად შეიცავს სხვადასხვა დარგობლივი შინაარსისა და ჟანრობლივი ფორმის მანერებლებს. ორატორის ყოველი ნაწარმოები მრავლად ითავსებს რამდენიმე დარგის არსებით ნიშნებს, რაც ს. ლიონიძის მკვევრმეტყველების იდეურ-მხატვრულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე მიუთითებს, ორატორის ფართო დიაპაზონს გვიჩვენებს და მისი შემოქმედების ძალას გვიდასტუ-

1 ხელნაწერი Hd—4416.

2 ხელნაწერი H—2528; ნ. კანდელაკი — სოლომონ ლიონიძე... 21—22.

3 ხელნაწერი H—2528; ნ. კანდელაკი — სოლომონ ლიონიძე... 23—28.

4 ხელნაწერი H—3011; ნ. კანდელაკი — სოლომონ ლიონიძე... 29—31.

რებს. კერძოდ, ასეთია ს. ლიონიძის ეპისტოლარული მკვერ-
მეტყველების საუცხოო ნიმუში „მიმართვა პავლე პირველი-
სადმი“, რომელშიც ერთმანეთის საპირისპირო, სამგლოვიარო
და სადღესასწაულო, სიუჟეტური მოტივების იდეური მთლი-
ანობაა დაცული და გამოხატული. ხსენებული მიმართვა აერ-
თიანებს სამძიმარს, ეკატერინე II-ის გარდაცვალების გამო,
და მილოცვას, პავლე I-ის გამეფებასთან დაკავშირებით. ჭერ
გამოთქმულია სამძიმარი, შემდეგ — მილოცვა. მათ შორის
ერთგვარი გარდამავალი წიაღსვლაა, რომელიც ოსტატურად
აკავშირებს დედოფლის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებასა
და უფლისწულის გამეფებით გამოწვეულ სიხარულს. ერთ-
მანეთის მოპირდაპირე გრძნობები მიმართვაში გამოხატულია
დიდი ტაქტიკა და იშვიათი ზომიერებით.

სამძიმარი ასეა გამოთქმული:

„საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან. სიტყვიერთ
ბუნებათა დიდებისა მის ხელმწიფისა დიდისა ქვეყნისაგან
წიაღთა ზეცისათა მესაუნჯემან, და დიდისა იმპერატრიცა ეკა-
ტერინასაგან უბედნიერესითა ყვავილოვნებითა დატკობილ-
მან როსსიისა ვრცელმან იმპერიამან მოჰფინა ცისქვეშეთა ნის-
ლი მწუხარებისა: ვინათგან ღმერთითმთავრობითითა განჩინე-
ბითა დიდმან ეკატერინა განავრცელა სტუმრობა სამლო და
ხელითა ანღლათათა წარიგრაგნა სამლო იგი ცა სიტყვიერი,
რომელიცა ოთხკერძო ქვეყანას ზედა ქუხდა ძლიერებით.

სამლოსა დადუმებისათვის უდიდებულესობისა მისისა
სახსოვრად საუკუნოდ იგლოვს ქვეყანა, ვინათგან სადღესას-
წაულო იგი თავდგმულება ქრისტეანეთა. ჩრდილოით კერძო
თხემსა ზედა სიონისასა, მადღეებელი ბუნებითა მზე იგი ღა-
მიანთა, მოაკლდა თვალთაგან მედღესასწაულეთა ძეთა თვისთა
ხელმწიფე თვითმპყრობელი და დედა საზოგადო“.

გარდამავალი წიაღსვლა ასეა გამოხატული:

„იხარებს ეკლესიაცა, ვინათგან აღვისტებრთა ხელმწიფე-
თაგან პატივსაცემელისა დიდისა როსსიისა უმაღლესისა ტან-
ტისაგან კათოლიკე ეკლესიამან განუმზადა ამბონი თვისი ალა-
ბასტრსა საესესა მირონითა მით ცხებულისა დიდისა უსამღვ-
დელოესისა გვამისათა, რომლითა ძეთა თანა როსსიისათა ნა-
თესაენი ივერიელნი, მედღესასწაულენი უდიდებულესობა

მისისანი, მიგვცა ერთბამად საგლოველსა მწუხარებასა მღალადებელნი ერთხმად: დავაკლდით ერნი ქრისტიანენი უმოწყა-
ლესსა ხელმწიფესა და საზოგადოსა დედასა!“.

მილოცვა ასეა გამოთქმული:

„გარნა დასასრულსა მწუხარებისასა, დასაბამად საზოგადოსა მხიარულებისა, დღესასწაულობს ყოველი ივერია, ვინათგან განგებამან საბაოთურმან სიმტკიცედ სჯულთა, დაცვად ეკლესიათა, განვრცელებად იმპერიისა, საუკუნოდ ნეტარების ღირსია დიდისა იმპერატროცა ეკატირინას სახელმწიფოთა შრომათა, დადგა გვირგვინად იმპერატორება უდიდებულესობისა თქვენისა, და საზოგადოსაგან დედისა დაობლებულსა იმპერიასა აღუდგინა მამა მოწყალებისა საზოგადო, რომლისათვისცა უმდაბლესად თაყვანისცემით მიმლოცველნი და მედღესასწაულენი, უმაღლესსა ტახტსა ზედა აღსვლისა უდიდებულესობისა თქვენისანი, შევევდრებთ თავსა ჩვენსა მფარველობასა ქვეშე იმპერატორებისა თქვენისასა, და მე, უერთგულესისა მონებისა ჩემისა მსხვერპლად სისხლადმდე შემწირველი, დავშთები ნიადაგ უდიდებულესობისა თქვენისა უმოწყალესის ხელმწიფისა ჩემისა უმდაბლესად მონად“.

ს. ლიონიძის „მიმართვა პავლე პირველისადმი“ ქართული ეპისტოლარული მქვერმეტყველების კლასიკური ქმნილება, რომლის ძირითადი მოტივები — სამგლოვიარო და საზეიმო — გამოხატულია მათთვის შესაბამისი მინორული და მაჟორული ტონებით, რომლებიც მხატვრულად გაერთიანებულია ოდნავ ამადლებული, ლამაზი და კეთილხმოვანი რიტორიკული სტილით.

ს. ლიონიძის საელჩო ორატორული ხელოვნების მეორე ძეგლი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია გვიანდელი ხელნაწერებით და ქრონოლოგიურად უკანასკნელ ქმნილებას წარმოადგენს ორატორის შემონახულ მემკვიდრეობაში, არის სიტყვა, თქმული ალექსანდრე პირველის მიმართ. ეს სიტყვა ავტორს წარმოუთქვამს პეტერბურგში, იმერეთის მეფის ელჩად ყოფნის დროს, 1804 წლის 12 იანვარს. ის საელჩო შესიტყვების მოკრძალებით გამსჭვალული და გულუხვი დიპლომატიური ხოტბით აღსავსე სადარბაზო მიმართვაა, რომელიც საზეი-

მო განწყობილების პათეტიკური იერით უთქვამს ორატორს იმპერატორის პირისპირ.

მოკარბებული ქება-დიდების რიტორიკული სამკაულებით ტვირთავს მეტყველი მთელ ნაწარმოებს და მკვეთრად შელამაზებული გამოთქმებით აგებს თავის ნაკლებად შთაგონებულ, მაგრამ მეტად მონდომებულ შესხმას. ბიბლიურ მოტივზე გამართული მცირე შესავლის შემდეგ ორატორი აღიძებს ალექსანდრე I-ის „სანეტარო“ მეფობას: „ნეტარ არს საუკუნო ესე იმპერატორებისა შენისაგან აღყვავებული, და ნეტარ არიან ძენი როსისიანი, რათა პოეს მოხუცებულთა მამა, კაბუკთა — მაგალითი, ბრძენთა — სასყიდლის-გება და გლახაკთა — სიმდიდრე.

და მე, მხედველი უღრმესისა მოხუცებულობისა ახალსა სიკაბუკესა შინა შენსა, დიდო იმპერატორო, წინამაუწყებელ ვარ, რამეთუ კეთილსა საფუძველსა ზედა დაწყებამ პეტრე პირველისამან იმპერატორებითა შენითა მიიღოს უკეთილესი დასასრული“.

შემდეგ ორატორი წარმართობით „შეცოდებულ“ ალექსანდრე მაკედონელზე მალლა აყენებს ქრისტიანობის მოსავე ალექსანდრე I-ს და პირდაპირ მიმართავს მას: „გარნა შენ შორის ვსედამ უსაკვირველესა დიდებასა, რამეთუ რომელი იგი დასაბამიდან მრავალგზის შეცოდებულ იყო სკიპტრა ჯვარისა მიმართ და მრავალსა საუკუნესა დასჯილ იყო სკიპტრა ჯვარისაგან. შენ დახსენ სიძულვილი შორის სკიპტრისა და ჯვარისა! შენ მიერ საყვარელ ჯვარისა იქმნა სკიპტრა შენი, ორნი ესე თაყვანის საცემელნი და დიდებულნი მეგობარნი ხელთა შინა შენთა განისვენებენ: ერთითა გაპყრიეს ჯვარი, რომლითა იღლესასწაულები სიძე ზეციერისა ანმონისა, და მეორითა გიპყრიეს სკიპტრა, რომლითა თვით შენ აღიძებ საიმპერატოროსა ტახტსა რუსეთისასა, და თუ ვითარ წინა წარმომიდგნეს მე ხილვა იმპერატორებისა შენისა გამოვიძიე ყოველთა-საუკუნეთა შინა დიდთა იმპერატორთა რიცხვთა შორის და ვიხილე იმპერატორება სიკაბუკესა შენისა, ვითარცა ხვალმანდი დიდსა სიღრმესა შინა გონებისა შენისა სივრცე იმპერატორებისა, ვითარცა უკიანესა შინა ნავი ყოვლად ბრძნითა მენავეთ მოძღვრებითა შენითა მყუდროებით მცურვალნი; გამოვიძიე სიკაბუ-

ქესა შინა შენსა და ვიხილე კვალადცა ნივთი საქიროდ შესაბამი კეთილმოქმედებისა, რომელსა ვითარცა ხელმწიფესა და ვითარცა მამასა საზოგადოსა საიმპერატორო შიში შენი დაგიმორჩილებიეს სიყვარულისადმი საზოგადოსა ერისაგან, რომელი მარადის პირთა და გულთა ერთბაშად გაკურთხევდენ“.

ამ სახოტბო მიმართვას მოსდევს ორატორის რწმენისა და სურვილის საზეიმო გამოთქმა: „... დიღო იმპერატორო; დღესასწაულობით მოგილოცავ, რომელსა ვსასოებ უღრმესითა განსჯითა საქმეთა მრავალთა: ვსასოებ, რომ სიჭაბუკე შენი განავრცელებს იმპერიასა და იწყებს ელვასა საქურველი შენი ჩრდილოეთით სამხრეთად; მამაცობა შენი განახშირებს ქუხილსა დასავალით აღმოსავლეთად და დაიპყრობს ერთა უცხოთა, და ესრეთ განგრძელდების ქუხილი და ელვა საქურველთა შენთა უშორესთა კერძოთა; ხოლო მოხუცებულობა სავესე ძალითა, და სიბრძნითა, და სიმდიდრითა დაუტევებს მრავალთა ერთ-მთავრობით ერთად შეერთებულთა სკიპტრათა საუკუნესა ნეტარებასა შინა!“.

დასასრულ, სამყაროს საოცრებათა ფონზე გამოხატული მეფის სურათით აგვირგვინებს შესხმას ორატორი „...ხოლო დიდებული სახელი შენი, ალექსანდრე პავლეს ძე, და დიდებულნი საქმენი შენნი, უავლუსტესო კეისარო, აღიწერების ორთა ფურცელთა ზედა: პირველსა ფურცელსა — ცასა ზედა, და მეორესა ფურცელსა — ქვეყანასა ზედა. ორი ესე ფურცელნი საუკუნოდ სახელსა შენსა მიუთხრობენ, მოკვდავებასა შენსა უკვდავ ყოფენ...“.

ასეთია სოლომონ ლიონიძის ბრწყინვალე საელჩო ორატორული ხელოვნება.

საქართველო
მოსახლეობა



ქვემოთაღნიშნული
სამსახური
გამკვეთებისთვის
ქვემოთაღნიშნული

1 ს ა უ კ უ ნ ე

(ძვ. წელთაღ.)

მირიან მეორე

სიტყვა, თქმული ქართლის ერისთავების წინაშე

მოიქსენეთ სიყუარული მამის მამისა, მირვანისი. და კეთილი მისი თქუენდა მომართ. დაღაცათუ მამამან ჩემმან შემოილო სჯული უცხო თქუენ შორის, და მისგანცა გაქუნდა კეთილი. სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა. და აწ ნუ არს საურავი და შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათჳს მამისა ჩემისა, რაჲთუ სჯულისა დატევებისათჳს მოკლვენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა, და არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათჳს მოკლულთა. მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა ფარნავაზიანთა. დაღაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქუენთასა, და ვესაჲ მე ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, და სასოებითა მათითა წარმართებულ ეარ ძიებად მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი.

(1 ს. დასას. ძვ. წელთაღ.)

ქართლის ცხოვრება, I, 81.

ვანსტანბ გორბასალი

სიტყვა, თქმული ქართლის წარჩინებულთა წინაშე

მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჰირი-
 ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ
 მსახურება ღმრთისა და გარდაჰკდენ მცნებასა, მოაწეეს ჰირთა
 ესევეითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარ-
 ცა რა მამა კეთილი წუერთინ შვილსა კეთილად კეთილთა ზედა
 საქმეთა. და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა
 მამისა თვისისასა, გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა
 ისწავლოს ყოველი კეთილი და იქმნას საკმარ კეთილისა. ეგ-
 რეთვე გუწუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და
 ქუეყანისამან. ამისთვის გვკმს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მორწ-
 ქალებათა მისთა:

ისმინეთ კმისა ჩემისა; დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინა-
 ხავს ჩემგან კეთილი, მამათა კულა ჩემთაგან გინახვან დიდნი
 კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხარბ
 მთავრობასა ზედა. აწ უკეთუ გუაცოცხლებს ღმერთი, მოგზუ-
 დენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნენ მამათა
 ჩემთაგან. აწ რომელსა გეტყვ თქუენ, დაღაცათუ ჩემ ზედა და
 თქუენ ზედა სწორად მოწვეულ არს განსაცდელი ესე, არამედ
 ესრეთ იპყართ, ვითარმცა არა მოწევენულ არს თქუენ ზედა, არა-
 მედ ჩემ ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა, თუ
 რომელ მოიწივნეს მათ ზედა განსაცდელნი, თვისისა შურის-
 გებისათვს ჰყოფენ ამას. არამედ ყოველნი ჩემდა სამსახურე-
 ბელად დავითუალო, ყოვლისათვს კეთილი მოგაგო. და არა

დავითმინო კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამეზისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, და წარძღუანებითა ჯუარისა მის პატროსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცავითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა წმამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენტათჳს.

(V ს. 70-იანი წ.)

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 147—148.

VI საუკუნე

ლაზი ელჩი

სიტყვა, თქმული სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის
წინაშე

თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგხედრია ისეთები, რომელნიც რალაცნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰქედლებიან — ჩასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა — და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისთვის დაუბრუნებია უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი, — ირწმუნე, დიდებულო მეფე, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხები ხომ ძველითაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ეხლაც არის დაცული, ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა — მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე, ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით). ეხლა კი ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ. ხოლო გთხოვთ თქვენ განსაჯოთ ჩვენ შესახებ შემდეგნაირად: თუ ჩვენ რომაელებისაგან არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ უვიცობით შეპყრობილნი გადმოვდივართ თქვენკენ, უმაღვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე (ვინაიდან დარღვეული მეგობრობის მაგალითი ამის შემ-

დღე სხვებთან დადგენილი მეგობრობის საზომად შეიქმნება). ხოლო თუ ჩვენ რომაელების მეგობრები ვიყავით სიტყვით, საქმით კი ერთგული მონები, და ჩვენი მიმძღვრებლებისაგან უწმინდური საქმეები განვიცადეთ, მიგვიღეთ ჩვენ, წინანდელი მოკავშირეები: გაიჩინეთ მონებად ისინი, ვინც თქვენ მეგობრებად გყავდათ; შეიზიზღეთ მწარე მიმძღვრება, თქვენ მეზობლად რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაკაეული წესი იყო სპარსელებში. უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის. საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინიან. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰკატრონებოდნენ. იმ აზრით რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფეც: რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თვითნებულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაქრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გემძღვრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრიმალე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენ-

ნებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული.

(541 წ. მაზლ.)

თამარ მეფე

წერილი რუმის სულთნის ნუქარდინის მიმართ

ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიაამის მეედრებელმან, და პატიოსნისა ჭუარისა სასოებით მოსავმან წარვიციტხე ღმრთისა განმარისებელი წიგნი შენი, ზი ნუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჳე ღმერთი იყოს; არა გასმიესა, რამეთუ „ყოველი ცრუდ მფუცავი სახელსა ღმრთისასა მის მიერ აღიკოცოს“?

შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმერთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწვენასა ქრისტეს ჭუარისასა, რომელსა შენ ჰკმობ.

ესე-რა-ვითარი შემოგეთუალა, წარმომივლენია მკედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანის-ცემად. არამედ დამკობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი! ხოლო მე უწყვი დაქსნილობა მსახურთა შენთა. ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერკნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან.

(1205)

რუსულან მეფე

წერილი რომის პაპის ჰონორიუს მესამის მიმართ

უწმიდესს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით.

როგორც უდიდესი და უმაღლესი ბრძანდებით, ისე ღვთისაგან იმედი მაქვს, უფალმა შეგისრულოსთ ყოველი თქვენი გულითადი ნატვრა. უკეთუ თქვენდამი წარმოგზავნილი წერილის გამო ჩვენთვის გულმოდგინედ ხართ და იკითხავთ ჩვენს ამბავს, ვაუწყებთ თქვენს სიწმიდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო. აწ ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყვით, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსტანიით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდგით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნილგან გავდევნეთ. აი, ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით.

ხოლო აწ დიდად განვიხარეთ, რა შევიტყუეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთ. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვევედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმიდესობას, რათა მოგვწეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელს დავითს, ანის ეპისკოპოსს, ისე ერწმუნეთ ყველაფერში, ვითომც ჩვენის პირისაგან გსმენოდეთ. თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ.

(1223)

მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 7—8.

ბიორბი მერკე

წერილი ბურგუნდიის მთავრის მიმართ

ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის დუკას, მე, გიორგი საქართველოს¹ მეფე, მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. ამ წიგნს გწერთ, რათა სცნოთ, რაც ვპყავით ამჟამად აღმოსავლეთში. აწ უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთ შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცეთ, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კოსტანტინეპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა. მე თითონ პირადად 40.000 კაცით უნდა წავიდე, დავით ტრაპეზუნტეს იმპერატორი შეგეპირდა და მზად აქვს 30 ხომალდი 20.000 კაცით. სამეგრელოს მეფე ბენდია მზად არის მთელის თავისი ჯარით. ყვარყვარე საქართველოს მთავარი თვით მოდის 20.000 ცხენოსნით. ანაკოფიის მთავარი რაბა (ფაბია) შემოგვპირდა წამოსელას თავისი ძმებით, თავადებით და მთელის თავისის მხედრობით. მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკ ჩვენის ლაშქრობისათვის შემოგვპირდა 20.000 კაცს. ხსენებულ კავშირში არიან კვალად სხვა ერნიც — გიტარანები და სხვანი, ეგრეთვე თათრების სამი ძლიერი მთავარი, რომლებიც მზად არიან დაუწყონ ჩხუბი ოსმალებს, ესე იგი, კოსტანტინეპოლის მფლობელ ოსმალებს. იმათგანი ერთი არის ყარამან, მეორე ისმაელ-ბეგი, შვილი უწინდელის მთავრისა, მესამე პასან-ბეგ მესოპოტამიის მეფე,

¹ ლედანში შეცდომით წერია — სპარსეთის.

შეილი ყარაილუკისა, რომელიც ძლიერი და დიდი მტერია კოსტანტინეპოლელი ოსმალებისა და მზად არის ყველა თავისი დანაპირები აღასრულოს. აქ ხსენებულთა ამის შესრულება ერთმანეთს შეეფიცეთ. მუხანათი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, იმ პირობით კი, თუ თქვენ ლათინებიც ჩვენთან ერთად იქმნებით და თქვენის მხრით ოსმალებს ომს დაუწყებთ.

გარნა თუ არ ისურვეთ ეს ომი, მაშინ სრულებით ვალდებულნი აღარ ვიქნებით, შევასრულოთ ის, რასაც ერთმანეთს შეეპირდით. ამიტომ გვედრები, ყველაფერს თავი დაანებოთ და ამ ომს მოაქციოთ ყურადღება და ჩემსავით არც უკან დაიხიოთ ასეთი წმიდა საქმისათვის რომლისამე სიძნელის გამო. უკეთუ ყურადღება მიმექცია სხვადასხვა სიძნელისათვის, თავის დღეში ვერ დავემორჩილებოდი ბატონს ჩვენს პატრიარქს, რომლის შემწეობით და ბრძანებით ჩვენს შორის მშვიდობა დამყარდა და დაიდვა ეს კავშირი. აწ თუმცა ამ მორიგებამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც კი მოხარული ვარ, რადგან ამის მაგიერად ღვთისაგან მოველი სულიერ სასყიდელსა. აწ სხვას არაფერს გწერ, რადგან ჩვენს ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნი ჩემს ელჩსა, რომლისაგან ყველაფერს შეიტყობთ და რომელსაც გავედრებ. მას მოუსმინეთ. გთხოვ, თქვენი პასუხი წერილით გამოატანოთ, რათა ვსცნოთ თქვენი აზრი და გარდაწყვეტილება. ქრისტეს მიერ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. დაიწერა ჩვენს ბანაკში ახლოს კარაეისა.

1459 წლის ნოემბრის 5.

მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართულთა შორის, გვ. 59—60.

ყვარყუარე ათაბაგი

წერილი ბურგუნდიის მთავრის მიმართ

ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის დუკას, მე, ყვარყუარე საქართველოს მთავარი, სიყვარულით მოგიკითხავ.

დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყე, რომ ძლიერ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმიდა სარწმუნოების პატივსა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმიდესი სარწმუნოების დასაცველად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დაესდვა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მაშიჩემის სიკვდილის შემდგომ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ხოლო აწ ბატონი ჩვენი პატრიარქის ლუდოვიკეს ბრძანებით შევეურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა და გარდავსწყვიტე მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორათაც დავპირდი ჩვენს ბატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20.000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებისათვის არა მარტო შევეურიგდი, არამედ პირობაც შევკარი და კავშირი დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანე მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვსძლიოთ ოსმალთა, რომელთაც დაიპყრეს კოსტანტინეპოლი, ხოლო კავშირი ვუავით: მე, გიორგი საქართველოს მეფემ, დავით ტრაპეზუნ-

ტის იმპერატორმა, ბენდია სამეგრელოს მეფემან, რაბია ანაკოფიის (აფხაზეთის) მთავარმა და ბერდებეგ მცირე სომხეთის ბატონმა. ამათ გარდა ჩვენი მოკავშირენი სხვანიც არიან. ის მოკავშირენი თუმცა ურწმუნონი არიან, მაგრამ ძლიერ მთავრებად ითვლებიან და დიდი მტრები არიან კოსტანტინეპოლელი ოსმალებისა. ისინი არიან შემდეგნი: ყარამან, ძველი მართველის ისმაილ-ბეგის შვილი, და პასან-ბეგ, უწინდელი ყარალუკის შვილი. რადგან პასან-ბეგ აქეთ მხარეს კოსტანტინეპოლელი ოსმალების საზღვარზედ არის, დაგვიჩრდა, რომ გზა მოგვეცეს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც უნდა მოვიდეს ჩვენთან ყოველი თავისი ჯარით ასაღებად ბერსის ქალაქისა, რომლის დაპყრობაც თვითონ უნდა. ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდევით, რომ მუდამ იქნეს ქრისტიანების დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთუ თქვენ, ლათინის მთავრები და ერი, წამოხვალთ იერუსალიმის წმიდა ადგილების დასაპყრობად, ის ვალდებულია ყველანაირად შეგეწიოსთ თქვენ, რაოდნათაც კი შეუძლია.

აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით და ეგრეთვე თანახმად წერილისა ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადონ ურწმუნოებთან საომრად. ხოლო დიდად ვნატრობთ, რომ თქვენც შემოგვიერთდეთ ამის აღმასრულებლად.

ამიტომ ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნით ჩვენს ელჩებს, ყველა ლათინის მთავრებთან და უფროს ერთად თქვენთან, რადგან შევიტყვეთ რომ დიდი ხანია ძლიერ ნატრობთ წმიდა ადგილების დაპყრობას. აწ ჩვენის ელჩებისაგან სცნობთ, თუ ჩვენ ყველანი რაოდნად მოწადინებულნი ვართ ამ სარწმუნოების საქმეში და თუ მისთვის რა გავაკეთეთ ამ დროებში. კვალად დიდად ვნატრობთ და გვედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად შეატყობინოთ, თუ მზად ხართ გვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიტყურნეთ საომრად. ამასაც გვირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაშივე დავიპყროთ მთლად ანატო-

ლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინეპოლელ ოსმა-
ლოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები,
რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ
დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც
ოსმალეთი ესე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება,
მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოესპობთ:
ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთაერებზე უმეტესად თქვენ
გვედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხე-
ლიდგან არ გაუშვათ კაი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც
დამცირებლად მიიჩნით ჩვენი მომხრეობა, ვინაიდან ყველა-
ფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს
დავსდგომიყავით. უკეთუ აწ დაიზარებთ და ყურადღებას არ
მოაქცევთ ამას (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ სრულებით
აღარაფერს ვიქმთ, რადგან იმ პირობით შევერთდით ურწმუ-
ნოებთან საომრად, უკეთუ თქვენც, მთავარნი ლათინნი ჩვენ-
თან შეერთებულ იქმნებით. თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი
ხელშეკრულობა უქმია, რადგან ყველა ჩვენი რჩევა და გადა-
წყვეტილება დამყარებულია ბატონი პაპის წერილზე, რომე-
ლიც ჩვენმა ბატონმა პატრიარქმა მოგვიტანა და რომელიც მის
ნამდვილ წერილად მიგვაჩნია.

დასასრულ, უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან
ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გუ-
ლით მოინდომოთ, ვერაფერს გააჩიგებთ, რადგან უსჯულო
ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ
შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ.
თუმცა ბევრი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ეს ვიკმარე,
ზოგსაც ჩემი ელჩი მოგახსენებს. უსმინეთ ყველაფერი უეჭვე-
ლად. ეგრეთვე დაგავედრებ მას. ქრისტეს მიერ ბრძანდებოდეთ
მშვიდობით.

ლაიწერა ქარციხეს (ახალციხეს), 1459 წ. ნოემბერს.

მ. თამარაშვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 57—59.

ნიკოლოზ ტფილელი

სიტყვა, თქმული რომის პაპის პიო მეორის წინაშე

თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამო მინორიტების წესის ბოლონიელი ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანთოვას ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა მაჰმედს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუწყოთ და ნატრობთ, ჩვენმა მთავრებმაც ახიაში ომი აუტეხო, როდესაც ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან მათ სძულსთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120.000 მეომარნი მზად არიან ეომონ მაჰმედ იმპერატორს ახიაში, ვიდრე პელესპონტამდე, თრაქიამდე და ბოსფორამდე, როდესაც თქვენ ინებებთ და თუ თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს. ამიტომ წარმოგვგზავნეს და ეგრეთვე მისთვის, რათა ვემთხვიოთ თქვენთა ფერხთა, ვითარცა ამ ქვეყანაზე ღეთის ნაცვლისას. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ჩვენთან შეერთებულნი არიან ბენდია აფხაზეთისა და სამეგრელოს მეფე, ბაგრატ (მეფე) ივერიელებისა, რომლებსაც აწ უწოდებენ გიორგიანებს, და მამია¹ მარკიო გურიელი... აწ მხოლოდ ამას

¹ დედანში შეცდომით წერია — მანია.

გთხოვთ, რომ ლუდოვიკე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოს პატრიარქად იმათზე, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენ საყდართან შეერთებულნი არიან.

(1460)

მ. თამარაშვილი.

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 61—82.

ალექსანდრე პირველი

წერილი მოსკოვის მთავრის იოანე ვასილის ძის მიმართ

დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მდაბალი თაყვანისცემა. უწყებული იყავ, რომ შორეული ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით ახლო მყოფი მდაბალი (მცირე) ყმა შენი ალექსანდრე სალამს (თაყვანისცემას) მოგიძღვნი. ბრმათათვის სინათლევ, ლაჟვარდოვან ცის ვარსკელავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სიმტკიცევ) ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევ, ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ლატაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყნის მრისხანე ხელმწიფევ. ყოველ მთავართა მართლმსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებავ, (წმიდა) ნიკოლოზისათვის აღთქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებით ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მადლით. და კიდევ გვეუწყოს — მრავალი თაყვანისცემით თქვენს კარზე წარმომივლენია ნარიმანი, დამიანე და მათთან ერთად ხოზემარუმი შაქელი, თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. ღმერთმა ბედნიერი ყოს ჩვენი ელჩობა. ღმერთმა ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილიყო. თქვენი ყმობის უღირსი ალექსანდრე. ხოლო დაიწერა ოთხმოცდათერთმეტსა წელსა, იანვარში.

თ. ც ა ნ ც ა ძ ე
ძიებანი..., გვ. 236—237.

სიმონ პირველი

წერილი რომის პაპის პავლე მესამის მიმართ

სიმონ. წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა, — ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპასა, რომელიც ხართ ოქროს ნაღარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულ ორღანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამდღა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მნათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, — დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს წმიდა მარკვენასა. კურთხეულ იყოს მამა ღმერთი, ძე და სული წმიდა ყოვლად წმიდა უბიწო ღვთისმშობელისათანა.

მივიღეთ თქვენი უწმიდესი და პატიოსანი წერილი, რომელიც მოგვიტანა ეჩმიაწინელმა ტერ იაკობმა, დიდის სკვიტის პროკურატორმა. რადგან მისი წაკითხვა არ შეგვეძლო, მანვე პირად მოგვითხრა, რაიც დიდად სათნო გვეყო. განუზომელად განვიხარეთ თქვენის უპატიოსნესობისა და წმიდა მეუფეობის გამო, რომ ხართ მეფეთა სამკაული, გამარჯვება და დიდება; რაის გამო დიდად გულნებიერი მადლობა შევსწირეთ ყოვლის

მპყრობელ ღმერთსა, დედოფალსა ჩვენსა ღვთის მშობელსა ქალწულს მარიამსა და ცხოველმყოფელსა ჭვარსა. ინებოს და მოგვანიჭოს ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ჩვენ და ყოველ ქრისტიანეთა უდიდესი ძლიერება და მრავალი გამარჯვება უსჯულო აგარიანთა ზედა; ეგრეთვე თუ ჩვენ და თუ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანეთ აღგვიმატოს იმედი, ნუგეშინისცემა და დიდება და არცხვინოს იგინი, რომელნიც არ აღიარებენ ქეშმარიტ სარწმუნოებასა. ვევედრებით ყოვლად სახიერ ღმერთსა, დაიკვას თქვენი უწმიდესობის დიდი საბრძანებელი და თქვენის წმიდა ლოცვით ჩვენც გვიხსნას მტერთა უსამართლობისაგან.

ეგრეთვე ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ ნეტარმა მამაჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სიწმიდეცა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიანთაგან; მან ირჩია თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება. ამის შემდგომ, ღვთის შეწევნით, ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის! დავწყლულდით ომში, ტყვედ დავგიკირეს სპარსელებმა და ჩავგვადღეს საპყრობილეში. გარნა ღვთის ნებით და შემწეობით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვლად აღვედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი; მრავალგზის შევებით ოსმალებს. ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ! მაგრამ მაინც გული რა გავიტეხეთ. ჩემ თავს გავსწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორჯა შვილისაც; დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჭვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე და არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის.

აწ, ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა

და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით; ღმერთი სამაგიეროდ მოგაგებს ზეციერ სასუფეველსა. ვიდრე ცოცხალ ვართ, ღვთის შეწევნით და თქვენის წმიდა ლოცვის ძალით, არაოდეს აღვასრულებთ აგარიანთ ნებას. მაგრამ არ ვიცით მომავალში რა მოგველის და რა იქმნება. ამიტომ ვშიშობთ, სახიერება სირეგვინდ არ გარდაიქცეს და უსჯულოებაში არ ჩავცვივდეთ. ამიტომ მოვახსენებ თქვენს უწმიდესობას, შეეწიეთ. უყავთ წყალობა ქრისტიანებს და დაიხსენით უსჯულოთა ხელთაგან. გვედრები და გთხოვ, თქვენს წმიდა ლოცვებში ნურასდროს დაგვივიწყებთ. ეგრეთვე ნუ დაივიწყებთ ჩვენთან მოწერას, რათა ვიცოდეთ თქვენი და თქვენის კეთილის ქრისტიანე ერის კარგი ამბავი. ჩვენი გულის ყველა ნატერას მღვდელი ტერ იაკობ მოახსენებს თქვენს სიწმიდესა. თქვენი წმიდა ლოცვა იყოს მარადის ჩვენთან. სულით და გულით თქვენი მეგობარი. ამინ!

წელსა 7104, ქრისტეს აქეთ 1546, 9 ინდიქტიონსა.

მ. თ ა შ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 76—78.

[თარიღი მცდარია, სავარაუდოა—1596.

თეიმურაზ პირველი

წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ

რომის დიდს მწყემსსა.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. აღვიარებთ და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას, ერთს ღვთაებას და ერთს სუფევასა. სიხარულით სავსე მოგმართავთ და ვისწრაფევით თქვენის სიწმიდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოდღერება, რომელიც მოციქულებმა ასწავეს, განუხრწნელად დავიცევით და ეგრეთვე კვალად აღვედით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთიდგან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად ბრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა სამებასა, ეგრეთვე ჰფენთ სოფლად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ. თქვენ ხართ პატივი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰქადაგეს, თქვენ ყოველივე უწყით. პეტრემ განასწავლა სოფელი და განაბრწყინა. ესევე ვალდებულება გაძევსთ თქვენ. აღკურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი. ამ წერილით მოკრძალებით წარვსდგებით თქვენს წინაშე და რიდითა და მისალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფერხთა, ვინაიდგან ყველას უკვდავების წყალს ასმევთ საუკუნო ცხოვრებისათვის. ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი სარწმუნოებისა, მთავარი მთელი ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყო-

ველთა. დარწმუნებული ვართ, რაც უნდა გთხოვოთ, ყოველ-სავე სიამოვნებით მოგვანიჭებთ.

ლეთის შეწევნით და თქვენის უწმიდესობის ლოცვა-კურ-თხევით მივიღეთ მეფობა. აწ გთხოვთ, თქვენის ბრძანებით და-გვამტკიცოთ. ჩვენც ჩვენის მხრივ გაირღებით მორჩილებას და პატივისცემას. ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირადაც ჩხუბი მოგვდის მათ-თან. მაგრამ ლეთის შეწევნით არც ერთ მათგანს დავეძო-რჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავსთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგორათაც ღმერთი მამა ყველა არსთა, მსგავსათვე თქვენც ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა. თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ისპანიის მეფესთან. ამის შესახებ მას მივწერეთ. ამიტომ გვედრებით და გთხოვთ, თქვენც ეცადოთ, რათა იგი დათანხმდეს. მღვდელი ნიკიფორე მოგართმევსთ ამ წერილს, რომელიც აღვწერეთ ძლიერ მარტივად. აწ ჩვენი უდიდესი ნატვრა ეს არის, რომ შევიქმნეთ სათნო საყოფელი თქვენის უწმიდესობისა. თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვსთ უსაზღვრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგე-მორჩილებით.

ქართლით, 20 ნოემბერს, 1622.

მ. თამარაშვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 93—94.

მეორე წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ

ჩვენ ბატონს ურბან მერვეს, უუმაღლესს მწყემსსა.

თეიმურაზ-ხანს, ივერიელთა მეფე.

დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს უწმიდესობას თქვენის ლოცვა-კურთხევისათვის. მივიღეთ თქვენის უწმიდესობის წერილი პატრი პეტრე და პატრი იაკობ თეათინელი მონაზო-ნებისაგან. როგორც იყო ამ ხანებში ესენი მშვიდობით მოვი-დნენ აქ, ვითარცა სანატრელ იყო. ჩვენც ეს მამები დიდის სიამოვნებით და წმიდა ამბორისყოფით მივიღეთ და მივაგეთ ყოველნაირი პატივი: არ დავზოგეთ არავითარი სამსახური,

რაც კი მათ ეპირვებოდათ. ეგრეთვე ვუბოძეთ საუკეთესო ადგილი თავიანთ სადგომად და ერთი ეკლესიაც; რათა თავისუფლად იყვნენ და ღმერთი აღიდონ ღლედალამ ღვთის ტაძარში; ყველა ჩვენ ქვეშევრდომთაც ვაცნობეთ ჩვენი სურვილი, რომ გვენებას ამ მამებმა უშიშრად და თავისუფლად აღასრულონ ღვთის მსახურება თავიანთი სჯულისა და წესისამებრ, რათა არავინ გაბედოს მათი შეურაცხყოფა და რაიმე ვნების-მაყენება. მასთანვე ვუბრძანეთ ყველას, რომ მათ მოეპყრან კრძალვით, გულუხვად ემსახურონ და აღმოუჩინონ შემწეობა, რათა უფრო ადვილად ემსახურონ ღმერთსა და ილოცონ ჩვენთვის.

რაიცა შეეხება, უნეტარესო მამაო, თქვენს წერილსა, რომლითაც გვითვლით ჩვენის ერთიერთ გულმოდგინედ და მორჩილებით მოვუსმინოთ ამ მამებს მოძღვრება, მტკიცედ და შეურყეველად დავრჩეთ ქრისტეს სარწმუნოებისა და უფლის გზაზედ, ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ყოვლის მპყრობელ ღმერთს მუდამ ეამს მადლობას ვწირავთ, რადგან დიდი კოსტანტინეს დროდგან ვიდრე აქამდე, ქრისტეს სარწმუნოება და მისი სიყვარული ისე შეუცვლელად დავიცევით, თითქოს ღვთის მიერ ჩვენს გულში ღრმად აღბეჭდილი ყოფილიყოს ის სიყვარული და ის სარწმუნოება. მართალია, ჩვენი სამეფო 1614 წლიდგან ვიდრე 1628 წლამდე ხელში ჩაუვარდათ უწყალო სპარსელებს, რომელთაც ერთიან მოაოხრეს და ყოველგვარი უბედურება შეამთხვიეს, მაგრამ მაინც კი სარწმუნოება შეურყეველად და მტკიცედ დაიცვა. ჩვენც დიდად ვიმეცადინეთ, რათა არავითარი მწვალებლობის შეცდომილება შემორჩეოდა ჩვენს სარწმუნოებას. ეგრეთვე დიდი სასოება გვაქვს ღვთისა, რომ ამავე სარწმუნოებაში მტკიცედ დავრჩეთ და განუხრწნელად დავიცვათ იგი ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. ამას ესასოებთ მეტადრე ახლა, როცა ღვთის წყალობით და თქვენის უწმიდესობის მამობრივის ლოცვა-კურთხევით მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს სამეფოში. აი, ეს ქრისტიანე სარწმუნოება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელ დედა ჩვენი წავიდა სპარსეთის მეფესთან სათხოვნელად, რომ ყველა მის ხელში ჩავარდნილ ქართველებს, რომლებსაც სარწმუნოების უარი ეყოთ, შესძლებოდათ თავისუფლად და უშიშრად დაბ-

რუნებულიყვნენ სამშობლოში და შესდგომოდნენ თავიანთ უწინდელ სარწმუნოებას. მაგრამ, საუბედუროდ, სულ სხვა მოხდა; იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სიწმიდისა და სარწმუნოებისათვის, ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე და თუ დედაჩემზე გაბრაზებულ-განძვინარებულმა მეფემ და მისმა ულმობელმა ერმა მწარედ დაუწყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა. ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდგან წმიდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს, ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფეველის სავანეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის.

რაც შეეხება ჩვენის სამეფოს აწმყო მდგომარეობას, ძლიერ სამწუხაროა. თვით ეს თეათინელი მამებიც თვალთ ხედვენ თუ ხისა და თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოახსენებენ თქვენს უწმიდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაში ჩვენი ეკლესიებია, რადგან მტრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები, არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს. ამის გამო დიდად ვევედრებით თქვენს უნეტარესობას, ხსენებულ მამებს უშოვნოთ ყველა ის, რაც ეჭირვებათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებისათვის და შესამკობლად, რათა უმეტესის სიაღვილით გაეხსნასთ გზა სანატრელის შეერთებისათვის.

დასასრულ, უკეთუ ჩვენში თქვენი უწმიდესობისათვის რაიმე სამსახურის მიგება შეგვიძლია, გთხოვთ გვიბრძანოთ და. რაც კი შეგვიძლია, ვეცდებით, ყოველივე მაშინვე აღვასრულოთ, რათა სიკეთისათვის მაგიერი მოვაგოთ.¹

საქართველოთი, 5 იანვარს, 1629 წ.

¹ იქვე, გვ. 107—109.

ალექსანდრე მესამე

სიტყვა, თქმული რომაელი პატრის ქრისტეფორე კასტელის
წინაშე

ღეთის მონაგ, კარგა ხანია თქვენმა სათნოებამ განაბრწყინ-
ნა საქართველოს სამეფონი. თუ ჩემი სამეფო უკან ჩამორჩა
სხვებს და თქვენი სიკეთე არ ელირსა, ამის მიზეზი ის კი არ
იყო, რომ მე და ჩემი სამეფო თქვენს აქ ყოფნას არ ვნატრობ-
დით; არა, ამის მიზეზი სულ სხვა სამწუხარო ამბავი იყო. რა
შევიძელი თქვენი მოწვევა, მაშინვე მივმართე ჩვენს ბიძა-
შვილს მეფეს დადიანს და ვსთხოვე თქვენი თავი, რომელსაც
დიდი ხანია ვნატრობდი. რა კეთილ ინებეთ და მოხვედით, დი-
დად გავიხარეთ. ამის უმეტეს სიკეთეს თქვენ ვერ გვიზამდით.
აწ დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი პატივისცემა და შემ-
წეობა არ მოგაკლდებათ, ყოველი თქვენი ნება ასრულებული
იქნება, თქვენს დაცვას ჩემს ვალადა ვრაცხ.

(1644)

მ. თ ა შ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 215.

ვახტანგ მახუთა

წერილი რომის პაპის კლიმენტი მეათის მიმართ

ბრძანებითა ღთისათა და წყალობითა მეუფისათა, რომელი განაგებს ყოველთა არსთა, შესაქმნისთა ქვეყანისათა იპყრობს და მკირველობს მისთა ძალითა დადგინებული ქელმწიფე, ტახტსა ზედა მკდომარე ვახტანგ გორგასალისა და დაევით აღმაშენებლისათა წინასწარმეტყველისა დაევითისა და სოლომონის ტომი და ნათესავი, მპყრობელი და მფლობელი ქართლისა და კახეთისა, მპყრობელი და მკირავი საბარათიანოსა და სომხითისა, მპყრობელი და მკირავი ლიხთ იმიერისა და ლიხთ ამიერისა, მპყრობელი და მკირავი საათაბაგოსი, ტაოსი, ბასიანისა, ლიგანისქვეისა და ჭავეახეთისა, მპყრობელი და მკირავი ოდიშისა და გურიისა, მპყრობელი და მკირავი აფხაზეთისა, სვანეთისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, მპყრობელი და მკირავი ოსეთისა, დვალეთისა, ქვესურეთისა, ფშავისა, თუშეთისა და შათთა გარეშემოთა მამორჩილებელი და ქელისა ქვეშე მქონებელი მეფე ქელმწიფე...

მოგიკითხავ სიყვარულითა და გაქებ სახელის დიდებით თქვენ აღმალლებულ და ყოველთა ცისკიდეთა ქუეშთა საჩინო მნათობო ელვარეო, მწყემსად ცხვართა პირმეტყველთა გამორჩეულ და ქრისტეს მცნებისა ქადაგებად გამოჩენილო, მაღალისა და აღმატებულისა სამოციქულოსა საყდარსა გამორჩევით და უსასყიდლოდ დადგინებულ, პეტრე მოციქულისა ტახტის მკირველო და ცხვართა მისთა დამცველო და კლდეო სიმტკიცისაო, ვითარც უბრძანა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან: შენ ხარ კლდე და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი და ბქენი ჭოჯობეთისანი ვერ ერეოდინ მასო და შოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანიო. სიმართლისა და

მართლის განჩინებისა საქმისათვის ბოროტისათვის შემკვრელ და კეთილისათვის გამხსნელო და მრავალთა სულთა ქელთა ქვეშე მქონებელო, სიყვარულითა მათისა ცხოვრებისა თავისმდებელო, მამაო მართლმორწმუნეთა შვილთა, მოყვარეო ზე აღმატებულო და დიდებულო...

მრავალნი თქვენის სახელი გასულისა და სიკეთეზედან ქმა გასმენილს თავის მოკითხვა და კარგად ყოფნის ნეტარება მოგვიხსენებია. მერმე ეს მოგახსენოთ: ეს თქვენი გამოგზავნილი პატრები მოვიდეს აქა და აქ მყოფობა და დადგომა შოინდომეს. ჩუენს ქუეყანასა არც საყდარი ჰქონდა და არც დგომილი იყვენ. ჩუენ თქუენის სახელისა და სიკეთისათვის კიდევ შევიწყნარეთ, კარგაც მოვეპყარით, სასახლე და სადგომიც მივეცით და საყდარიც აღვაშენებინეთ. ამდენი ხანია აქ არიან — არც ჭამაგირი მოუვიდათ, აღარც თქვენი წყალობა. ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რამე და არ მოუვიდათ; თუ არ მოიგონეთ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყვეთ. სადაც სხუაგან, ან ისპაანს და თავრეზს, სადაც გარეშემომში თქუენის სახელით დადგინებული პატრები არიან, ყუელას წელიწადში ჭამაგირი მოუვა. ამათ ხუთი წელიწადია არა მოსელია რა. თუ ჩუენს ქუეყანას ყოფისათვის არას უგზავნით და არას ნალელობთ, ჩუენც არ დავაყენებთ, საყდარს ისევ დავაქცევთ და ამათ გამოყვრით. თუ მათი აქ დგომა გინდათ, ჭამაგირი მართალი გაურიგეთ, როგორც სხუა ალაგის დგომს პატრებს აქუს, და ეს პატრი რაფაელი ისევ გამოგზავნეთ. ამან ჩუენის ქვეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყუელას სიყუარული აქუს ამისი და თქუენის სახელისათვის დიდათ სჯობს ამის აქ ყოფა.

(1675)

მ. თამარა შვილი

სხტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 246—248.

არჩილ მეორე

წერილი რუსეთის მეფეების იოანე და პეტრე ალექსის ძეთა მიმართ

ერთ-არსებისა, სამ-დიდებულისა, სამ-გვამოვანისა, არა თუ სამ-ლთაებისა, არამედ ერთ-ლთაებისა, ერთ-ნებასი, ერთ-ძლიერებისა, წმიდისა სამებისა, რომლისა მიერ ყოველი არსი და საუკუნენი შეიქმნეს და ყოველი დაბადებული მას უძრწის და მისითა ნებითა ჰგიეს სოფელი ყოფილი, მყოფი და ყოფადი. ერთისა მის დაუსაბამოსა ძისა და სიტყვისა შოვ-ლინებითა და განხორციელებითა იხსნა ძენი კაცთანი ეშმაკისაგან შიმძლავრებული. მანვე ძემან და სიტყვამან ღთისამან თვით-სრულმა და მამისად სულის წმიდისა თანასწორმან, ღმერთმან სნეულება და შეურაცხყოფა კაცთა იტვირთა და ვიდრე სიკვდილად დაისაჯა, რათა ჩვენ უვნებლობა მოგვ-მადლოს და ამაღლდა ჯვარსა და ზედან დაწელით წერილი პირ-ველისა მამისა ჩვენისა ჯვარსა შემსკვალა და დაცემულება კაცთა ზეცად აღამალა და არცხვინა მტერსა უკეთურსა და დასთრგუნა მძლავრება მისი, და გამოსტაცა უძღების მუცლისა მისისაგან ყოველი ჩათქმულნი პირველითგანი და აწ მოგ-ვცა შვილთა ნათლის-ღებისათა და რომელთა მართალ-მადიდ-ებლობითა თაყვანის-ვსცეთ წმიდასა სამებასა უკვდება და შვილი მღთისა ყოფა.

კურთხეულ არს სამებითა დიდებული ერთ-ლთაება, რომელმა გამოგირჩიათ, დაგადგინათ მართალ-მადიდებლად შე-ფედ და მსაჯულად ქვეყანისა, დაგადგათ გვირგვინი მეფობი-

სა და შეგვამოსა პორტირი მადლისა და მოგცათ სკიპტრა მართ-მსაჯულობისა და მოწყალებისა. დიდო კელმწიფენო, მეფენო, დიდნო კნიაზნო დიდისა და ცოტასი და თეთრის რუსეთის და ყოვლისა თვით-მპყრობელნო ივანე ალექსის შვილო და პეტრე ალექსის შვილო. მრავალ ჟამცა წარუმართებია მპყრობელსა ცისა და ქვეყანისასა კემწიფობა თქვენი და ყოველი მტერი თქვენი და წინააღდეგი ცხოველი მყოფელისა ჯვარისა ძალიერებითა ჯვარისათა, თქვენსა ფეხთა ქვეშ მოუქცევია. თავს გიკარავ და გეხვეწები მონა თქვენი, მეფე საქართველოსა არჩილ, მოგახსენებ თქვენისავ წყალობისა იმედით სიტყვის.

ამას წინათ დიდს კემწიფებს თავისი დიდის კემწიფობის წყალობის წიგნითა და სიტყვითა კნიაზი აკოლინჩი ფედოლი ფედორეს შვილი ებოძა და ეს ებძანათ მწყალობელის სიტყვით: „თუ შენი ნება იყოს, თერგს დადექო, ამისთვინ რომ შენს საბატონოზედ ახლო იქნებიო და ჩვენ, დიდი კელმწიფენი, მწყალობელი ვიქნებითო და ჩვენ წყალობას ვერვინ წაგართომსო და ჩვენს მოწყალებს თვალსაც გაჩვენებთო“.

მე, თქვენი მონა, თავობითაც ამას გეხვეწებოდი და ამ ბძანებას უკანაც მაგას შემოეხვეწე, რომ თავით შვილით თქვენს წინ თავის დაკვრა მღირსებოდა და თუ მე ცოდვილს ჩემი ცოდვა წინაღმდეგებოდა და ამ ხანათ თქვენის მოწყალებს თვალით დანახვას არ მღირსებდით, ჩემის შვილებისათვის წყალობა გექნათ და თქვენს საფარველს ქვეშ მიგეყვანათ.

აწ, ახლა: კიდევ დიდს კემწიფებს მწყალობელი ბძანების წიგნი ებოძა და ჩემი შვილები თავის მოწყალებს თვალს წინ დაეხარებინათ. ნეტაი, ამ ჩემ საბრალო შვილებსა, რომ თქვენს წინ თავის დაკვრა და თქვენი ხლება და სამსახური ეღირსებათ და ვაიმე, რომ ჩემმა აურაცხელმა ცოდვამა ჯერ თქვენთან არ მამაწევიანა; ოლუნ თქვენის ქრისტიანობის, დიდის კემწიფობის მწყალობელის სიტყვის იმედი მაქვს, რომ ეს გებძანათ: „ჩვენს ნახვას გაღირსებთო“. თორემ ამისი გაძლება ჩემგან ძნელი იყო; აწ, ჩემს ნებას თქვენის დიდებულის მეფობის ნება უზესთესი არის და იყო ნება თქვენი და გაახლებ შვილებ-

სა ჩემსა ცოდვილით პირითა და გულით, ცრემლიანის თვალით, ჯერ ღთისათვის, და მერმე თქვენ დიდნო და მაღალნო კემწიფენო ივანე ალექსის შვილო და პეტრე ალექსის შვილო. თქვენთვის შემოგვედრებია ღთის გულისათვის, მტერთ გულისათ ნურც ამათ გახდით და ნურც ჩვენ გაგვხდით, მამა-შვილი ერთმანერთს მოშორებისათვის შეგვიბრალეთ და მტერს ჩვენზედ ნუ გაახარებთ.

სხვა კიდევ ბძანება ჩვენზე ამათ თქვენს წინ გამოგზავნას უკან ეს არის ბძანება, რომ ჩვენ თერგს დაედგეთ. ჩვენის თავის შებრალებას უკან, ნება თქვენი იყო, დიდნო კემწიფენო, მაგრამ წყალობა იყოს ამ სიტყვისა მოხსენებისა. ზოგი რომელი ყმა თქვენის ბძანებით გავისტუმრეთ; და სხვა რაც დაგვრჩომია ნუსხა გვიახლებია და თქვენის დიდის ხელმწიფობის წყალობის ულუფის ნუსხა.

რადგან თქვენს საფარველს ქვეშ ვართ, ამდენი წყალობა ქენით, რომ გაგვეძლოებოდეს, სიშიშვლესა და სიმშილზე არ ვწუხდეთ. და ჩემი ყმანი, რომელიც დაგვრჩომოდეს, ამათის უქონლობით არ გაგვეყარნეს. კელმწიფეთ მოეხსენება ურჯულო ქრისტიანის მტერია და იმ ქვეყნის გარეშემოს, მაგათს ბძანებას ქვეშ მყოფთა ურჯულოთზე ეს დიდის კელმწიფების ბძანება გამოვიდეს, რომ იმათგან არა გვიშავდეს რა, თუ ვინმე ჩვენის საბატონოსი ჩვენთან ვინმე მოვიდოდეს და ან ჩვენ გავგზავნიდეთ, გზაზე არა უშავდეს რა და ნება და ბძანება მაგათის დიდის კელმწიფობისა და დიდებულისა მეფობისა გათავდეს.

ამასაც ვეხვეწები დიდს კელმწიფეთ, რომ ამისი წყალობაც გვიყონ, რომ რადგან ჩემი შვილები მაგათ საფარველს ქვეშ იქნებიან, ჩვენგან ასე შორს და ჩვენც მაგათ მაღალს კელს ქვეშ ვიქნებით, რომ ხანდიხან ჩვენს კაცს მოვგზავნიდეთ და დიდს კელმწიფებს თავს დაუკრევდეთ და ჩვენი შვილებისა ღმერთმან წყალობა გვიყოს და თქვენმან ბედნიერმა ცოცხალ იყვნენ, მაგათის სიცოცხლის ანბავს შევიტყობდეთ.

დიდო კელმწიფენო, ერთს ღმერთს გარდა თქვენს დიდებულს მეფობას მოვნდობივარ. უწინ, კურთხეულის დიდის კელმწიფის დიდისა და ცოტას, თეთრის, სრულ რუსეთის თვითმპირველის, თქვენი ძმის თეოდორე ალექსი შვილის

მწყალობელის სიტყვის ბძანებით და მერმე თქვენის ბძანებით
თვით შვილებით მოგნდობივარ.

აწ, თქვენ იცით და თქვენმა დიდმა ჴელმწიფობამა და შო-
წყალე გონებამ; ჩემს კელთ ჴერ ღთის და მერმე თქვენის ღი-
დის ჴელმწიფობის ხვეწნის მეტი არა არის რა.

(1684)

М. Броссе
Переписка., стр. 121—124.

გიორგი მეთერთმეტი

წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ

სულისა წმიდისა მადლითა აღსავესა, ყოველთა ბრძენთა შორის გამოცხადებულსა, საყვირსა კმამაღალსა, სამლოთა მქადაგებლობათა მეტყუელსა, მოციქულთა მსგავსსა და მათებრთა მღუღელობათა დიდად საწარმართებელსა და სვეტად აღმართებულსა, ვარსკულავისაებრ მნათობს და ქუეყანასა განმანათლებელსა, ჭურსა რჩეულსა სიწმიდისა, საუნჯესა მოციქულთა მოსაყდრესა და სახიერებისა ბადითა მომნადირებელსა, მწყემსსა კეთილსა და მოძღვარსა სახიერსა დიდისა ღმრთისა ქალაქისა პრომისა პაპასა და ნეტარელსა მამასა ინოჩენციო მეთერთმეტესა წინაშე, გვადრებით ჭეშმარიტისა მეორედ აღმოშობისა და სიწმიდისა მოსავი სულიერი შეილი ნათესაობით ღმრთივ-ცხებულთა მეფეთათვის ტომი პანკრაციონი საქართველოსა საკელმწიფოსა მპყრობელი მეფეთ მეფე გიორგი შემოვემთხვევი წმიდასა და სამეფოსა ნათელმომფენელსა და სასწაულთმომქმედსა, მტერთა ძლევისა განმაქარვებელსა სამეფოსა მარჯვენესა თქუენსა. შიშით და კრძალვით მეტანიასა კეთილად შავალთა ფერკთა თქუენთა, სიმტკიცისა სიხარულსა და აწესერა საიდუმლოსა გულის სიტყუასა მკადრე ვართ, და მოგახსენებთ წიგნითა ამით.

გვინდოდა, რომ ჩუენი კაცი გვიახლებინა, მაგრამ დიად შორი გზა იყო და გზაც აშლილი იყო; ესეც გვინდოდა, რომე პატრი ჯუსტინე გვიახლებინა, მაგრამ მარტო იყო და მონასტერიც უამისოდ უპატრონო დარჩებოდა. ესეც ვარჩიეთ პატრი ანგელოზი გაახელით და ეს მოგახსენეთ სიწმიდესა თქუენსა. ეს მოხსენება ახალი ამბავი არ არის, დიდი ხანი არის, რომე თქუენი სიყვარული ჩუენს გულში დანერგული არის. კურ-

თხეულის მამის ჩუენის დროსა თუ როგორი სიყვარული გუ-
ქონდა და ან ახლა გვაქუს, თქუენს მოვლინებულს პატრებსა
ჰკითხეთ. აწე ამას მოგახსენებთ და ვევედრებით თქუენსა სიუ-
ხვისა წყალობასა, რომე ჩუენ შვილად შეგვიწყნაროთ რაგვა-
რათაც სხვანი ქრისტიანენი გვირგვინოსანნი ქელმწიფენი არიან
თქუენნი შვილად შეწყნარებულნი. კუალად ამასაც მოვახსენ-
ებთ სიწმიდესა თქუენსა: ერთი პირმშო ძე მყავს საყვარელი,
სახელით ბაგრატ. ჩეში საქელმწიფო ტახტი და გვირგვინი, ქე-
ბა და დიდება და ქონებული მრავალმოწყალის ღმრთის ბრძა-
ნებით და თქუენის წმიდის მადლით ამისთვის მინდა და ესეც
ღმრთისაგან კურთხეულს თქუენს ტახტის ნაპირს მინდა ვა-
მორჩილო, რათა ესეც შვილად თქუენდა შეწყნარებულ იქმ-
ნეს.

კურთხეულ არს მრავალმოწყალე ღმერთი და ყოველთა
მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მცველი და მფარველი ყოე-
ლად წმიდა ღმრთისმშობელი მარადის ქალწული მარიამ,
რომე თვისთა ცოდვათა მიერ დასჯილთა და უსჯულოთაგან
შეპყრობილთა ქრისტიანეთა ზედა თქუენის ღირსის ლოცვითა
და მადლითა ღმერთმან წყალობით მოხედა და თქუენის სას-
წაულთმომქმედის მარჯვენით უპირებს გამოხსნასა. თქუენთა
შვილად შეწყნარებულთა გვირგვინოსანთა ქელმწიფეთაგან
მრავალქერ გამარჯვება გვესმა ჩუენში და ჩუენს საქელმწი-
ფოში დიდი სიხარული და მხიარულება არის. სრულიად ჩუე-
ნი საქელმწიფო მარადის ვევედრებიან ღმერთსა, რათა უშეტე-
სად განაძლიეროს ღმრთისაგან კურთხეული მარჯვენა თქუე-
ნი და წმიდისა სამებისა და ერთარსებისა მართალ-მადიდე-
ბელთა სახელოვანთა ქელმწიფეთა მტერთა ზედა ძლევა. შერ-
მე კიდევ ეს მოვახსენოთ თქუენსა ღმრთისაგან სამართლია-
ნად შეყუარებულს თავსა: ჩუენი საბატონო და ალაგი ყაენს
მორჩილობს და მის უბრძანებელს ვერასა ვიქთ, თვარემ რად-
გან თქუენის ლოცვით თქუენს შვილად შეწყნარებულთ გვირ-
გვინოსანთ ქელმწიფეთაგან გამარჯვება და ურჯულოთ მტერ-
თა ზედა ბრძოლა მოგვესმა, ჩუენც ვეცდებოდით ღმრთითა
და თქუენის მადლით, რომ ჩუენის საქელმწიფოთ თქუენის
მტრისათვის ბევრი ავი გვექმნა, თქუენთვინაც გვემსახურები-
ნა და თქუენთა მორჩილთა ქელმწიფეთათვის თავი გვეცნობე-

ბინა. აწეცა ჩუენის საკელმწიფოთა და ბრძანების მორჩილთა საქართველოს ლაშქრით მზა ვართ, თქუენს ბრძანებას ველით, რომელსაც თქუენი ლოცვა და კურთხევა დაგვარიგებს. იმისი მქნელი ვართ. ეს კემშარიტი და მართალი მოგვიხსენებია. ვინც თქუენის, კურთხევის მორჩილობის შვილი იყოს ამაში სიმრუდის ეკვი ნურა აქვსთ რა. რადგან თქუენ შორს ბრძანდებით და თქუენი ნახვა ჩუენთვის სანატრელი არის, ჩუენი აღსარება პატრის ჭუსტინოსათვის მოგვიხსენებია და ეს არის ჩუენი მოძღვარი, რასაც ეს დაგვარიგებს ამის დარიგებულს არ გადავალთ.

თვესა აპრილსა ოცდაცხრას, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთათას ექვსას ოთხმოცდაშვიდსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ათსა.

მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 887—889.

ეპითიმე რატიშვილი

წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეტერმეტის მიმართ

მრავალეამიერიტა სიბრძნითა აღსავსეს, ფრიადთა საცნრ-ბელთა ღმერთისმსახურებისა გამოძიებელისა ვითარებათა და რაოდენობათა ფერად-ფერადთაგან ყვავილთა შემკულთა ღმრთისმეტყუელებისა გოლეულთა თაფლთა მსგავსად მწრთო-ლვარესა, ჟეროვანთა კეთილთა წარმატებელსა, ორკერძოვე მრავლით კერძო ღმრთის სიყვარული შესაკეთებულსა. ეთერ-პირ სიბრძნისასა და წყაროსა ღმრთისა მეტყუელებისასა, ორ-პირ-მახვილ მსწრაფლ-მკვეთელ მტერთასა. საკმარისა მონაზონ-თა და მღუდელთა დღითი დღე კეთილ განმგეობით ცხოვრებუ-ლსა, დიდისა და ცათა მობაძავისა ეკლესიისა სვეტსა, მას შინა დამყარებულსა ნათელსა, მწყემსსა ჰემმარიტისა, მოძღუარსა სახიერსა და ყოველთა ქრისტიანეთა სიქადულსა, მოციქულთა თანასწორსა და საყდართა მისთა მჭდომარესა დიდისა ღმრთისა ქალაქისა პრომისა მპყრობელსა სანატრელსა ინოჩენციო მე-თერმეტესა... წინაშე. აღვიარებ და ამბორს უყოფ წმიდასა და სანატრელსა სამეუფოსა მარჯვენესა თქუენსა, მადლისა და სი-წმიდისა თქუენისა მოსავი, უღირსი მონა უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი. დიდისა ღმრთისა ეკლესიისა საქართველოს განმანათლებელისა სამთავროსა მლთაებისა საყდრისა საქეთ-მპყრობელი სრულიად საქართველოს მთავარეპისკოპოზი ეფთ-ვიმეოს მოვალ წინაშე თქუენსა სიმდაბლით პირ-მიწა-გაერთე-ბით, შევიტებობ ნათლით სავსესა პატრონებასა თქუენისა არა ქორციელად, არამედ სულით და დავნერგავ სიყვარულსა შო-რის თქუენსა და ჩემსა, რომელსა გვიბრძანებს უფალი ჩუენი იესო ქრისტე: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი, ამინ! — გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და მას ზედა აღვაშენო ეკლესია

ჩემი და ბქენი ჯოჯოსეთისანი ვერ ერეოდენ მას და მიგცნე კლიტენი სასუფეველისანი“.

შენ ხარ მწყემსი იგი სანატრელი და შენთანა მკვიდრობს კმა ესე ჭეშმარიტებისა, მწყემსობ მართლად და მალნიტებ მოიზიდავ ცოდვითა შეპყრობილთა და სარწმუნოების გადრეკილთა და ერთ-სამწყემსო ჰყოფ და შემოპყრებ ეზოსა შენსა. ესე არ კმა ქადაგებისა თქუენის ყოველსა ქუეყანასა ზედა, ხოლო მე სულიერსა შეილსა შენსა მსურის სიყვარული შენი და არა განეეშორები სიწმიდესა თქუენსა.

აწე ეს მოგახსენოთ: ჩუენს ღმრთისაგან კურთხეულს მეფეს გიორგის, სრულიად საქართველოს ეპისკოპოზთ და მონაზონთა და ერის კაცთა დიდი სიხარული აქუსთ თქუენის გაძლიერებისა და მტერთა ზედა ძლევისათვის. კუალად ვევედრებით ღმერთსა, რათა უმეტესად განაძლიეროს და აღამაღლოს მარჯვენე თქუენი და თქუენთა მორჩილთა შვილად შეწყყნარებულთა კელმწიფეთა. ჩუენს ამბავს თქუენის მოვლინებულის პატრი ჯუსტინოს წიგნი და პატრი ანგელოზი მოგახსენებს, რომელიც ჩუენმა კელმწიფემ მოგახსენათ ყუელა ჭეშმარიტი არის...

ქრისტეს აქეთ ათას ექუსას ოთხმოცდაშვიდსა, ინდიკტიონსა მეფობისა გიორგისსა 10.

მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 810—811.

სულხან-საბა ორბელიანი

წერილი რომის პაპის კლიმენტი მეთერთმეტის მიმართ

წმიდა პაპასა რომისასა, მეთერთმეტეს კლემენტოსს.

ზეცისა სასუფეველისა კლიტეთა მპყრობელსა და ქუეყანასა ზედა წმიდათა შესაკრებელთა თავსა, თავისა მის მოციქულისა პეტრეს მოსაყდრესა, იესოს ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა ცხოვართა მართალსა მწყემსსა, წმიდათა უაღრესსა ცრემლით და შევრდომით აღუარებ ყოველთა ცოდვათა და ვევედრები წმიდათა ფერქთა მთხვეველი მეუღლითურთ ჩემით, მინდობილნი მადლისა მაგალითისანი, რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღწოცად ვევედროს ღმერთსა, და წმიდა კურთხევა მათი მოგეფინოს და ლოცვა ყოს ჩუენ უღირსთათვის, რათა სიმტკიცე ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყეველად. სიტყვით და საქმით უწყით, რამეთუ შენ გაქუს კელმწიფება მიტევებად ცოდუათა, რომელი მოგვა განკსნა და შეკრვა იესო ქრისტემან.

თქუენის მადლის მფარველობითა უხილავ მტერსა ზედა მომეკმარე, თუ არა ხილულს მტერს ჩემზედ არა შეუძლია რა.

ოღონ ეს ვინცავინ აქ მართლმადიდებელნი არიან, ამათზედ თქუენი ლოცუა და საქმითაც მოკმარება იყოს, ხილეულის მტრებისაგან დიდს ჭირს არიან.

ყოველთ ცოდვილთ უცოდვილესი ორბელისშვილი სულხან ყოფილი, მონაზონი საბა, მიწა ფერქთა თქუენთა.

1709, აგვისტოს 15.

მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 311—312.

წერილი რომაელი კარდინალის მიმართ

დიდსა და ღირსს უფალსა.

დიდებულო. ვიცი, რომ თქვენ ვერ მიცნობთ. მე თქვენის სამსახურის ღირსი სულხან-საბა ორბელიანი, წმიდისა ბასილის მონაზონთაგანი, სიწმიდისა თქვენისა მოხსენებას ვიკადრებ. თქვენს ღირსეულებას რომ პატრი კათუჩინები ჩუენს ქუეყანას გამოეგზავნა, მათგან შევიტყე თქვენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიად ცდილობთ ჩუენს ქუეყანას. ამისთვის დიდად მადლს გარდვიხდი, და თქვენს სიწმიდეს თაყვანსა ვსცემ სრულ ქართველიანად.

რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს დიდებულს ფრანციის მეფეს ჩუენის მეფისათვის წიგნი მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ. მერმე ამისი ნდომა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპის ფეკს კოცნა მელირსოს. მაგათის ბრძანებით უფრო მრავალი პატარები გაიგზავნოს, რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციის დიდი მეფე ჩუენი მეფის მოხმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქუეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი გუნებით და სიყუარულით ახლოა ამ წმიდას რჯულზედ, და მალე მას გაამრავლებს.

ეს ვიცი, თუ უფროსად წმიდა მამა ჩუენი თავის შვილს ფრანციისს მეფეს ტებილად ასწავლის, და ფრანციისს მეფე მოინდომებს, ჩუენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩუენთვის დიდი საქმე იქმნება, რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის.

ღირსი პატრი უფროსი იაჯინთო, წმიდის ტერეზიას პატარების მთავარი, მარჩილიას დამხვდა, თავის მონასტერში დამაყენა და დიდად კელი შემიწყო. ჩუენგან რა სამსახური გაეწყო, მადლს მოვახსენებ; შევიტყე, რომ თქუენი ღირსი კმაყოფილა. რადგან ასე კარგა დამხვდა, ჩუენ წიგნი მას პატიოსანს მივეცი, რომ თქუენს სანატრელს კელს მიერთვას. თქუენს ნეტარელს თავს ვეხვეწები, რომ უფროსად წმიდის პაპის შენდობა გვიმოვნოთ და გვიბოძოთ.

1714, მარტის 11.

მ. თამარაშვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 816.

წერილი საფრანგეთის მინისტრის პონშარტრანის მიმართ

ბატონო ბრძენო და მეცნიერო!

ღმერთმან დიდი მეფე დაიცვას, და შენ დღენი კეთილნი მოგცეს. მე სულხან-საბა ორბელიანი ამ წიგნს გწერ და ამას გაცნობებ, რომ თქუენის მაღალის მეფის ბრძანებითა, წყალობითა და ნიჭითა, აქ დიდ ქალაქს ფარიზს მოვედით და მეოთხე ვახტანგ¹ ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაც და თქუენთანაც მოვიტანე; როდესაც გინდათ, თქუენთან მოვალ და მაღლსაც გარდვისდი, რომ ორნი პატიოსანი თქუენი მოსამსახურე მოგეგებინათ და ალერსები და მოკითხვა შემოგეთვალათ, და წამოგვიძღვენ და დაგვასადგურეს.

ჩემთან უფალი მუსუ რიშარ მღვდელი არის რომ ქართლი-დამ ამან მომიყვანა. რა ვახტანგ ეს შეისწავლა — დიად, გაეწყო. ამისთვის ეთქუა თავის პასუხები, რადგან ამან ყიზილბაშური-თათრული კარგად იცის. ამის სიტყუას უკეთ შეიტყობ და ჩემსა ეს შეიტყობს, და ჩემი საქმე და სანდომი რაც არის, ამან ყუელაკაი იცის და თუ უბრძანებთ. ყუელაკას ეს მოგახსენებს და გაგისინჯვებს.

ბატონი ითანდან დიდებული მარცილიას რომ არის, მისი დიდათ მაღლიერი ვართ, რომ საქართველოს საქმეები მუსუ რიშარით დაგვაწერინა, და გაახლოთ. თუ აკლია რამე მზათა ვართ, და გავაკეთებთ. ამ პატიოსნის დე-მარასი დიდათ მაღლიერი ვართ, მრავალი გუამო გზაზედა, აწე გუმართებს რომ თქუენ შემოგავედროთ. საბა-სულხან.

1714, მარტის 23.

მ. თამარა შვილი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 317—318.

¹ იგულისხმება ვახტანგ მეექვსე.

სიტყვა, თქმული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო
მეთოთხმეტის წინაშე

პატივი გვაქვს მოვართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა კეთილ ინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორეგზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენის მოწყალების განმეორება საკმაოა ჩვენს დასავალებლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მგზავრობა, კიდევ რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

რა ღიღი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განეაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდი და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენის თვალით ვიხილეთ თქვენს უავგუსტოეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და ღიღება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დამორებულ ადგილებშიაც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა.

(1714)

მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 324—326.

მასტანგ მენეჟსა

წერილი ავსტრიის იმპერატორის კარლ მეექვსის მიმართ

მირონცხებულ ხელმწიფე კეისარს.

ჰოი, კეისარო! ღვთისაგან ამაღლებულს საიმპერატორო ტახტზე, რათა ვითარც მთავარმა, წინამძღვრობა უყოთ ყველა ქრისტიანე ერთა. ვიცი თქვენი მოწყალე გული აღიძრება ეგოდენ გაჭირვებასა და შეწუხებაზე, რასაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის აქაური ერი. ამჟამად მაჰმადიანების მთავარი ჯარს აგროვებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, რათა აიკლოს ერთიანად ჩვენი სამთავრო და ამ მხარეში მთლად მოსპოს ქრისტიანობა, როგორათაც დაგვემუქრა. ამნაირ გაჭირვებაში მხოლოდ ის გზა დაგვჩნა, რომ მივმართოთ თქვენს გულ-მოწყალეობას, რათა ან ძალით და ან თქვენი ელჩის შუამდგომლობით პორტას წინაშე შეაჩეროთ ეს მაჰმადიანები, არ მოვიდნენ, თავის მუქარა არ შეასრულონ და არ ამოგწყვიტონ. თუმცა თქვენი საკეისრო მფარველობის უღირსნი არიან ეს ერნი, რადგან განყრილნი არიან ჭეშმარიტის რომის ეკლესიისაგან, გარნა ამ ჩვენს სამთავროში ძლიერ ბევრი კათოლიკეები არიან და მეც ამათ რიცხვში ვითვლები. ხოლო ამ ქვეყნის არეულობა ნებას არ მაძლევს ჩემი კათოლიკობა გამოვაცხადო. ჩემს ვალდებულებად ვსცანი ეს ვაუწყო თქვენს ხელმწიფობას, რადგან თუ თქვენის გულ-მოწყალებით აქეთ მყოფთ კათოლიკე ეკლესიის ერთგულ შვილებს მფარველობა აღმოუჩინეთ, მაშინ ვინც გაყრილნი არიან, წახალისდებიან და

კათოლიკე ქეშმარიტებას აღიარებენ. ამიტომ დიდად გევედრები და ვითხოვ თქვენს მფარველობას. მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამიტომ ჩვენი ხარისხოვან პირთაგანი გამოვგზავნეთ.

დავშთები თქვენი საკეისრო ხელმწიფების ყოვლად ერთგული მონა ვახტანგ, საქართველოს მეფე.

ტფილისი, 29 ნოემბერი 1722.

მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი

ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 810—311.

სოლომონ პირველი

სავედრებელი წერილი რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის მიმართ

საყოველთაო დედაო მართლმადიდებელთა ქვეყანათაო, რომელი მახლობელთა და შორეულთა ზოგად განგვანათლებ და დედობრივითა თანალმობითა ღმერთებრივსა მოწყალებასა უხვებით მოგვფენ ყოველთა; და არა თუ მხოლოდ ყოველობით როსიისა საკეისროისა ხარ და სიქადულ და ნუგეშინისმცემელ, არამედ ყოველთა თანერთხმათა წმიდისა და უზადოსა აღმოსაველეთისა სარწმუნოებისათა ზოგად ხარ სიქადულ და ნუგეშინისმცემელ, — ამისთვის მოტყინარითა გულითა, სასოებითა მტკიცითა და შეურყეველითა სარწმუნოებითა ყოველად დიდებულსა საყდარსა გარემოვლითა. შევრდომით და თაყვანისცემით მტერთა ქრისტეს ქეშმარიტისათა დამთრგუნველსა ფერხთა იატაკსა შეგივრდებით და შეწყალებისა და მოწყალებისა მთხოველი სა მსა სავედრებელსა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა ყოველად მოწყალებისა თქვენისა:

პირველად, რათა გამომიხსნა უცხოთესლთა, ოსმანთა, ხელისაგან, და ყოველად ძლიერი ხელი დასდვა ჩვენზედა და ქვეყანასა და ერსა ჩვენსა ზედა, და საუკუნოდ მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგვრაცხნე; და ესე უმეტეს სხვათასა ტრფიალებით საწადელ არს ჩემდა, ძლიერო ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემართო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ეამიდგან მსურს, რათამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის, და, თუმცა ყოველად მოწყალე ხელმწიფე ინებებს და დაგვდებს ძლიერსა ხელსა თვისსა, — მეც ამ აღთქმას მოვანხენებ ქრის-

ტეს შეწევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათვის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე უცხო თესლთა, ოსმალთ, შევაკედე და ვიდრე სისხლის დათხევამდე ხელმწიფის სამსახურზედ ვიღვაწო.

ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს, და შეიღჯერ ჩემს ქვეყანაში შემოსულან იმათი სარასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვქონებია ძლიერი. ქრისტეს შეწევნითა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობით ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილუღლნი წარსულან, და თვით ხელითა ჩემითაცა შრავალნი მომისრავნ; რომელიმე ჩემი ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე და გავყარე, და ახლა ჩემი ქვეყანა ერთობით მევე მიჰიკრავს.

და უკეთუ ესე არა ინებოს, მეორედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვამტკიცოს ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ სახმართა და შეწევნათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლო და მით უძლოთ წინააღდგომად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულევან ვართ.

მესამედ: მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი, ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ, ცოდვათა ჩვენთათვის, ვერლარა უძლოთ წინააღდგომად, — ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებთან სხვანი მეფენი, რათა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა.

და რომელიცა ინებოს ყოვლად მოწყალის ხელმწიფის გონებისა სიწმიდისა და შეწყალებისა ცამან — ეგრეთ განაგოს. სხვა ჩვენი გულის სიტყვა და განზრახვა ჩვენის ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოხსენდეს.

წელსა 1768, თვესა ივნისს 23.

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 1—2.

წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი

მათის უუყოვლად დიდებულების მოწყალებისა და წყალობის შარავანდდით მიფენილი მეფე აფხაზ-იმერთა სოლომონ კვალად მოსახსენებელსა ამას შევრდომითთა განკრძალვითა მოვახსენებთ: ოდეს ყოვლად დიდებულისა იმპერატორობისა მათისა წინაშე წარმოვივლინა ჩვენ მიერ ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე, და მხურვალითა გონებითა, ვედრებითა მრავლითა საიმპერიოდ და სამფლობელოდ მივართვით საუკუნოდ თავნი ჩვენნი და სამეფო ჩვენი, ხოლო უცხო თესლთა, ოსმანთაგან, ჩვენ ზედა დადებული მიღებად შეუწყალებელნი ქირნი და ტყვეობანი ამისავე ხელითა მორთმულსა არზასა შინა ყოვლად უუმოწყალებსისა ხელმწიფისა წინაშე თითოეულად გამოვაცხადეთ, და რომელისა ვედრება ფრიად უმეტეს სატრფო-საწადელ ჩვენდა იყო წყალობად, იგი მიითვალა ღმერთებრსა გონებასა ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა საუკუნოდ საიმპერიოდ მათდა აღრაცხვა და შერთვა ვრცელისა სამფლობელოსა თვისისა ჩვენი და სამეფოც ჩვენიც სათნო ეყო, ხოლო დედობრივითა თანაღმობითა საუკუნოდ შეწევნისა, წყალობისა და მფარველობისა უქაზი ეწყალობა და ყოვლად ძლიერი ხელი დაედვა ჩვენ ზედა, და ჯარიცა მისის განწესებით ებოძა, და მრავლითა სახიერებითა ესრეთ შეწყალებულ ვიყვენით.

ოდეს მოიწია მხედართმთავარი მათითა მხედრობითურთ საზღვარსა თემისა ჩვენისასა, მრავლად მოხარულნი წინ მივეგებენით, და აღმოვიკითხეთ რა ბრძანება და წერილი გამოხსნისა და შეწყალებისა ჩვენისა, მუხლდადგმით მადლობა შევწირეთ და მივართვით პირველად ღმერთსა და მერმე ყოვლად მოწყალეს ხელმწიფესა, და ზოგად ვიხარეთ გარდარეულითა სიხარულითა სამღვდელოთა და საეროთა, დიდთა და მცირეთა, და ყოველმან სავსებამან ქვეყნისა ჩვენისამან ესრეთ განიხარა ვითარცა ეგვიპტით მონებისაგან გამოხსნილთა ისრაილთა, და მყის თანა თაყვანისმცემელ, მლოცველ, მმადლობელ ვიქმნენით ყოველნივე მათის ყოვლად ძლიერის-იმპერატორობის დიდებულებისა, რომელმან ემმანოელისაებრი გამოხსნისა და შეწყალების შარავანდდი მოგვფინა.

შორაპანის ციხესა, რომელიცა ოსმანთ აქვნდათ გამაგრებული. მაშინვე დაუყოვნებულად მათი ბედნიერი ჯარი და ჩვენც ერთობით შემოვადეგით. ამას ჟამსა ერთი თავადი ჩვენი დადიანი, ყოველთვის ოსმანთ მიმდგომი და მტერი ქრისტეანობისა, შეგვიორგულდა, თათრის ჯარი და თავისი შემოიყარა და ჩვენი წინაგანწყობა და ამ კეთილის საქმეების დარღვევა მოინდომა. ამის გამო ჩემის ჯარით თათრის ჯარსა და დადიანზე საომრად წაველ და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბედნიერი ჯარი შორაპანის ციხეს შემოვაყენე; ჩვენ მაგიერად ჩვენი ძმა იოსებ კათოლიკოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე და სხვანიც ერთგულნი ჩემნი გვერდს მოუყენენ. ქრისტეს ცხოველის მყოფელის ჯვარის შეწევნითა, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სახელით, თათრის ჯარსა და დადიანს შევებით, მაშინვე გავაქციეთ, ამოვსწყვიტეთ, მრავალი ცოცხალი და მკვდარი დავინარჩუნეთ. ბუკის ციხე ეპყრათ თათართა, ისიც ავიღეთ და დავაქციეთ, მისი ჯაბახანაც ჩვენ დაგვრჩა.

და ამ საქმეში რომ ვიყავით, შორაპანის ციხეს რომ ყოვლად დიდებულის ხელმწიფის მხედართ-მთავარი ადგა, იმავ მეორე დღეს წასვლა მოენდომებინა, ჩვენი ძმა კათოლიკოსი და სხვანიცა დიდად შეხვეწნოდნენ: „მოიცადე, აგერ ჩემი ძმა, მეფეც. მალე მოგეშველებს და ღმრთით ამ ციხეებსაც მალე აიღებთო“. — მითაც არ დაეშალა. მერვე დღეს ჩვენდა შეუტყობრად, დაუკითხავად გაბრუნებულიყო და ქართლშიდ გარდასრულიყო. და ამისა შემდგომად მრავალგზის ვევედრე ჩვენს ქვეყანაში მოსვლასა, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბრძანება ასე გაქვსთ-მეთქი, მაგრა არას გზით არ ინებეს [მოსვლა]. აწ ამას მუხლდადგმით და მრავალგზის შევრდომით მოვახსენებთ ვედრებითა მხურვალითა მათს იმპერატორობის ყოვლად დიდებულებასა: ვინათგან დედობრივის მოწყალებით, სახიერებით მოხედვა ჰყო ჩვენ ზედა და საუკუნოდ დაფარვისა და თვისთა მონათა თანა აღრიცხვა და შერთვის წყალობა და უქაზი გვიბოძა, ესოდენთა მართლმადიდებელთ ქრისტიანეთა გულნი სიხარულით აღავსო, იმათი ყოვლად დიდებულება ოსმანთ ტყვეთ ნულარ მიგვეცემს, ნუ დაგვაგდებს და მტერთ გულისად ნუ გაგვხდის. პირველადცა მოგვიხსენებია

და აწცა მასვე მტკიცედ და შეურყეველად მოეახსენებთ: ჩვენ და ჩვენი სამეფო რაც შეძლება გვაქვს განმზადებულნი ვართ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურზე სისხლის დათხევად, და სადაც ინებებს, მათს წინაღმდეგებს შევეხოცებით. სხვა ჩვენი ვედრების სიტყვა კნიაზ დავითის პირით მოხსენდეს.

თებერვალს 11, წელსა 1770.

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 21—22.

ანტონ კათალიკოსი

წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ

განაღვიძებს გონებას ჩემსა თქუქნისადმი მალლისა ღრაფობის ბრწყინუალებისად აწინდელი გარემოებაჲ, და უდიდესად ესე, რამეთუ მისი იგი დიდებულებაჲ, გონიერი მზე, აელუსტა ჩუქნი გამოუტევებს რა შარავანდედთა წყალობისათა სიმსწრაფლისამებრ უგრძეს და უშორეს განტევებასა, ამსგავსებს მოძრავობასა და შორსმიმწთომელობასა მზიურთა შარავანდედთასა, ხოლო ყოველსავე ზოგად მიჰფენს წყალობისა შარავანდედთა მახლობელთა ზედა და შორიელთა.

ესე გუარით ამით განფენითა წყალობისათა მეცა უღირსი წყალობასა ნიჰებულ ვიქმენ მ. დ. უხუად შვილთადმი შესაბამთა წყალობისა დინებითაგან, რომელ მივიღე მქსგავსებაჲ საცხოვრებელისა მის ჩუქნისა საღმრთოჲსა განგებულებისა, რომლითაცა შეჰქმნა ღმრეთმან ცხოვრებაჲ შორის ქუჭყანისა, ვინაჲ ცა, ვინათგან სამღუდეღმთაფროჲთა მით პანალითა წყალობით ნიჰებულ ვიქმენ სამღუდელოჲსაგან. იმჲ. მ. წინაშე საკურთხეველისა მდგომარე ვჰმადლობ მ. დ. ჩემდამო ესე გუარისათჲს წყალობისა. ხოლო საქართველოჲსა მომართ ესე გუარ შეწყალებისა და ძეთა შორის. თჲსთა აღრიცხვასათჲს ჩუქნისა მ. დ., რამეთუ განიღჲდა მძინარემან სურვილმან ჩუქნმან და წინაპართა ჩუქნთამან, უგალობ ჳმითა მადლობისათა მადიდებელსა აელუსტაჲსა ჩუქნისასა და ვიტყვი: ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩუქნ, განმზადეთ დღესასწაული ჟამსა ყოველთასა ვიდრე რჰათამდე საკურთხეველისათა; ჩუქნთანა არს ღმერთი, ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით!

ესოდენისა კეთილშემთხუჭჲსა ჩუქნისა შემდგომად მივიღეთცა უბედურებაჲ, — რომელ ღრაჭი ტოტლებენი, ლენერა-

ლი გარდამავალი ფიცისა თვისისა და ლენერალი თვნიერ
ჭირისა მლტილუარე ბრძოლითაგან, არა მცირედთა მოქმედებს
ძვრთა. ხოლო ამათ ყოველთა მიერთა გარემოებათაგან უცა-
ლოჲ ჩემი ძმა მეფეჲ ირაკლი, მტერთა მიმართ მოქმედი, დი-
დისა ბრძოლისა და ჩინებულისა ძლევისა მომგები, დააყენა
მტერთა მიმართ ბრძოლისაგან, ამად რომელ ლენერალი რუსე-
თისა იელტვს და არა მისცემს ლაშქართა რუსეთისათა ნებასა
მტერთა მიმართ ბრძოლისასა, და ჰსცავს ძლიერად არტილე-
რიასა, რათა არავინ წარიღოს მტერთა მიმართ ბრძოლისა სახ-
მარად. — ამათ მიერ დგას აღუსრულებელ მსახურებაჲ მ. ი. დ.

ვთხოვთ თ. მ. ლ. ბ., რათა ძმაჲ ჩემი მეფეჲ ირაკლი საქე-
ფოჯოტურთ თვისით აქუნდეს ბრწყინუალებასა თქუშნსა
მფარუშლობასა ქუშშე, არათუ ამისთვის რომელ შესაფერი
თ. ბ. მიიღოთ ნაცუალი, არამედ ვითარცა ქრისტიანეთათვის
ილუწიდეთ ამათთვის თქუშნ — კეთილ მსახურებისათვის თქუშ-
ნისა ქრწმუნებულისა მ. დ. ყოვლისა როსიისა უპირუშლეისა
მინისტრობისა.

შემდგომად ამისა შეევედრებ თავსაცა ჩემსა მფარუშლო-
ბასა თქუშნისა მადლის ღრაფობის ბრწყინუალებასა.

თქუენის მადლის ღრაფობის ბრწყინუალების მარად ღვთი-
სადმი მლოცუშლი და უქუშმესი მოსამსახურე ანტონი,
არხეიპისკოპოზი და კათალიკოსი ყოვლისა საქართუშლოჲსა.

დაიწერა ჭალაქს ტფილისს, მაისის 12 დღესა, 1770 წელსა.

А. Цагарели

Грамоты.— II, I, стр. 33—34.

მეორე წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ

კადნიერ ვიქმნენით კუალად შეწუხებად თქუშნისა მ. ლ. ბ.
მიზეზითა, რომელსაცა ქუშმო განვაცხადებთ:

წარმოსრულნი საქართუშლოჲთა წელიწადსა 1772, იანუარ-
სა 5 წინაშე მ. ი. დ. წარმოგზავნითა საქართუშლოჲსა და კახე-
თისა მეფის ირაკლისაგან სარგებელისათვის როსსიის მონარხი-
სა და საჭიროებათვის რომელთამე თვისთა — მოვედით ასტ-

რახანს მარტს 6, და აქამომდე აქა მყოფნი არა მცირედსა შინა მწუხარებასა და სიმწარესა, რომელ ვითარცა ტყუშენი ვიყოფებით დაკლებულნი მამულისაგან ჩუშნისა და ვერ მიწთომილნი სრულყოფად კომისიისა, რომელიც გვრწმუნებიეს შეფისა ირაკლისაგან, მრავალნი საქმენი თანანადებნი ჩუშნნი მამულსა შინა ჩუშნსა განსაგებელნი ჩუშნგან, რომელიცა საჭიროდ თანაგუადს, მდგომარებენ ვერ მიწევნითა დასასრულისათა, და აქა ჩუშნ ყოვლითურთ მოცლილნი, უქმად მყოფნი მიცემულ ვართ, ჰაერისა სიმძიმითა ვერ შემწყნარებელნი უცხოასა კლიმატისანი, სნეულებათა განგრძობილთა, რომელთა გამო იქუამდე სიკუდილისა ზედმოსულასაცა გულის-ვისიტყუავთ, — ამისთვის თ. მ. ლ. ბ. ცრემლთამდე ვედრებით ვთხოვთ, რათა განვთავისუფლდეთ ჩუშნ აქათგან და ღირს ვიქმნეთ წინაშე მ. ი. ლ. წარდგომად, — არა რაიმესა შეწყენისა და წინააღმდეგობებისა სათხოვარისა მქონებელნი, თვნიერ მ. ი. ლ. შესამატისა და როსიის იმპერიის სასარგებლოასა, და რომელთამე საჭიროთა მეფის ირაკლისათა თხოვათა.

ვიციოთ, რომელ თ. ბ. თავისწყენის მრავალ კადნიერებაჲ არა გვიყინ ჩუშნ, მაგრა ვინმე იყოსმცა გარდა თ. მ. ლ. ბ. სხვაჲ შემწე და ნუგეშინისმცემელი ჭირთა ამათ შინა ჩუშნთა, ანუ სხვაჲ ვინმე, რომელისადმცა თანაგუშდუა მოქსენებად საქმენი ჩუშნნი! დე მესამედ, ვიციოთ, რომელ მეფესა ჩუშნსა აქუს მ. ლ. ბ. მოწყალებისაგან იმედი სრული შესაბამთა საქმეთა თვსთა წარმართებისა, ამისთვის სიმდაბლით თხოვაჲ ესე ჩუშნი მიღებულ იქმნას თ. მ. ლ. ბ. კეთილმსახურებრ, რომელ საჭიროებისა ამისგან განგუათავისუფლენ ყოვლად უმაღლესისა მიმართ მონარხინაჲსა შუამდგომლობითა, რათა რომელიცა ნებასა შინა მ. ი. ლ. არს, რომლისაცა ღირს ვართ, ეგრე ვითარი თავისუფლებითი რეზოლუციი მივიღოთ არ გვიანად.

და ჩუშნ უმწუჭრულესისა მმადლობელყოფისა თქუშნისადმი მ. ლ. ბ. თანამდებ ვიქმნეთ მარადის გებულნი ერთგულებასა შინა თქუშნისა ბრწყინუალებისასა.

(1772)

ერეკლე მეორე

წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ

კანდიერება ესე თქვენდამო მიმალებინა უმეტესმან მწუხარებამან, ვინადგან ძმა ჩემი კათალიკოსი ანტონი და ძე ჩემი ლეონ უმაღლესსა კარს ყოვლად უმდაბლესად ვაახელ, რომლისა სასურველისა ჩემის მოხსენებულის უდაღებულესისა და ყოვლად უგანათლებულესისა, და სრულიად აღუსტას ჩემის მოწყალის კელმწიფისად სავედრებელისა საქმისათვის, და აქამომდესაც ვერ მივემთხვივე მოწყალების რეზოლუციასა, რომელისათვისცა კვალად მარადის ვარ შავედრებელი არა მე მხოლოდ, არამედ სრულიად ესე ჩვენი საქრისტიანო ქვეყანა წინაშე თქვენის მალის ღრაფობის ბრწყინვალეობისა დაუგვიანებლობისათვის უმაღლესისა ბრძანებისა.

თუმცა ამის მაღალ კეთილშობილებას და ვექილს საჭელმწიფოსა საქმესა შინა ივანე ლოვეს ეკითხავთ ხოლმე, — ეგების ამას უმაღლესისა კარისაგან მოწყალეებით მოსცემოდეს რამე რეზოლუცია, მაგრამ პასუხს მაძლევს, რომ ჭერ არაფერი მოხსენებულისა, თქვენის ბრწყინვალეობისათვისა ბრძანება არა მომსვლია რა, — და არც უიმისოა, რომ სწუხს. ამ ეამებში ასტრახნიდამ ძმასა ჩემსა კათალიკოზს ანტონის და ძესა ჩემსა ლეონს ჩემთან თავისი კაცი გამოეგზავნათ, და როდესაც გამოსულიყო სამზღუარს ამა ქვეყანასა — არ მოეცაღნა თახწამოსაყოლნი კაცნი, რათა წარმოეყვანათ ფთხილად და მშვიდობით, თავის თავათ საჩქაროდ წამოსულიყო ჩემთან, და გზაზე დახვედროდნენ ახალციხიდამ თავის საქმისთვის წარგზავნილნი დალისტანში მცირე რაიმე ქურდნი ლეკნი და დაეპირათ, და შთავარდა მტრის კელში თავისის ყოვლის წიგნებით, და აწცა არ ვიციით მართლად საითკენ წაუყვანიათ; და

მხოლოდ ესე ვცანით იმ ქვეყნის კაცთაგან, რომელიც იმას ჩვენი ქვეყანა გამოველო, რომ ჩვენთან მომავალელებულიყო. ის ჩემის ამისა და ძის კაცი იმ ამბავით და წიგნებით, რომ ვითამ უმაღლესის კარიდამ მოსვლიყოთ მოწყალეების ბრძანება, რათა ასტრახნიდამ ეგენი თვით პეტერბურხს ჩემს ყოვლად მოწყალეს და სრულიად აღუსტას ქელმწიფეს უმდაბლესად ხლებოდენ, და ჭერაც არ ვიცით მართალი, იმ კაცის მოუწევნელობისათვის, თუ სად იმყოფებიან ეგენი.

კვალად, რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა ზედა სრულიად. უმაღლესსა რუსეთის ტახტს და ჩემს ყოვლად მოწყალეს, და სრულიად აღუსტას ქემწიფეს შევედრებ თავსა ჩემსა და ამ ქრისტიანეთა ქვეყანასაც, რათა მოწყალეებით მიიღოს, და თქვენი უმაღლესი ღრაფობის ბრწყინვალება საქმესა შინა შუამდგომელ გვექმნას, რომელს ქეშმარიტად უეჭველად კიდევ ესასობთ დაუგდებლობასა ყოველსა კეთილსა საქმესა შინა თქვენგან, და ვგონებთ არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ ჟამითი ჟამად გვემატების ბარბაროზთა თესლთაგანნი ქრისტიანეთა ნათესაობის მტერნი და მარადის გვაყვედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი, მეზობელნი ჩვენნი, რომ დაგდებულნი ვიქმნებით რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამოდისაც ასტრახანს და შეწყნარებულიცა არ იქმნებიანო — ერთბამად ხედვენ ვითამ ეგ იყოს მის ნიშანი.

ეგრეთვე აქაურნი ამბავნი, ჩვენ და ლეკთ, და ახალციხელთაგან ურთიერთადმი მტრობა და ჩვენის ქვეყნის შეწუხება, და თურამ აქაურნი მოსახსენებელნი საქმენი არიან, ვგონებ, ყოვლიფერი უფალ ლეიბ ღვარდიის კაპიტანი იოანნე ლვოვის მიერ წიგნით წვლილად უმდაბლესად მოგხსენდესთ.

სხვა კვალდცა უმეტესის სიმდაბლის ვედრებით თავს გაწყენთ ჩვენის მოხსენებულის წარმართებას: თქვენი მაღალი ღრაფობის ბრწყინვალება ნებისაებრ ყოვლად დიდებულის და ჩემის სრულიად აღუსტას მოწყალის ქელმწიფისას ეცადოს, ჩვენ და ჩვენის ქვეყნის ამდენი სულნი ქრისტიანენი ბარბაროზთ ულლისაგან გამოიხსნას, და გვამყოფოს უმდაბლესი ყმა და მოსამსახურე, მოხსენებულისა მოწყალეებით რეზოლუცია დაგვმართოს, და რომელიც წარმოგზავნილნი ძმა და ძე ჩემი

არიან, ეგენი მიიღოთ, და რაც მაგათაც ჩვენი დაბარებული საქმე ქკონდესთ მოწყალეებით ჩამოართოთ და მიიღოთ.

(1773)

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 89—90.

წარდგინება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი

ვითარცა მე. ევრეთცა წინაპართაცა ჩემთა ქკონდათ სურვილი და აღრითგანვე ვართ შემოვედრებულ უმაღლესისა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა თქვენისა, რომელიც განფენილ და განცხადებულ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა, რომლისათვის ჩვენც სარწმუნოდ მოიმედენი ვართ, რომ თქვენი უდიდებულესობა ჩვენ საფარველს არ მოგვაშორებს; მარამ ახლა მესმა, რომ რადგანაც რუსეთის ძლევაშემოსილის მხედრობით სპარსეთში ლაშქრობა ამჟამად დაყენებულა, რაც ჩვენს მფარველად თქვენის იმპ. დიდ. ჯარი აქ იმყოფება, ამათაც წასვლა ეგულვებათ, რომელმაც დიდსა შერყევასა და მწუხნარებაში შეგვიყვანა. მოეხსენება თქვენს იმპ. დიდ. თუ ვითარა დაქცევა შეამთხვია აღამაჰმადხანმა თბილისსა, და მრავალი სული ქრისტიანე დაატყვევა, ამისათვის, რომელ იცოდა საქართველოსი ქეშმარიტის ერთგულობითი ყოფა თქვენის იმპ. დიდ. საფარველ ქვეშე; და ჩვენ, რადგანც თქვენის უმაღლესის ტახტისადმი უმეტესად მტკიცე შეკრულება გქკონდა, ღმრთის მადლობის მირთმევით, ყველა მოვითმინეთ. ყოვლად უადვისტესო ხელმწიფევე, უმეტეს პირველისა ჩვენს სამტეროდ მოქადულ და განძინებულ იქმნა აღამაჰმადხან, რომლისაც მოწერილი მუქარის წიგნი აწ თქვენს უდიდებულესობას მოერთმევა, და ჩვენი მოხსენება ეს არის, რომ, თუ ახლა თქვენი უმაღლესი საფარველი ჩვენზედ ახდილად ნახეს, რომელნიც აქამომდე ჩემს მეზობლებში მოგებულნი კაცნი მყევანდნენ, ისინიც მტერ მექმნებიან, და უეჭველია, რომ საქართველო წახდება, ეკლესიები აოხრდება და ამდენი სული ქრისტიანე და-

ტყვევდება, ამისათვის უმდაბლესად გთხოვ და უმოწონებრივ-სად მუხლდადგმით გევედრები, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევე, გარდმოხედე სიმაღლისაგან ტახტისა თქვენისათა და შეიწყალე თქვენს საფარველს ქვეშე მყოფი ქვეყანა ესე და ესოდენი ქრისტიანე მტერთა წარწყმენდისაგან, და ინებეთ მფარველად ჩვენდა ბოძება ეგოდენისა ძლევაშემოსილისა მხედრობისაგან ოთხი ათასი კაცი ორსა, ან სამს წლამდე, ვიდრემდის ჩვენცა ძალი შევიმატოთ, და შემდგომად მისსა თქვენის იმპერატორების დიდებულების ნება აღსრულდეს, — რა ერთიც ინებოს, იმდენი დაარჩინოს, და რაოდენ ჩვენგან შესაძლო იყოს თქვენგანაც სამსახური გაძოგვეცხადოს, და აწ ჩვენ გვებძანოს, რომ მოგახსენოთ, რომლითაც ჩვენი გონება უფრო მხიარულ იქმნება და მოწყალებად მივიღებთ. ნუ დაგვაგდებ თქვენის ყოვლად მოწყალების მოიმედეთა, რომ თვით თავი და ქვეყანა ესე, სამეფო ჩემი, შემდგომად ღმრთისა, უსაკუთრესად მონდობილ არის თქვენს მოწყალებაზედ.

სხვანიცა ჩვენნი ვითარებანი უმდაბლესად მოხსენდება უმაღლესს კარსა დესპანისა ჩემის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, რომელიც უწინარეს ამისსა, თებერვლის 5, წარმოგზავნილ არს.

(1797)

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 132.

ბესარიონ გაბაშვილი

წერილი რუსეთის მხედართმთავრის გრ. პოტიომკინის მიმართ

უგანათლებულესო კნიაზო, მოწყალეო ხელმწიფევე!

საქირო არს, უგანათლებულესო კნიაზო, რათა მიხედოთ მოწყალეობით მდგომარეობასა ყოვლად მოწყალისა მეფისა ჩემისასა და მისცეთ სიმტკიცე მას, რომელსაცა უძღვის კეთილსაქმენი მამულისა თავისისათვის და რუსეთისა მიმართ. ვინაცა ამის მიზეზისათვის ღირს არის იგი, რათა იზრუნოს მისთვის ყოვლად მოწყალემან მონარხინამან, ვინათგანცა სცნა მან მტერნი რუსეთისანი მტრად თვისდა და დაჰკარგნა ვნებითა მცნობათა მათთა საძულველნი მოქმედებანი, რომელიცა შეენის არაკეთილმდომსა მეზობელსა ჩვენსა ჩვეულებით.

წარმოიდგინე, პოი, მამაო ჩვენო უგანათლებულესო კნიაზო, მსუცებრივ მაწყინებელნი საქმენი მეზობლისა ჩვენისა, თუ ვითარ თვისითა მაცდურობითა აბნელებს მფარველობასა თქვენსა ჩვენდამი, რომელიცა უღირს ჰყოფს მოგონებადცა ხელშემოსილის რუსეთის საქურველით გამოხსნილს მამულსა ჩვენსა და არ წარმოიდგენს თავსა შორის თავისსა დედობრივსა მარჯვენესა მონარხისა დიდისასა, რომელიცა არა განგვეშორების ჩვენ.

უგანათლებულესო კნიაზო, დააყენოს ჟამდამდე სიყვარული თქვენმან უგანათლებულესობამ. რომლითაც კაცთმოყვარება თქვენი ჩვენდამო აღნთებულ არს. და მიუტყვევთ ადგილი სიმართლეს, რომელიცა სრულიად აღმოაჩენს დამნაშავესა. აწ შეეადაროთ მოქმედებანი ყოვლად მოწყალისა მეფისა ჩემისა და ზემოხსენებულისა მეზობლისა, რომელნიცა უსამართლოდ მოქმედებითა თვისითა მისცა სიმძიმე რუსეთს ამღვრევთა და უმიზეზოს თხოვნითა ხან ჯარისა და ხან ხაზინისათა და, გარდა

ამისსა, დაივიწყნა პირობანი, რომლითაცა შეკრულ არს ზეგარდმო უფლისა მიმართ; რათა შეიწყნაროს ცხებულისა მისისა დიდისა ეკატირინას პირობანი. გარნა გული მისი არა დასცხრა საიდუმლოს შეკრულობით მტერთა თანა რუსეთისათა, რომლისაცა მავნებელნი მოქმედებანი ზეგარდმომან უფალმან გამოაცხადა წინაშე ქვეყანისა; ხოლო სიმართლის მცველმან და ერთგულმან რუსეთისამან მეფემან ჩვენმან დავით განიშორა ყოველი სიმძიმე რუსთადმი და კეთილის აზრითა დაანახვა მოვალეობა მამულისაგან თვისისა რუსეთს, რომელიცა ხელშემოსილმან ძლევისა საჭურველმან რუსეთისამან იხსნა იგინი. და ამ მიზეზით ითხოვდა რავდენითამე მეცადინეობითა, რათა თავის შეძლებით და თვისის ჯარით ამისთანას დროებში ემსახურა რუსეთისათვის და ამით აღესრულებინა მოვალეობა ქვეყანისა და ქრისტიანეთა შორის შეკრულობისა.

უგანათლებულესო კნიაზო, მეოხო ჩვენო! ინებეთ წარსვლად ჩემისა ყოვლად მოწყალისა მეფისა მიმართ. და თუ არ ინებებთ, ამას ვითხოვ, რათა ნება მომცეთ გასტუმრებათ ძმისა ჩემისა. რომელიცა მყოფობს ჩემთანა, რომლისაცა იმედი მაქვს, რათა ესე მსწრაფლ წარვაველინო და უგვიანოდ მგზავრობითა გამოგიცხადოსთ სიმართლით მდგომარეობა მეფისა ჩვენისა თქვენდა მსწრაფლ მიღებათა თვით მეფის დავითის წერილისათა თითოეულად. არამედ ვგონებცა შეტყობის იმედით, რომელ საქმენი ესენი რაიმესა ნაკლულეევანებასა მიყენებენ მეფესა ჩემსა.

(1789)

ბ ე ს ი კ ი

თბზულებანი, გვ. 196—198.

**მოხსენებითი ბარათი რუსეთის მხედართმთავრის
გრ. პოტიომკინის მიმართ**

უგანათლებულესო კნიაზო, მოწყალეო კელმწიფევ!

ახალციხეს დასვით რუსეთის კონსული, რათა აღარ შეიძლოს ოთომანის კარმან დაფარული მტერობა, არცა გარეგნით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

ბათომს გურიის ნავთსაყუდელზედ და ფოთს ოდიშის ნავთსაყუდელზედ სიტყუა ითქუას და თუმცა ნებით გაუშეან უმჯობესია ჩვენთვის და თუ არა იმ ორ ადგილსაც რუსეთის კონსულნი დასვათ, რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ეგრეთვე სავაჭრო რუსეთის ნავები მოვიდოდენ ამ ქსენებულს ნავთსაყუდლებზედ.

აფხაზეთი დაიდუას თავისუფლად, რომელნიც ოსძალეთის კმლით დაპყრობილნი არიან და ნება მიეცეს მათ, რომელთაც საქმე ჩვენ ვიცით რომ მალე აღირჩევენ ქრისტიანობას და ისიც როგორც ჩვენ საფარველსა ქვეშე რუსეთისასა შემოვლენ და უკმლოდ მორჩილებას მიიღებენ. და ესეც დაიდუას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდლებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭრონ, რომელითაც თქუშნ მალე ნახავთ სარგებელსა არა მცირესა.

უკეთუ უმალლესმან კარმან რუსეთისამან დასდუას ახლავ მფარველობა იმერეთზედ ის უმჯობესი იქმნება. და უკეთუმცა რომელისამე საქვეყნაეროს გასინჯვით ახლა განცხადება ამისი არ ამჯობინოს, მაშა საიდუმლო შეკრულება დაიდუას დრომდინ იმერეთსა და რუსეთს შუაზედ. რათა სარგებლობა ორთავე დრომდინ საიდუმლოდ და დაფარულად მუშაკობდეს.

და ესეც თუ ამჯობინოთ, რათა აქვნდეს მეფესა იმერეთისასა თვით უფლება ვითარცა შვენიის თვითმპყრობელსა და რათა აქვნდეს მას შეკრულებისა და გაცნისა ნება ომისათვის მაჰმადიანთა ზედა. რამეთუ მიზეზითა ამით რუსეთი იმერეთიდან დაფარულს ძალს შეიმატებს ოსმალთა ვნებათა ზედა და არც ექნება ვისმე მიზეზი, როგორც ოთომანის კარს ეგრეთვე სხუათა ქვეყანათა, რომლითაც მთელი ქუჭყანა რუსეთს ვერ უსაყვედურებენ და ამ სახის დადებით იმერეთის ძალით ადვილად წაერთმევის ქსენებული იგი ბათომიცა და ფოთიც. თქუშნის უგანათლებულესობის ჩემის მოწყალის კელმწიფის მონა იმერეთის დესპანი და მესაიდუმლოე მღვიანნი კნიაზი ბესარიონ გაბაოანელიძე. ქრისტეს აქათ ჩღბთ, დეკემბრის ე.

(1789 წ. 5 დეკემბერი)

ო. ც. ნ. ც. ა. ძე

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 293—294.

წყლულნი მამულისანი და ტკივილნი მისნი, აღძრულნი შურითა და მანკიერებითა მეზობლისა ჩვენისაგან, აღმოიტაცებენ პირით ჩემით მოხსენებად წინაშე კეთილმოქმედისა ჩვენისადმი, უგანათლებულესო კნიაზო!

დადგინებული კეთილმდგომარეობითა საზომისაებრ თვისისა მამული ჩვენი დაუძინებელისა, დაუშრომელისა ღვაწლითა ნეტარხსენებულისა მეფისა ჩვენისა სოლომონის მიერ, რათა არა მიეცეს შემუსრვასა მტერთა მიერ, ამისთვის დაუშკვიდრა იგი ყოვლად უავლუსტესსა დიდსა ეკატერინას, რომელმანცა გვირგვინოსან ჰყო კეთილნებობითა თვისითა და ეგრეთვე ცნობითა მამულისაგან ჩვენისა.

და იყო კეთილმდგომარეობა მისი დროდმდე კავკასიის ლინიის მთავრისა, მის მაღალმსვლელისა ღენარალ-პორუთჩიკის პავლე სერგეივიჩის პოტემკინისა მუნ ყოფადმდე, რომლისადა მიზეზი კეთილწერილობათა თვით თქვენითავე მაღალმბრძანებლობითა იყო.

და რამეთუ განცხადებულ იყო მოწყალება და კაცთმოყვარება და განფენილ უკვე ყოველთა შინაგანთა და გარეგანთა და ეგრეთვე სინორებთა ზედა რუსეთის იმპერიისათა, რომლითადა იშვა თვით მხეცებრთა მათ ხალხთა შორის მშვიდობა და სიწყნარე, რომელსადა მიეცა საფუძვლიანი მიზეზი ღენერალ პოტიომკინს ცნობისა და ქცეულებისა მათისა შეფერებითა და ესრეთ აღლაგმა მანკიერობა მუნებურთა მთავართა მათთა დაცვისათვის საზოგადოსა მშვიდობისა.

ეგვეითარი ქებული და შესამატი პოლიტიკა გულმოდგინებითი მის ღენარალისაგან იმედულ გვყოფდა ჩვენ, ვითარმედ კეთილმდგომარეობა იმერეთისა არღარა მიეცემის შემუსრვასა და კეთილმოქმედება იგი მისი იყო მაკვდინებელი წყლული მეზობლისა ჩვენისა უიმედოქმნითა დაწყებისაებრ მისისა მავნებლობისაგან, ვინათგანცა იგი წინათვე მხედველ იყო ვნებასა თვისსა მით, ვიდრე შესამატსა თვისსა, და ამისთვის დაჰფარედა დროსათვის მას.

რომელსადა მიეცა დრო იგი განშორებითა ზემოხსენებული-სა ღენარალ პოტემკინისათა და ახალცვალებითა სხვის მთავრე-

ბისათა, რომელნიცა მხოლოდ ოდენ საქურველითა იმედულჳ
ჰყოფდენ საქმის სისრულესა და განეშორენენ შეუსწორებელსა
შესამატსა ნაყოფსა მას პოლიტიკისასა, რომელსაჲცა ვგრძნობთ
ჩვენ საქმისაგან და ტკივნეულ ვართ.

და ამ დროების მხედველმან მეზობელმან ჩვენმან დააფუ-
ძნა სხვადასხვას სახის დაფარებითა შემოყვანად რუსეთს შინა
მეთვალენი ერთგულნი ყმანი თვისნი და ნება დართო მათ
განწესებად სამსახურსა შინა რუსეთისასა, რათა ამით უკვე
საწადელი თვისი სცნას და თვითცა თვისი აღასრულოს. რო-
მელთაგანი არს პირველი არსიმანდრიტი გაიოს, რომელიცა
არს სრულმყოფელი და თანაგანმგებელი პოლიტიკათა მისთა
და საქმეთა, და მეორე არქიერი ხარჭაშნელი, რომელიცა შე-
მოვიდა კანკლის გაკეთების მიზეზით და შემდგომად განწესდა
ვიკარიად მოსკოვსა შინა, და მესამე არს განწესებული ინოს-
ტრანია კალეგიასა შინა აბითურაბ, რომელნიცა აღძრვენ უსა-
ფუძველოს წერილების გაგზავნითა მეზობელთა ჩვენთა აღშ-
ფოთებად და შურად ვნებათათვის ჩვენთა.

ეგრეთვე არ დააგდო თვისდამი მიზიდვად კავკასიის ლი-
ნიაზედ მყოფი და სათარგმანოს საქმეებში სახმარად ბართ-
ლომე სავარსიმიძე მიცემითა მისდამი აზნაურობის ხარისხისა,
რომელიცა გლეხი იყო და იცნობებოდა რუსეთს შინა გვარი-
სა მისისა ვითარება, რომლისათვისცა მეფემან იმერეთისა-
მან, ამების მცნობელმან, აღიღო ზომა სიფრთხილისა თვისისა
და დადვა უმჯობესისათვის, რათა განეშოროს ბაღესა მას
შეკრულსა ლინიაზედ მისდამი თვინიერ წერილისა თვისისა
თვისის კაცის ხელით გამოგზავნად თქვენისა უგანათლებულე-
სობისადმი და მავნებელნი საქმენი იგი მათნი მიუტევა ღვთი-
სა სამართალსა, რათა მან გამოაჩინოს.

მართლმსაჯულმან უფალმან არა დააგდო საქმენი იგი სა-
ვარსიმიძის მრავლის უკეთურების მაშენებელისანი დროთა-
განვე ნეტარხსენებულისა მეფისა სოლომონისათ და მიუშვა
იგი მიღებად მეზობლისა ჩვენისაგან აწ ახლისა პატივისა თა-
ვადობის მიცემით, რომლისაჲც ძმებს ერთს კაპიტნიობა იმისის
არტილერიისა და მეორეს პორუთჩიკობა მოუვიდათ და მიე-
ცათ, და გამოაჩენენ ამით მათ შორის შეკრულობასა.

ესე უკვე გვაძლევს სიმართლის მიზეზსა და ჩივილსა მო-

ხსენებად თქვენის უგანათლებულესობისა მიმართ, რამეთუ მიზეზითა ამით მეზობელმან ჩვენმან მიიზიდნა ბადესა შინა თვისსა მცხოვრებელნი ასტრახანს და ეგრეთვე ყიზლარს, მოსდოგს და მათ ლინიათა ზედა მყოფნი, რომელნიცა იმედუ-ულად საქმობენ გაგზან-გამოგზანითა წერილებისათა და ამით უკვე აძლევენ ქვეყანასა ჩვენსა ვნებასა.

წინაჲვე თქვენს უგანათლებულესობას ამ მიზეზით მო-ვახსენე წერილით კიშენოვს, რათა გამოგზანილი წიგნი იმერე-თიდან თქვენთან გარდითარგმნებოდეს და არა ლინიაზედ, რა-თა სიმართლით მოგხსენდესთ იმათიცა და ჩვენიც და ამით განირჩიოს სიმართლით წყლულება წინააღმდეგთა.

და ქვეშარიტებისათვის ვინათგან იმყოფების აქა არქიმან-დრიტი გაიოს აღთქმით განმზადებული მეზობლისა ჩვენისა-გან ალავერდის მიტროპოლიტად კახეთს შინა, რომელიცა იმყოფების აქა მატყუარობითა და არა სამსახურითა, რამეთუ გამოაჩენს ესე ხსენებული მიტროპოლია მათცა ხსენებულთა სიმართლეთა ჩემთა.

(1790)

ბ ე ს ი კ ი
თხზულებანი, გვ. 200—200.

ბარსეპან ზავჰავაძე

წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიმართ

ოდეს მიღებულ იქმნა საქართველო მფარველობასა ქვეშე უმაღლესის რუსეთის იმპერიისასა, ტრაქტატის ძალით ებოძა ორი ბატალიონი, რომ უნდა ყოფილ იყვნეს მათს უმაღლესობას მეფესთან და ეგრეთვე ყოველთა ერთა ნიშნად მფარველობისა, და რომ მტერთა ჩვენთა ნახეს ესრეთი მფარველობა. იწყეს პატივად და განგდებად თვისის ჩვეულებრივის ბოროტმოქმედებისა, და ერნი ჩვენნი, განმხნობილნი ამით, აღაუღენდნენ ღმრთისადმი მადლობითსა ხმასა ძლიერისა ამის მფარველობისათვის უღლისაგან არმორწმუნეთა ქრისტესთა.

და როდისაც ათამანის პორტმა არა სამართლით გამოაცხადა ომი რუსეთის უმაღლესს კარს, მაშინ ჩვენ ვსასოებდით, რომ ამ ზემოხსენებულის ორის ბატალიონის სიმაგრისთვის მოემატება სხვა ჯარიც და გვსურდა, რომ ჩვენის მხრადამაც მონური სამსახური და ერთგულება ჯეჩვენა საერთო მტერზე, და შემდგომად წინააღმდეგ ამისსა იქ მყოფი მინისტრი და ბატალიონებიც წამოვიდნენ თვით საჭიროს დროს, და დავრჩით ჩვენ მართო ჩვენის მტრების წინაშე და გავატარეთ დრო შერიგებადღინ ჩვენის მციარის ძალით რაოდენც ჩვენგან შეიძლებოდა.

და შემდგომად შეეკრისა თანა მშვიდობისა შორის უმაღლესის კარისა და ათამანის პორტისა მოხსენებულმან თვისისა ფიცისა და შეკრულებისა მეფემან ჩემმან უმაღლესისადმი კარისა ინება წარმოვლინება ჩემი ძალისაებრ ტრაქტატისა. მეხუთისა არტიკულისა, იმ წიგნებით, რომელიც თვით ჩემგან მიერთო; და მე მოწყალებით მიღებულ ვიქმენ, და მებძანა,

რომ პასუხი მებრძანება, რომელსაც ჯერეთვე ველი მოსასხე-
ნებელად მეფისა ჩემისა.

ვინადგან ცვლილებისაგან ჟამისა განძლიერდა აღამაჰ-
მად ხან და დაუახლოვდა უკვე საზღვართა ჩვენთა, რომე-
ლიც იმყოფება ახლა არდაველს, და აქვს განზრახვა, რა-
თა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყო-
ფილა ჟამსა სპარსეთის ყაენებისასა მძლავრებით.

მეფესა ჩემსა აქვს უძლიერესი მფარველი ახლანდელის
დროთმჩემებელისაგან, რომლისაგანცა ითხოვს ყოვლად მოწ-
ყალებითს შეწევნას, რათა მიეცეს შეწევნა რან ხუთის პოლ-
კის რეგულის ქვეითის ჯარისა, და უწინ ჯარის გასტუმრები-
სა საჭირო არის, რომ გაისტუმროთ პრავიანტმეისტრი მოსამ-
ზადებლად პურისა, და მეფე თავისის მსრიდამ მისცემს ქეშ-
მარიტს ბრძანებას, რათა გაასაყიდი პური იყოს ზომიერი ფა-
სით რაოდენ შეიძლება; თუმცა თანამდებობა აქვს მეფესაც და
ერსა, რათა სრულ ჰყონ რუსეთის ჯარი სურსათით, მაგრამ
რადგან ჰყავს ახლანდელს დროებაში შეყრილი სხვადასხვა
ხალხი ჯარათ, რომლისაც თანამდებ არის მიცემად მათდა ყოვ-
ლისავე ჯამაგირისა, და ამ მიზეზით არღარ შემძლებელ არს
თავისის ხარჯით განმზადებლად სურსათის უმაღლესისა ხელძწი-
ფის ჯარისათვის.

უკეთუ უმაღლესი მოწყალება და მფარველობა ჩვენი განი-
წესების, საჭირო არს, რომ ამავე შემოდგომაზე იქ ჯარმა მია-
წიოს, რადგან იმ ადგილს არის უთბილესი ჰაერი და ზამთარი
არ დამაყენებელ ექმნება მოლაშქრეს, და თუ მეფეს და ერს
არ ექმნებათ საფარველი, მიიწვიან დროთმჩემებელის გან-
ზრახულისადმი და უძვირესს უბედურებაში ჩთაცვივიან რომ-
ლისაგანცა დაიფაროს მალალთა შინა მყოფმა.

მეფე ითხოვს: რომელიც უწინდელის ზარბაზნების დარ-
ჩომილი არის, რომელიც უწინვე ებოძა, ის ებოძოს. და ერთი
არტილერიის გასწავლებული აფიცერი უბოძოთ.

მოწყალებით მიიღოთ ეს სავედრებელი ამას უმდაბლე-
სად ვითხოვ თქვენის ბრწყინვალეებისაგან და მოეხმარნეთ
თქვენის მსრიდამ შუამდგომელობით წინაშე მონარხინას ტახ-
ტისა, რათა გვებოძოს მოწყალებით რეზოლუცია, რომელიც
თქვენ სრულებით მოგეხსენებათ თუ ვითარი დამკირნეობა

აქვს მეფეს ჩემსა აღრე შეწევნისა, რათა ჰსცნას თვითი მდგომარეობა, რომლითაცა შეიძლოს უწინარეს მიღებად საჰიროთა ზომათა პირისპირ წინამდგვისა თვისისა.

(1795)

А. Цагарели

Грамоты... — II, I, стр. 117—118.

წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი

მის სიმაღლემან მეფემან ირაკლი, ხელმწიფემან ჩემმან, მომივლინა მე წერილობითი ბრძანება თვისი, რათა თქვენის იმპ. დიდებ., ყოვლად უმოწყალებსა ხელმწიფესა, მფარველსა და შემწესა ქართლისა და კახეთისა და სხვათა ქვეყანათასა, რომელთაცა არს იგი მბრძანებელ, ყოვლად უყმებრივესად მოვახსენო, რომელნიცა არიან შემდგომნი:

პირველი, შემდგომად უმაღლესისა თქვენის იმპ. დიდ. ბრძანებისა, რომელიცა მივლენილ არს უფლისა ღენერალ-ან-შეფ ლუდოვიჩისადმი შესაწევნელად მეფისა, ხელმწიფისა ჩემისა, მხედრობითა, არტილერიითა და სხვებითა პირისპირ მტრისა ჩვენისა აღამაჰმადხანისა. — ბრძანებითა მისის სიმაღლისათა, დაუკარგავად ჟამისა დაწყებულა კეთება გზათა თბილისით ვიდრე ჩვენს საზღვრამდე, ვითარცა მთას აქეთ, ეგრეცა იქით გამართულ და გაკეთებულ არიან, არა თუ ოდენ განსატარებელად მხედრობათა, არამედ, საიმედოთ, მხედრობათათვის, არტილერიისა, ბარგთა და ყოველთა სიმძიმეთა, რომელთაცა აწ გარდატანა ძალუცთ თვინიერ მცირისა შრომისა.

მეორე, მომზადებასა ძლევამომოსილთა თქვენის იმპ. დიდ. მხედრობათათვის სურსათისათა, მეფე. ხელმწიფე ჩემი, წმიდად არწმუნებს, რომელ იგი მიღებისამებრ ზომისა დამზადებულ იქმნება არა თუ ოდენ კმასაყოფელი ათისა, ანუ თოთხმეტის ათასის მხედრობათათვის, არამედ, უკეთუ სახმარ იქნება, უმეტესიცა. მაშინ არა ექნება მათ ნაკლულევანება და მხედრობა არა მოიჭირვებს სურსათისათვის.

მესამე, უფალს ლენერალს-ანშეფს ლუდოვიჩს მიეწერა მეფისათვის, რომელ იგი ნებითა თქვენის იმპ. დიდებ. უვლინებს ო რ ი ა თ ა ს ს ა მხედრობასა, რომელიცა უკვე მისულა, რომლისათვისცა მისი სიმაღლე, მომღები თქვენის დიდებულებისადმი სარწმუნო ყმებრივისა მადლობისა, ყოვლად უმწვერვალესად სთხოვს თქვენს იმპ. დიდებ., რათა უჩვენოთ მას აწინდელსა უბედურებითსა მდგომარეობასა შინა მისსა ყოვლად უმოწყალესი შემწეობა მივლინებითა მისდამი გაგრძელებისავე ზამთრისასა კვალად რვა ათასისა ძღვევაშემოსილისა მხედრობისა თქვენისათა უზრუნველობისათვის თვისისა და სამფლობელოსა მისისა მტრისაგან მისისა ალა-მაჰმად-ხანისა, და მოსაბრუნველად მისგან მიტაცებულთა ტყვეთა-ქრისტიანეთა, რომელნიცა იმყოფებიან აწ გ ა ნ ჯ ა ს ა შინა და სხვათა მეზობელთა ალაგთა.

ა დ რ ი ბ ე უ ა ნ ი ს ხანები ვითარცა პირველ, ეგრეთცა აწ საუბართა შინა თვისთა აცხადებენ რომელ, უკეთუ კმასაყოფელი რიცხვი რუსეთის მხედრობათა შესაწევნელად საქართველოსა არა იქმნება მოვლენილ, მაშა მათ, სუსტძალობისამებრ თვისისა, არ ძალუძსთ პირისპირ დგომა ალა-მაჰმად-ხანისა, რომლითაცა ჩვენ დავშთებით დათრუგვნილ, არამედ, უკეთუ მიივლინება კმასაყოფი შეწვენა, მაშინ იგინი თანხმობენ ყოფად მორჩილებასა მეფისასა და აღსრულებასა ნებისა მისისასა.

ოდესცა შეუდგების ყოვლად უმაღლესი ბრძანება მისაველენად მეფისადმი მხედრობათა ამასვე ზამთარსა, მაშინ შესაძლებელ არს დამორჩილება ყოველთა მათ ადგილთა, რომელნიცა მდებარებენ აქეთ კერძო არეზისა; და დ ე ს ტ ნ ი ს თავადებიცა, რომელთაცა ჯერეთ არ მიუღიათ რუსეთის ყმობა, იწყებენ ძიებასა შემთხვევისასა შესასვლელად მას შინა. თანასწორითავე ხატითა ყოველნიცა იგი ხალხნი, რომელნიცა აკრავან დ ა რ ბ ა ნ დ ს, შეერთდებიან ზოგად ჩვენთანა და აღელდებიან პირისპირ ალა-მაჰმად-ხანისა. არამედ, უკეთუ მოლოდება ესე არა შეუდგეს, მაშინ აწ ჩვენთან თანხმანი ხანნი და დაღესტნის ხალხნი, სუსტძალისაებრ თვისისა, იძულებულ იქმნებიან აღსრულებად ბრძანებათა ალა-მაჰმად-ხანისათა. და ოდესცა დაასწრობს იგი დამორჩილებასა ხანთა ამა და და-

ლისტნელთასა, მაშინ უკვე ადვილ კპოვებს მეგობრობასა ოთა-
მანის პორტისათანაცა; და ამით საქმენი ჩვენნი მიიღებენ ავსა
სახესა, ვიდრელა ვითარსაცა შინა აწ იმყოფება, და საქართვე-
ლო შთავარდება თვით უბედურებითსა მდგომარეობასა შინა.

მეოთხე, შემთხვევისამებრ ვინაიდგან იტვირთა საქართვე-
ლომან ალა-მაჰმად-ხანისაგან უკიდურესი დაქცევა, უცილოდ
საჭირო არს გამტკიცება და განმართვა მისი მოყვანად მისსა
უმჯობესსა მდგომარეობასა შინა პირისპირ მტრისა მისისა,
იმის სიმაღლე მეფე ყოვლად-უყმესად სთხოვს თქვენს იმპე-
რატორების დიდებულებას, რათა უბოძოთ მას სესხად ერ-
თი მილიონი რუბლისა, ყავლითა, ვითარსაცა ინებებთ და-
ნიშენად, თანასწორვე გარდახდაცა კერძ-კერძად; და რათა ყო-
ველი იგი აღსრულებულ იყოს ნამდვილათ, მეფე წინდად ზე-
მოსხენებულისა ჯამისა წარადგენს სამფლობელოსა თვისსა,
და შემდგომად მისსა მემკვიდრეთა მისთასა.

მეხუთე, ყვანებისამებრ მოხსენებისა ჩემისა მეფისადმი,
რომელ თქვენის დიდებულებისაგან ნაბოძებისა მის სიმაღლი-
სადმი არტილერიისა დანაშთომსა ნახევარსა, შედგომითა
უმალღესისა ბრძანებისა თქვენისათა, მიუტანენ მას, გარნა მე-
ფესა იგი არა მისვლია, და უწყებაცა მისთვის რუსეთის მხე-
დართ-მთავრისაგან არა აქვს, მაშა არა სათნო იჩენთა აბრძა-
ნებად, რათა ხსენებული არტილერია მეფეს მიუტანონ?

მეექვსე, წადილითა მეფისათა უმალღესი თქვენის იმპე —
ის დიდ. შეუდგა ნება, რათა თავი-მთავარი ღენერალი გუდო-
ვიჩი შეეყაროს მის უმალღესობას საჭიროთათვის საქმეთა პი-
რისპირ; გარნა ჟამმან და გარემოებამან დააბრკოლა მისდამი;
აწ მეფე ითხოვს, რომელ შემდგომად გაზაფხულისა ნება ეცეს
მას, ანუ ვისაცა რწმუნებულ ექმნება სამხედრო საქმე კერძო-
თა მათ, რათა შეეყაროს მის სიმაღლეს სალაპარაკოთა.

ყოველთამებრ დანიშნულთა პუნქტთა მეფემმან, ხელმწი-
ფემან ჩემმან, სახელითა თვისითა მარწმუნა მე, ვითარცა სარ-
წმუნოსა ძესა მამულისასა, რათა დაესდვა ყოველი ქალაღდსა
ზედა და წარუდგინო თქვენს იმპ. დიდ — ს, რომელ ამით
აღმასრულები, დავამხოზ თავსა თვისსა ყოვლად — უსამღვდე-
ლოესადმი ფერხთა თქვენისა იმპ. დიდებ., და, სიმოკლისამებრ

ჟამისა, მივიღებ კადნიერებასა ყოვლად-უყმეს თხოვად თქვენ-
ნისა დიდ — გან უმაღლესისა მასზედა ბრძანებისა, რომელიცა
აცხოვნებს ვითარცა მეფესა, ხელმწიფესა ჩემსა, ეგრეთცა ყო-
ველთა ერთგულთა ერთა, უბედურებითსა მდგომარეობასა ში-
ნა მყოფთა.

(1796)

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 124—126.

**მოხსენება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის
მიმართ**

მათმა უმაღლესობამ, მეფემ ირაკლიმ თეიმურაზოვიჩმან, ხელმწიფემან ჩემმან, წარმოგზავნა მე დასავრდომელად უსაღ-
მრთოესისა თქვენის იმპერატორების დიდებულების კუარცხლ-
ბეკისა მიმართ და მოსალოცავად უავლუსტესის აღსვლისათ-
ვის თქვენისა სასქესოსა სამკვიდროსა ყოვლისა რუსეთისა
საიმპერატოროსა საყდარსა ზედა; სრულძალმქონებელ მყო მე,
რათა წარუდგინო თქვენს იმპ. დიდებ. რომელნიმე სათხოვარნი
კერძოსა მისისანი, ვითარცა წერილსა შინა მისსა, ჩემ შიერ
ნდაბლად მორთმეულსა, მოხსენებულ არს მისთვის, რომლი-
სათვისცა ყოვლად ქვეშემვრდომებრივითა და თანამდებობი-
თითა კეთილკრძალულებითა დიდისა იმპერატორისა მიმართ
ცხადეჰყოფ შემდგომთა:

ა. სათნო იყო ყოვლისა შემძლებელისა და შემდგომად მი-
სს სანატრელად სახსოვარისა მშობლისა თქვენისა დიდებულე-
ბისა ხელმწიფა იმპერატრიცა დიდისა ეკატერინასი მიღება
საქართველოს და კახეთის მეფისა, ჩემისა ხელმწიფისა, ყოვ-
ლითა მისითა თავადებითა, აზნაურებითა და ერთთა ყოვლად
მოწყალებითსა საფარველსა და ქვეშემვრდომობასა შინა,
ღამტიციება მისთანა მას ტრაკტატსა ზედა სეპარატის ატიკუ-
ლისასა ჩ დ პ გ წელსა, ივლისის კ დ დღესა, რომლისა იმე-
დოვნებისა ძლით მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ყოველი ერთ მისი

არა თუ ოდენ აქამომდე იყო მოსვენებულ, არამედ აწ უმეტეს-სიცა მიიღო სასოება აღსვლითა თქვენის იმპერატორების დიდებულების ყოვლისა რუსეთის საიმპერატოროსა საყდარსა ზედა სახილველად მისა და ერისა მისისა შესაძლებელთა ნიშანთა და თქვენის იმპერატორების ყოვლად ძლიერის ზელისაგან მფარველობათა და უმაღლესთა მოწყალებათა, ვინაიდგან უფროს აწინდელი შესაბრალებელი და შეიწრებული, და დაქცეული მდგომარეობა მისი განცხადებულ აქვს თქვენს დიდებულებას.

ბ. მეფემან, ხელმწიფემან ჩემმან, და ერთმან მისმან არა უწყიან და არცა საჭირო არს ცნობა თუ ვითართა მიზეზთათვის რუსეთის იმპერატორის მხედრობას მიეცა ბრძანება, რათამცა გამოვიდნენ სპარსეთით და დაუტოვონ საზღვარნი მისნი, მაგრამ მხოლოდ უმაღლესობა მისი და ყოველი ერი მისი ყოვლად ქვეშემგრდომებრივ ითხოვენ, რათა მისცეთ უმაღლესი ბრძანება აწ საქართველოსა შინა მყოფსა რუსეთის მხედრობის დასსა, რომელ დაშინენ მუნ ვიდრემდის აწინდელნი აღრეულნი გარემოებანი განვლიდნენ, და შემდგომად მისსა, ძალისამებრ სეპარატის ატიკულისა, შესაძლებელ არს დაშინენ მუნ ოდენ რიცხვნი იგი, ვითარცა ინებებს თქვენი იმპ. დიდებ. მსგავსად დანიშნულისა ტრაქტატისა ყოვლად მოწყალებით მუნ დაშთომის ბძანებას. ხოლო მეფეცა, ჩემი ხელმწიფე, არ იკადნიერებს მასთან მყოფის რუსეთის მხედრობისას, თუ არ უსაკუთრესის უმაღლესის ბძანებით, საქართველოს საზღვარს გარე ხმარებას; და მეზობლებთა თვისთადმიცა იქმნების მქცეველ თვით უმეგობრესითა სახითა მას ეამადმდე ვიდრემდის იქმნების იგი სათნო თქვენის იმპ. დიდებ. და ებრძანების მას განგრძობა მისი, და თვითცა თავით თვისით არა რაფსათვის და არა ვისთან არა ვითარსამე საქმესა ზედა იწყებს შებედვასა, თუ არ თქვენის მაღალმონარხოზობითის მას ზედა ნებობით, და ყოვლით იქმნების მეძიებელი ღონისა მეზობლებთა მისთადმი მშვიდად, სიყვარულით, მეგობრად და თანხმობით ცხოვრებისათვის. მუნ ყოფნა მხედრობისა ამის აძლევს მეფესა და ერსა ვითარცა რომელსამე საფარველსა და დიდსა სიმხნესა განსვენებითისა და უშიშროებითისა ცხოვრებისათვის მათისა, და გარდა ამისსაცა იპყრობს ყოვლისა

თანამდებობასა შინა თვისსა; და უკეთუ ვინმე ქვეშევრდომთა მისთაგანმან ვითარითავე ბოროტგანზრახვითა მოინდომოს დარღვევა ყოვლად საზოგადოსა მშვიდობისა და განსვენებისა, მაშინ ესე ვითარისა ჟამისათვის შემძლებელ იყვნენ იგინი ზრძანების ქონებით მოსახმარებელად დამშვიდებისათვის მათისა. მხედრობასა მას ყოფნასა მუნ თვისა თავისათვის საზრდოდ ნახმარებელსა სურსათსა და სხვათაჲსა სათადარიგოთა ხორაგთა შინა დღემდე არა ვითარნიმე დამჭირნობანი არა აქვენ და შემდგომადცა არა ექმნებათ, ვინადგან მეფე, ჩემი ხელმწიფე, პირველითა თვისითა მზრუნველობითა გადამატებით შეჰკარებს, რომელ ყოველივე იყოს კეთილ დროჲსათვის მზა, რომელიცა ახლა არს თვით მცირეს ფასად, რომლისთვისცა მუნ მყოფს ღენერალს და ყოველთა მთავრებთა პოლკთათა ძალუცთ მოწმობა. ესრეთუც საქართუშლოსა შინა ჰაერი არს ყოველთაჲვის მრთელ და არა როგორმე მწყყნელ აქაურისა მხედრობისა, და პირისპირ მისა არს ყოველთათვის ვითარცა მშობელი ქვეყანა.

გ. მეფე, მხილველი თვისსა მოხუცებულეებითსა წელსა, რომ სისუსტენი მძლე ექმნებიან მას და დღენიცა ცხოვრებისა მისისანი ჰშთებიან მცირენი, და აღმრჩევი და შემდგომად თვისსა სჯულიერისა მემკვიდრის სამეფოსათვის ძისა თვისისა გიორგისა, ყოვლად უმდაბლესად სთხოვს თქვენს დიდებ., რათა გაგზავნოთ თქვენის უმაღლესის კარიდამ ერთი აქაური უფალი, რომლისაცა ნება იქმნეს უმაღლესს დასამტკიცებელად და ანუ განსამაგრებელად მემკვიდრისა ამის, და საცნობელად შისა ხალხისათვის მისისა, და წარსაგზავნელითა ამით მისცეთ მეფესა და ერსა მას ჰსჯული ყოვლისა რუსეთისა მმართველობისათვის სახელმწიფოსა მისისა, რათმცა მის ძლით აღმოიფხვრან რომელნიმე ძველადვე მიფარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი, რომელიცა მსახურებს საწყენად და წინააღმდეგად მართლსაღიდებელსა ქრისტიანებრსა აღსარებასა.

დ. ქართლსა და კახეთსა, რომელიცა არს სიმაგრენი დღემდე უკეთესსა მდგომარეობასა შინა, — მათი უმაღლესობა და ერი მისი ითხოვენ მდაბლად რათა მიიღოთ თქვენის იმპ. ცნობასა შინა შესაბამად, რომლისათვისცა კერძოთ თვისით იგი

და ერისად ერთი (ერთხელ და) მარადის მიუთხრობს, რომელ იგინი მდგომარებენ ჩრდილსა და ხელმწიფობასა ქვეშე თქვე-
ნის იმპ. დიდებ — სათა; — დაწესებისათვის მათ სიმაგრეთა
შინა მთავართა, ანუ კომენდანტთა სდებს უმაღლესსა ნებასა
ზედა თქვენის იმპერატორების დიდებულებისასა.

ე. ქართლსა და კახეთს სხვათა და სხვათა ადგილთა შინა
არიან სხვადასხვანი მადანნი, მომცენი უხვად ოქროსსა, ვერც-
ხლისა და სხვათადაც ნივთთა, ყოვლითურთ სახმარნი და სასარ-
გებლონი, და რადგანაც მეფესა, ჩემსა ხელმწიფეს, არა აქვს
შეძლება, რომ ისარგებლოს მათით და არცა ჰყვანან მცოდნე-
ნი კაცნი, და ვერცა მისაცემელად მათთა სხვის საჩუქრების
მექონთა ერწმუნების, ვინათგან იშიშვის მის ძლით არა გამ-
დიდრდენ ურწმუნონი და არა განმრავლდენ სამეფოსა შინა
თვისსა მახმადიანნი, ყოვლად ქვეშემრვდომებრივ წინა უდებს
თქვენს იმპ. დიდებ. და ჰსთხოვს, რათა გაგზავნოთ ერთი, ანუ
ორი მეცნიერი კაცი გასაჩხრეკელად მათდა, და მასვე დროსა
მოწმობისათვის, რომელ მოხსენება მისი ამისთვის არის მარ-
თალ. ოდესცა უმაღლესი ნება შეუდგების საწარმოებელად
მისა, მოქმედებასა შინა მისსა, მაშინ არიან ოდენ საჭირო
მცოდნენი მთავარნი, და (ხოლო) მუშაკნი მცირესა სახელმწი-
ფოსა შინა მისსა იპოებიან ზომიერის სასყიდლით, რომლისათ-
ვის არ არს საჭიროება, რათა გამოგზავნოს იგინი უშორესის
ადგილით; და ოდესცა უმაღლესი კარი იხილავს სარგებელსა
მოხსენებულთა მადნებთაგან, მაშინ მეფე, ჩემი ხელმწიფე,
სასოებს, რომ ებრძანების მას უმაღლესის მონარხოზობითის
მოწყალებისაგან ისარგებლოს, რომელითამე მათ შემოსავალ-
თა მიერ.

ვ. ვინაიდგან საქართველოსა შინა მარადის კეთდების ყო-
ველი მონეთი ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა ფრიად
მცირე რაოდენობა, ამისათვის მათი უმაღლესობა მეფე ით-
ხოვს, რათა ყოვლად უმოწყალესობით ღირს ჰყოთ იგი და ქვე-
შემვრდომნი მისნი ბრძანებითა მით, რომ ერთ კერძოს გამო-
სახულ იყოს პორტრეთი თქვენის იმპ. დიდებ — სა, ანუ ასონი
დამნიშვნელნი საღმთოსა თქვენის იმპ. სახელისა, და მეორესა
კერძოსა ზედა ნიშანნი მეფისა და საქართველოჲსა, მხოლოდ
მისთვის, რათამცა ამის ძლით შესაძლებელ იყოს ცნობა, რომ

მონეთი იგი მოჭრილ არს საქართველოსა შინა: ოქრო და ვერცხლი საქართველოსი არს გამოცდილებით უპირველესი, ვითარცა დასაბამიდან მარადის იყო.

ზ. მეფე, ჩემი ხელმწიფე, ყოვლად ქვეშემვრდომებრივ სთხოვს თქვენს იმპ. დიდებულებას, უკეთუ ვინმე მეფის ქამილისა მის ძეთა და შვილისშვილთაგანი სთხოვს მშობელსა, თვისსა ხელმწიფესა, რუსეთში შემოსვლას თქვენის იმპ. სამსახურსა შინა შესვლისათვის და იგი იქმნების მეფისა მისგან ქმნილ საიმპერატოროს კარის მდაბალს სასარგებლოდ, რომ მიიღონ ივინი თქვენის იმპ. დიდებ. სამსახურსა შინა, და მიეცეს მესამზღვრეს უპირველს-მთავარს ესე ვითარი ბრძანება, რომ თავისუფლად აქეთ გამოუშვას გამოცხადებითა მით თუ სალით ჯერ უჩნსთ მათ წარსვლა.

შ. განსჯასა შინა წარსულთა დაკარგვათა და განსაცდელე-ბათა, რომელნიცა დაითმინა მან მეფემ და ერმან მისმან მოსვლითა ალა-მაჰმად-ხანისათა და წარტაცებისა ძლით ყოველთა მისთა ხაზინათა და სხვათცა ქონებათა, ყოვლად ქვეშემვრდომებრივ ითხოვს მეფე იგი ბოძებისათვის მისსა სესხის სახედ ჯამთა რა ერთსაცა ინებებთ, ვითარცა ყოვლისათვის მცირეთა რიცხვთა საქართველოს მხედრობათასა, ესრეთვე განმართვისათვის საქმეთა თვისთა აწინდელთა გარემოებათა შინა, რომელსაცა ჯამისა იქმნების იგი მომქცეველ დანიშნულთა დროთა, ანუ პაემანთა ზედა, და რომლისაცა ძალუცს აღება მისგან მუნ საყოფელს აქაურს მინისტრს იქაურის შემოსავლიდამ.

ესე ვითარის მათის უმაღლესობის ჩემის ხელმწიფის სათხოვრით მოსკოვს მოსვლასა ჩემსა ვერ ვიკადნიერე მე დამძიმება თქვენის იმპ. დიდებ., ვინათგან არცა დრონი და არცა ეამნი ყოვლად მხიარულებითნი დაგვირგვინებანი თქვენის დიდებულებისანი მაშინ ქმნასა მისსა არა მიბრძანებდნენ მე, და აწ, დამრვდომი თავისა თვისისა უსაღმრთოესისა თქვენის იმპ. დიდებ. კვარცხლბეკისა მიმართ, ყოვლად ქვეშემვრდომებრივ ვითხოვ ღირს ჰყოთ სათხოვარნი იგი ჩემისა ხელმწიფისანი მაღალ მონარხოებითა სმენასა თქვენსა, და მომანიჭოთ მე ყოვლად უმოწყალებითნი რეზოლუცია, რათამცა ვიძლო მე, რომ მათს უმაღლესობას, ხელმწიფესა ჩემსა, დღემდე უამბოთ დაშთომილს და თვის შორის მფიქრებელს აწმყოფა შემქილ-

როებულთა და უღონოქმნილთა მდგომარეობათა მისთა ზიარ
ყოფითა თქვენის დიდებ. უმაღლესის რეზოლუციისათა განმ-
წერტელსა მწუხარებასა შინა მისსა ნუგეშესცე და მოხარულ
ვკყო, ანუ მდგომარეობამან მისმან გამომსახველმან სწორედ
მისსავე მოუწოდოს მას და ერსა მისსა კვალად სახელისათვის
თქვენისა ცხოვრებისა მიმართ.

(1797)

А. Цагарели
Грамоты..., II, I, стр. 136—149.

სოლომონ ლიონიძე

მიმართვა რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი

საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან, სიტყვიერო ბუნებათა დიდებისა ხელმწიფისა დიდისა ქვეყნისაგან წიალთა ზეცისათა მესაუნჯემან, და დიდისა იმპერატრიცა ეკატერინა-საგან უბედნიერესითა ყვავილოვნებითა დატკობილმან როსსიისა ვრცელმან იმპერიამან მოჰფინა ცისქვეშეთა ნისლი მწუხარებისა: ვინათგან ღმრთითმთავრობითითა განჩინებითა დიდმან ეკატერინა განავრცელა სტუმრობა სამლოთო და ხელითა ანღელთათა წარიგრაგნა სამლოთო იგი ცა სიტყვიერი, რომელიცა ოთხეკრძო ქვეყანასა ზედა ქუხდა ძლიერებით.

სადმთოსა დადუმებისათვის უდიდებულესობისა მისისა სახსოვრად საუკუნოდ იგლოვს ქვეყანა, ვინათგან სადღესასწაულო იგი თავდგმულება ქრისტეანეთა, ჩრდილოით კერძო თხემსა ზედა სიონისასა, მადღეებელი ბუნებათა მზე იგი ღამიანთა, მოაკლდა თვალთაგან მედღესასწაულეთა ძეთა თვისთა ხელმწიფე თვითმპყრობელი და დედა საზოგადო.

იხარებს ეკლესიაცა, ვინათგან აღვისტებრთა ხელმწიფეთაგან პატრისაცემელისა დიდისა როსსიისა უმაღლესისა ტახტისაგან კათოლიკე ეკლესიამან განუმზადა ამბონი თვისი ალბასტრსა სავსესა შირონითა მით ცხებულისა დიდისა უსამღვდელოესისა გვამისათა, რომლითა ძეთა თანა როსსიისათა ნათესავნი ივერიელნი, მედღესასწაულენი უდიდებულესობისა მისისანი, მიგვცა ერთბამად საგლოველსა მწუხარებასა, მღალადებელნი ერთხმად: დავაკლდით ერნი ქრისტეანენი უმოწყალესსა ხელმწიფესა და საზოგადოსა დედასა!

გარნა დასასრულსა მწუხარებისასა, დასაბამად საზოგადო-

სა მხიარულებისა, დღესასწაულობს ყოველი ივერია, ვინათგან განგებამან საბაოთურმან, სიმტკიცედ სჭულთა, დაცვად ეკლესიათა, განვრცელებად იმპერიისა, საუკუნოდ ნეტარების ღირსისა დიდისა იმპერატრიცა ეკატერინას სახელმწიფოთა შრომათა, დაადგა გვირგვინად იმპერატორება უდიდებულესობისა თქვენისა, და საზოგადოსაგან დედისა დაობლებულსა იმპერიასა აღუდგინა მამა მოწყალებისა საზოგადო, რომლისათვისცა უმდაბლესად თაყვანისცემით მომლოცველნი და მედღესასწაულენი, უმაღლესსა ტახტსა ზედა აღსლვისა უდიდებულესობისა თქვენისანი, შევვედრებთ თავსა ჩვენსა მფარველობასა ქვეშე იმპერატორებისა თქვენისასა, და მე, უერთგულესისა მონებისა ჩემისა მსხვერპლად სისხლადმდე შემწირველი, დავშთები ნიადაგ უდიდებულესობისა თქვენისა უმოწყალესის ხელმწიფისა ჩემისა უმდაბლესად მონად.

(1796)

ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
სოლომონ ლიონიძე..., გვ. 21—22.

სიტყვა, თქმული რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის წინაშე

აღთქმა იგი ქრისტესი პირველისა მოციქულისა პეტრეს მიმართ ესმა ალექსისძეს პეტრეს პირველსა: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია და ბქენი ჭოჯობითისანი ვერ ერეოდინ მას“. მის ზეციერსა არხიტექტურისაგან დაფუძნებულსა სახლსა შენსა პეტრე პირველისასა პირველი ალექსანდრე იშევ ზეციერისაგან, ვითარცა ანღელოსი, და იშევ იმპერატრიცასგან, ვითარცა იმპერატორი.

ნეტარ არიან ცანი ანღელ-სახელ შემამკობელი შენი. და ნეტარ არს ქალი იგი, რომლისაგან იშევ შენ ხელმწიფე ხელმწიფეთა; ნეტარ არს საუკუნო ესე იმპერატორებისა შენისაგან აღყვავებული, და ნეტარ არიან ძენი როსსიისანი, რათა

პოეს მოხუცებულთა მამა, ჰაბუკა — მაგალითი, ბრძენთა — სასყიდლის-გება და გლახაკთა — სიმდიდრე.

და მე, მხედველი უღრმესისა მოხუცებულობისა ახალსა სიჭაბუკესა შინა შენსა, დიდო იმპერატორო, წინამაუწყებელ ვარ, რამეთუ კეთილსა საფუძველსა ზედა დაწყებამან პეტრე პირველისამან იმპერატორებითა შენითა მიიღოს უკეთილესი დასასრული, და იქნები ალექსანდრე პირველი, ალექსანდრე დიდი, არა მაკედონელი, ვინაიდგან ჯვარი არს საფუძველი სკიპტრისა და სკიპტრა ზეციერი. ხოლო მაკედონელსა არა აქვნდა საფუძველი სკიპტრისა, ვინაიდგან ცალიერ იყო ხელი მისი მეორე ჯვარისაგან და დიდებული იყო სკიპტრა მისი უსაფუძვოდ მეფობითა ეამიერით.

გარნა შენ შორის ვხედამ უსაკვირველესა დიდებასა, რამეთუ რომელი იგი დასაბამიდან მრავალგზის შეცოდებულ იყო სკიპტრა ჯვარისა მიმართ და მრავალსა საუკუნესა დასჯილ იყო სკიპტრა ჯვარისაგან. შენ დახსენ სიძულილი შორის სკიპტრისა და ჯვარისა! შენ მიერ საყვარელ ჯვარისა იქმნა სკიპტრა შენი! ორნი ესე თაყვანის საცემელნი და დიდებულნი მეგობარნი ხელთა შინა შენთა განისვენებენ: ერთითა გიპყრიეს ჯვარი, რომლითა იღლესასწაულები სიძე ზეციერისა ანმონისა, და მეორითა გიპყრიეს სკიპტრა, რომლითა თვით შენ აღიდებ საიმპერატოროსა ტახტსა რუსეთისასა, და თუ ვითარ წინა წარმომიდგნეს მე ხილვა იმპერატორებისა შენისა გამოვიძიე ყოველთა საუკუნეთა შინა დიდთა იმპერატორთა რიცხვთა შორის და ვიხილე იმპერატორება სიჭაბუკესა შენისა, ვითარცა ხვალმანდი დიდსა ლელვასა შინა; გამოვიძიე სიჭაბუკესა შინა შენსა და ვიხილე სიღრმესა შინა გონებისა შენისა სივრცე იმპერატორებისა, ვითარცა უკიანესა შინა ნავი ყოვლად ბრძენთა მენავეთ მოძღვრებითა შენითა მყუდროებით მცურვალი; გამოვიძიე სიჭაბუკესა შინა შენსა და ვიხილე კვალადცა ნივთი საჭიროდ შესაბამი კეთილ-მოქმედებისა, რომელსა ვითარცა ხელმწიფესა და ვითარცა მამასა საზოგადოსა საიმპერატორო შიში შენი დაგიმორჩილებიეს სიყვარულისადმი საზოგადოსა ერისაგან, რომელი მარადის პირთა და გულთა ერთბამად გაკურთხევდენ. წრფელ იყვნენ გულნი მათნი და პირითა არა გეცრუვნენ შენ.

და მე, მგრძნობელი ბუნებითა და ზეციერთა ამათ ნიჭთა თან შობილთა შენ შორის, დიდო იმპერატორო, დღესასწაულობით მოგილოცავ, რომელსა ვსასოებ უღრმესითა განსჯითა საქმეთა მომავალთა; ვსასოებ, რომ სიჭაბუკე შენი განავრცელებს იმპერიასა და იწყებს ელვასა საჭურველი შენი ჩრდილოეთით სამხრეთად; მამაცობა შენი განახშირებს ქუხილსა დასავალით აღმოსავლეთად და დაიპყრობს ერთა უცხოთა, და ესრეთ განგრძელდების ქუხილი და ელვა საჭურველთა შენთა უშორესთა კერძოთა; ხოლო მოხუცებულობა სავსე ძალითა, და სიბრძნითა, და სიმდიდრითა დაუტოვებს მრავალთა ერთმთავრობით ერთად შეერთებულთა სკიპტრათა საუკუნესა ნეტარებასა შინა!

ნეტარი ესე ოქროსა საუკუნე, იმპერატორებისა შენისაგან განშეენებული, აღყვავებული და დატკობილი, ითხოვს საჭიროდ ბრძენთა მათ მამაკაცთა: პლატონს, ღომერს, სოლომონს და ვირდილის, ციცერონს, კურციოსს, ოვიდიას, ცხრათა მათ მუშთა თანა უპიტეროვანთა შეკრებულთა პარნასის მთასა ზედა, რათამცა განყოფილთა და ბუნებითთა ნიჭთა იმპერატორებისა შენისათა მიაწერდნენ თითოეულთა ღმერთათა მათთა შეენიერებისა, სიბრძნისა და სიმხნისათა, და სტიხს-მოქმედებდნენ მსგავსებათა ულიეს, ღერკულესს, ტეზეის, ახილესს და იაზონს. გარნა იგინი სტიხთა თვისთა სწერდნენ მრავალთა ფურცელთა შორის, ხოლო დიდებული სახელი შენი, ალექსანდრე პავლეს ძე, და დიდებულნი საქმენი შენნი, უავლუსტესო კეისარო, აღიწერების ორთა ფურცელთა ზედა: პირველსა ფურცელსა — ცასა ზედა, და მეორესა ფურცელსა — ქვეყანასა ზედა. ორი ესე ფურცელნი საუკუნოდ სახელსა შენსა მიუთხრობენ, მოკვდავებასა შენსა უკვდავ ყოფენ: არლარა დაიფარვი პირისაგან ქვეყანისა; ვითარცა სხვანი და დიდნი მამაკაცი ცხოველ იქნები ცათა შინა, ვითარცა ანდელ ზეციერი, და ქვეყანასა ზედა, ვითარცა ღირსი ხსოვნისა იმპერატორი დიდი პეტრე.

ამიერიდგან დაიციე ჯვართა ჭეშმარიტება და სკიპტრითა კეთილმოქმედება, და მით უძლოდე ერსა შენსა, ვითარცა მოისე ისრაილთა და ვითარცა ისუ ძე ნავესი! იქმენ ამალღებულ სკიპტრითა, ვითარცა ალექსანდრე ბერძენთა შორის, და ჯვა-

ჩითა, ვითარცა იუსტინიან მორწმუნეთა იმპერატორთა შორის, ვითარცა ავლუსტ რომაელი, მარკავრელია, ანტონინ მშვიდი და ალექსანდრე სევერი რომაელთა შორის, და კირ დიდი პერსიკოთა შორის! იქმენ ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; ნათელ, ვითარცა მზე პლანეტთა შორის; საწადელ, ვითარცა ოქრო მიწათა შორის; მართალ, ვითარცა ღმერთი ღმერთთა შორის და საყვარელ, ვითარცა ქრისტე კაცთა შორის!

განაგრძელოს ნებამან მალლისამან დიდებასა შინა შეუძვრელსა იმპერატორება შენი და შთამომავლობათა შენთა განუწყვეტლად და საუკუნოდ!

[1804)

ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
სოლომონ ლიონიძე.-

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქართული საელჩო მკვერმეტყველების ზოგადი საკითხები

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქართული საელჩო მკვერმეტყველების ისტორიისათვის

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საელჩო მკვერმეტყველების წყაროები და ლიტერატურა	7
საელჩო მკვერმეტყველების ტერმინოლოგია	18.
საელჩო მკვერმეტყველების ეანრები	29
საელჩო მკვერმეტყველების ისტორიის პერიოდები	32.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ადრინდელი მსოფლიო საელჩო მკვერმეტყველების ზოგადი მიმოხილვა	
ძველი აღმოსავლეთის საელჩო მკვერმეტყველება	37
ანტიკური ბერძნული საელჩო მკვერმეტყველება	41
ანტიკური რომაული საელჩო მკვერმეტყველება	44

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ქართული საელჩო მკვერმეტყველების ზოგადი მიმოხილვა	
პირვანდელი სახელმწიფო წყობის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება	49
ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება	55
ფეოდალური მონარქიის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება	65
ფეოდალური მონარქიის დაშლის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება	85
გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის საელჩო მკვერმეტყველება	95

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ქართული საელჩო მკვერმეტყველების წარმომადგენლები	
მირიან მეორე	125
ლაზი ელჩი	128
პიპა ქვენიფნეველი	131
ნიკოლოზ ტფილელი	134
ნილო მონაზონი	137
ალექსანდრე პირველი	141
	391

ალექსანდრე მეორე	144
ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი	154
ექვთიმე რატიშვილი	160
ვასპარ ქართველი	165
სულხან-საბა ორბელიანი	168
ვახტანგ მეექვსე	180
როსებ გიორგის-ძე	185
არტემონ ანდრონიკაშვილი	187
ანტონ კათალიკოსი	190
ლევან ბატონიშვილი	195
მაქსიმე ქუთათელი	198
დავით კვინიხიძე	203
ზურაბ წერეთელი	207
სულხან თუშანიშვილი	211
სერგი ლაშქარაშვილი	214
ბესარიონ გაბაშვილი	217
გარსევან ქვეკვაძე	227
სოლომონ ლიონიძე	244

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

ქართული საელჩო მკვერამეტყველების ძეგლები

მირიან მეორე — სიტყვა, თქმული ქართლის ერისთავების წინაშე	255
ვახტანგ გორგასალი — სიტყვა, თქმული ქართლის წარჩინებულთა წინაშე	256
ლახი ელჩი — სიტყვა, თქმული სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე	258
თამარ მეფე — წერილი რუმის სულთნის ნუქარდინის მიმართ	261
რუსუდან მეფე — წერილი რომის პაპის ჰონორიუს მესამის მიმართ	262
გიორგი მერვე — წერილი ბურგუნდიის მთავრის მიმართ	264
ჟვარცვარე ათაბაგი — წერილი ბურგუნდიის მთავრის მიმართ	266
ნიკოლოზ ტფილელი — სიტყვა, თქმული რომის პაპის პიო მეორის წინაშე	269
ალექსანდრე პირველი — წერილი მოსკოვის მთავრის იოანე ვასილის ძის მიმართ	271
სიმონ პირველი — წერილი რომის პაპის პავლე მესამის მიმართ	272
თეიმურაზ პირველი — წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ	275
მეორე წერილი რომის პაპის ურბან მერვის მიმართ	276
ალექსანდრე მესამე — სიტყვა, თქმული რომაელი პატრიის ქრისტე-ფორე კასტელის წინაშე	279
ვახტანგ მეხუთე — წერილი რომის პაპის კლიმენტი მეათის მიმართ	280
არჩილ მეორე — წერილი რუსეთის მეფეების იოანე და პეტრე ალექსის. ძეთა მიმართ	282

გიორგი მეთერთმეტე — წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ	286
ექვთიმე რატიშვილი — წერილი რომის პაპის ინოჩენციო მეთერთმეტის მიმართ	289
სულხან-საბა ორბელიანი — წერილი რომის პაპის კლიმენტი მეთერთმეტის მიმართ	291
წერილი რომელი კარდინალის მიმართ	292
წერილი საფრანგეთის მინისტრის პონშარტრანის მიმართ	293
სიტყვა, თქმული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეოთხემეტის წინაშე	294
ვახტანგ მეექვსე — წერილი ავსტრიის იმპერატორის კარლ მეექვსის მიმართ	295
სოლომონ პირველი — სავდრებელი წერილი რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის მიმართ	297
წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი	299
ანტონ კათალიკოსი — წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ	302
მეორე წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ	303
ერეკლე მეორე — წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ	305
წარდგინება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი	307
წარდგინება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი	307
ბესარიონ გაბაშვილი — წერილი რუსეთის მხედართმთავერის გრ. პოტიომკინის მიმართ	309
მოხსენებითი ბარათი რუსეთის მხედართმთავერის გრ. პოტიომკინის მიმართ	310
მეორე წერილი რუსეთის მხედართმთავერის გრ. პოტიომკინის მიმართ	312
გარსევან ჰეკუაძე — წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიმართ	315
წარდგინება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორისადმი	317
მოხსენება რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის მიმართ	320
სოლომონ ლიონიძე — მიმართვა რუსეთის იმპერატორის პავლე პირველისადმი	
სიტყვა, თქმული რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის წინაშე	327

808.5
.808.54+899.962.1+9(47.922)
კ 226

რედაქტორი ნ. გურაბანიძე
მხატვარი ე. ბარაბაძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჟანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი თ. იოსელიანი

ხელმოწერილია დასაბუქდად 24/V-66 წ.
ქალაქის ზომა 84 X 108¹/₃₂
ნაბეჭდი თაბახი 17,5
საღარიცხეო-საგამომცემლო თაბახი 13,87
უე 00281 ტირაჟი 3.000 შეკვ. № 5320
ფასი 1 მან. 31 კაპ.